

საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი

# ჩინა

1

2020

მთავარი რედაქტორი

ნანა ქარღვა

პასუხისმგებელი რედაქტორი

ანა გერანტია

არტრედაქტორი

თათული რუხაძე

დაკაბადონება

ვასტანგ ზაქარაია

საკონსულტაციო საბჭო:

როლანდ ნიჟარაძე

ირმა კეკელიძე

ჯემალ გამახარია

ზურაბ სონელიძე

გურამ ოდიშარია

მარიამ მირიანაშვილი

ზურაბ პაპასკირი

მანონ ბულისკერია

თამარ ზარანდია



ჟურნალი გამოდის  
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის მხარდაჭერით

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“  
მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ. №68; ელ-ფოსტა: [riwa1975@gmail.com](mailto:riwa1975@gmail.com)  
ტელ.: 598 49 30 05; 599 90 81 28

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები  
ყველა უფლება დაცულია.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                              |    |
|----------------------------------------------|----|
| მუდარქორის გვერდი .....                      | 5  |
| პოლიტიკა                                     |    |
| <b>ჯამალ ბამასარი –</b>                      |    |
| აფხაზეთის პრობლემა და პრეზიდენტი             |    |
| ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა .....            | 6  |
| დოკუმენტური პრეზენტაცია                      |    |
| <b>ირმა კაკელიძე –</b>                       |    |
| ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე .....            | 11 |
| <b>ჯამალ იონათამიშვილი –</b>                 |    |
| ქართველთა ომი .....                          | 20 |
| ლიტერატურული წყაროები                        |    |
| <b>ზვიად გამსახურდია –</b>                   |    |
| კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა ..... | 28 |
| <b>ზვიად გამსახურდია –</b>                   |    |
| „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება             |    |
| კურთუზული Dame .....                         | 34 |
| ტარიელის სახე და დავით სოსლანი .....         | 37 |
| პრეზენტაცია                                  |    |
| <b>კონსტანტინე გამსახურდია –</b>             |    |
| ტაბუ .....                                   | 41 |
| ინტერვიუ                                     |    |
| <b>კონსტანტინე გამსახურდია –</b>             |    |
| მამაჩემი ზვიად გამსახურდია .....             | 45 |
| ცამეტი შეკითხვა ზვიად გამსახურდიას .....     | 49 |
| პოეზია                                       |    |
| <b>ზვიად გამსახურდია –</b>                   |    |
| სიონის ელეგია .....                          | 54 |
| მოგონება .....                               | 55 |
| ქაშვეთი .....                                | 56 |
| სალამო .....                                 | 56 |
| რობინსონ ჯეფერსი .....                       | 57 |
| შენი ღიმილი .....                            | 57 |
| დავით კაკაბაძე .....                         | 58 |
| ვედრება .....                                | 58 |
| მერაბ კოსტავას .....                         | 59 |
| წამებულ ძმისადმი .....                       | 59 |
| მთაწმინდა .....                              | 60 |
| L' IMPRESSIONISME .....                      | 61 |
| დაღუპული კოსმონავტების ხსოვნას .....         | 61 |
| სამება .....                                 | 62 |
| თრთვილი .....                                | 62 |
| ღამე იღვენება .....                          | 63 |
| საიქიო .....                                 | 64 |

## თარგმანი

### **მარიამ მირიანაშვილი –**

ზვიად გამსახურდია და თარგმანის საკითხები ..... 65

### **შარლ ბოდლერი –**

დედაბრის ვარამი ..... 72

მხატვრის აღსარება ..... 72

ძალი და ფლაკონი ..... 73

თრობა ..... 73

სარკე ..... 73

ფანჯრები ..... 74

უცხო ..... 74

## კრიტიკა

### **ციალა მესხია –**

ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობა“

მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია ..... 75

## მოგონებები

### **ჯემალ შონია –**

შეხვედრები ზვიადთან ..... 78

### **ზაურ ბაძია –**

ჩემი ცხოვრების მთავარი რეისი ..... 83

### **ნარსე ბაცაში –**

შეხვედრები დიდოსტატთან ..... 86

## ფოტოაქივი

### **ირაკლი შონია –**

ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდია

ჩემს ჟურნალისტურ ჩანაწერებსა და ფოტოარქივში ..... 90

### **ქრისტინა კილანავა –**

მამაჩემი ნიკოლოზ კილანავა - პუბლიცისტი, მკვლევარი და

„გალურ მარგალი“, როგორც კონსტანტინე გამსახურდია უწოდებდა ..... 93

## ეთნოგრაფია

### **ნიკოლოზ კილანავა –**

აჩიგვარა და აჩიგვარას მათრახი ..... 95

## ერთი ლექსის ისტორია

### **ციციწო მაღლაფერიძე –**

„ძმას ქრისტესმიერს“ ..... 98

## დიდოსტატი გვასწავლის

ამონარიდები კონსტანტინე გამსახურდიას ნაშრომებიდან ..... 101

## მხატვრობა

### **მანანა სოტკილავა –**

ზვიად გამსახურდიას ერთი პორტრეტის შესახებ ..... 104

„რინა“ №1 2020 ..... 107

ინგლისურენოვანი რეზიუმე ..... 109

ნანა ქარდავა



„რინის“ ეს ნომერი (2020, №1) ეძღვნება ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ჟურნალს რომ ასათაურებდნენ, შეიძლებოდა გარე ყდაზე დაგვეწერა: „ზვიად გამსახურდია – შემოქმედი, ლიტერატორი, მოღვაწე“. ნომრის ყველა წერილი, მოგონება თემატურია, რუბრიკები – მრავალფეროვანი, ავტორები კი აუცილებლად წასაკითხი. მენდეთ, აუცილებლად წაკითხვისათვის ბევრი პირობა არსებობს. არ ღირს გამოვარჩიო რომელიმე მწერალი, თემა ან რუბრიკა. და არა იმიტომ, რომ ვინმეს გული დაწყდება... უბრალოდ, ამ ნომრის ყველა ავტორი საქართველოს უახლესი ისტორიის არამხოლოდ თვითმხილველი, არამედ, რიგ შემთხვევაში, თავისი ეპოქის შემოქმედიცაა. პოლიტიკოსები დროის შექმნილი ადამიანები არიან, შემოქმედები კი – დროის შემქმნელები. ზვიად გამსახურდიამ თავისი დრო შექმნა ლიტერატურაშიც, ერის ცხოვრებაშიც, ისტორიაშიც.

ჟურნალში ქვეყნდება ნაკლებად ცნობილი ფოტოებიც. ასევე, ორი ინტერვიუ, რომელთაგან ერთი ნამდვილია (კონსტანტინე ზ. გამსახურდიასთან), მეორე კი პირობითი, ვინაიდან სხვა მასალებზე დაყრდნობით შევქმენით (შეკითხვები ზვიად გამსახურდიას).

„რინაში“ წაიკითხავთ ზვიად გამსახურდიას ლექსებსა და თარგმანებს.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით დიდოსტატ კონსტანტინეს. მის შესახებ მოგონებებითაც დაგაინტერესებთ.

ჟურნალის ყდაზე უნიკალური ფოტოა – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ბიჭვინთის სანაპიროზე... ახალგაზრდები არიან, ფიქრიანები და შესამჩნევად ლალები, თავისუფალნი მაშინაც.

წინა გარე ყდაზე სოხუმელი მხატვრის, ამჟამად გერმანიაში მოღვაწე ანდრო ვეკუას ინსტალაციაა – სხეულით სახლიდან გამოძევებული, გონებით ისევ სახლშია, მშობლიურ სახლში.

ჟურნალ „რინის“ არ იყოს, ზვიად გამსახურდიამაც გამოსცადა დევნილის საშინელი ხვედრი. სოხუმიდან დევნილია ანდრო ვეკუაც. ის ვოვა ვეკუას ვაჟია. სწორედ მის სახლში, სოხუმში, უსახელო ქუჩაზე არაერთხელ მინახავს ზვიად გამსახურდია. მაშინ მე და ანდრო ბავშვები ვიყავით, ხოლო ვოვა – ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი აფხაზეთში.

ვოვა ვეკუას ხელნაწერ ლექსსაც წაიკითხავთ ნომრის ყდაზე. დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ... არა, შეგიყვარდებათ ეს ნომერი!

„რინას“ კი, თითქმის ნახევარი საუკუნეა, უყვარხართ.



ჯემალ გამახარია

აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი  
საბჭოს თავმჯდომარე,  
პროფესორი

## აფხაზეთის პრობლემა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა

საქართველოს ისტორიული ბედუკუდმართობის გამო გვიან შუასაუკუნეებში (XVI-XVII სს.) შიდა ფეოდალური შუღლის სახით წარმოქმნილი აფხაზური პრობლემა რუსული მმართველობისა და იმპერიული პოლიტიკის წყალობით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ანტიქართულ სეპარატისტულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში (1917 წლამდე), დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა (1918-1921) და საბჭოთა ოკუპაციის წლებში (1921-1991) იმპერიის ხელში აფხაზური სეპარატიზმი წარმოადგენდა საკმაოდ მძლავრ ბერკეტს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ თუ შეიარაღებულ ბრძოლაში.

პირველი ეროვნული ხელისუფლება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის პრობლემას, რომლის მოგვარების გარეშე შეუძლებელი იყო დამოუკიდებელი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. პრეზიდენტი გამორიცხავდა ძალის გამოყენებას და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აქტიური დიალოგის პოლიტიკას აწარმოებდა. ამავე დროს იღებდა ზომებს სეპარატიზმის ასალაგმავად. საკუთარი ბრძანებულებებით აუქმებდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ ანტიკონსტიტუციურ აქტებს, მკაცრად აკრიტიკებდა მოსკოვის მიერ აფხაზეთის ხელმძღვანელად

სპეციალურად მოვლენილი ვ. არძინბას კონფრონტაციულ პოლიტიკას. ასე, მაგალითად, თავის მიმართებაში აფხაზი ხალხისადმი (1991 წლის 12 მარტი), ზვიად გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა აფხაზთა და ქართველთა ნათესაობაზე, აფხაზი ხალხის ეროვნული უფლებების აღიარების აუცილებლობაზე და იქვე უთითებდა ვ. არძინბას სეპარატისტულ ტენდენციებზე, „რომელიც საფრთხეში აგდებს მშვიდობას აფხაზეთის ტერიტორიაზე“.

ზვიად გამსახურდიას ამ მიმართვას გამოეხმაურა ვ. არძინბა (1991 წლის 14 მარტი). „აბსოლუტურად მჯერა, – წერდა იგი, – ჩვენი ხალხები შემდგომშიც ხელიხელჩაკიდებულნი გადანწყვეტენ მათი ეროვნული განვითარების რთულ პრობლემებს. მე, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ყველაფერს, რაც ჩემზეა დამოკიდებული, გაგაკეთებ მომავალშიც იმისათვის, რათა აფხაზეთსა და საქართველოში მეფობდეს მშვიდობა და თანხმობა, რაც დამყარებული იქნება თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა მყარ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“. ზვიად გამსახურდიას სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, მისი მმართველობის პერიოდში ქართულ-აფხაზური დაპირისპირება არ გასცდენია ვითომ შემრიგებლური ფორმით გაკეთებული მსგავსი სეპარატისტული განცხადებებისა და ე. წ. კანონთა ომის ჩარჩოებს.

აღნიშნულმა სამშვიდობო პოლიტიკამ განაპირობა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე კრემლის მიერ 1991 წლის



17 მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმის ფაქტობრივი ჩავარდნა აფხაზეთში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმის ტრიუმფით ჩატარება, თანაც სეპარატისტების მხრიდან ბოიკოტის პირობებში. მიუხედავად ბოიკოტისა, საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტმა. ეს იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დიდი პოლიტიკური გამარჯვება და, შესაბამისად, სეპარატიზმის სასტიკი მარცხი აფხაზეთში. მიღწეული წარმატება განმეორდა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც, რომელსაც ასევე ბოიკოტი გამოუცხადეს ანტიქართულმა ძალებმა.

თავის საინაუგურაციო სიტყვაში (1991 წლის 7 ივნისი) პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სპეციალურად შეეხო სახელმწიფო მონყოფისა და აფხაზეთის მომავალ პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს და განაცხადა: „სახელმწიფო მონყოფას საფუძვლად უნდა დაედოს მმართველობის და თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას, დაიცავენ სახელმწიფოს ერთიანობას და ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სტრუქტურულ ერთეულთა ინტეგრაციის დაცვას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მონყოფის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი უნდა იყოს აფხაზეთის როგორც საქართველოს მკვიდრი ერის პოლიტიკურ უფლებათა აღიარება, ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრობა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, იგი სამშობლოა როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა. საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული ინტერესების ხელშეუხებლობა“.

აფხაზეთში ჩატარებული რეფერენდუმებისა და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, კრემლმა და სეპარატისტებმა შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს. მოსკოვი დარწმუნდა, რომ აფხაზეთის მონყევტა საქართველოსაგან მშვიდობიანი და დემოკრატიული მეთოდებით

(არჩევნები, რეფერენდუმი და ა. შ.) შეუძლებელია; სეპარატისტები კი მიხვდნენ, რომ საკავშირო ცენტრსა (მ. გორბაჩოვი) და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას (ბ. ელცინი) შორის დაპირისპირების პირობებში მოსკოვი საქართველოსთვის ვერ მოიცლიდა, ამიტომ მას უნდა ეწარმოებინა დიალოგი თბილისთან.

1991 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის იმ დროისათვის პოლიტიკურად დასუსტებული მოსკოვური ცენტრის მედიატორული როლის გარეშე. მისი შედეგი გახლდათ აფხაზეთის სრულიად ახალი საარჩევნო კანონის მიღება და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი მიმართვაში (1991 წლის 8 ივლისი), რომელიც უმაღლესი საბჭოს სესიაზე (1991 წლის 9 ივლისი) საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა წაიკითხა, ნათქვამი იყო, რომ „ჩვენ გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის მისწრაფებას, გააფართოოს სახელმწიფო ავტონომია, რომელიც ხანგრძლივი წლების მანძილზე სრულყოფილი არ იყო...საქართველოს რესპუბლიკაში ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აფხაზეთის სტატუსის განვითარების ტენდენციები... რაც შეეხება აფხაზეთის ასსრ კომპეტენციის გაფართოებას, თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად, სწორედ ეს უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი. ცალმხრივი მოქმედება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან შეუწყნარებელია და მას შეიძლება მოჰყვეს განუქვრეტელი შედეგები“.

მაღევე დაიწყო გაცემული დაპირებების შესრულება, შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით აფხაზეთის ავტონომიური უფლებების გაფართოებაზე ზრუნვა. მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ქართული მხარე დასთანხმდა ისეთი საარჩევნო კანონის მიღებას, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული ნიშნით დაყოფილ საარჩევნო ოლქებში მომავალ უმაღლეს საბჭოში 28 აფხაზი, 26 ქართველი და 11 სხვა ეროვნების დეპუტატის არჩევას. კვოტები ისეთნაირად გადანაწილდა, რომ ის მცირე უპირატესობასაც კი

# პოლიტიკა

ანიჭებდა აფხაზებს. ამასთანავე ქართველი და აფხაზი დეპუტატები დამოუკიდებლად, ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე ვერ აგროვებდნენ კვალიფიციურ უმრავლესობას. პარალელურად განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, ასეთი უმრავლესობა სჭირდებოდა აფხაზეთის სტატუსის შეცვლას, მინისტრების დანიშვნას, რეფერენდუმის ჩატარებას და ა. შ. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ტერმინი „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“. ამ ცვლილებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. სეპარატისტები ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთის ასსრ იყო საბჭოთა საქართველოს და არა საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. განხორციელებულმა ცვლილებამ ბოლო მოუღო მსგავს ინსინუაციებს – საბჭოთა აფხაზეთმა თავად აღიარა, რომ ის არის 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. ფორმულა 28-26-11 აწესებდა აფხაზეთის მკვიდრი (აფხაზები და ქართველები) და არამკვიდრი ერების ცნებას. იმ დროისათვის ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს უწყობდა თანხმობისა და მშვიდობის დამყარებას აფხაზეთში.

თბილისსა და სოხუმს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად მოხერხდა აფხაზეთში უმაღლესი თანამდებობების ასევე ეთნიკური ნიშნით გადანაწილება. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (პირველი პირის) თანამდებობას დაიკავებდა აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი, მისი პირველი მოადგილე ხდებოდა ქართველი; აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა ეკუთვნოდა ქართველს, მისი პირველი მოადგილისა – აფხაზს.

დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთთან მიმართებაში ზვიად გამსახურდიას სამშვიდობო პოლიტიკამ, მის მიერ არჩეულმა მოქმედების პოლიტიკურმა და სამართლებრივმა გზამ გაიმარჯვა, თანაც ეს გამარჯვება ორივე მხარეს ეკუთვნოდა. აფხაზები ინარჩუნებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას, ავტონომიურ უფლებებს მათი გაფართოების პერსპექტივით, ქართველები – აღმასრულებელ ხელისუფლებას და, რაც მთავარია, სამშობლოს ერთიანობას.

სამართლებრივი გზით აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფა შეუძლებელი ხდებოდა.

სამშვიდობო პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა ადგილობრივი წვევამდელეებითა და მოხალისეებით დაკომპლექტებული ერვნული გვარდიის ოთხი ბატალიონი, რომელიც დისლოცირებული იყო გაგრაში, სოხუმში, გულრიფშსა და გალში. აფხაზური მხარე აპროტესტებდა ეროვნული გვარდიის ბატალიონების შექმნას აფხაზეთში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ბატალიონების მეშვეობით ათობით აფხაზმა ახალგაზრდამ თავი აარიდა იმპერიულ ჯარში სამსახურს. 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებამ აღნიშნული ბატალიონების დაშლა და აფხაზური გვარდიის ჩამოყალიბება გამოიწვია, რამაც საგრძნობლად შეასუსტა ქართველთა პოზიციები ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ემზადებოდნენ რა სამხედრო ავანტიურისთვის, სეპარატისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ მთიელ ხალხთა კონფედერაციაზე, რომლის დედაქალაქადაც სოხუმი გამოცხადდა. ეს იყო კრემლის მიერ ანტიქართული კოალიციის შექმნის, კავკასიელთა დაპირისპირების მცდელობა. მოსკოვის ამ მორიგ პროვოკაციას ზვიად გამსახურდიამ კავკასიური სახლის, კავკასიელთა ერთობის იდეა დაუპირისპირა. მისი რეალიზება უეჭველად გამოიწვევდა აფხაზური სეპარატიზმის იზოლაციას, მის მხილებას მთიელთა წინაშე როგორც კრემლის მიერ მართული არა მხოლოდ ანტიქართული, არამედ ანტიკავკასიური მოძრაობისა.

ზვიად გამსახურდიას სამშვიდობო პოლიტიკამ თავიდან აგვაცილა ომი აფხაზეთში და მასთან დაკავშირებული გარდუვალი ტრაგედია; 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა უმაღლესი საბჭოს არჩევნები; შეიქმნა სეპარატიზმის მშვიდობიანი მეთოდებით ალაგმვის, კრემლის პროვოკაციების აღკვეთის სამართლებრივი, პოლიტიკური და ძალისმიერი ბერკეტები. სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას არ დასცალდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულ მოვლენებს შედეგად მოყვა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მოშლა, პრეზიდენტის მიერ საქართველოს



იძულებით და-ტოვება, კონსტიტუციის გაუქმება, მწვავე სამოქალაქო დაპირისპირება, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს სეპარატისტებმა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს (მუშაობას შეუდგა 1992 წლის 6 იანვარს) აფხაზური ნაწილი სისტემატურად არღვევდა აფხაზეთის კონსტიტუციას და იღებდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანო სეპარატისტულ გადაწყვეტილებებს. მალე მათ იარაღის ჟღარუნიც დაიწყეს.

შექმნილ ვითარებაში დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი, რომელიც ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ, თავისი მრავალრიცხოვანი მიმართვებითა და განცხადებებით ცდილობდა აფხაზეთში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებას. ამასთანავე მკაცრად გამოხატავდა პოზიციას არძინბას დაჯგუფების უპასუხისმგებლო მოქმედებებს, განსაკუთრებით ანტიკონსტიტუციური აქტების მიღების პრაქტიკას. ზვიად გამსახურდია რეაგირების გარეშე არ ტოვებდა აფხაზეთთან დაკავშირებულ არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს. 1992 წლის 24 ივლისს მან იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება 1925 წლის არარსებული კონსტიტუციის აღდგენის შესახებ.

მოსკოვში შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ე. შევარდნაძისა და ვ. არძინბას აქტიური მეცადინეობით 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო. მიუხედავად დევნილობისა და მის წინააღმდეგ წარმოებული ბინძური კამპანიისა, ზვიად გამსახურდია ყველა ღონეს ხმარობდა აფხაზეთის გადასარჩენად. მას გააჩნდა მკაფიო და თანმიმდევრული პოზიცია. ომის პირველ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შეჩერება, ზვიად გამსახურდია დაჟინებით მოითხოვდა კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას. გაგრის ტრაგედიის შემდეგ საბრძოლო მოქმედებებში ერთვებიან დევნილი პრეზიდენტის მხარდამჭერი სამხედრო ფორმირებები. 1993 წლის ზაფხულისთვის, როცა წარმოიშვა აფხაზეთის დაცემის რეალური საფრთხე, ზვიად გამსახურდიამ ორჯერ (1993 წლის 7

ივნისს და 20 ივლისს) მიმართა აფხაზეთში დისლოცირებულ ქართველ მეომრებს. პირველ რიგში, მან გაილაშქრა აფხაზეთიდან ქართული საჯარისო ნაწილების გაყვანის წინააღმდეგ, რასაც სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება ითვალისწინებდა. „სოხუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ნიშნავს ქართველი მოსახლეობის გაყვანას, ვინაიდან შეიარაღებული ძალების 90 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს, – ნერდა ზვიად გამსახურდია, – სოხუმის ჩაბარებას მთელი აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას – ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია“. იგი მოუწოდებდა მეომრებს არ დაემორჩილონ აფხაზეთის დატოვების ბრძანებას, „არ დათმოთ აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწის არც ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები. აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის“.

დევნილ პრეზიდენტს საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჟიული შარტავასთან. მათ შორის არაერთი სატელეფონო საუბარი შედგა, რომელიც სოხუმისა და ოჩამჩირის უსაფრთხოების საკითხებს შეეხებოდა. ამ საუბრებიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია გარკვეულ დავალებებს აძლევდა თავის მომხრეებს. ასე მაგალითად, 1993 წლის 5 აგვისტოს ლოთი ქობალიასადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „აფხაზები თუ არ თანხმდებიან შერიგებაზე, ჩვენ მათ არ უნდა ვუცადოთ. ოჩამჩირე და კოდორი საიმედოდ უნდა გავამაგროთ. ტყვარჩელის ალება თუ გაჭიანურდა, მაგას არ უნდა ვუცადოთ. ნაურის (პოლკოვნიკი ნაური ჯიქია – 24-ე ბრიგადის არტილერიის უფროსი, პრეზიდენტის ერთგული – ჯ. გ.) მივეშველოთ, თორემ სოხუმი დაგვეპარება“.

ასეთი იყო დევნილი პრეზიდენტის პოზიცია. იგი არც 1993 წლის 16 სექტემბერს განახლებული საომარი მოქმედებების შემდეგ შეცვლილა. 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია უკვე ზუგდიდშია და პირველსავე სახელდახელო მიტინგზე აცხადებს: „მტკიცედ დავდგეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა,

დავიცვათ ჩვენი ქართული მოსახლეობა ... დღეს ჩვენი ბიჭები იბრძვიან ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულებით... ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოს“. მიუხედავად ყოველივე ამისა, ე. შევარდნაძის ცრუ პროპაგანდა ავრცელებდა დეზინფორმაციებს ზვიად გამსახურდიას შესახებ, უხეშად ამახინჯებდა რა მის ნამდვილ პოზიციას. ამის თაობაზე თავის სატელევიზიო გამოსვლაში 1993 წლის 26 სექტემბერს ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „მოუწოდებ ყველას, ყველა შეიარაღებულ ძალას, მიუხედავად იმისა, ვინ რომელ პოლიტიკურ პოზიციაზე დგას, დღეს არ არის დაპირისპირების დრო, დღეს არ არის ურთიერთკონფრონტაციის დრო. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი პოლიტიკური დაპირისპირება და ერთიანი ფრონტით ვიმოქმედოთ. ხუნტა ყოველნაირად ცდილობს დეზინფორმაციები შეიტანოს აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, ვითომდაც მე მოუწოდებ ჯერ თბილისის ალებისკენ, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ფრონტზე მოქმედებისკენ. ეს არის სიცრუე. ძალიან გთხოვთ, ამას ნუ დაიჯერებთ“.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. იმავე დღეს ე. შევარდნაძე სამარცხვინოდ აცხადებს: „საქართველო დამარცხდა უთანასწორო ძალებთან ომში... ფაქტობრივად საქართველომ დაიხოქა“. 28 სექტემბერს კი უკვე თბილისში მყოფმა ე. შევარდნაძემ პრესკონფერენციაზე გაიმეორა იგივე სამარცხვინო სიტყვები: „ჩვენ შეიძლება დაგვაჩოქონ და ჩვენ დავიჩოქებთ...იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია“. აფხაზეთის დათმობითა და საქართველოს „დაჩოქებით“ ე. შევარდნაძე წელში გაიმართა და ქვეყნის პრეზიდენტის ტახტი წინასწარ გაინაღდა.

სრულიად საპირისპირო იყო ზვიად გამსახურდიას პოზიცია. 1993 წლის 28 სექტემბერს, როდესაც ე. შევარდნაძემ საქართველოს „დაჩოქების“ შესახებ ამცნო მსოფლიოს, ზვიად გამსახურდია სოფელ კინდლში ჩავიდა, დაათვალიერა ფრონტის წინა ხაზი, გაამხნევა მეომრები; ოჩამჩირეში კი შეხვდა 24-ე ბრიგადის შტაბის წევრებს. პრეზიდენტმა იცოდა, რომ აფხაზეთში მოქმედ ფორმირებებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან აუცილებელი კოორდინაცია, არ არსებობდა ერთიანი სარდლობა, რაც გახლდათ სამხედრო წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, ამოტომაც შესთავაზა მათ ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ყველა ფორმირების გაერთიანებისა და ერთობლივად ძლიერი შეტევითი ოპერაციის განხორციელების გეგმა. იმავე დღეს ზვიად გამსახურდია ატარებს მრავალათასიან მიტინგს გალში და მოსახლეობას მოუწოდებს არა დაჩოქებისკენ, არამედ სახალხო ლაშქარში გაერთიანებისკენ, „რომელიც დადგება საქართველოს სადარაჯოზე, დაგება ჩვენი ოჯახების სადარაჯოზე, დადგება ჩვენი მშვენიერი კუთხის სადარაჯოზე და ამ ბრძოლას გამარჯვებით მიიყვანს ჩვენი ძლევა-მოსილი მხედრობის ხელმძღვანელობით“.


არსებული სამოქალაქო დაპირისპირებისა და უნდობლობის პირობებში ზვიად გამსახურდიას გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ოფიციალურმა ფორმირებებმა მიიღეს ბრძანება აფხაზეთის დატოვების შესახებ. ამას მოჰყვა მოწინააღმდეგის მიერ ოჩამჩირისა და გალის რაიონების უბრძოლველად დაკავება. აფხაზეთის დაცემა კი გახდა მომდევნო თვეებში პრეზიდენტის დამარცხებისა და გაურკვეველ ვითარებაში მისი დაღუპვის წინაპირობა.

ირმა კაკელიძე

## ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე



1993 წლის 7 იანვარს, გროზნოში ყოფნისას, ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, მისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ მაჩუქა, რა თქმა უნდა, მისივე წარწერით... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი... როცა ამ წიგნს დავხედავ, დღესაც იგივე გრძნობა მეუფლება...



მთელმა დღემ დაძაბულ ყოფაში ჩაიარა. სამსახურიდან სახლში მისვლა უნდა მომესწრო, შემდეგ ისე უნდა მოვმზადებულიყავი, რომ არავის არაფერი შეემჩნია, განსაკუთრებით დედას. რას ვაპირებდი, რისთვის ვემზადებოდი და სად მივდიოდი, ვერავინ უნდა მიმხედარიყო. დაფეთებული და დაძაბული გარეგნულად არაფერს ვიმიჩნევდი. ყავისფერ ჩანთაში ძველი გაზეთი და რამდენიმე თაბახის ფურცელი, რომელიც საიდუმლოდ მქონდა შენახული, ჩუმად მოვათავსე. ფეხაკრეფით დავდიოდი ოთახიდან ოთახში და ვცდილობდი, რამენაირად

შემენილბა ჩემი განზრახვა... დედა დავარწმუნე, რომ ორი დღე დეიდასთან უნდა დავრჩენილიყავი, ბევრი სანერ-სამუშაოს გამო, სიმყუდროვე მჭირდებოდა.

სალამოს ათის ნახევარზე, ჩანთით ხელში, თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ვიდექი. დაძაბულობა უფრო მომემატა. ბაქანზე წინ და უკან გავდი-გამოვდიოდი. ნინო არ ჩანდა, დავიძაბე. „ნეტავ ხომ მშვიდობაა, რომ არ მოვიდეს, რა უნდა ვქნა?“ – ამ ფიქრში ვიყავი, რომ შორიდან ლამაზ, ყავისფერ ქურქში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონის სილუეტი გამოჩნდა. დაჟინებით მივაჩერდი, ნეტავ, ნინო იყოს, – გავიფიქრე. მომიახლოვდა და შვებით ამოვისუნთქე, ნინო იყო.

– დიდი ხნის მოსული ხარ? – შემეკითხა ნინო.

– არა, მაგრამ შემეშინდა, ვიფიქრე, რამე ხიფათი ხომ არ გამოგვიხტა-მეთქი, – მივუბე მე.

– არა, ნუ გეშინია, – მიპასუხა ნინომ.

ამასობაში, ბაქანზე თბილისიდან ბაქოს მიმართულებით მიმავალი მატარებელი ჩამოდგა.

– ჯერ ნუ ავალთ, ნოდარ სივსივაძე უნდა მოვიდეს, ზვიადის ახალგაზრდობის მეგობარი, რალაც უნდა გაგვატანოს პრეზიდენტთან, – მითხრა ნინომ.

უხმოდ დავეთანხმე, „რადგან ნინო ასე

# დოკუმენტური ჰროზა

თვლის საჭიროდ, ალბათ იცის, რასაც აკეთებს“, – გავიფიქრე მე. მთავარი იყო, რომ ნინო გამოჩნდა და ვიცოდი, ნამდვილად მივდიოდით.

რამდენიმე წუთში ბაქანზე გამხდარი, ტანმორჩილი, თმაქალარა, სანდომიანი სახის მამაკაცი გამოჩნდა.

– მოვიდა, – თქვა ნინომ და ხელით ანიშნა მამაკაცს, რომ ჩვენამდე მოსულიყო.

მამაკაცი მოგვიახლოვდა, ხმადაბლა მოგვესალმა და ირგვლივ მიმოიხედა. შემდეგ, ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ნინოს მიაწოდა.

– ეს წერილი მინდა გადასცეთ ზვიადს. წერილთან ერთად კონვერტში ცოტა დანაზოგი თანხაც დევს, მას უფრო სჭირდება, მე აქ როგორმე მოვახერხებ თავის გატანას... წერილში მივანიშნებ სამი ადამიანის საქციელზე, რომლებიც წაღმა გასაკეთებელს, უკუღმა აკეთებენ. იცოდეს მაინც, ფრთხილად იყოს, იცის მან, რომ მე ტყუილად არაფერს ვიტყვი...

ნოდარმა მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვა და იქაურობა სწრაფად დატოვა...

ზამთარი მიყვარს, ზღვაზეც მიყვარს ზამთარი. ჩემს გუდაუთში, გაგრამში, ბიჭვინთაში როცა ვიყავი, ზამთარი არ მაშინებდა. საოცრად მიყვარდა, სანაპიროს ჩაფიქრებულ, ფეხით რომ მივუყვებოდი. ხშირად სიცივით ვცახცახებდი, მაგრამ ამავე დროს სიცივე მაფხიზლებდა... მართალია, ზღვის ნაპირზე არ ვსეირნობ, მატარებელში, საერთაშორისო ვაგონში, ორადგილიან ცივ კუბეში ვზივარ, მაგრამ მაინც მიყვარს ზამთარი. ვინაიდან, ცივი ჰაერი გონებას გიჯანსაღებს, გაფხიზლებს, გაფრთხილებს...

მიქრის მატარებელი, მიქრის ჩვენი ვაგონი, ჩვენს კუბესთან და ჩვენთან ერთად. მეზობელი კუბედან მამაკაცების ხმა ისმის. ხმამაღლა ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენ ვჩურჩულებთ, ჩუმად ვსაუბრობთ. ცოტა ხნის შემდეგ მამაკაცების საუბარი შეწყდა, აღარაფერი აღარ გვესმის.

– არ მეძინება, – მითხრა ნინომ.

– არც მე, – ვუპასუხე ფიქრში წასულმა.

– გინდა ლექსები წაგიკითხო? – მეკითხება ნინო და გაღიმებული ჩემს პასუხს ელოდება.

– დაიწყე, – მოკლედ მივუგე.

– რა დავიწყო? – ჩამეკითხა ნინო.

– რაც შენ გინდა ის დაიწყე, – ვპასუხობ მოკლედ.

– არა, შენ მითხარი, რა გესიამოვნება, – არ მეშვება ნინო.

– კარგი, მაშინ შენი მოგვარის ლექსები დაიწყე, – მოკლედ ვუპასუხე.

– გიყვარს ნიშნიანიძე? – იღიმება ნინო.

– ძალიან! დაიწყე, თუ იწყებ, – ვპასუხობ მე და თვალებით გვერდით კუბესკენ ვანიშნებ...

ნინო უსიტყვოდ მიმიხვდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, მზერა კარისკენ გადაიტანა და დაიწყო:

„მცხეთის ქალაქს მირონი დულს, მზის და ვაზის მირონი,

ბებერ ქვებში ლაღადებენ საქმენი საგ-მირონი.

ილაღადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმ-ბათონო,

მცხეთას ხომ არ მობრძანდებით, კონ-სტანტინე ბატონო!..“

კითხულობდა ნინო შოთა ნიშნიანიძის ლექსებს. ერთს ამთავრებდა და მეორეს იწყებდა. ბოლოს, როცა დაიღალა, შემეკითხა:

– ცოტათი მაინც გასიამოვნე?

– ცოტათი არა, ძალიან ვისიამოვნე, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მთელი მისი შემოქმედება ზეპირად იცოდი.

– რამე შენც წამიკითხე, – მთხოვა ნინომ.

– არა, რას ამბობ, შენს შემდეგ მე როგორ გავბედავ რამის წაკითხვას, – ვუპასუხე მე.



## დოკუმენტური ჰმოზა

– თუნდაც ერთი სტროფი, ძალიან გთხოვ, – ჩამაცივდა ნინო.

– კარგი, ერთ სტროფს როგორმე მოვახერხებ, – ვთქვი და დავინწყე:

– „მოხდების ხოლმე, არწივი დაჭრილი, დაბლა დავარდეს, მაგრამ ქათამი ზეცაში ვერასდროს გაინავარდებს...“

– ვაჟა, ჩემი საყვარელი ვაჟა–ფშაველა, – ჩაილაპარაკა ნინომ და თვალები დახუჭა...

დილით, როდესაც მატარებელი ბაქოს სადგურში ბაქანზე ჩამოდგა, ჩვენ ჰოლში გამოვედით და ჩასასვლელად ვემზადებოდით. გვერდით კუპედან გამოსულმა ორმა მამაკაცმა საგანგებოდ შემოგვხედა. ერთ-ერთმა მათგანმა, წითურთმიანმა, თავზე შავი ფერის კეპიანი ქუდი დაიხურა, ცინიკური ღიმილით შემოგვხედა და გვითხრა:

– მთელი ღამე არ გვეძინა, ან რა დაგვაძინებდა, ისეთი პოეზიის ღამე მოგვინწყეთ, ისეთი შემართებით, არტისტულად კითხულობდით ლექსებს, რომ გაოგნებული დავრჩით.

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეთ. უცნობისთვის პასუხი არ გაგვიცია. სწრაფად ჩავედით მატარებლიდან. სადგურთან ახლოს მდებარე ავტობუსის გაჩერებასთან თითქმის სირბილით მივედით. აქეთ-იქით შემინებული ვიცქირებოდით. გაჩერებაზე ჩამომდგარ პირველსავე ავტობუსში ავედით. არც ვიცოდით, სად მივდიოდით, რისთვის მივდიოდით, მთავარი იყო იმ წუთებში იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით...

შუაღღემ მოატანა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, კასპიის ზღვის სანაპირო მზის სხივების ნაკლებობას არ უჩიოდა. სანაპიროსთან ახლოს მდებარე კაფეში, ლამაზ მრგვალ მაგიდასთან ვისხედით და ერთმანეთს დამშვიდებული სახით შევცქეროდით. ფანჯრები ღია იყო და ციოდა, მაგრამ ჩვენ ცხელ ჩაის მივირთმევდით და

ამით მეტ-ნაკლებად ვთბებოდით...

დაღამებამდე სანაპიროზე ფეხით გავისეირნეთ და დაქანცულები გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. იქვე, ახლოს ჩვენს ფეხებთან ბელურა დაფრინდა, დიდხანს იჯდა უძრავად. მზერა ბელურასკენ გადავიტანე, ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ყველა ჩიტს ვერ მოკლავს ზამთარი... მაინტერესებდა, როდემდე იჯდებოდა. ისიც ჯიუტად და უშიშრად იჯდა მანამ, სანამ სხვა ბელურები არ შემოუერთდნენ. ჩვენდაუნებურად, ბელურების რკალში აღმოვჩნდით.

– შემცივდა, – ჩუმად წარმოთქვა ნინომ.

– მეც, – ჩუმად ვუპასუხე.

– მე მგონი, დროა სადგურზე წავიდე და ბილეთები ავიღო.

– მართალი ხარ, გარშემოც ისეთი არავინ ჩანს, რომ გვითვალთვალავდეს, – ვუპასუხე და კიდევ ერთხელ მიმოვაგლე თვალი იქაურობას. სწრაფად წამოვდექით. ჩვენს წამოდგომას ბელურების აფრენაც და ცაში ერთ გუნდად განავარდებაც მოჰყვა...

ბაქოდან გროზნოს მიმართულებით ბილეთები ვერ ვიშოვეთ. სასონარკვეთილები აქეთ-იქით ვაწყდებოდით. ბოლოს ვილაქამ გვიჩიო: „გამცილებელს სთხოვეთ და იქნებ უბილეთოდაც მოახერხოთ მატარებელში ასვლაო...“ ყველა ვაგონს ჩამოვურბინეთ. მხოლოდ ერთი გამცილებელი დაგვთანხმდა იმ პირობით, რომ მატარებლის ჰოლში, ფეხზე დგომით ვიმგზავრებდით. დაფიქრების დრო აღარ გვექონდა, სწრაფად ავედით და შევცვივდით ბაქოდან გროზნოსკენ მიმავალი მატარებლის გასასვლელში. ძველი ვაგონი იყო, ცივი ჰაერი ხან საიდან და ხან საიდან გვეხეთქებოდა. ვაგონის გასასვლელში ჩამოსაწევი, მრგვალი, პატარა დასაჯდომი შევნიშნეთ. გახარებულები იქითკენ გავემართეთ. კედლიდან გადმოვწიე მრგვალი ფორმის, ვითომ სკამის მაგვარი რამ და გათოშილი ჩამოვჯექი. ნინო თავზე დამადგა და მეუბნება:

– კარგია, ფეხებს მაინც დავასვენებთ.



ცოტა ხანში ნინოს დავუთმე „სავარძელი“ და ასე შემდეგ მორიგეობით ვენაცვლებოდით ერთმანეთს. დაახლოებით ორი საათი ვინვალეთ ასე. ბოლოს ნინო ვაგონში კუბედან გამოსულ გამცილებელს შეეხვეწა: „ფულს დაგიმატებთ და იქნებ, სადმე კუბეში ჩამოსაჯდომი ადგილი მოგვიხერხო...“ გამცილებელმა ფული გამოგვართვა და თავისი, პატარა ორადგილიანი კუბე დაგვითმო.

– რა ბედნიერები ვართ, გადავრჩით. იმედია, დილით გროზნოში ცოცხლები ჩავალნევთ, – წარმოთქვა ნინომ და გაღიმებული სახით შემომხედა.

– მართალი ხარ, გადავრჩით, – კმაყოფილმა ვუპასუხე მეც.

– ასეთი დაუსრულებელი და გაუთავებელი დაბრკოლებები, ფათერაკიანი გზები, ეს რა დღეში ჩავცვივდით, – მეუბნება ნინო.

მატარებელი ნელი სვლით მიიწევდა იჩქერიისკენ. რკინის უსულო ბორბლები ნელა მიგორავდნენ. ირგვლივ დუმილი იყო. მხოლოდ უსულო და ცივი ბორბლების რახარუხი ისმოდა.

– კარგია, რომ ამჯერად მარტო წამოვედით და ვაჟა არ გამოგყავა, – მითხრა ნინომ.

– ჰო, ხომ იცი, როგორი ემოციურია, წამდვითი ხევსურია, თუ გაიგო, რომ წამოსულები ვართ, ძალიან გაბრაზდება, – ვეთანხმები მეც.

– გაბრაზდება და გაბრაზდეს, ამ ეტაპზე მხოლოდ ჩვენ უნდა წამოვსულიყავით, – ამბობს ნინო.

– მართალი ხარ, მაგრამ ძალიან განიცდის პრეზიდენტის გარეშე ყოფნას, მიჩვეულია მის სამსახურს, არც გაემტყუნება, მისი დაცვა იყო, მუდამ გვერდით ედგა, – ვაგრძელებ მე.

– კი, მესმის. როცა აუცილებელი იქნება, ვეტყვით და წამოვიდეს... ძალიან ახალგაზრდაა, მისი ასაკისთვის შეუფერებელი თავგანწირვით გამოირჩევა. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა სამსახურში, შემართებით, ყელმოღერებით და იცი, რა მითხრა? –

მეუბნება ნინო – სანამ ვინმე ჩემს პრეზიდენტს რამეს დაუშავებს, ჩემს გვამზე, ვაჟა ჭინჭარაულის გვამზე, მოუწევს გადავლაო!.. ხედავ რამხელა გული აქვს?!

– რას ამბობ, – თავი ვერ შევიკავე და გამეცინა – ისე იცოდე, რომ რასაც ამბობს, გულით ამბობს.

– მთავარია, არ გაიგოს, რომ გამოვეპარეთ და აღარაფერს აღარ დავეძებ, – აგრძელებს ნინო.

– ახლა მაგაზე ფიქრის დრო არ არის, მთავარია, მშვიდობით ჩავიდეთ და ჩვენი მისია შევასრულოთ, – ვპასუხობ მე.

– წამოსვლის წინ, დილით, ჩიტაძეზე რომ წმინდა ნინოს ტაძარია, იქ ვიყავი და უფალს შევევედრე, რომ მშვიდობიანი გზა მოგვცეს, – მითხრა ნინომ და მატარებლის ფანჯარაში გაიხედა.

– კარგია, მეც ვიყავი სიონში და შევევედრე ღვთისმშობელს, რომ დაგვიფაროს ყოველგვარი განსაცდელისგან... რა დამთხვევაა, ახლა დავფიქრდი, დღეს რა დღეა? – ვეკითხები ნინოს.

– დღეს 6 იანვარია, ნახევარ საათში შობა დგება, – მპასუხობს ნინო.

– ზუსტად ერთი წელი გავიდა, – ვამბობ მე.

– რა ერთი წელი? – უკვირს ნინოს.

– რა ერთი წელი და ერთი წელი გავიდა, რაც პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა, რაც ზვიადი დევნაშია, შარშან 6 იანვარს არ მოხდა ეს?! – ვეკითხები მე.

– კი, 6 იანვარი იყო, ამას რა დამავინყებს?! – ამბობს ნინო და ისევ ფანჯარაში იხედება.

– გამოდის, რომ შობა დღეს, პრეზიდენტთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, იჩქერიაში ვიქნებით! – ფეხზე წამოდგომით, ხმამაღლა წარმოვთქვი.

– გარეთ გაიხედე, როგორ თოვს, ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულია... რა სილამაზეა, ღამეც კი გაანათა, ისეთი თვალისმომჭრელი, თეთრი თოვლია, –

# დოკუმენტური ჰროზა

ალტაცებული ამბობს ნინო.

საათს დავხედე. ფანჯარაში გავიხედე, ფეხზე წამოვდექი და პირფვარი გადავინერე. ნინომ ამომხედა, მიხვდა, რატომაც მოვიქეცი ასე და ხმადაბლა წარმოთქვა:

– ჩვენს სამშობლოში უკვე ქრისტიანობის დღე დადგა!

შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო. ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, მაინტერესებდა, რას ეძებდა. ბოლოს ჩანთიდან პატარა, ლურჯი ფერის ლამაზი სასანთლე და ქარვისფერი ცვილის სანთელი ამოიღო. სასანთლე მაგიდაზე საგანგებოდ მოათავსა, ზედ სანთელი დაამაგრა და აანთო კიდეც. ჩემსავით ისიც ფეხზე წამოდგა და პირფვარი გადაიწერა... კარგა ხანს გარინდებულები ვიყავით და ჩვენს პატარა კუბეში ანთებულ სანთელს იმედის თვალთშევცქეროდით...

ჩრდილოეთ კავკასიაში უხვად თოვდა, ვიყურებოდი ფანჯარაში და ჩემდაუნებურად გამახსენდა ზვიადის ლექსი, რომლის კითხვაც ხმამაღლა წამოვიწყე:

„ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს –

უცნაური რამეა,

ქრისტიანობა თითქმის მუდამ საოცარი

ლამეა,

დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,

ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა...”

გალიმებული და სევდანარევი მიყურებდა ნინო, მეც ვაგრძელებდი და ვაგრძელებდი კითხვას, ბოლო სტროფებამდე რომ მივვდი, ჩვენდაუნებურად ორივე ფეხზე წამოვდექით და ერთად წარმოვთქვით:

„რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი – უფრო ადვილად,

ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა წამდვილად...”

დაღლილი ვიცქირებოდი მატარებლის სარკმელში და თვალებზე ძილი მეკიდე-

ბოდა... გამთენიისას, თვალი გავახილე თუ არა, სარკმლიდან თოვლის თვალისმომჭრელმა სითეთრემ შემომანათა, 1993 წლის ქრისტიანობის დილა, ჩვენთვის, ჩრდილოკავკასიაში, იჩქერიაში, გროზნოში თენდებოდა...

გამთენიისას, ქუჩებში გამოწყობილები, პატარა კუბეში გამომწყვდეულები, სულგანაბულები ველოდებოდით მატარებელი გროზნოს სადგურში როდის შევიდოდა. უცებ ვიღაცამ კუპეს კარები უხეშად გააღო და ხმამაღლა, რუსულად, მკაცრი ტონით იკითხა:

– ესენი არიან?

ჩვენ ერთმანეთს შეშფოთებულებმა შევხედეთ. დაფიქრებაც ვერ მოვასწარიტ, რომ სამხედრომ კარები, როგორც გააღო, ისევე დაკეტა. ნინო ადგილიდან წამოხტა, ტანზე შემოკრული დოკუმენტების დასტა მოიხსნა, ჩანთიდან კიდეც რაღაც შეკრული ფურცლები ამოიღო და კუპეს სარკმელი ჩამოსწია...

– რას აკეთებ? – დაბნეულმა ვკითხე.

– გადავყაროთ, თუ გვიპოვეს, დავიღუპებით! – თითქმის შეჰყვირა ნინომ – ხომ ხედავ, სამხედროები არიან.

ფეხზე წამოვდექი, ნინოს ხელი მოვკიდე და ძალით ჩამოვაჯინე. შემდეგ სარკმელი დავეკეტე და მშვიდად ვუთხარი:

– შეინახე ეგ ყველაფერი, ტანზეც ნულარ შემოიკრავ, ჩანთაში მოათავსე.

– რისი იმედი გაქვს? – დაბნეულმა შემომხედა ნინომ.

მე მას თვალი თვალში გავუყარე და მშვიდად შევეკითხე:

– რისი უნდა მეშინოდეს?

– რომ გვიპოვონ და ყველაფერი წავართვან, არ გეშინია? – აგრძელებს ნინო... ამასობაში მატარებელი გაჩერდა. ნინო გაოგნებული მიყურებს. მე ღიმილით ვეუბნები:

– არა, უკვე აღარ მეშინია, რადგან გროზნოში ვართ. თუ ვინმე დაგვაკავებს, ვეტყვით, რომ პრეზიდენტთან მივდივართ და მორჩა, აქ რისი უნდა მეშინოდეს?!

ნინომ თავზე ხელი შემოიდო, შემდეგ სახე გაუნათდა, მომეხვია და მაკოცა. დამშვიდებულმა ბედნიერი სახით მითხრა:

– შიშისგან და დაღლილობისგან გონება დამებინდა, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

ამასობაში გამცილებელმა კუპეს კარები გამოაღო და რუსულად ხმამაღლა გვითხრა:

– გოგოებო, გროზნოში ვართ, დროზე დატოვეთ მატარებელი, სადაცაა დავიდრებით. ფართხა–ფურთხით გამოვედით კუპედან, მატარებლიდან ჩამოვედით და ჩვენ უკვე გროზნოს ირგვლივ თოვლით გადათეთრებულ სადგურში, გაბრწყინებული, ბედნიერი სახეებით ვიდექით...

ტაქსით სასტუმრო „კავკასიაში“ მივედით, რომელიც სამშობლოდან დევნილობაში მყოფი ქართველების ნავსაყუდელს წარმოადგენდა. იქ აფარებდნენ თავს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები და მათი გულშემატკივრები...

ოჯახებით გადახვენილ მთავრობის წევრებს ყველაფერი აინტერესებდათ: რა ხდებოდა, რითი არსებობდა და სუნთქავდა მათი სამშობლო. სამწუხაროდ, კარგს და საიმედოს ვერაფერს ვეუბნებოდით, მაგრამ ვაიმედდებით იმით, რომ პრეზიდენტის გარეშე დარჩენილ ჩვენს სამშობლოში ერის და ქვეყნის ერთგული ადამიანები თავგამოდებით ვიბრძოდით და ვიცავდით დევნაში მყოფი პრეზიდენტის და სრულიად ქართველი ერის ღირსებას...

პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალ, თოვლით გადათეთრებულ გზას ფეხით გაუყევით. მეგზურობას, როგორც ყოველთვის, ვიქტორ დომუხოვსკი და პეტრე გელბახიანი გვინევდნენ. როგორც იქნა მივადექით წითელი აგურით ნაშენებ ორსართულიან ლამაზ ვილას, რომელსაც ქართველი და ჩეჩენი მებრძოლეები ერთად იცავდნენ. დაცვას ვიქტორმა ხელით ანიშნა და გზა გაგვიხსნეს, შესასვლელში გაღიმებული სოსო თორია შემოგვეგება და მეორე

სართულზე, პრეზიდენტის მისაღებისკენ წაგვიძღვა...

ვისხედით უხმოდ სავარძელში და პრეზიდენტის შემოსვლას ველოდებოდით. ის სულ რაღაც ხუთ წუთში შემოვიდა, მაგრამ ჩვენთვის ხუთი წუთიც საოცრად გაინელა...

პრეზიდენტი იშვიათად ილიმებოდა. იმ დღეს კი გაღიმებული სახით შემოვიდა... ქრისტეშობა მივულოცეთ ერთმანეთს... ცოტა ხნის შემდეგ მე და ნინო სულმოუთქმელად ვუყვებოდით ზვიადს, თუ რა, როგორ და რანაირად ხდებოდა მის სამშობლოში. ნინომ „დოკუმენტების“ დასტა გადასცა პრეზიდენტს. ზვიადმა ყველაფერს საგულდაგულოდ გადახედა. სახეზე კმაყოფილება დაეტყო.

– კარგია, კარგია, სწორედ ეს მაინტერესებდა, – წარმოთქვა ზვიადმა და ნინოს მადლიერების ნიშნად მხარზე ხელი დაადო. როდესაც ჩემსკენ გამოიხედა, მორიდებით მივანოდე ძველი, წლების წინანდელი გაზეთი „კომუნისტი“ და სულგანაბული მივაჩერდი პრეზიდენტს.

– მესამე გვერდზეა, ბატონო ზვიად, ის რაც ჩვენ გვინდა, – მივუგე მე.

ზვიადმა გაზეთი გადაშალა და გაფაციცებით დაიწყო კითხვა. შემდეგ გაოცებულმა შემომხედა და მკითხა:

– სად აღმოაჩინე ეს გაზეთი?

– საჯაროში, იქ ბევრი მომხრეები გყავს და დამეხმარნენ, – მოკლედ მივუგე მე.

– ეს ნაძირალა, დღეს წამყვანი ძალოვანია, არადა ყაჩაღობისთვის, მკვლელობისთვის, ძარცვისთვის ნასამართლევი ყოფილა, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა.

– დღევანდელი მედია კი, როგორც პოლიტპატიმარს და დისიდენტობისთვის ნაჯდომს, ისე წარმოგვიდგენს, – თავისთვის ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

– ამას წინათ, აქედან რომ ჩავედით, უშიშროებაში დამიბარეს და ხუთი საათის განმავლობაში, პირადად მასთან ვიყავი დაკითხვაზე, – ვთქვი მე.

– რას ამბობთ?! – გაოცებულმა შემომხედა პრეზიდენტმა.

– ვიქტორს და პეტრეს დაეძებენ ყველგან, მათი დაჭერის სურვილით არიან შეპყრობილი... მათდა სამწუხაროდ, ჩემგან სასურველი ინფორმაცია ვერ მიიღეს... ბოლოს დიდი გულშემატკივრობით და მზრუნველობით, პირადად ამ ჩინოვნიკმა მირჩია, რომ ფრთხილად ვიყოთ, თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ მე და ჩემმა ტოლმა გოგონამ, – სიტყვა დავამთავრე და ჩემდაუნებურად ნინოს გადავხედე.

– და თქვენ ისევ აქა ხართ, – გაეცინა პეტრეს.

– ძალიან კარგია, რომ ეს ძველი გაზეთი ჩვენს ხელთაა, ეს ასე არ უნდა დარჩეს, – თქვა პრეზიდენტმა.

– ყველას უნდა ვაცნობოთ, განსაკუთრებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, ვინ ზის დღეს საქართველოში ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე. – დასძინა ვიქტორმა.

– აუცილებლად, – დაეთანხმა პეტრე გელბახიანი...

მთელი საათი ვესაუბრებოდით პრეზიდენტს, ბოლოს გავბედე და შევეკითხე:

– ბატონო ზვიად, როგორც გავიგეთ, ევროპაში ბრძანებულხართ და სულ ახლახანს დაბრუნებულხართ. ძალიან გვანტერესებს, მართალია?

ზვიადმა ღიმილით მიპასუხა:

– დიახ, მართალია. ვფიქრობ, რომ კარგი და შედეგიანი გასვლა იყო. განსაკუთრებით კარგი შეხვედრები მქონდა ავსტრიაში, რაც იმედისმომცემია ჩვენი შემდგომი მოძრაობისთვის... აუცილებელი იყო ჩემი გამგზავრება ევროპაში, აუცილებელი იყო და არის კანონიერი ხელისუფლების გარშემო არსებული დეზინფორმაციის რეალის და საშინელი ბლოკადის გარღვევა. გროზნოდან ამის გაკეთება ძალიან რთულია. ჯოჰარ დუდაევის გამარჯვების შემდეგ, მოსკოვმა მთელი კავკასია საინფორმაციო ბლოკადაში მოაქცია.

– იქნებ, თქვენი ყოფნა ევროპაში უფრო

გამართლებული იყოს, – მორიდებით ვუთხარი მე.

ზვიადს გაელიმა და ხმადაბლა გვიპასუხა:

– შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ჩემი ჩეჩნეთში ყოფნა საქართველოში ყოფნის ტოლფასია, ფიზიკურადაც და სულიერადაც... მე და ჯოჰარი ერთად ყოფნით ერთმანეთს ძალას და სიმტკიცეს ვმატებთ... ორასი წლის განმავლობაში, მიძინებული კავკასიის ერთიანობის გამოღვიძება აუცილებელია... ხომ ხედავთ, რა ხდება აფხაზეთში?! იმპერიული ძალების ძირითადი მიზეზი კანონიერი პრეზიდენტის და ხელისუფლების დევნისა სწორედ ეს გახლავთ... კანონიერი პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება ქვეყნის ერთიანობის გარანტი ვიყავით და ვართ, თუნდაც დევნილობაში მყოფნი... მათი ძირითადი მიზანი აფხაზეთის, შავი ზღვის წართმევა და ხელში ჩაგდებაა... ეს ჭიდილი კი მანამ გაგრძელდება, სანამ კავკასიის პატარა ქვეყნები ერთ ძლიერ, დიდ ძალად არ გავერთიანდებით. ამ ერთიანობისთვის კი ჩემი და ჯოჰარის ერთად ყოფნა და დგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია!.. – ზვიადმა თაბახის ფურცლები გადმოგვცა და გვითხრა:

– ეს ჩემი ახალი წერილია, როგორც კი თბილისში ჩახვალთ, ჩვენს რომელიმე გაზეთს მიაწოდეთ, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ!..

ნინომ პრეზიდენტს კონვერტი მიაწოდა და უთხრა:

– ბატონო ზვიად, ნოდარ სივსივაძემ გამომატანა თქვენთან წერილი და რაღაც თანხა.

– ვინ არის ნოდარ სივსივაძე? – ჩაგვეკითხა პეტრე.

– ჩემი მეგობარია, მწერალი, პუბლიცისტი, – ჩვენს მაგივრად გასცა პასუხი ზვიადმა.

პრეზიდენტი დააცქერდა კონვერტს და გაღიმებულმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– რას შვრება ეს საწყალი, ალალი კაცი,



ჩემთან გამოსაგზავნი ფული სად ჰქონდა, სად იშოვა?! მომიკითხეთ და გადაეცით, თავს გაუფრთხილდეს, ჯანმრთელობას მიხედოს...

გამომშვიდობებისას ზვიადმა იქვე, მაგიდაზე დადებული წიგნი „საქართველოს სულიერი მისია“ აიღო, წააწერა და ნინოს მიაწოდა. შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო.

– როგორც ჩანს მეტი აღარ დამრჩა, ახლავე მოვძებნი, იქნებ მქონდეს, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა და ოთახიდან გავიდა. მალევე უკან დაბრუნდა, ხელში მწვანეყდიანი წიგნი ეჭირა.

– მართალია, „საქართველოს სულიერი მისია“ აღარ მქონია, მაგრამ ნახეთ, რა აღმოვაჩინე – გვითხრა ზვიადმა, მაგიდასთან ჩამოჯდა, წამიწერა და წიგნი მომანოდა. გახარებულმა გამოვართვი... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი...

წიგნის მწვანე ყდას დავხედე – „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ იყო...

იანვარია, სიცხევა, ბაქოდან მომავალი მატარებელი თბილისს უახლოვდება.

– მოვემზადოთ ჩასასვლელად! – ხმამაღლა შემომძახა ნინომ.

– თითქმის მზადა ვარ, ქურქს ჩავიცვამ და მორჩა, – ვპასუხობ მე.

– ქურქი, სად არის ჩემი ქურქი? – შემფოთებული კითხულობს ნინო.

– სად უნდა იყოს? – გაოცებულმა ვუპასუხე.

– აქ, კართან დავკიდე, სად გაქრა?

– კუპეში მხოლოდ ჩვენ ვართ, კარი შიგნიდან არის ჩაკეტილი, ვის ან როგორ უნდა გაეღო? – კვლავ ვეკითხები მე.

მთელი ვაგონი შემოვირბინეთ, აქეთ–იქით მივედ–მოვედეთ, მაგრამ ამაოდ. ქურქი ვერ ვიპოვეთ.

– ჩემმა დამ მათხოვა, მისი ქურქი იყო, თბილად იქნებოი... ნეტავ არ ჩამეცვა, რა

კუთხრა?! – შეწუხებული სახით შემომჩილა ნინომ... შემდეგ ჩანთები მოვიძიეთ. შვებით ამოვისუნთქეთ, როცა ვნახეთ, რომ პრეზიდენტის ნაჩუქარი წიგნები და გამო-საქვეყნებლად წამოღებული წერილი ჩანთაში უვნებლად აღმოვაჩინეთ...

2020 წლის ქრისტეშობის ღამე. დავით გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი. 6 იანვარი იწურება, სულგანაბული მრევლი ღოცვას ეუსმენთ... სადაცაა ქრისტეშობა დადგება...

დადგა, შემოვიდა ქრისტეშობა, დაიწყო საზეიმო წირვა. კელაპტრების, სანთლების შუქით გაბრწყინებულია საუკუნეების, დიდი ისტორიული წარსულის მქონე ტაძარი... მგალობლები გალობენ: „ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“ ვდგავარ წირვაზე და ჩემდაუნებურად ის ღამე გამახსენდა, 27 წლის წინანდელი, ქრისტეშობის ღამე... მატარებელი, გროზნო, შეხვედრა პრეზიდენტთან. თვალწინ გაირბინა ქვეყნის უახლოესი წარსულის სხვადასხვა მოგონებამ.

ქვეყანა დამოუკიდებლობის ოცდამეხუთე წლისთავს ზეიმობდა. პირველი პრეზიდენტის ქვრივს ტელევიზიის სტუდიაში გადაცემის წამყვანმა ჰკითხა:

– ბოლოს როდის იტირეთ?

– წუხელ ღამით, – უპასუხა პრეზიდენტის ქვრივმა...

რომელიღაც მემამტიანემ ტელევიზიით გამოსვლისას თქვა:

– ქვეყნის პირველი პრეზიდენტის და კანონიერი მთავრობის წინაშე ყველამ ბოდიში უნდა მოვიხადოთ!..

– ბოდიში აფსაითშია, – პასუხობს პრეზიდენტის ვაჟი...

გამახსენდა საინფორმაციო გადაცე-



მა, სადაც გამოაცხადეს, რომ „პოლონეთში, ვარშავაში, გარდაიცვალა ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი – ვიქტორ დომუხოვსკი“... გამახსენდა ვიქტორის სიტყვები გროზნოში ყოფნისას: „... ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ხელმოწერა არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 1991 წლის 9 აპრილის აქტზე...“ დომუხოვსკის არ აპატიეს თვითმფრინავის ბიჭების გამო მოსკოვში ჩასვლა და გამოძიების დაწყება – გავიფიქრე და ჩემდაუნებურად ღვთისმშობლის ხატს შევხედე... კვლავ ფიქრებში წავედი...

ვიქტორის გარდაცვალებამდე პეტრე გელბახიანი წავიდა ამ ქვეყნიდან. ხანმოკლე და წამებული იყო მისი სიცოცხლე, რომელმაც ლამაზად, თოლიასავით ჩაინაგარდა მისი ერის ისტორიაში... ცნობილი ოჯახის შვილს არ აპატიეს ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა. პეტრეს თავისუფლად შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ვერ დათმო თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარული...

გამახსენდა ვაჟა ჭინჭარაული, ირაკლი გოგაძე, ძველ ხიბულაში უგზოუკვლოდ დაკარგული ზვიადის დაცვის ბიჭები. გამახსენდა ვაჟას სიტყვები, რომელსაც ხშირად იმეორებდა – „პრეზიდენტს მაშინ მოკლავენ, თუ ჩემს გვამზე გადაივლიანო“, – როგორც ჩანს, ზუსტად აუხდა ახალგაზრდა ვაჟაკაცს, ვაჟა ჭინჭარაულს, მისი გულწრფელი გამონათქვამი.

გარეჯში, საზეიმო წირვის დამთავრების შემდეგ, ტაძრიდან გამოსულს სიბნელე დამხვდა... ზამთარია, მაგრამ არ ცივა, – გავიფიქრე და ცას ავხედე, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედლილყო. მათ დანახ-

ვაზე კვლავ მომეძალა ფიქრები: რა უცნაურია, ცაზე ბევრი ვარსკვლავია, მაგრამ მათ შორის ორი ერთნაირი არ არსებობს. ისინი მილიონი, ასობით მილიონი წელი ცხოვრობენ. ყველა თავისებურად განუმეორებელია... მაგრამ ჩვენ ვარსკვლავები არა ვართ და ხანგრძლივი ცხოვრება არა გვაქვს. მათზე გაცილებით ნაკლებს ვცოცხლობთ და ეს მცირე დროც, ჩვენს ცხოვრებასთან შეგუებას გვასწავლის – მაგრამ დავინწყებას არასდროს!

– ტრაპეზი! – დაიძახა მრევლთაგანმა ყველაზე პატარა ბიჭმა.

– ტრაპეზი! – გაიმეორა კიდევ უფრო ხმამაღლა...

მონასტრის წინ ვიდექი და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი. კვლავ ფიქრებში წავედი: ყველაფერმა, ჩემი ქვეყნის უახლესმა წარსულმა და მასთან ერთად ჩემმა და ჩემისთანების ახალგაზრდობამ, რომლებსაც 90-იანელების თაობას, დაკარგულ თაობას გვეძახიან, ისევ ჩემს ფიქრებში, მოგონებებში გაირბინა... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გუშინ ნაღმი აფეთქდა და ახლა ყუმბარისგან დაგლეჯილი ნერვებით ვაგრძელებთ ცხოვრებას, ყოფას, არსებობას... სადაც არ უნდა წახვიდე, წარსული მაინც არ განებებს თავს. ძალიან მინდა წარსულის შეცვლა, მაგრამ არავინ არის ისეთი შეძლების, წარსული რომ იყიდოს...

მონასტრის ეზოდან კვლავ ჩემი სამშობლოს ზეცას შევყურებდი და ჩემდაუნებურად ვფიქრობდი: რა კარგია, რომ უფალი დღევანდელ დღეს აქ, გარეჯში, ჩვენი სულის ნავსაყუდელში გვმასპინძლობს...

გარეჯში, ნათლისმცემლის ტაძარში, 2020 წლის ქრისტეშობის ღამაზე და იდუმალი დილა თენდებოდა.



ჯემალ იონათამიშვილი

უზენაესი საბჭოს დეპუტატი

## ქართულთა ომი

წლები გავიდა... ბევრმა მეგობარმა მირჩია, აუცილებლად დამეწერა შესახებ იმის, რის მონაწილეცა და მონაწილეც თავად ვიყავი. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილის – წერა არ შემეძლო, წარსულში ჩაღრმავება ჩემზე ემოციურად იმდენად მოქმედებდა, რომ წერას ვერ ვახერხებდი...

ჩემთვის ახლაც არაა ადვილი, იმ დღეთა ხელახლა განცდა!

აქ მოყოლილი ამბების აღწერა ადრეც მიცდია – ვერ შევძელი!

დღემდე იგივე სიმძაფრით განვიცდი თავს გადახდენილს: ლალატს, ქვემეხების ხმას ეკლესიიდან, ავტომატების კაკანს რუსთაველზე, სისხლს, ომს, სიკვდილს – ჩვენზე უკეთეს მოძმეთა ძალადობრივ სიკვდილს, ქვეყნის დაქცევას, აოხრებას, მარცხს, უგუნური ქართველის მიერ საქართველოს მომავალის მოკვდინების მცდელობას... მიჭირს, მაგრამ ვალდებული ვარ და ამიტომაც, ჩემ წილ მოსაგონარს აუცილებლად დავწერ!

ეს წერილი, ბეჭდურ მედიაში, კერძოდ „რინაში“, დოკუმენტური სიმართლის გაცოცხლების ჩემი პირველი მცდელობაა... თვითმხილველის მცდელობა – გადმოსცეს რეალურად მომხდარი და განცდილი...

## მეზერაპი

1991 წლის 21 დეკემბრის საღამოს, მთავრობის სახლთან, წინა დღეების მსგავსად, ხელისუფლების საკმაოდ ბევრ მხარდამჭერს მოეყარა თავი! ჰაერში დენთის სუნი ანუ „პუტჩის სუნი“ ტრიალებდა. ძალიან ბევრი ადამიანი, მოვლენათა ეპიცენტრში მოსვლით აფიქსირებდა ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციას.

იმ საღამოს უზენაესი საბჭოს შენობის წინ მეც ვიყავი და კარგად მახსოვს, როგორ შემომჩვილეს უცნობმა ადამიანებმა: – აქ გია ყარყარაშვილი და მისი ხალხია მოსული, რამე ცუდი არ ხდებოდეს, ისი-

ნი ხომ ცხინვალის მისადგომებთან უნდა იდგნენ და რუსთაველზე როგორღა არიანო! შეფიქრიანებულებმა და დაეჭვებულმა მოქალაქეებმა გაყოლა მთხოვეს. გავყევი. ვხედავ, ერთი ზორბა ტანის, წვერმოშვებული, გოლიათური აღნაგობის ახალგაზრდა ჩაუყენებიათ ქალებს შუაში და კითხვებს სეტყვასავით აყრიან. გაცხარების მიზეზი ვიკითხე. წვეროსანს ჩემი გამოჩენა კიდეც გაეხარდა და მიპასუხა: „აბა, რა ვიცი, ძმაო! მართალია, ეს ხალხი, ახლა აქ მართლა არ უნდა ვიყოთ, მაგრამ არ დაგვიტოვებია იქაურობა უპატრონოდ. ბოლოსდაბოლოს, სადამდე უნდა ვიყოთ დაუბანელ-გაუპარსავი! მოვნესრიგდებით და დავბრუნდებით იქ, სადაც უნდა ვიყოთ, აბა რას ვიზამთ!“ სულ მრავლობითში საუბრობდა. მეც დავუ-

ჯერე და თავმოყრილ ხალხს დამშვიდება დაეუნყე. უკმაყოფილონი დაცხრნენ და დაიშალნენ. უცნობმა წვეროსანმა მხარდაჭერისათვის მადლობა გადამიხადა. სამწუხაროდ, შემდეგში აღმოჩნდა, რომ მოკამათე ქალბატონების ეჭვები უსაფუძვლო სულაც არ იყო!

### ასე ღაინყო

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, როცა დეპუტატთა შვიდკაციანმა ჯგუფმა უზენაესი საბჭოს შენობაში, ნემო ბურჭულაძის კაბინეტში მოვიყარეთ თავი. ეს შეკრება შემთხვევითი არ იყო, ალმა-ათაში საბჭოთა რესპუბლიკების ოფიციალური პირველი პირები სსრკ-ს „ბედის გადასაწყვეტად“ შეკრებილიყვნენ, საქართველოდან ამ შეკრებას ნემო ბურჭულაძე და გურამ აბსანძე დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ, ამიტომაც ჩვენ მათგან ახალი ამბების მოსმენა ძალიან გვინდოდა და გვეჩქარებოდა.

ნემო ბურჭულაძე კაბინეტში რომ შემოვიდა, სკამზე მჯდარსა და მაგიდაზე თავჩამოდებულს ძილში ჩამესმა – საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა! საუბარმა კარგა ხანს გასტანა – ნემო დაუბარლად და დეტალურად გვიყვებოდა ყველაფერს, რაც კი ნახა და რასაც შეესწრო.

მეორე დღეს, სხვებზე ადრე გაღვიძებულმა, დილით, მთავრობის სახლის წინ გასვლა და იქაურობის დათვალიერება გადაწყვიტე... ჩავედი და შენობის ფასადის მხრიდან, სანამ რუსთაველის პროსპექტზე გავიდოდი, ჭიშკართან ორი ქალბატონისა და ორი ხანშიშესული მილიციის ოფიცრის კამათს შევესწარი. ქალბატონები მილიციელების დარწმუნებას ცდილობდნენ – გარეთ რაღაც ცუდი ხდებოდა და მილიციელები კი პასუხობდნენ, ახლახანს შემოწმდა და ყველაფერი წესრიგშია, ტყუილად ნუ ღელავთ და ჩვენც ნუ გვანუხებთო! საათზე დავიხედე – რვა სრულდებოდა, ხუთი წუთი უკლდა. ქუჩაში გამოვედი, სინყნარე იყო. მეტროს მხარეს ხალხი შევნიშნე და იქით გავეშურე. „პიონერთა სასახლეს“ რომ გავუსწორდი, მეტროსთან შეკრებილთ სამი ადამიანი გამოეყო და სირბილით მომიახლოვდნენ. შორიდან ვერც მივხვდი,

ვინ იყვნენ. ისინი სწრაფად მომიახლოვდნენ, მკლავში ხელი ჩამჭიდეს და მთავრობის სასახლისკენ გამომაქციეს. სირბილში მითხრეს, რომ სულ ახლახან ვიღაც იარაღიანი უცნობები სასტიკად გაუსწორდნენ ავთანდილ რცხილაძეს, შემდეგ მანქანაში ძალით ჩატენეს და სადღაც წაიყვანესო! და უკვე არა მარტო ავთანდილ რცხილაძის რამენაირად დახმარების მიზეზით ვჩქარობდი შენობაში დაბრუნებას! სიტუაცია მხოლოდ დეპუტატის გატაცების გამო არ იყო რთული და ეს მინდოდა სასწრაფოდ მეცნობებინა! სირბილშივე გავიფიქრე, რომ ნემო ბურჭულაძის კაბინეტში მყოფთ ვაცნობებდი ნანახის შესახებ. მეორე სართულზე ავირბინე. ბურჭულაძის კაბინეტის კარის სახელურს შევახე ხელი და... და დაიწყო!!!

დაბომბვისა და უამრავი ავტომატიდან სროლის გამაყრუებელი ხმის გაგონებისთანავე კარს ხელი გავუშვი და უკვე რამდენიმე მეტრით დაშორებული ფანჯრისკენ გავიქეცი. ფანჯარა რუსთაველის გამზირს გადაჰყურებდა და იქედან დანახულმა ლამის ჭკუიდან გადამიყვანა – ამ ენიუთქემელ კაკაფონიაში ქურჩა, ტროტუარიცა და მანქანის სავალი ნაწილიც – უამრავი ადამიანით იყო მოფენილი, ისინი ასფალტზე გაუნძრევლად იწვნენ და ვერ მივხვდი, ცოცხლები იყვნენ, თუ არა! თავზარდაცემულმა, რატომღაც ორი ნაბიჯი სასწრაფოდ უკან გადმოვდგი. რამდენიმე წამში ისევ ფანჯარას მივანყდი და ამ გამაყრუებელ ბათქა-ბუთქაში ამოვისუნთქე, რადგან ასფალტზე დანოლილი ველარავინ დავინახე და იმედი გამიჩნდა, რომ ისინი ცოცხლები გადარჩნენ! ეს ყველაფერი წამის მერსად ნაწილში გავიაზრე... მხედველობა დავძაბე და ქაშვეთის ეკლესიასთან, რუსთაველზე, არჩილ ჯორჯაძის ქუჩასთან კუთხეში ოცამდე ადამიანი დავინახე. ისინი ერთმანეთში ძალზე ემოციურად კამათობდნენ. შემდეგ, ყველა ერთდროულად მოწყდა ადგილს და ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ჯორჯიაშვილის ქუჩის მხრიდან შეცვივდნენ. მათ მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს... რამდენიმე მოცელეს კიდეც. გასაოცარი იყო, რომ ამ ტყვიების სეტყვის მოქალაქეებს არ ეშინოდათ, ისინი უშიშრად გადაადგილდებოდნენ ეკლესიის ეზოში...

# დოკუმენტური ჰროზა

ყველაფერი კომმარულ, ჯოჯოხეთურ სიზმარსა გავდა: აქ, რუსთაველზე საკუთარ ხალხს, საკუთარ მომავალს, ვიღაც არაკაცები სასიკვდილოდ იმეტებდნენ – ტყვიასა და ბომბს ესროდნენ... მტრის გასახარს ჩადიოდნენ... ამისთვის, ეკლესიის შენობა და მისი ეზო-მიდამოც გამოიყენეს! თვალწინ მიდგას უზენაესი საბჭოს შენობის მეორე სართულზე, ფანჯრის გვერდზე კედელს აკრული სრულიად ახალგაზრდა გვარდიელი, მის სახეზე სისხლი შევამჩნიე და მივვარდი – დაჭრილი ხომ არ ხარ მეთქი!... მან კი, თითქოს თავისი ავტომატის ჩემთვის გადმოცემა მოინდომაო, ორივე გამართული ხელით ისე დაიჭირა, თითქოს მანვდისო და თან არ ვიცი მე, თუ თავის თავს უძახდა – რა ვქნა, მე რა ვქნა ეხლა!... ეკლესიიდან, ეკლესიიდან გვესვრიან და რა უნდა ვქნაო! ის დაჭრილი არ იყო, უბრალოდ, ნანახისაგან თავზარდაცემულს საკუთარ მუშტზე, თუ ტურზე გამეტებით უკბენია და სახეზე სისხლი ამიტომ ეცხო!

სულ რამდენიმე წუთში უზენაესი საბჭოს შენობას უამრავმა ადამიანმა შეაფარა თავი... მათ შორის საკმაოდ ბევრი იყვნენ ისინიც, ვინც შენობის ახლოს, ქუჩაში სწორედ ამ დაწყევლილ წუთებში, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ! – ქუჩაში ყოველი მხრიდან ისროდნენ და მთავრობის სახლი ერთადერთი იყო, სადაც ტყვიის წვიმისაგან გარიდება და ფიზიკურად გადარჩენა შეიძლებოდა! არასოდეს დამავინწყდება დინჯი, წყნარი, აუჩქარებელი სოსო კასრაძე, რომელიც ისე გამოეყვანა მომხდარს გრძნობიდან, რომ „ამას რას ჩადიანო!“ – გამწარებული ყვიროდა; მას რამდენიმე კაცი ძლივს აკავებდა.

სულ მალე ცნობილი გახდა, რომ ამ დღესვე – 22 დეკემბერს, პუტჩისტების მიერ სწორედ ამ წუთებში ნასროლი ტყვიებით დაიხოცნენ სამსახურში მომავალი დეპუტატი არკადი მარკოზია, ილია მართლის საზოგადოების წევრები, ჩემი მეგობრები – ციციწო ქევხიშვილი და არჩილ რამიშვილი და სხვებიც, რომელთაც პირადად არ ვიცნობდი!

შენობის დამცველთა შორის ბევრი იყო სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლებიც, ახლაც, ქუჩაში შეხვედრისას ზოგჯერ ვცნობთ ერთმანეთს, ზოგჯერ ერთმანეთს

თავს ვახსენებთ – საბოლოოდ ეს შეხვედრები ყველაზე ახლობელი ადამიანების შეხვედრაა ხოლმე! ამ ვაჟკაცი ბიჭებიდან მაინც მიწადა ორი ჯგუფი გამოვყო: ზუგდიდელები და გორელები! ზუგდიდელები – ღირსებით სავსენი, თავდაჯერებულნი, საჭიროების შემთხვევაში გარეთ, ტყვიების წვიმაში თითქოს სათამაშოდ და გასართობად გასულეები, მოდიოდნენ ლალები, თავმოშონენი, ხმაურიანები, კაცები! გარშემო იმედისა და მომავლისადმი უეჭველი რწმენის მთესველნი! გორელები – უხმაუროები, დინჯები, დარბაისელნი, მამულის დაცვის საპატიო მისიას თითქოს გაჩენის დღიდანვე ნაზიარებნი, უსიტყვოდაც კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, სასადილოდ დარბაზში დაბრუნებისას წყალსაც რომ არავინ დალევდა მანამ, სანამ თავს, საჭურველს და საერთო საქმეებს არ მოაწესრიგებდნენ! ყველანი ერთად ისე გამოიყურებოდნენ, რომ მათი შემხედვარე ხვდებოდი – ესენი არასოდეს გიმტყუნებენ, მათი იმედი მუდამ უნდა გქონდეს! დიდებული ქართველი ვაჟკაცი – გოგია გაბროშვილი მეთაურობდა მათ (მასზე ოსურ მხარეს მაღალი ჯილდო ჰქონდა დაწესებული!) ახლაც ხშირად ვფიქრობ, რომ ამ ბიჭების გარდა, სხვებსაც, შენობის დამცველთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც, სრულად ჰქონდა გაცნობიერებული და შეგნებული თავისი მისია და მოვალეობა ერის წინაშე! მათი უანგარობის, გულადობისა და შემართების მნახველს ნამდვილად აღარ მგონია გაკვირვებოდა, დიდი დავითი, თუ სხვა მეფე-სარდლები, რაოდენობით გაცილებით მეტად აღმატებული მტრის დამარცხებას რომ ახერხებდნენ! საქართველოს, მოგეხსენებათ, მტერი არასოდეს აკლდა, მაგრამ ახლა... ახლა მოღალატე ქართველს აესხა იარაღი ქართველისათვის ზურგში ჩასაცემად!

## რასაც ვერ ვიპოვე

ჩემი სამუშაო ოთახის სანახავად გავედი. დერეფანშივე შევნიშნე, რომ ყველა ოთახის კარი ღია იყო... ფანჯრები – ჩამსხვრეული! ყურადღებით ვიყავი – გვერდზე პირველი სკოლა იყო, მშვენივრად ვაცნობიერებდი იქედან მომავალ რეალურ საფრთხეს!



რამდენიმე ნაბიჯი ჩემი კაბინეტის სიღრმისკენ გადავდგი... ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა! პირველი სკოლის მხრიდან ავტომატიანი ახალგაზრდა წამოიმართა. წამის რალაც ნაწილში ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ... საოცარია, მაგრამ ერთმანეთი ვიცანით. ამიტომაც, ვირწმუნე, რომ არაფერს დამიშავებდა. ვირწმუნე და კინალამ სიცოცხლის ფასადაც დამიჯდა! მან სრულიად უყოყმანოდ დაიწყო ჩემი მიმართულებით სროლა! კედელს ამოვეფარე. ტყვიას კიდეც ერთხელ გადავურჩი... ახლა გაუგებრად მეჩვენება, მაგრამ სვლა მაინც გავაგრძელე, ოღონდ ამჯერად წელში მოხრილმა... არადა, ეს „მებრძოლი“, ორი წლის წინ გამაცნეს, ორჯერ რაღაცაში წავეხმარე, რის გამოც სულ მადლიერი იყო ჩემი, სულ მადლობებს მითვლიდა... ოთახებში ნანახი იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ სულ თვალწინ მიდგას: ყველაფერი იატაკზე ეყარა, ყველაფერი ამოყირავებული, სკამები წაქცეული, დასახევი – დახეული, დასამტვრევი თუ რამე იყო – დამტვრეული! ასე მოქცევა მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილითა და ზიზლით გადავსებულ მტერს შეეძლო! ალბათ, ეს უნდა გენახა, რომ გერწმუნა! უნდა გენახა, რომ გერწმუნა ავტომატმომარჯვებული ნაცნობი! სხვათაშორის, ნაღმზე აფეთქებული აფხაზეთში... შემებრალა... ვერ ვივინყებ მის სახეს!

### სიმაართლე ორ სიტყვაში

მინდა ერთი ქალბატონი გავიხსენო, რომელიც 22 დეკემბრიდან მოყოლილი, ერთი კვირის განმავლობაში სასადილოდან არ გასულა – გვემსახურებოდა, როგორც სასადილოს თანამშრომელი. ბოლოს სახლში წასვლა ითხოვა: მოვწესრიგდები და დავბრუნდებიო. დაჭრილებით სავსე სასწრაფო დახმარების მანქანას გავაყოლეთ. ერთი წლის შემდეგ, ამ ქალბატონს, ქუჩაში შევხვდი. თვითონ მიცნო და გამომელაპარაკა. მომესალმა, მომიკითხა და თავს გადამხდარი ფათერაკის შესახებაც მიაგმო: სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელშიც ეს ქალბატონი იჯდა, პუტჩისტებს იქვე, შენობასთან ახლოს დაუცხრილავთ! ქალი

მუცელში დაჭრილა და გრძნობაზე საავადმყოფოში, ოპერაციის გაკეთების შემდეგ – მოსულა... არც იცოდა, იქ ვინ და რა დროს მიიყვანა, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირვებია. „ახლა არა მიშავს, ეგაა რომ ნაჭრილობები მანუხებს... ერთის მხრივ – კარგია, ამ დაჭრის გამო ხომ, როგორც დაზარალებულს პენსია დამინიშნეს – კაპიკებს მაინც ვიღებ, თორემ ისეთი დრო დაგვიდგა, სამსახურის შოვნა, მე კი არა, თქვენ ქართველებსაც კი გიჭირთო (!)“

ორი სიტყვით, იმ ქალბატონმა რამდენი რამ მითხრა...

### ყოფნიდან არყოფნაში

მთავრობის სახლში შესვლა, სულ უფრო ძნელდებოდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც სიძნელეს არაფრად დაგიდევდათ. ასეთების რიცხვს მიეკუთვნებოდა ხობის პრეფექტი თენგიზ ქაჯაია. იგი უშიშრად, კაცურად შემოვიდა ჩვენთან. მახსოვს ჯინსები ეცვა. მისი მოსვლა ყველას გაუხარდა – ესალმებოდნენ, ეფერებოდნენ, მხარზე ხელს ურტყამდნენ. მაშინ, მგონი, 27 წლისა იყო, პრეფექტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა, განათლებული, ერუდირებული, პატრიოტი! ზედ შუბლზე ეწერა, როგორ ხარობდა შენობაში შემოსვლით და იმით, რომ ყველაზე მძიმე დროს, აქ, მოვლენების ეპიცენტრში იყო. თქვა კიდეც, ჩემი ადგილი აქაო!

სწორედ იმ დროს შემოვიდა, როცა მისი ნაცნობები რაღაცის გამო გარეთ გასვლას აპირებდნენ. წუთის წინ შემოსულმა თენგიზმა, მათთან ერთად გასვლა დაიჩემა. განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინეს. არ ეშინოდა, მალე დავბრუნდებითო, ამბობდა. თენგიზ ქაჯაიას ნაძირალა ქართველის ტყვია უზენაესი საბჭოს შენობასთან ახლოს მოხვდა! შენობიდან ყველაფერი ჩანდა. ვხედავდი, უშიშროების საბჭოს შენობისა და პირველი სკოლის მხარის ფანჯრებისკენ როგორ მიიჩქაროდა ხალხი, მეც მათ შევუერთდი. თენგიზ მათიაშვილს მოვკარი თვალი – ის და ვიღაც უცნობი შენობის კუთხეს ეფარებოდნენ. განუწყვეტელი სროლის პირობებში თენგიზ მათიაშვილი პერიოდულად მაინც გავარდებოდა ხოლმე ქუჩაში

# დოკუმენტური ჰროზა

და გადაჯვარედინებულ ხელებს მკერდზე ირტყამდა – ამ მოძრაობით ყველას მეტყველად ანიშნებდა, არ ესროლათ, დალუპულის გასაყვანი საშუალება მიეცათ... სულ მიკვირდა მისი გაბედულება... მიუხედავად, ასეთი თავგანწირვის „იქიდან“ სროლას არ წყვეტდნენ! არც თენგიზი გაჩერდა, შემოტრიალდა და ჩვენს ბიჭებს ხელით ანიშნა. მათაც არ დააყოვნეს და ისეთი სროლა ატყდა, რომ მოწინააღმდეგე მხარისთვის უბრალო თავის წამოწევაც კი საშიში გახდა. თენგიზი მოურიდებლად გავიდა ქუჩაში. მის თავზე ტყვიები წვიმდა. ჭიშკართან ვიდექი. თენგო ქაჯაია იქ მოასვენეს. ტანსაცმელია ვიცანი. სახე ძალიან ჰქონდა შეცვლილი... თენგიზ მათიაშვილი ახლა უკვე თავის გვარდიელს, შესამჩნევად კარგი გარეგნობის ბიჭს დასტრიალებდა თავს. იმ ბიჭს ზვიადი ერქვა. მათიაშვილს ბოლომდე ეხმარებოდა, მაგრამ აქ, ჭიშკართან ცუდად გახდა – ნანახ-განცდილმა მასზე ძლიერ იმოქმედა!

სიკვდილი სხვა დროსაც მექონდა ნანახი, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებული იყო... ძალიან მძიმე სანახავი იყო ქართველთა მიერ განწირული ქართველების, ახალგაზრდა, ვაჟკაცი ხალხის ასე დალუპვა და მათი მეგობრების, დამწუხრებული, მდუმარე კაცების ძალზე მეტყველი დუმილის ყურება! ველარ დამალულცრემლიანი სახეები! უსაზღვრო ტკივილისა და მწუხარებისაგან სულ რაღაც წუთებში საოცრად შეცვლილი და დაბერებული ტარიელ გელანტია... მომხდარისაგან შეძრული საკუთარ თავს ძალიან ხმადაბლა რომ ებუტებუტებოდა! უნებურად, ჯარისკაცის მამა გამახსენდა! შვილის თვალწინ სიკვდილით გამოწვეული მისი უკიდევანო გლოვა... ეს ყველაფერი, რეალობაში ვიხილე და გამოვცადე... ნეტავ ეს კომმარიც ფილმისეული ყოფილიყო...

## არსებობენ ასეთი კაცებიც

ერთი ჩვენი დეპუტატის ქცევა მახსენდება. სროლის დაწყებისას ეს კაცი გარეთ იყო. შეეძლო არ მოსულიყო, არავინ განიკითხავდა. მაგრამ ის უყოყმანოდ გამოეშურა უზენაესი საბჭოს შენობისკენ, სად-

აც კოლეგებთან ერთად უნდა ყოფილიყო. გზად პუტჩისტებმა შეიპყრეს. შეიყვანეს ე.წ. იმელის შენობაში და იმდენ ხანს ცემეს, სანამ არ დაილაღნენ... მერე გამოუშვეს და დაემუქრნენ – აქეთ არ გამოიხედო! ამ ადამიანის ვინაობას არ დავასახელებ, მაგრამ მის ვაჟკაცობაზე გეტყვით – ნაცე-მი და დალურჯებული, ის მაინც მივიდა დანიშნულების ადგილზე, საფრთხეს არ შეუშინდა! მისთვის მთავარი პრეზიდენტი-სა და კოლეგების გვერდზე დგომა იყო! ეს იყო მისი ღირსების საქმე! მეორეჯერ დაჭერილი, ისევ დაგვიბრუნდა! კაციც არის და კაციც!

## განსაცდელი, სახელად გაქცევა

იმ დროს ძალიან ცოტა მეძინა. ან ვის ახსოვდა ძილი! ყოფილა შემთხვევა, რომ ფეხზე მდგარს დამძინებია... 5 იანვრამდე, ფაქტობრივად, სულ რამდენიმეჯერ მომეცა წათვლემის საშუალება. იმ საღამოს კი, ყველანი შევიკრიბეთ, შექმნილ სიტუაციაზე ვისაუბრეთ. შეკრებამ ჩვეულებრივ, ნორმალურად ჩაიარა. იქ ყოფნის განმავლობაში პირველად მივწექი დასაძინებლად და ღრმადაც ჩამეძინა. ვერ გეტყვით რამდენ ხანს გვეძინა. ყორნისის (ზნაურის რაიონს ვუნოდეთ ასე) მილიციის უფროსმა ძლივს გაგვავიძა. მთელი ხმით ჩაგვყვიროდა: ადექით, გაიღვიძეთ, დროზე დატოვეთ აქაურობა! ხან ერთს გვანჯღრევდა, ხან მეორეს. გაღვიძებულმა აღმოვაჩინე, რომ ოთახში ჩემი და გურამ ისაკაძის გარდა არავინ იყო! ეზოში სასწრაფოდ ჩამოვედით. ჩიტაძის ქუჩის მხარეს რომ ჭიშკარია იქედან ხალხის მასა გასვლას ცდილობდა. ზედ ჭიშკართან ავტობუსი იდგა, რომელშიც ძლივს ავალწიეთ. მძღოლმა მანქანა ვერაფრით დაძრა. კანცელარიის მიმართულებით ფეხით წავედით. იქ მსუბუქი ავტომობილები იდგა. მათიაშვილს მოვკარი თვალი – ის მანქანების მწკრივში დაწყობას ცდილობდა. დამინახა და დამიძახა: პრეზიდენტი დასავლეთის მიმართულებით გაემართა. ჩემთან დაჯექიო, მანქანაზე მიმოითითა. ჩავჯექი. ჩვენთან ერთად ირაკლი ჩხეიძე და გია ხონელიძეც ჩასხდნენ. მანქა-

ნების კოლონა ინგოროყვას ქუჩით თავი-სუფლების მოედნისაკენ დაეშვა. (იმ დღის შემდეგ ეს მოედანი ჩემთვის, სამუდამოდ ლენინის მოედნად დარჩება). ვილაცებმა გვითხრეს, პრეზიდენტის მანქანამ აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი, ლესელიძის ქუჩის გავლით. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იმ მიმართულებით გადაწყვეტიტე გზის გაგრძელება. ამ დროს მოედნისკენ მომავალი საბრძოლო მანქანა ე.წ. ბეტეერი დავინახეთ! ბიჭები მიმოიფანტნენ და ბრონირებული მანქანის საკადრისად დასახვედრად მოემზადნენ. ამ დროს, სამხედრო მანქანიდან ახალგაზრდამ თავი ამოყო და დაიწყო ყვირილი – არ მესროლოთ, თქვენიანი ვარო! თანაც დაგვიდასტურა, პრეზიდენტი ლესელიძის გავლით აღმოსავლეთისკენ მიეშურებაო. არავის არაფერი გვიკითხავს, პირიქით, ვენდეთ, დავუჯერეთ. ისიც ჩვენს კოლონას წინ წარუძღვა. არადა, მეტი სიფრთხილე გვმართებდა...

მეტეხის ხიდამდე მივალნიეთ და შევჩრდით. საშინელი სურათი დაგვხვდა! პირველი, რაც თვალში მეცა, ტროლეიბუსის ერთიანად ჩამოწყვეტილი სადენები იყო, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლეზე იყო დაშვებული და მასთან შემთხვევით გაკარება შეიძლება საბედისწეროც კი გამხდარიყო! რატომღაც მთელი მოედანი აშკარად სველი იყო... მოედნის სიღრმეში ტყვიით დაცხრილული ცხედარი შევამჩნიეთ. იგი ტროტუარზე გადავასვენეთ. იქვე, ძირს დაგდებული იარაღი დავინახე. კარგად მახსოვს, მე და თენგიზ მათიაშვილი ერთდროულად დავწვდით. ავიღეთ და ვიცანით! ერთმანეთს გადავხედეთ და არა-ადამიანური ბლავილი აღმოგვხდა. ასეთი სოლიდური ტყვიამფრქვევი, ჩვენს მხარეს მხოლოდ გამორჩეულ ქართველ ვაჟკაცს, გოგია გაბროშვილსა ჰქონდა. ცხადია, ის ამ იარაღს ცოცხალი თავით არ დატოვებდა! ეს ნაპოვნი იარაღი, მისი მფლობელის დაღუპვას მოასწავებდა – დიდი ალბათობით!

გზის გაგრძელება გადაწყვეტიტე. რატომღაც სულ გვეგონა, რომ გზაში ავტობუსები დაგვხვდებოდა, რომლითაც დავენეოდით პრეზიდენტს და მასთან ერთად გავაგრძელებდით გზას. რასაკვირველია, ასე არ მოხდა. აქაურობის სასწრაფოდ

დატოვების აუცილებლობას კი, სხვა რომ არაფერი, მოედანზე ნანახიც ადასტურებდა! უცებ რაღაც მოვისაზრე და ხმამაღლა დავიძახე: – ახლა მე და თენგიზ მათიაშვილი, მანქანით ორთაჭალის ავტოსადგურში გავვარდებით და იქიდან, სულ მცირე ერთ ავტობუსს მაინც ამოვიყვანთ-მეთქი. შეფიქრიანდნენ. – ბიჭებო! აუცილებლად დავბრუნდებით! თუ არ დავბრუნდით, იცოდეთ, რომ ცოცხლებიც არ ვართ-თქო! – დავიძახე. ნათქვამი თავისი რობროხა ხმით მათიაშვილმაც დაადასტურა. ირაკლი ჩხეიძემაც მხარი დაგვიჭირა: – ხალხნო, მეც თქვენთან ვრჩები, რადგან ვიცი, აუცილებლად დაბრუნდებიანო. მე და თენგიზი მაქსიმალური სიჩქარით „გაგფრინდით“ სადგურისკენ, სადაც მტკვრის გაღმიდანაც და აბანოების მხრიდანაც ტყვიების მოკლე ჯვრით გაგვიმასპინძლდნენ. სადგურში ავტობუსები კი იდგა, მაგრამ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მოულოდნელად, საიდანღაც გია უჩავა გამოგვეცხადა და გვითხრა, რომ არც მძღოლები არ იყვნენ, ეგ არაფერი, სანავი წვეთიც არ ჰქონდათ! რაღას ვიზამდით... მეტეხის ხიდთან დარჩენილ ჩვენს მოიმედე ბიჭებზე ვფიქრობდით. უავტობუსოდ, მაგრამ უკან მაინც გამოვბრუნდით – დაბრუნების პირობა ხომ მიცემული გვქონდა?! სამშვიდობოს გასვლაზე ერთად უნდა გვეფიქრა!

მეტეხის ხიდისწინა მოედნამდე მშვიდობიანად დავბრუნდით – აღარსად „დაგვდევენებია“ წყეული, მანათობელი ტყვიები. შუა მოედანზე მანქანა გავაჩერეთ, ორივენი გადმოვედით და ის იყო, მოედნისპირა შენობებს მოფარებული და იქვე, ვინრო ქუჩებში მიმოფანტული ჩვენი მომლოდინეებისათვის უნდა გვეხმო, რომ უეცრად მოედანზე ორთაჭალის მხრიდან ავტობუსი შემოვიდა და მეტეხის ხიდზე გასვლა დააპირა! თვალიც კი ვერ მივაღვენე, ავტომატისანი და მართლა ბომბორა თენგიზ მათიაშვილი რომ უკვე ავტობუსის წინ აისვეტა და გააჩერა. სანახევროდ ხიდზე გასული ავტობუსი გაჩერდა და კარებიც გაიღო! მყისვე ავტობუსისკენ ყოველი მხრიდან დაიძრნენ ეშმაკისთვის სულმიყიდული მოლალატეებისგან მიზანში ამოღებულმა, მათგან სასიკვდილოდ გამეტებულმა ადამიანებმა! სხვადასხვა ადგილიდან გვეს-



როდნენ: მეტეხის ხიდიდან, მოაჯირთან ჩასაფრებულები, მთიდან, ბუჩქიდან... ის ბეტეერი, აქამდე რომ მოგვაცილა – გამო-ბრუნდა და სროლა დაგვიწყო! მანათობელი ტყვიები საკმაოდ მალლა დაფრინავდნენ, მაგრამ თითქოს ტრაექტორიას აზუსტებენო, ტყვიებმა თანდათან უფრო დაბლა გადმოინაცვლეს... მეც სხვებთან ერთად მოედანზე გავწექი – ადრე ვახსენე მოედანი სველი იყოთქო, – ახლა ასფალტზე გაწოლილი მივხვდი, რომ ბენზინით დავსველდი. აზრად რაც მომივიდა ის იყო, რომ მანათობელ ტყვიებს შეიძლება ცეცხლი გაეჩინათ ბენზინგადასხმული ასფალტისათვის! ანუ ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება ცეცხლის ალში გახვეულს დაესრულებინა სიცოცხლე! ახლაც მიკვირს და მწარედაც მეღიმება, ჩემს მაშინდელ ქცევაზე. მაგრამ გაჭირვება მიჩვენეო, ხომაა ნათქვამი და მართლაც, ბენზინიან ასფალტზე გაშოტილი, სათავგადასავლო ფილმის პერსონაჟივით ზურგზე რამდენჯერმე გადავტრიალდი და მოედნიდან ტროტუარზე ჩავხტე! ამ ადგილზე აბანოების მიმართულებით ფეხით სასიარულო გზის მცირე მონაკვეთი სამანქანო გზის სიმაღლესთან შედარებით გაცილებით დაბალია და რალაც ნამების განმავლობაში მანათობელი ტყვიების ნაკადისაგან დაცული ვიყავი! ცხადია, ჩემსავით სხვებიც გაისარჯნენ და მოედნისპირა ვიწრო ქუჩებში გაიფანტნენ! ბედად მათი-აშვილის მანქანის გვერდზე აღმოვჩნდი. თენგიზი მანქანაში აბობლებში დამეხმარა. ჯოჯოხეთს ორთაჭალის მიმართულებით გავერიდეთ. ავლაბარში მათიაშვილის მამის სახლამდე მივაღწიეთ. მე გამიჭირდება, თენგიზის დედის სიხარულის აღწერა, დედა-შვილის შეხვედრის აღწერა... სასწრაფოდ მოგვხედეს, მოგვასვენეს. დილით ძალიან ადრე წამოვცვივდით. გარეთ თენგიზის მანქანის გარდა სხვა მანქანაც გველოდა. სასწრაფოდ უნდა გავცლოდით იქაურობას და მერე დრო გვიჩვენებდა რა და როგორ უნდა გვექნა... უნდა გავცლოდით იქაურობას სასწრაფოდ, რადგან გარე ძალების ნაქეზებითა და შემწეობით, საკუთარი ქვეყნის დამმარცხებელი და ამ „გმირობით“ გათავხედებული, სისხლისა და დენტის სუნისაგან მთვრალი, მოლაღატე პუტჩისტებისაგან ნებისმიერი ქმედება იყო მოსალოდნელი!

## მოთხრობის ფინალური ამბავი, რომელიც სულაც არაა ფინალური

...მართლა საოცრად გრძელი იყო ის ჯოჯოხეთური ღამე – რა აღარ შეგვემთხვა! და მაინც ჯერ კიდევ ადრიაინი დილა იყო, როცა ორი მანქანით თბილისთან ახლოს მდებარე ერთი სოფლისაკენ, მათი-აშვილების საახლობლო ოჯახისათვის თავის შესაფარებლად გავემგზავრეთ. ერთი მანქანა თენგიზის ძმას – ვაჟას მიყავდა, იგი წინ რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით მიგვიძლოდა და თითქოს გზას გვიკვალავდა. მეორეში საჭესთან თენგიზი იჯდა, უკან კი მარტო მე ვიჯექი... არ დავმაღავ, სრულიად შესაძლებლად ვთვლიდი, გზაში ყველაზე ცუდიც, ანუ პუტჩისტების რალაც პიკეტის მსგავსი დაჯგუფებაც რომ შეგვხვედროდა. მაგრამ მათთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებდით!

სოფლამდე და სახლამდეც მშვიდობით მივაღწიეთ. ოჯახის უფროსი სანდო და კეთილი კაცი იყო. ჩემს ოჯახში ნურაფრისა შეგეშინდებათო, გვითხრა და დაბზრიალდა. აქეთ ცხელი აბანოს გამზადება დაიწყეს, იქით სუფრის განწყობა. მოსავლელ-მოსაწესრიგებელი კი ნამდვილად ვიყავით – აღარც მახსოვდა ბოლოს როდის დავიბანე ან გავიპარსე; ხოლო კუჭი შიმშილისგან მეწვოდა.

თენგიზი ეზოში ნაპოვნი ტყვიამფრქვევის მონესრიგებას შეუდგა. მთავრობის სახლამდე იგი სამაჩაბლოს დამცველი ბიჭების გვერდითაც იყო და იარაღთან თავს ხამად სულაც არ გრძნობდა. ელდა გვეცა – ტყვიამფრქვევში სამად-სამი ტყვი-ალა იყო დარჩენილი! არ შევიმჩნიე, თუმცა საკმაოზე მეტად ავლელდი.

სახლში შესულს ორი შუახნის ქალბატონი დამხვდა. სადილს ამზადებდნენ, დაფუსფუსებდნენ: ერთი მაგიდასთან ტრიალებდა, მეორე ჭურჭელს რეცხავდა. კედელზე მიმაგრებული ძველებური რეპროდუქტორი კი „ახალ ამბებს“ გაუგონრად უკუღმართად იუნყებოდა! რაც სულ რალაც ორ თუ სამ წუთში, ამ შხამითა და ბოროტი ცილისწამებით სავსე „ახალმა ამბებმა“ განმაცდევი-



ნა, ალბათ აქამდე რაც შემხვედრია და მომავალში რაც შეიძლება შემხვდეს, ყველას ერთიანად გადაწონიდა. იმ წამს ყველაფერს მერჩივნა ყრუ ვყოფილიყავი, ან სადმე ცხრა მთას იქეთ ვგდებუდიყავი, სადაც ვერ ვნახავდი, რომ ადამიანად წოდებულს ასე თავისუფლად შეუძლია ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე მხეცური, არაადამიანური სახე მიიღოს, სადაც დაუფიქრებლად, დანაწევრების გარეშე შეუძლია ჯოჯოხეთის საკადრისი ყველა ცოდვა გაუგონარი და უსაზღვროდ თავხედური მზაკვრობით მოგაწეროს: რა აღარ დაგვწამეს! ვეღარც გავიკვირვებდი, სადილად ჩვილ ბავშვებს დანა-ჩანგლით მიირთმევდნენო – რომ ეთქვათ! ნახევრად გათიშული იქვე რეპროდუქტორთან, კედელს მიყრდნობილი, ცხადია, როგორ გამოვიყურებოდი! ბოლო სამი კვირის განმავლობაში ტანსაცმელი ფაქტობრივად არ გამიხდია და დასაბანადაც თბილ წყალს სადღა ვნახავდი, ან ამისთვის ვის ეცალა?! ამდენი ხნისავე გაუპარსავ-გაბურძგნულს, ახლა რადიოდან ნიაღვარივით წამოსული სიბინძურეც ზედ დამემატა და არ

ვიცი, თუმცა წარმომიდგენია, რა სახე, რა გამომეტყველება მექნებოდა და ეს სანახევროდ გათიშული კაცი იმ წუთში, საერთოდ ვის, ან რასა ვგავდი! მართლაც, ოთახში მყოფმა ერთმა ქალმა მეორეს ხმამაღლა, სრულიად გამოკვეთილად და მკაფიოდ, ისე რომ კარგად მომესმინა, გადაულაპარაკა: „ერთი ამას შეხედე, რას გავს! მგონი არ მოეწონა, რადიო სიმართლეს რომ ამბობს! არა, მართლა ნახე! – ნამდვილი ბანდიტია, კიდევ კარგი, ახლა იარაღი თან არ აქვს, თორემ რადიოზე გაბრაზებული ჩვენზე იყრიდა ჯავრს და იქნება ორივეც დავებოცეთ!“. ცხადი იყო, რომ აქ ყველა ოჯახის უფროსივით არ აზროვნებდა და ჩემგან რაიმეს თქმა შეიძლება რაღაც ცუდის მიზეზი გამხდარიყო. და თუმცა ძალიან გამიჭირდა, ისევ გაჩუმება და მოთმინება ვარჩიე. აქ დარჩენას დიდხანს ისედაც არ ვაპირებდი!

ამდენი წელია გასული, ახლა აღარც თენგიზია და ხსენებულ ქალბატონებსაც, ეს დღე, ეს წუთები და მეც, იქნებ აღარც ვახსოვართ!

მე კი ყველაფერი მახსოვს...





## კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა

უკანასკნელი წლების მანძილზე როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში მრავალი ასპექტით იქნა გაშუქებული კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. მიმდინარეობს შესწავლა მისი ბიოგრაფიისა, შემოქმედებითი მეთოდისა, ენისა და სტილისა, სწავლობენ მის მხატვრულ სამყაროს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობასთან მიმართებაში, მის ნაწარმოებებს განიხილვენ ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ჯერ არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა მწერლის მსოფლმხედველობაზე, მის რელიგიურ-ფილოსოფიურ კრედოზე.

ამჯერად, ჩემი მიზანია გავაშუქო კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ზოგი თავისებურება ბიბლიასთან და ქრისტიანულ კულტურასთან მიმართებაში, გავამახვილო ყურადღება ისეთ ასპექტებზე, რომელთაც მხოლოდ გაკვრით თუ შეხებიან მკვლევარნი.

ბიბლიისა და სახარებისადმი სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაუნერგეს მშობლებმა პატარა კონსტანტინეს. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი, სვიმონ გამსახურდია არ გამოირჩეოდა მწიგნობრობისადმი დიდი მიდრეკილებით, იგი ფსალმუნსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ზრდიდა ვაჟს (საერთოდ, გამსახურდიას გვარი კი მწიგნობრობით გამოირჩეოდა, ისინი სახლთხუცესები იყვნენ დადიანის კარზე). დედა გამუდმებით ლოცულობდა და მარხულობდა. ბალღი სოფლის დიაკონს მიაბარეს, რომელსაც

იგი წირვის დროს ეხმარებოდა. „დიაკონმა ევგენი ქოიავამ შემაყვარა ბიბლია, სახარება და ეკლესია“, მოგვითხრობს მწერალი „ლანდებთან ლაციცში“. გამდელი ეკაია ნიადაგ მაცხოვარზე და წმინდა გიორგიზე ესაუბრებოდა მომავალ მწერალს, რელიგიურ მოწინებასა და ღვთისმოსაობას უნერგავდა, რაც მთელი ბავშვობისა და სიჭაბუკის მანძილზე გაჰყვა მას. მაგალითად, აი, როგორ გვიხასიათებს მწერალი თავის განცდებს გიმნაზიაში პირველი დაპატიმრებისას, პატრიოტული ორგანიზაციის, „ცხრა მუხას“ შექმნის გამო: „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა. ბედნიერი გრძნობისგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ რაჟამს გდევნონ ჩემი სახელისთვის“ („ლანდებთან ლაციცი“). ასე რომ, როგორც ვხედავთ, სახარების ამ უჭკნობი სიტყვების პერიფრაზა სიჭაბუკეშივე ცხოვრებისეულ კრედოდ იქცა მწერლისათვის. „წმინდა გიორგის პატარა ხატი მეკიდა გულზე იდუმალ და ვიბრძოდი, ვიბრძოდი...“ წერს იგი გერმანიიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში. წმინდა გიორგი იყო მისი საყვარელი სახე, უდიდესი ფაქტორი მის შემოქმედებაში.

შემდეგ დადგა განსწავლისა და მოგზაურობის წლები. ბერლინში, რომში, პარიზში მწერალი სწავლობს კათოლიკურ თეოლოგიას და ფილოსოფიას, კულტურასა და ხელოვნებას, ენაფება ქრისტიანულ მისტიკას, სვედენბორგისა და შტაინერის მოძღვრებებს. თუმცა, ამავე დროს, მასაც შეეხო

## ლიტერატურული წერილები

ეპოქის სენი. ესთეტიზმის, ნიცშეანიზმის და დიონისიზმის სამსალა მასაც ჩაენვეთა სულში. ამ ეპოქიდან იწყება მასში გაორება, რაც აირეკლა მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილი“. როგორც გმირის გაორება ქრისტი-დიონისოს შორის. ეს გაორება ტრადიციულია და ამავე დროს, ეს არის მისი თანამედროვე ევროპული კულტურის სახე. ესაა გაორება იულიანე აპოსტატისა, გოეთესი, ვაგნერისა, ნიცშესი. ამ გაორებამ დალი დაასვა ქართულ სულიერ კულტურას, მითოსურ შემოქმედებას, ხალხურ რელიგიურ მრწამსს. გავიხსენოთ ფშავ-ხევსურული ხატობები, ქაჯებს განდობილი მინდია გველისმჭამელი, გველი – წარმართული სიბრძნის სიმბოლო; გავიხსენოთ სვანეთში ერთის მხრივ – ლამპრობა, მეზირი, საქმისად, ხეც, ქამერდე, ხოლო მეორე მხრივ – ჯგრაგ, ლამარია, კვირიკე და ივლიტე, ფაუსტური გაორება ევროპული კულტურისა საქართველოში დიდი ხნით ადრე ჰპოვებს არქეტიპს. ფაუსტის ტრაგედია ხომ ორეულის ტრაგედიაა, მეფისტო – ნეგატიური ორეულია, ასეთივე ორეულია მინდიასათვის თხისრქიანი ოჩოპინტრე (თხა-დიონისეს ცხოველი). ფაუსტს, მისივე თქმით, ორი სული აქვს, ერთი მიწიერებისკენ ქვედამზიდავი, ხოლო მეორე „ზეცისკენ მსწრაფი, იქ სადაც სულნი დაჰქრიათ ეთერში“. ასევეა მინდიაში: უნივერსალური სიყვარული ყველა არსისადმი (ქრისტეს იმპულსი), მეორე მხრივ დემონური საწყისი ოჩოპინტრე.

აი, ამ გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“. არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ისინი ანტიქრისტიანული ნაწარმოებებია, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ისინი უფო ანტიდიონისური, ანტიპაგანური ქმნილებებია ამ დასკვნამდის მივა ყველა, ვინც ღრმად ჩაუკვირდება მათ დედააზრს, როგორც, მაგალითად, აკაკი ბაქრაძე, რომელმაც „დიონისოს ღიმილს“ უძღვნა ბრწყინვალე გამოკვლევა „დიონისოს თვითმკვლელობა“. რომანში მართლაც, რომ გმირის სულიერი თვითმკვლელობაა აღწერილი, რაც გამოიწვია მასში დიონისური თრობის ექსტაზმა. აქ წარმართობის კრიზისი, დიონისიზმის კრიზისია აღწერილი. ამიტომაც უნდა ჰქონოდა ამ რომანს ლოგიკური გაგრ-

ძელება: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმიული ღამე“, სადაც გმირის სულიერი აღორძინება, მისი კვლავ ქრისტეს გზისკენ მოქცევა იქნებოდა აღწერილი, მაგრამ მწერალს ეს აღარ დასცალდა, ვინაიდან იგი ამასობაში სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს. სამაგიეროდ, სულიერი ტენდენცია ამ ნაწარმოებისა გაგრძელდა „დავით აღმაშენებელში“, სადაც ჩანს ქრისტეს გზის ტრიუმფი, წმინდა გიორგის რაინდის, ქრისტეს რაინდის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოქალაქობის აღწერით. ან რა სიყვარულით არიან დახატულნი ამ რომანში ქრისტიანი იერარქები: გიორგი ჭყონდიდელი, კირიონ მანგლელი, სტეფანოზ ნილკნელი! ან რად ღირს სცენა დავით მეფისა და 13 წლის დაყუდებული ბერის, გოდოლიას შეხვედრისა, ან თუნდაც ეგზორციზმის (სატანის განდევნის) აქტი დავითისა და ბოდბელი ეპისკოპოსის ფაღლას მიერ აღსრულებული, ხმალდახმალ ბრძოლა დავით მეფისა ვარაზის ციხეში ეშმასთან, რომელიც არაბი არქიტექტორის სახით მოვევლინა ვარაზის ოჯახს და აუგო მინისძვრით შეუმუსრავი ციხე („საიდუმლო ვარაზის ციხისა“, ტ. IV). განა ამ პასსაჟებში არ ჩანს ღრმად ქრისტიანი მწერალი, ან თუნდაც შავი ღვთისმშობლის მისტიური სახე რომანში, დედისიმედის მსხვერპლად გაღება მეფის მიერ და შავი ღვთისმშობლის გზით, ასკეტიზმის გზით სვლა ერისა და სარწმუნოების სახსნელად?

ულიანოვ-ლენინისადმი მიწერილ ღია წერილში მწერალი აღნიშნავს, რომ მისი გზა ადამიანთა თანასწორობის პრინციპისკენ იყო გზა ნეტარი ავგუსტინესი, „რომ წმინდა ფრანჩესკოს მისტიური ქორწილი ქალბატონ სილარიბესთან მისთვის ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგადადამიანური ეთიკისა, როგორც ლენინისათვის კარლ მარქსის „კომუნისტური მანიფესტი“. ამავე პერიოდში აარსებს იგი ტფილისში ქრისტიან მისტიკოსთა საზოგადოებას. ამავე პერიოდს ეკუთვნიან ღრმა რელიგიურობით გამსჭვალული ლექსები „მარია სტელლა“, „ქრისტე პარიზში 1999 წელს“, „დედავ, მისტიურო ქალო“, რომელთაც შეიძლება ქრისტიანული ლირიკის შედევრები ეწოდოს.

ამავე პერიოდში დაიწერა ნოველა „ტაბუ“, სადაც აღწერილია წმინდა გიორ-



# ლიტერატურული წერილები

გის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე, რომელიც სიმბოლიზირებულია ნითური ეშმაკისა და ქალაბიჭა აკუმის, ხვარამხეს მიერ შობილი მორიელით. ნითურმა ეშმამ ჯერ ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა არ არის ეს კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?

ის ვინც კონსტანტინე გამსახურდიას გმირების „არაქრისტიანობაზე“ საუბრობს, მე მაგონებს რუსთველის იმ მკვლევარებს, რომელნიც მისი გმირებისა და თვით რუსთველის „არაქრისტიანობას“ გვიმტკიცებენ, თავად კი ვერა აქვთ კარგად გარკვეული ქრისტიანული მწერლობისა და თვით ქრისტიანული რელიგიის არსი. გარდა ამისა, მათ ვერ გაუგიათ, რომ „დიდი ფილოსოფოსები და დიდაქტიკოსები გვასწავლიან, თუ როგორ უნდა იაზროვნოს და იცხოვროს კაცმა, ხოლო დიდი მწერლები იმას მიგვანიშნებენ, თუ როგორ არ უნდა იაზროვნოს და არ უნდა იცხოვროს კაცმა“ (ე. გამსახურდია). ამას გვიდასტურებენ ჩვენ კრიტიკული რეალიზმის დიდი წარმომადგენლები: ბალზაკი, ფლობერი, ტოლსტოი, გოგოლი, შჩედრინი, ილია ჭავჭავაძე. განა „კაცია ადამიანი“ უაღრესად ქრისტიანული ნაწარმოები არ არის, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაფერია ნათქვამი ქრისტიანობის დოგმებზე და არც არავინ ქადაგებს ქრისტიანობას? ეს რაც შეეხება უარყოფით გმირებს. მაგრამ დადებითი გმირის დახატვის შემთხვევაში კი ქრისტიანი ბელეტრისტი, განსხვავებით ჰაგიოგრაფიისგან, გმირის გარეგანი რელიგიურობისა და ღვთისმოსაობის ჩვენებას როდი ისახავს მიზნად, არამედ მისი, როგორც ცხოვრებისეული ტიპის ასახვას, მისი ხასიათის დამაჯერებლად გამოძერწვას.

ცხოვრებისეული პოზიციით, ცხოვრებისადმი მიმართებით და ხასიათით უნდა განვსაზღვროთ, სულით ქრისტიანია თუ არა ესა თუ ის გმირი. პიროვნების ქრისტიანული შეგნება, ან თუნდაც ქვეცნობიერი ქრისტიანობა კი, უწინარეს ყოვლისა, მჟღავნდება მის ცხოვრებისეულ კრედიტში და პრაქსისში, მსხვერპლისუნარიანობაში, მოყვასისადმი თავდადებაში – „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“

– (იოანეს სახარება), აგრეთვე პიროვნულსა და საზოგადოებრივს შორის სწორი მიმართების პოვნაში, საზოგადოებრივი იდეალის პიროვნულზე მაღლა დაყენებაში, თვითუარყოფაში და საზოგადოებრივი მსახურების ჯვრის აღებაში. „უარყავნ თავი თვისი, აღილე ჯვარი თვისი და შემომიდექ მე“ (მათეს სახარება), რაც ნიშნავს უარყოფას ეგოისტური თვით მოყვარეობისას და არა თვითუარყოფას, პიროვნების უარყოფას, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ახლა განვიხილოთ ისევ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეები. მათი ურთიერთობის თავდადება, პიროვნულ ბედნიერებაზე მაღლა მოყვასისა და საზოგადოების სამსახურის დაყენება პირველი ნიშანია მათი ქრისტიანობისა. იგივეა ამსოფლიური კეთილდღეობის არად ჩაგდება და მომავალი საიქიო ნეტარების საზომით გაზომვა ამქვეყნიური კეთილდღეობისა:

„მე იგი ვარ ვინ საწუთროს არ ამოვკრებ კიტრად ბერად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ან

ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საქაბუნოსა,

პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“.

რუსთველის „არაქრისტიანობას“ იმიტაც „ასაბუთებენ“, ქრისტე და ღვთისმშობელი არ არისო ნახსენები მის პოემაში. მათ ავინწყდებოდათ, რომ ღვთისმოსაობა ადამიანისა ხშირად საკრალური სახელის არხსენებაში უფრო მჟღავნდება, ვიდრე მის წარამარა ამაოდ ხსენებაში. „არა მოიხსენო სახელი ღვთისა ამოსა ზედა“ (ბიბლია).

გმირთა დიდბუნებოვნება, სიუხვე, დამარცხებული მტრის დანდობა, გლახაკთა და უპოვართა მიმართ სიბრალული, კეთილშობილი ალტრუიზმი – აი, ეს არის მათი ქრისტიანობის ძირითადი მაჩვენებლები და არა გამუდმებით „უფალო შეგვიწყალებს“ სახელი.

ასეთ „კრიტიკოსებს“ აქვთ კიდეც ბევ-



# ლიტერატურული წერილები

რი არგუმენტი: თუ რუსთველის გმირები ქრისტიანებია, მაშინ რად ჩაიდინესო მათ ესა თუ ის ცოდვა თუ სულმოკლეობა? მათ ავინყდებათ, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურა გმირების იდეალურ სქემებს კი არ იძლევა, არამედ ცოცხალ, ცხოვრებისეულ ადამიანებს მთელი თავიანთი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, აბსოლუტურად სრულყოფილი იდეალები კი რეალურ ცხოვრებაში არ არსებობენ „არვინ არს სახიერ, თვინიერ ღვთისა“ (მათეს სახარება). თვით ბიბლია და სახარებაც არ მალავს მოციქულთა ნაკლოვან მხარეებს და სისუსტეებს (პეტრეს განდგომა, ზებედას ძეთა ამპარტავნება, ძველ აღთქმაში – დავითისა და სოლომონის დანაშაულებები და ა. შ.). ამაშია ბიბლიის ცხოვრებისეული სიმართლე და დამაჯერებლობა. ის ფაქტი, რომ ავთანდილმა მკვლელობა ჩაიდინა, ფაქტმანთან იმრუშა, ან ტარიელმა ხვარაზმში მოკლა, სულაც არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ეს გმირები არაქრისტიანები არიან და რუსთველიც არ არის ქრისტიანი მათი დახატვის გამო. ეს იგივეა ვინმემ გოეტეს ფაუსტი ან სტენდალის ფაბრიციო არაქრისტიანებად გამოაცხადოს, ან ამ მწერლების ქრისტიანობაში შეიტანოს ეჭვი.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირები, უწინარესყოვლისა, საზოგადოებრივი იდეალების მსახურებას ეწირებიან მსხვერპლად. მათთვის არ არსებობს პირადი ბედნიერებისთვის ზრუნვა, ეგოისტური – მეობა, მსხვერპლისათვის თავის არიდება. დიდოსტატი არსაკიძე, დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი, სტეფანოზ ნილკნელი, ნიანია ბაკურიანი განა შენიშულნი არ არიან საქართველოს სამსხვერპლოზე? განა საზოგადოებრივი იდეალის სამსახურით არ ამჟღავნებენ ისინი ერთგულებას ქრისტეს უმთავრესი ცნებისადმი?

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების „განმკითხველთ“ ყველაზე მეტად უყვართ საუბარი არსაკიძის არაქრისტიანობაზე. „კონსტანტინე გამსახურდიას გმირები წარმართები არიან – გვარწმუნებს ს. სიგუა თავის წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“ – დავით აღმაშენებელი წარმართობას უფრო ერთგულობს, ვიდრე ქრისტიანობას“ (?),

„მწერალმა წარმართ არსაკიძეს ააგებინა სვეტიცხოველი“. ამგვარ მკრეხელობას სხვებთანაც შეხვდებით. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ამგვარ კრიტიკოსებს თავად მხოლოდ ცალმხრივი, არასრული გაგება აქვთ ქრისტიანობისა და საერთოდ, რელიგიის არსისა.

ვინც რელიგიის ისტორიას კარგად იცნობს, მისთვის ცნობილია, რომ არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობისა: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა და სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ე. ი. მასსებისათვის მისანვდომი ფორმა რელიგიურობისა, რაც გოეტემ შემდეგნაირად განმარტა ეკერმანთან საუბრებში: „ბიბლიის საკითხების განსახილველად არსებობს ორგვარი თვალსაზრისი. პირველია ის, რომ არსებობს ე. წ. პირველრელიგია და რომ ბუნება და სული თავიანთ წმინდა ყოფაში ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან. ეს თვალსაზრისი მარად უცვლელი დარჩება და იარსებებს მანამ, სანამ დედამიწაზე ღვთის მადლის მატარებელი არსებები მკვიდრობენ. მაგრამ იგი მხოლოდ რჩეულთათვისაა განკუთვნილი. იგი იმდენად კეთილშობილია და აღზევებული, რომ საყოველთაო ვერასოდეს გახდება.

არსებობს აგრეთვე ეკლესიის თვალსაზრისიც, რომელიც უფრო ახლოს დგას ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფასთან... მაგრამ ისიც, თავისი ცვალებადი ბუნებით შენარჩუნებული იქნება მხოლოდ მანამდე, სანამ დედამიწაზე სუსტი ადამიანური არსებანი იქნებიან. მიუაჩრდილებელი ნათელი ღვთაებრივი გამოცხადებისა ერთობ წმინდაა და დამაბრმავებელი, რომ მისი აღქმა შესძლონ სანყალობელმა, სუსტმა პიროვნებებმა. აი, აქ წარმოგვიდგება ეკლესია, ვითარცა ქველმოქმედი შუამავალი. იგი ანელებს და ასუსტებს ნათელს, რითაც მრავალთათვის მოაქვს შველა და სარგებლობა“.

ასე რომ, ცხადი ხდება: ერთია რჩეულთა, ზეკაცთა შემოქმედებითი რელიგიურობა, რომელიც მჟღავნდება მისტიკოსთა ეზოტერიკოსთა ღვთისმოსაობაში და მეორეა ჩვეულებრივი ადამიანების რელიგიურობა, რომელიც მჟღავნდება მხოლოდ ეკლესიური მსახურების გარეგან აღქმაში. ცხადია, ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვ

# ლიტერატურული წერილები

სურს, თითქოს ეკლესია რჩეულთათვის და ზეკაცთათვის ზედმეტი იყოს. საუბარია საეკლესიო კულტის უიდუმალესი, შინაგანი არსი სწორედ მხოლოდ რჩეულთათვის და ფილოსოფოსთათვისაა მისაწვდომი.

დიონისე არეოპაგელისა და მაისტერ ეკჰარტის გაგებით რელიგიის უზენაესი მიზანია თეოზისი, ადამიანის განღმრთობა, რაც მხოლოდ რჩეულთ ხელენიფებათ, რადგან „მრავალ არიან ნოდებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (სახარება). ასეთია დიონისესეული, ეკჰარტისეული, გოეტესეული გაგება რელიგიისა. განღმრთობა შემოქმედი პიროვნების ხვედრია, რომელიც განსხვავდება მარტოოდენ ღვთის წყალობის მომლოდინე, პასიურ და უმოქმედო სულთაგან, რომელნიც მხოლოდ ეძებენ ღმერთსა და მის წყალობას, ეძებენ, რამეთუ არ გააჩნიათ. „რაც უფრო სთმობს ადამიანი თავის თავს ღვთის გულისთვის და ერთვის მას მით უფრო ღმერთია იგი და მით უფრო ნაკლებად მიეკუთვნება ქმნადობას“ (მაისტერ ეკჰარტი).

ღმერთს კი ეძებს ღვთით ღარიბი ადამიანი, რომელიც არ გრძნობს თავისთავში შემოქმედი ღვთის ძალას მიქელანჯელოს დარად, რომლისთვისაც შორს არის ღმერთი და შესაძლოა სათუოც არის მისი არსებობა. ასეთი ადამიანი ვერასოდეს იტყვის მიქელანჯელოს მსგავსად: „ო, ღმერთო, ღმერთო, რა ძლიერი ხარ შენ ჩემში“. ღვთის მაძიებელი ადამიანი სულით უპოვარია, ღვთით ღატაკია და ამიტომ დაეძებს ღმერთს. განღმრთობილი კაცი კი არის ღვთის მადლით სვიანი, ღვთით აღსავსე, აი, განსხვავება.

განღმრთობის გზისგან განუყრელია აგრეთვე კეთილი ღვთისმბრძოლობა. ეს გაგება არ უნდა აგვერიოს ნეგატიურ ღვთისმბრძოლობაში: შავნიგნოსნობასა და ათეიზმში. მაისტერ ეკჰარტი ღმერთს ადარებს იმ მეფეს, რომელიც შორ გზაზე სამოგზაუროდ გაუშვებდა ხოლმე თავის მიერ განვრთნილ რაინდს, შემდეგ კი ღამით გზად დაუხვდებოდა, ვითარცა უცნობი და შეებრძოლებოდა. ამ ბრძოლაში სცდიდა მას და ამის მიხედვით მოჰმადლებდა სვეს. ასე შეეყარა იაკობს ბნელში თავისი უფალი და შეერკინა მას. მართალია ამ ბრძოლაში ღმერთმა „დაუბუშა იაკობს ვრცელი

ბარკლისა“, მაგრამ სამაგიეროდ შემდგომში მოჰმადლა არნახული სვე (დაბად. 24–25).

განღმრთობის რელიგია კეთილი ღვთისმბრძოლობის რელიგია – აი, დიდოსტატ არსაკიძის რელიგია. ამიტომაც არის მის სულთან ესოდენ ახლოს იაკობისა და ღვთის ორთაბრძოლის ბიბლიური მოთხრობა. ამიტომაც ხატავს იგი სურათს ამ ორთაბრძოლისას, რაც რელიგიურ ფილისტერებს მწვალებლობად ეჩვენებათ. არსაკიძის კრედო კი გადმოცემულია შემდეგ სიტყვებში, რომელსაც იგი ეუბნება შორენას: „მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც ისე მრუდედ წარუშართავს არსთა განმგებელს, ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავსა და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს. გვეროდეს, ჩემო, საპატიო ვალთა კაცი-სა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქე“.

სწორედ განღმრთობით, თეოზისით მიღწეული კეთილი მეტოქეობა უფლისა ათქმევინებს მძიმედ დაკოდილ არსაკიძეს, სვეტიცხოველში ტაძრის კურთხევისას საკაცზე მწოლიარეს, ბიბლიურ სიტყვებს უფლისას: „იქმენინ ნათელი“. ღმერთმა სამყაროს შექმნისას წარმოთქვა ეს სიტყვები, არსაკიძემ კი სვეტიცხოვლის შექმნისას. აი, რა გაგებით ებრძოდნენ ღმერთს იაკობი და არსაკიძე (ამავე გაგებით ებრძოდა ღმერთს ის ერი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ იაკობს შეადარა: „გერმანელი არის ღმერთთან მორკინე იაკობი“. Anno 1923, „ლიტერატურული პარიზი“).

„სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს“ – გვეუბნება იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში. არსაკიძის რელიგიურობაც საქმით უფრო მჟღავნდება, ვიდრე სიტყვით. სვეტიცხოვლის შენებაა მისი რელიგია და არა ფარისევლური ღალადისი, ან ბეჯითად სმენა ყოველი წირვისა, მწუხრისა თუ ცისკრისა, გარდა ამისა, ანტიპატია ცალკეული ნეგატიური სამღვდელო პირებისადმი, მათი წირვისთვის თავის არიდება როდი ნიშნავს მის ათეიზმს, რაც დაასკვნა კრიტიკოსმა ა. მარჩენკომ მოსკოვურ გადაკეთებულ თარგმანზე დაყრდნობით, სადაც გიორგი მეფის სიკვდილის სცენაც გამოტოვებულია, მისთვის სულთანანს კითხ-

## ლიტერატურული წერილები

ვა და ა.შ. ხოლო არსაკიძეს მიეწერება სიტყვები: „ჩელოვეკუ ნე ნუჟენ ბოგ“, რასაც დედანში არ ვხვდებით.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ასახავს საქართველოს ისტორიის ისეთ პერიოდს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით მისი მთიულეთი, იყო ასპარეზი ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლისა, რასაც გვამცნობს, უწინარეს ყოვლისა, ქართული ისტორიოგრაფია. ეს ჭიდილი გრძელდებოდა არა მხოლოდ ისტორიის ასპარეზზე, არამედ ადამიანთა სულებშიც. გმირის გამოძერწვისას ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება მოითხოვდა სწორედ იმას, რომ არსაკიძეც და გიორგი მეფეც გაორებულ პიროვნებებად გვევლინებიან ჟამიდან ჟამზე. გიორგის წარმართული ჰედონიზმი, მიჯნურობით გატაცება ეძალება ნადიმობისას, მართალია რწმენა შერყეული აქვს ფარსმანის მაგიისა და ასტროლოგიის მეოხებით, მაგრამ სტანჯავს მისტიური ხილვა მის სპათა მიერ შემთხვევით გადამწვარი ოლთისის ეკლესიისა და ფანატიურად სწამს, რომ გველისფერი წმინდა გიორგი მოუღებს ბოლოს წელის მოწყვეტით, ხატთან არაგულწრფელი მისვლის გამო. რაც მართლაც აუხდება. მაგრამ ერთიანი საქართველოს მთავარ დულაბად იგი მაინც ქრისტიანობას ხედავს და სწორედ ქრისტეს სახელით ლაშქრობს ფხოვში, ქრისტესა და ერთიანი საქართველოს სახელით. სიკვდილის წინ კი სინანული შეიპყრობს და მიიცვალება როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, სულთათნას სმენით, რომელსაც უცნობი დიაკონი უკითხავს მას, უშიშარაისძის მიერ მოყვანილი.

ჩვენს მეფეთა შორის უდიდეს ქრისტიანს დავით აღმაშენებელსაც კი ჰქონდა პერიოდი, როდესაც მას ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტობა აეჭვებდა. მის ისტორიკოსთან ვხვდებით დავითის გამონათქვამს სვეტიცხოვლის შესახებ: „ჰოი რად უწყი, რად არსს კონცხსა მას და რასა თაყვანს ვსცემთ?“ რელიგიური შემეცნების გზა არ არის სწორხაზოვანი. ვისაც სკეპტიციზმის გესლი არ უგრძნია, იგი ვერასოდეს შესულა რელიგიური შემეცნების სიღრმეებში. დოსტოევსკი ამადაც ამბობდა თავის ათეისტ ოპონენტებზე: „ეს საცოდავები თვით ღვთის უარყოფის ძალითაც კი ვერ მჯობნიანო“. ასეთივე ღვთის უარყოფა სჩანს ეშენაზის „პარსიფალში“, რომელიც შემდეგ კვლავ ღმერთს უბრუნდება. ეს არის გზა უძლები შვილისა.

არსაკიძესაც ახასიათებს ეს გაორება. იგი, ქრისტიანი ხუროთმოძღვარი, წარმართულ მუხის კულტსაც არ ივინყებს და მამალს სწირავს მუხას ყვავილმოხდილი. მაგრამ არსაკიძე ნეტარია, ვითარცა იაკობი, რამეთუ იგი შეერკინა შემოქმედს სვეტიცხოვლის აგებით, რითაც სძლია სიკვდილს. იგი უფლის დარად ნათლის შემოქმედია.

„არც ერთ ერს არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ ამორებდა“. – წერდა კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ ესეში. ალბათ იშვიათია მწერალი, რომელსაც იმგვარად შესძლებოდა ქრისტიანობის გაშუქება პოეზიის ოპტიკით, როგორც ამას ვხვდებით მის რომანებში.



## „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება

### კურტუაზული DAME

როგორც უკვე აღინიშნა ჩვენს მიერ, აკად. ნ. მარრმა ვეფხისტყაოსნის სტროფების ანალიზისას მიუთითა პოემის მსგავსებაზე შუასაუკუნეთა რომანული ლიტერატურის ნიმუშებთან და რუსთველურ მიჯნურობას უწოდა იდეალიზირებული სიყვარული, რომელიც ენათესავება კურტუაზული სიყვარულის გაგებას. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ვასალურ დამოკიდებულებაზე მიჯნურთა შორის, რომელშიც, როგორც წესი, მიჯნური ქალი სიუზერენია, ხოლო მამაკაცი – ვასალი, რითაც ურთიერთს დაუნათესავა ვეფხისტყაოსანი და დასავლეთის რაინდული რომანი. ამასთან, მარრის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანში არეკლილია მადონას კულტი და კურტუაზული *amour douce*, რისი დანახვაც შეუძლებელია პოემის შინაარსის ალეგორიული გააზრების გარეშე, ვინაიდან აქ უშუალოდ არ არის ნახსენები არც ღვთისმშობელი და არც სოფია.

აქედანვე ცხადი ხდება აგრეთვე, რომ ნ. მარრს რუსთველისეული მიჯნურობა მიაჩნდა საღვთო სიყვარულის ბაძვად, ალეგორიად. ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე შუასაუკუნეთა ლიტერატურის ნიმუშებთან სხვა მოსაზრებებიც გამოთქმულია, მაგ., ა. ზუტენერისა (ჟურნ. „ივერია“, 1884, №XI-XII), პროფ. ზ. ავალიშვილისა (2), ვ. შიშმარიოვისა (ენიმკის მოამბე, 1938, III, გვ. 229-250), პროფ. ვ. ნოზაძისა (31), აკად. ალ. ბარამიძისა (3) და სხვათა მიერ.

პროფ. ვ. ნოზაძე უარყოფს ვეფხისტყაოსანში ქალის კულტს, ვინაიდან მისი მოსაზრებით, ეს კულტი რელიგიური გაგებაა. გარდა ამისა, მისი აზრით, კურტუაზული ლიტერატურის იდეალია გათხოვილი ქალი, ხოლო ვეფხისტყაოსნის გმირი ქალები ქალწულნი არიან (31, 25). მსგავს თვალსაზრისს ავითარებს აგრეთვე აკად. ალ. ბარამიძე, რომლის მოსაზრების მიხედ-

ვით ქალის კულტის ქართული ვარიანტი აბსოლუტურად გამორიცხავს რელიგიურ მომენტს. ვეფხისტყაოსნის ქალის კულტს იგიც უპირისპირებს დასავლეთის კურტუაზულ იდეალს, სადაც, მისის თქმით, მხოლოდ გათხოვილი ქალები არიან მიჯნურობის, ანუ მინნეს ობიექტები. მისი აზრით, კურტუაზული პოეზია „არსებითად უმღეროდა მეუღლეობრივი ერთგულების დარღვევას, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ უმღერის ქალწულისადმი უმანკო სიყვარულს“ (3, 45).

ამგვარი მტკიცება მართებულია კურტუაზული ლიტერატურის მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშთან დაკავშირებით, ვინაიდან არსებობს ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც სწორედ ქალწულისადმი უმანკო სიყვარულია გაიდევალებული (რაზედაც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ). გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვთქვით, ვეფხისტყაოსნის პროლოგში რუსთველი ავლენს მიჯნურობას თამარ მეფისადმი, გათხოვილი ქალისადმი, თუმცა მიუხედავად ამისა, მისი სიყვარული უმანკოა და ამაღლებული, განსხვავებით ტრუბადურების ხორცადი სიყვარულისაგან (*Charnelle*).

კურტუაზული მწერლობის ზოგი ნიმუში მართლაც უმღერის ადიულტერს, ანუ მეუღლეობრივი ერთგულების დარღვევას, მაგრამ არსებობს ისეთი რომანები და პოემები, სადაც სწორედ მეუღლეობრივი სიყვარულია გაიდევალებული. ასევეა მინნეს პოეზიაში. მართალია, შუასაუკუნოებრივი „მინნე“ უპირატესად გათხოვილი ქალებსადმი იყო მიმართული, ვინაიდან ქალწულები უმეტესწილად მონასტრებში იყვნენ აღკვეცილნი და არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ეს როდი მოასწავებდა ქალწულებრივი ცხოვრების იდეალის გაქრობას (120, 8). იმ ქვეყნებში სადაც არსებობდა ქალწულ



# ლიტერატურული წერილები

მარიამის კულტი, ლიტერატურა ამგვარ იდეალს ვერასგზით ვერ აუვლიდა გვერდს. ასე რომ კურტუზაზული ლიტერატურისა და მინნე პოეზიის ნიმუშები შეიძლება დავყოთ, ძირითადად, ორი ტიპის ნაწარმოებებად: 1. რომანები თუ პოემები, სადაც ქალწულებრივი იდეალია დამკვიდრებული და შექებულია მეუღლეობრივი სიყვარული („ფლამენკა“, „პერსევალი“, „ერეკი და ენიდა“, „კლიუესი“ და სხვანი), 2. რომანები თუ პოემები, სადაც აღწერილია ადიულტერი და შექებულია მეუღლეობის გარეშე სიყვარული (მაგ., „ტრისტან და იზოლდა“, „ლანსელოტი ანუ ურმის რაინდი“ და სხვა). რით არის გამოწვეული ეს განსხვავება?

საქმე ის არის, რომ ამ ორი ტიპის მიმართება სიმბოლურად ასახავს რაინდული რომანების გმირთა სულიერი განვითარების გარკვეულ საფეხურებსა და დონეებს. სწორედ სულიერი განვითარების დონით განსხვავდებიან ურთიერთისაგან მიჯნური რაინდები: პერსევალი და გავანი, ივეინი და ლანსელოტი, თითოეული მათგანის მსახურება Dame-სადმი ასახავს მათი ინიციაციის გზის სპეციფიკას, ვინაიდან არსებობდა „მინნეს“ სრულყოფის სხვადასხვა საფეხურები. სულიერად და ეთიურად ნაკლებად სრულყოფილი რაინდი ადიულტერის გზაზე იდგა, ან ჰედონიზმის გზაზე. ყველაზე სრულყოფილი იყო ის რაინდი და ის მინნე, რომელიც დამას ემსახურებოდა, როგორც წმინდანს (120, 121). ამის გამო კრეტიენ დე ტრუა თავის „ივეინში“ მინნეს უწოდებს წმინდა საქმეს, ღვთისგან მომადლებულს, საღვთო სიკეთეს. (ამას ენათესავება რუსთველისეული განსაზღვრა მიჯნურობისა, რომელიც არის „საქმე საზეო“, „მომცემი აღმაფრენათა“ და სხვა). მინნე უმაღლესი სულიერი სიქველეა და ასულიერებს ყველა საგანს, ყოველივე მიწიერი მის გარეშე არარაობაა.

მართალია, რაინდობამ შუასაუკუნეთა Civitatis Dei-ს (საღვთო მოქალაქეობის) საპირისპიროდ შექმნა საერო იდეალი კაცობრიობისა, როგორც ახალი ღირებულება, მაგრამ ეს ახალი საერო მსოფლმხედველობა არ იყო გათიშული მისტიკისა და ეკლესიისაგან. თან ამავე დროს იგი არც ამსოფლიური სინამდვილისაგან იყო გაუცხოებული. მინნეს სამსახურიც ასკეტიზმის ახალი

ფორმა იყო რაინდთა გარკვეული კატეგორიისათვის, თუმცა ეკლესიური მსახურებისგან განსხვავებით, Dames-ს სამსახურში გამოკვეთილი იყო პიროვნული მომენტი, ეს იყო სიყვარული ქალბატონის იდეა-ერსონისადმი. თავისი არსით კი Dames-ს სამსახური იგივე იყო, რაც ქრისტიანული ღმერთის სამსახური, ამ თვალსაზრისით ქალისადმი სიყვარული ქრისტიანული სიყვარულის გაგრძელებაა (120, 141, 193). მიჯნურობით გამოწვეული მგლოვიარება, ტირილი, ასკეტური მინნე-მსახურების ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია, ისევე როგორც დაბნედა და სიკვდილი მიჯნურობისაგან. მინეზინგერებს ახასიათებთ ცრემლი, რომელიც არსებითი, სასიცოცხლო მომენტია სამიჯნურო მსახურებისა და იწვევს სულიერებასთან მიახლებას. ეს ყოველივე საოცრად ემთხვევა რუსთველისეულ მიჯნურობის კრედოს, რომლის მიხედვითაც მიჯნური „შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“, მას ახასიათებს „საღმრთო სი-ახლე“ და „აღმაფრენა“, ცრემლი, სულთქ-მა და სხვა, ხოლო მიჯნურობის იდეალად მიჩნეულია „სოფლისა თმობა“, ანუ სოფლისაგან განდგომა, გაჭრა. მიჯნურობაში სინმინდე, სიძვის, მრუშობის უარყოფა აახლოებს რუსთველურ კონცეპციას მინნეს რაინდთა ასკეტიზმთან, დამის, ვითარცა წმინდანის მსახურებასთან.

ამგვარი განწყობილებებით გამოირჩევა შუასაუკუნოებრივი საკარო ეპოსი, რომელშიც შეერთდა ორი კულტურა: ჩრდილო-ევროპის სარაინდო და სამხრეთ ევროპის საკარო-სამიჯნურო, რამაც მოგვცა თავისებური სინთეზი, როგორც მაგალითად, „ენეასის“ რომანში (XIII ს.), ბენუა დე სენტ მორის ნაწარმოებში, სადაც აქილევსი სიყვარულის ვასალია, რომელიც უხვად ღვრის ცრემლს, ასევეა მედეა. ცრემლი უხვად არის პოემა „ფლამენკაში“ (სადაც სხვათაშორის, რაინდები ქალწულებით უფრო ინტერესდებიან, ვიდრე გათხოვილი ქალებით). ამგვარ ეპოსს ახასიათებს აგრეთვე მიჯნურის მონოლოგი, რომელიც მოგვითხრობს მის განცდებზე, მის ტანჯვაზე. (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ტარიელის მიერ მონოლოგიური თხრობა თავისი მიჯნურობის ამბისა).

# ლიტერატურული წერილები

შუასაუკუნეთა მისტიურ-რელიგიურმა მიმართულებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მინნე-პოეზიაზე. მინნეს მსახური მინიერი სიამოვნებით აღარ კმაყოფილდებოდა და მიეღწეოდა სულიერ და აზროვნებით ნეტარებას, სულიერ სიმყუდროეს, განდეგილობას. პროვანსელ მგოსანთათვის მიჯნურისადმი სიყვარული უფრო იდეა იყო, ვიდრე სინამდვილე, აზრისმიერი ტრფობა მათთვის უფრო მაღლა იყო, ვიდრე რეალური (აქედანვე მოდის დანტეს *Amor intellectualis*). მიჯნურის ვითარცა ღვთის თაყვანისცემა უზენაესი პუნქტია მინნემსახურებისა (120, 191). ქალის, ვითარცა წმინდანის, ვითარცა ღვთის მსახურება იყო მარადიული ღირებულება, ეს მსახურება ეკლესიის წიაღში როდი ხდებოდა, არამედ კურტუაზიაში (*cortezia*). მიჯნურის ხილვა იწვევდა საღმრთო სიახლეს (*gottiche nahe*). (როგორც ვხედავთ, სიტყვასიტყვითი დამთხვევაა რუსთველისეულ ტერმინოლოგიასთან). თაყვანისცემის ყოველგვარი ფორმა მიჯნურზე იყო გადატანილი, რაინდებს ეწოდებოდათ მონამენი (*marturer*), ისინი ისევე მოელოდნენ მიჯნურისაგან მაღლსა და წყალობას, როგორც ღვთისაგან, რაც აგრეთვე გვაგონებს რუსთველის დამოკიდებულებას თამარ მეფისადმი:

მიაჯეთ ვინ, ხორცთა დანვა კმა არს,  
მისცეს სულთა ღხენა.

ამგვარი მაღლის აღმნიშვნელი პროვანსული ტერმინია *merce*, ძველგერმანული - გენადე, *Dame*-ს წყალობას ძველფრანგულად ეწოდებოდა პიტიე რაც „შენწყალებას“ უახლოვდება. (ანალოგიური გამოთქმებია „თამარიანის“ ოდებში, სადაც ავტორი მიმართავს თამარ მეფეს: „ვიცი გენყალი, დამნთქავს მე წყალი“, „გაქვს არსთა წყალი, თვით მე გენყალი“ და სხვა).

კურტუაზულ მიჯნურს ისეთივე რიდი და კრძალვა აქვს *Dame*-სი, როგორც ღვთისა, რაც ემთხვევა რუსთველისეულ გაგებას:

დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი  
ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ამრიგად, კურტუაზული გაგებით, ღმერთი წარმოიდგინებოდა, როგორც სიყვარული, რომელიც განაგებს ყოველივეს. კრეტიენ დე ტრუა სიტყვა *Amour*-ს ხმარობს ხან მამრობითი ღვთაების მნიშვნელო-

ბით, ხანაც მდედრობითის. მაგ. „კლიჟესში“ და „ივენში“ ეს ცნება მდედრობითი გაგებით იხმარება, ისევე როგორც ტრისტანის შესახებ რომანებში. ამასთან *Amour* დიდი ასოთი იწერება და წარმოადგენს აბსტრაქტული ცნების პერსონიფიკაციას (ასევე დანტეს „ვიტა ნუოვაში“). ახალი დროის მედიევისტიკის მონაცემების მიხედვით, შუა საუკუნეების ევროპაში, პროვანსსა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა *Fedeli d Amore*, ანუ *Fideles d Amour* („მიჯნურობის მორწმუნენი“), რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ინიციატორულ ორგანიზაციას; ამ გაერთიანებას ეკუთვნოდნენ ტამპლიერები, ალბიგოელები, კათარები, გრაალის მიმდინარეობის რაინდები, ტრუბადურები და „დოლჩე სტილ ნუოვოს“ სკოლის პოეტები. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებითა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს. ეს ენა დაფარული იყო *la gente grossa* -სგან (უხეში ხალხისგან), იგი ესმოდათ მხოლოდ ძმობის წევრებს. აქ იყო გამეფებული „ერთადერთი ქალის“ კულტი, („ქალი“ ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტული ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო). ამ მიმდინარეობას ახასიათებდა დაფარულ სპირიტუალურ ჭეშმარიტებათა ცხადქმნა ლიტერატურის მეშვეობით (103, 127), რაც ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა დანტეს შემოქმედებაში, რომელიც იყო წევრი *Fedeli d Amore*-ს ძმობისა (76). ჩვენის თვალსაზრისით ამ მიმდინარეობის იდეებს გამოცხადებული უნდა ჰქონოდათ საქართველოშიც, რაზედაც ამჯერად ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორულ მეტყველებას გარკვეული თვალსაზრისით ენათესავება „მიჯნურობის მორწმუნეთა“ საიდუმლო ენის ზოგი თავისებურება, რასაც ჩვენ ოდესმე დეტალურად განვიხილავთ.

ახლა დავუბრუნდეთ მეუღლეობრივი სიყვარულის დაპირისპირებას ადიულტერულ სიყვარულთან კურტუაზულ მწერლობაში. კრეტიენ დე ტრუას „პერსევალი“, „ერეკი და ენიდა“, „კლიჟესი“, ისევე როგორც ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“ და სხვანი მეუღლეობრივ სიყვარულს უმ-

## ლიტერატურული წერილები

ღერძიან. მათი იდეალია სიყვარული ქალწულისადმი და არა ადიულტერი გათხოვილ ქალთან. მაგრამ ამავე დროს კრეტიენ დეტრუას „ლანსელოტი, ანუ ურმის რაინდი“ ავითარებს ადიულტერულ თემას. რით უნდა აიხსნას ეს? იქნებ კრეტიენი ღალატობს თავის იდეალს ასეთ შემთხვევაში, ან იფიქრებს მას? ასეთი ვარაუდი საკითხის გამარტივება იქნებოდა. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვთქვით, აქ რაინდის ორგვარი ტიპის, პერსევალისა და ლანსელოტის დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. მათ შორის დიდი განსხვავებაა, ვინაიდან ისინი განასახიერებენ რაინდული ინიციაციის სხვადასხვა საფეხურებს: ლანსელოტი არ არის ამაღლებული გრაალის რაინდის დონემდე, იგი ინიციაციის უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ამის გამო მისი Dame არის ავხორცი დედოფალი გინევრა, დაცემული ევას განსახიერება, ხოლო პერსევალის Dame არის წმინდა ქალწული ბლანშეფლორი („თეთრი ყვავილი“, რაც სულიწმიდას, სოფიას განასახიერებს).

ინიციაციის სიმბოლიკაში ადიულტერი განასახიერებს ეგოს მიერ საღვთო ცხოვრების (სულიერი ქორწინების) უარყოფას, მის გაცვლას ქვენა, მატერიალურ ცხოვრებაზე, საღვთო სიბრძნის (სოფიას) უკუგდებას და მის ნაცვლად სურვილებთან და სენსუა-

ლურ აქტივობასთან დაკავშირებას (113). ქორწინება სიმბოლოა ღმერთთან შერთვისა, ხოლო ადიულტერი ღვთისგან მოწყვეტისა, მატერიაში ჩაძირვისა, მატერიალური სამყაროს შემეცნებისა და ათვისებისა. ამის გამო უმანკო ქალწული განასახიერებს ზეციურ სოფიას, სპირიტუალურ გნოზის, ხოლო მეძავი, ქმრის მოღალატე - ამქვეყნიურ ფილოსოფიას და შემეცნებას. რამდენადაც რაინდული რომანების სიმბოლიკა სულის ყოველგვარ აქტივობას ასახავს და მოიცავს ადამიანური ყოფის ყველა მხარეებს და ნიუანსებს, მასში არეკლილია ეს ორივე გზა სულისა: ღვთისაკენ ზეაღმაველი და მატერიისკენ ქვედაღმაველი.

ვეფხისტყაოსანში ორივე სახის სიყვარულია აღწერილი, სიყვარული უმანკო ქალწულებისადმი, რომელიც ქორწინებით თავდება და ადიულტერული, რომელიც არღვევს მეუღლეობრივ ერთგულებას. ამით ალევგორიულად არის ნაჩვენები ორი გზა ადამიანური შემეცნებისა და სულიერი განვითარებისა: ერთის მხრივ სულის სრულყოფისა და ინიციაციისა, ხოლო მეორე მხრივ ამქვეყნიური, მატერიალური სინამდვილის შემეცნებისა და დაუფლებისა, რომელთა ურთიერთშერწყმა აუცილებელია ინიციაციის იდეალის მისაღწევად.

## ტარიელის სახე და ღვთის სოსლანი

როგორც ადრე აღვნიშნავს, ვეფხისტყაოსანში ალევგორიულად შექმნილია საკრალური არსებები, მაგრამ ამავე დროს ისინი პოეტისთვის მის თანამედროვე ისტორიულ პიროვნებებსაც განასახიერებენ. ასე მაგალითად, სულიწმიდის მინიერი გამოვლინებაა თამარ მეფე, ახალი სოფია, პარაკლეთი, სულთა მლხენელი, ენის, გულის, ხელოვანების მომადლებელი, მიჯნურობის ცეცხლის აღმგზნები, მიჯნურობის დამბადებელი, თავად „პირველი“ მიჯნურობა, „ტომი გვართა ზენათა“. ვეფხისტყაოსნის გმირებში კი მას შეესაბამება თინათინი და ნესტანი, რომელნიც მის ორ სხვადასხვა ასპექტს გამოხატავენ. ასეთი

საკრალური არსების გვერდით ბუნებრივია ვერ იდგებოდა ჩვეულებრივი მოკვდავი, ამიტომ თამარ მეფის რაინდი, დავით სოსლანი, პოეტის წარმოსახვაში წმ.გიორგის, ღვთის რაინდის მინიერი გამოვლინებაა და ალევგორიულად შექმნილია, როგორც ვეფხისტყაოსანი ტარიელი, მიქაელ-გიორგის მითოპოეტური სახე.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ წმ.გიორგის ქვეყნელად შთავლის მოტივის ნათესაობა ნართ სოსლანის საიქიოში ხმლით შეჭრასთან. ვეფხისტყაოსნის ნათესაობა ნართების ეპოსთან ცალკე გამოკვლევის საგანია. ამჯერად კი ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნართი სოსლანი შემთხვევით როდია დავით



# ლიტერატურული წერილები

სოსლანის ეპონიმი; მითიური ნართი წმ. გიორგის იმ სახეს ენათესავება, რომლის კულტიც ოსეთიდან კვლავ დაბრუნდა საქართველოში, როგორც „სპარსანგელოზი“, ანუ „სპარსი“ წმ. გიორგი და შეუერთდა წმ. გიორგის ქართულ კულტს. მისი იმპულსის მატარებლად ჩანს დავით სოსლანი. ე.ი. დავით სოსლანს მოსდგამს ნართი სოსლანის, ანუ ქრისტიანულად სპარსანგელოზის ძალა და მადლი, აქედანაა მისი ზედწოდება „სოსლანი“ (თუმცა ეს ზედწოდება სულაც არ მიუთითებს მის ეროვნებაზე, მის „არაქართველობაზე“, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია).

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დავით სოსლანი ოსეთის ბაგრატიონია (და არა ოსი), „ეფრემიანია“, ე.ი. ბიბლიური იოსების შთამომავალი, რომელიც არის წინასახე მესსიისა ძველ აღთქმაში. იოსების ქრელი სამოსის ნათესაობა ვეფხის ტყავის სიმბოლოსთან ზემოთ უკვე დავახასიათეთ და დავიმოწმეთ ბასილი დიდი, რომელიც ამ ორ სიმბოლოს აიგივებს. ამრიგად, მესიისა და წმ.გიორგის იმპულსის მატარებელი რაინდი, საქართველოს ბაგრატიონი მეფე, თამარის ლომი, რომელსაც „შვენის ხმარება შუბისა, ფარ შიმშერისა“, „შეფარვით“ შექებულია პოემაში მის გვერდით. რამდენადაც ბიბლიაში ლომი იუდას ცხოველად ითვლება, ხოლი ვეფხი ეფრემის ცხოველია, ეფრემიანი დავით სოსლანი ვეფხისტყაოსნად უნდა ყოფილიყო შექებული\*.

„აბდულმესიანის“ ოდების ერთ ნაწილში შექებულია მეფე-მამაკაცი, რომელიც უთუოდ დავით აღმაშენებელი უნდა იყვეს, მით უმეტეს, რომ ერთგან ნათქვამია მასზე, რომ იგი არის „დემეტრეს ძალით გარშეზღუდული“, ე.ი. ნახსენებია დავითის ვაჟი დემეტრე. მაგრამ სხვა ოდებში, ისევ მეფე-მამაკაცის ქებისას ნათქვამია, რომ მან დაიმონა შავი ზღვისაკენ ლიმონა (ლაზეთი, ტრაპიზონი), ხარკი დაადო

მას, „ვინც არის ჯიმშედს მფლობელი“, ე.ი. ნახსენებია 1204 წლის ამბები, ამასთან ნახსენებია გელათი, როგორც მეფეთა საძვალე, რომელიც დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში ჯერ დასრულებულიც არ იყო. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ „აბდულმესიანის“ სახელით ცნობილი ნაწარმოები ოდების კრებულია, რომელნიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შემთხვევის გამო არიან შექმნილნი ორი სხვადასხვა ავტორის მიერ, რომელთაგან ერთი შესაძლოა იყოს შავთელი (ან შესაძლოა, არსებობდა ორი შავთელი, როგორც ეს აკად. შ.ნუცუბიძეს მიაჩნდა).

აკად. კ. კეკელიძე კატეგორიულად გამოცხადებს დავით სოსლანის შექებას ოდებში. თუმცა იგი თავადვე აღნიშნავს, რომ ლიმონას აღება, ჯიმშედს მფლობელის ხარკის დადება ანაქრონიზმი იქნებოდა დავით აღმაშენებლის ეპოქისათვის. მიუხედავად ამისა, იგი ოდების ხოცბის ერთადერთ ობიექტად მაინც დავით აღმაშენებელს სახავს (თამარის გვერდით), ვინაიდან მისი თქმით დავით სოსლანი არ შეიძლება დავსახოთ ისეთ დიდებულ და სახელოვან მეფედ, რომელიც პოეტს მხედველობაში ჰყავს. მიუხედავად ჩვენი დიდი მოწინებისა კ.კეკელიძის წინაშე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს დავით სოსლანი მხოლოდ იმდენად იყო მეფე, რამდენადაც იყო თამარ მეფის მეუღლე და მეტი არაფერი (კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 240).

დავით სოსლანი იყო ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი თამარის საქართველოს ძლიერებისა, მის სამხედრო წარმატებათა უმრავლესობის სულისჩამდგმელი, უდიდესი მხედართმთავარი საქართველოს ისტორიაში, ბარდავის, არზრუმის, შამქორისა და ბასიანის გმირი, აროდეს დამარცხებული ბრძოლის ველზე, როგორც ამას აღნიშ-

\*საინტერესოა, რომ ინგლისში, რამდენიმე საუკუნით გვიან, XVIII. შეიქმნა ანალოგიური ალეგორიული პოემა, „ფერეიული დედოფალი“ ჰ. სპენსერისა, სადაც გამოყვანილია ინგლისის დედოფალი ელისაბედი, როგორც აგრეთვე ღვთის ინკარნაცია, ალეგორიული სახელებით „უნა“ (ერთი) და „გლორიანა“ (დიდებული). ამავე დროს პოემაში მისი რაინდია წმ.გიორგი, ანუ „წითელი ჯვრის რაინდი“. სავსებით ბუნებრივია, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში დეეფიცირებული მეფე-ქალის გვერდით მხოლოდ ამგვარი პალადინის წარმოდგენა თუ შეეძლო პოეტს. გარდა ამისა, სპენსერს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქალწულს, რომელიც იხსნა წმ.გიორგიმ გველეშაპისაგან და რომელიც სოფიას განასახიერებს, ერქვა ელისაბედი.



## ლიტერატურული წერილები

ნავს მემამათიანე: „კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა“. საჭიროა ოდების უფრო ზუსტი კლასიფიკაცია, რათა გაირკვეს, თუ რომელ ოდაში იგულისხმება დავით აღმაშენებელი, რომელში დავით სოსლანი და რომელში თამარ მეფე. მაშინ მოიხსნება ის გაუგებრობა, თუ რად ეწოდება აქ შექცეულ მეფეს იესიან-დავითიანი და არა ეფრემიანი, როგორც იყო დავით სოსლანი. ის ოდები, სადაც მეფე იესიან-დავითიანია, დავით აღმაშენებელს და თამარს გულისხმობენ. ხოლო დავით სოსლანისადმი მიძღვნილ ოდებში ორგან საგანგებოდ იხსენიება იოსები, ეფრემის მშობელი (46, 48), დავით სოსლანის წინაპარი, როგორც იმჟამად მიაჩნდათ. ოდებში დავითი იდენტიფიცირებულია წმ. გიორგისთან, როგორც „მხედარი ღვთისა სამხატოვნისა“ (14), აგრეთვე რამასთან, რომელიც წმ. გიორგის, როგორც მზიური გმირის წინარე სახეა ინდურ ეპოსში: „ეს რომ ა რამით“ (24), ასევე ჰერაკლესთან: „გამცრობს ჰერაკლე, სპარსთა ერ აკლე“ (აქ შესაძლოა ორივე იგულისხმებოდეს: ანტიური მითების ჰერაკლე და ჰერაკლე კეისარიც), იგი ზის შავ ტაიჭზე (50), როგორც ტარიელი და მოსავს ტყავის სამოსი, რომელიც უთუოდ ვეფხის ან ლომის ტყავისა იქნებოდა, სამეფო და მითოლოგიურ ტრადიციისამებრ:

აქვს მას ტრიონი  
სანატრიონი  
სანმისისაგან  
სამოსად გარე.

„ტრიონი“ ნ. მარრის განმარტებით ტყავის გარეთმა კაბას ნიშნავს. ხომ არ არის ეს კაბა „გარეთმა ვეფხის-ტყავისა?“ შესაძლოა, „სანმისიც“ აქ ვეფხის ტყავს ნიშნავდეს. დასაშვებია რომ დავით სოსლანი ატარებდა ვეფხის ტყავს, როგორც მეფეთა ტრადიციულ მაგიურ სამოსელს, ბრძოლებში გამარჯვების სანინდარს. (ძნელი დასაშვებია, მეფეს ცხვრის ტყავი ეტარებინოს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ცხოველის თმის ტყავის სამოსზეა საუბარი). \*

ოდებში სოსლანი, ისევე როგორც ტარიელი „ვეფხისტყაოსანში“, სამყაროს მზესთან არის შედარებული, რაც მის საკრალურ ბუნებაზე მიუთითებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან იხსენიება მოსიმახოს, მოისრობის ხელოვნების მასწავლებელი. ეს მოსიმახოს პირდაპირ იხსენიება დავით სოსლანთან დაკავშირებით „ისტორიანსა და აზმანში“: „მაშინ აღიჭურვა და შეიჭურვა მეფე... შეირტყა მშვილდკაპარჭი, მოსიმახოს უცთომელმან მსროლელმან და ვითარ განსწავლულმან კენტავროსისაგან“ (ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1959, ტ. II, გვ.69). იგივე მოსიმახოს იხსენიება შავთელის ოდაში მისი ქების ობიექტთან, მამაკაც მეფესთან დაკავშირებით:

მოსიმახოსა-  
მოს იმახოსა  
მახვილი თქვენი  
მტერთა მწყობელი!

ამ თანხვედრაზე კი აკად. კ.კეკელიძე არას ამბობს. კ.კეკელიძე ატარებს პარალელს ოდებსა და სასულიერო ენკომიებს შორის, რომელთაც უთხზავდნენ სულიერ გმირებს, წმინდანებს გარდაცვალების შემდგომ. ჩვენ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია ოდები სასულიერო ტრადიციებს ეყრდნობიან, მაგრამ ძირითადი განსხვავება მათსა და ჰიმნოგრაფიას შორის არის ის, რომ ოდები აქებენ ცოცხალ თანამედროვეებს, უპირატესად მონარქებს, სასულიერო ჰიმნები კი გარდაცვლილ წმინდანებს. ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დავით აღმაშენებელი ამ ოდების ხოტბის ობიექტად, ვინაიდან იგი ამ დროს უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. მით უმეტეს რომ აშკარაა, ეს ოდები აქებენ ცოცხალ თანამედროვეს, ენკომიის, მოსახსენებლის ტონი კი მათ აშკარად არა აქვთ.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ზოგიერთი ოდებიდან ნათლად ჩანს, რომ მათში შექცეული მონარქები ერთმანეთის მეუღლენი არიან:

გვრიტა მართვისა  
თვარ, აქვს მართ ვისა,  
თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?  
წარ თუ წირულ ვართ,  
არ განწირულ ვართ,  
რადგან თქვენ გპოვეთ  
მზედ უფლობისა. (62).

\*„ტრიონი“ საბას განმარტებითაც „ფართო სამოსელია ფილოსოფოსთა ბალანთაგან“.

# ლიტერატურული წერილები

ვგონებ ნათელია, რომ აქ თამარ მეფე და დავით სოსლანი იგულისხმებიან. დავით სოსლანი შექებულია ისეთივე ეპითეტებით, როგორითაც ამკობდნენ მიქაელ მთავარანგელოზსა და ნმ.გიორგის:

ვაქებდეთ ერნო,

ყრმანო და ბერნო  
საუნჯედ ჩვენთვის  
მონიჭებულსა  
ქ რ ი ს ტ ე ს მ ხ ე დ ა რ ს ა  
მხნე-ახოვანსა,  
პირადპირადად  
განშვენებულსა,  
ნათლად ბნელისა,  
გარდმოფენილსა,  
ეთერთა ელვად  
დასახებულსა,  
სინმიდის ბაზმად  
არ ბილწად, კაზმად,  
ნათლის ემბაზად  
დაარსებულსა.  
ღმერთმან და ძემან  
ღმრთისა სიბრძნემან,  
ჰყოს ეს უაღრეს  
სულთა ყოველთა,  
ნათლად, ცხორებად,  
არ განშორებად  
ზეცისა ძალთა,  
გუნდთა ცხოველთა,  
მ ნ ე დ ტ ა რ ი გ ი ს ა დ ,  
ვითარ იგი სად  
ცხორებდა ჩვენთვის  
ქვეყნად ქვე-ველთა,  
ალაგოს ახლად,  
სწავლის თან სახლად -  
ასურვა ენა  
მისი მსმენელთა. (76, 77)

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ეს ქრისტეს მხედარი არის აგრეთვე „მნე ტარიგისა“ ანუ კრავისა, ქრისტესი („მნე“ ძველქართულში ნიშნავს მოურავსაც და მხედართმთავარსაც). ასეთი ეპითეტით კი შეიძლება მხოლოდ მიქაელ მთავარანგელოზის ან ნმ.გიორგის მოხსენიება.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის ურთიერთმიმართებებზე, აღვნიშნეთ, რომ ვეფხისტყაოსნის მრავალი საკვანძო პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია ოდების დეტალური ანალიზის გარეშე, ვინაიდან არსებობს

უღრმესი კავშირი ამ ორ ნაწარმოებს შორის და თუ გვსურს ჩავწვდეთ ვეფხისტყაოსნის ავტორის ჩანაფიქრს, თამარის სახის ალეგორიულ გარდატეხას ვეფხისტყაოსანში, უნდა შევისწავლოთ „თამარიანის“ ტროპიკა და იდეურ-მხატვრული თავისებურებანი.

იგივე ითქმის დავით სოსლანის სახის გაგებაზეც. „აბდულმესიანის“ სახელით ცნობილ ოდებში მოცემულია დავით სოსლანის სახე იმგვარად, როგორც ესმოდათ იგი XII საუკუნის საქართველოში, ასე რომ მისი პარალელური განხილვა ვეფხისტყაოსნის მამაკაც გმირებთან გვეხმარება ავტორისეული ჩანაფიქრის ინტერპრეტაციაში.


\* \* \*

საქართველოში ქრისტიანობა წმინდა სახით არსებობდა მხოლოდ საეკლესიო ფენისათვის და არისტოკრატიული ელიტისათვის, ხალხში კი იყო ნმ.გიორგის კულტი, რის გამოც ბერძნები, ევროპელები და სხვა უცხოელნი ქართველებს გეორგიანებს უწოდებდნენ, მათი სარწმუნოებრივი ფორმიდან გამომდინარე. თავისი არსით გეორგიანობა იგივე მებრძოლი ქრისტიანობაა, ასე ვთქვათ, სამხედრო ქრისტიანობა, რომელსაც ემყარებოდა ჭაბუკთა ანუ მოყმეთა ინსტიტუტიც, რომლის იდეოლოგიის გამომხატველია ვეფხისტყაოსანი და ამირან-დარეჯანიანი. თავის მხრივ გეორგიანობას, ანუ ქართულ ქრისტიანობას ახასიათებს აგრეთვე მკვეთრად გამოხატული ღვთისმშობლის კულტი, ვინაიდან ეს ორი გაგება განუყრელია ქართველი ხალხის რელიგიურ ცნობიერებაში.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქრისტიან-გეორგიანთა ქვეყანაში, ხალხის ეს ორი სათაყვანებელი არსება (ღვთისმშობელი და ნმ.გიორგი) მხოლოდ საეკლესიო ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის ობიექტები ვერ იქნებოდნენ. ისინი ქართული ფოლკლორისა და მითოლოგიის მთავარი პერსონაჟები არიან, მათ ვერ გაემიჯნებოდა ვერც საერო მწერლობა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ღრმა ხალხურობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ხალხის ეს ორი ძირითადი სალოცავი ხატება მითოპოეტურ სახეებად არის ქცეული.

## ტაბუ

(იბეჭდება შემოკლებით)



\* \* \*

და თქვენ იცით, რა ძნელია პოეტისათვის კრიზისი? კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზმანებისა და მითის ჯადოსაგან.

კრიზისი?

უმითოდ ყოფნა.

ჩვენთვის: არ ყოფნა.

დადიხარ ამ ქვეყნად ზედმეტი კაცივით. გაზარმაცდები. მელნის სუნი შეგძაგდება, როგორც ნაბახუსევზე ღვინო კახური და თვითვე გიკვირს, რომ ოდესღაც სული გედგა მითების მთხვევლი და ადამიანების სიტყვით დაელექტრონება შეგეძლო.

ამგვარი კრიზისის დროს მე შემიძლია მხოლოდ ვინადირო.

\* \* \*

...პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქნა, რაც კი რამ შეიქნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ: მითი...

თუნდაც სოფელი ნაჭყვედი – ათასზე მეტი კომლი ამომწყდარა, ათასზე მეტი კერა ჩანაცრულა.

ფოცხვერები და ბუკიოტები კივიან ნასახლარებზე. ნაჭყვედის ეკლესია დარჩენილა მხოლოდ. საუკუნოების კომმარულ სიზმარში გართული. და მთელ საჭყოინდოში უდიდესს სოფლიდან დარჩა მხოლოდ ბნელი მითი და განა ერთი?

ნაჭყვედში ერთადერთი გვარი იყო დასაბამიდან: ხარბედიები. იმ დროს ჭყონდიდელი და დადიანი იბრძოდნენ ნაჭყვედის გამო. ჩოხიანმა ანაფორიანს აჯობა. დადიანმა ეს სოფელი ტყვარჩელიდან მოსულ ლომკაცია ბისკაიას და მის მრავალრიცხოვან ძმებს უბოძა. ბისკაიები მიმინოებს უმართავდნენ დადიანებს. აზნაურობაც ამ გზით მიიღეს.

მიმინო ძველ დროში ფარსაგი რამე როდი იყო. უმაღლესი-უნაგირს დაულოცავდა აზნაური აზნაურს, ვიდრე მიმინოს. მიმინოს სათხოვად მოციქულები იგზავნებოდნენ.

ის ქვის ნანგრევები ბისკაიების სასახლისგანაა დარჩენილი, ზურგით მოატანიეს ბისკაიებმა ხარბედიებს სასახლის ასაგები ლოდები. ხარბედიები ჭყონდიდელის გლეხები იყვნენ და ბატონის უღელი ეუცხოვათ.

მოზვერიც იუარებს პირველად უღელს, შეხტება, შეხვინტრიშდება. ბოლოს მაინც მიეჩვევა. ადამიანიც ყველაფერს ეჩვევა ბოლოს და ბოლოს. ბისკაიების და ხარბედიების ბრძოლამ მაინც დიდხანს გასტანა.

ბისკაიები ახლად გააზნაურებული მონადირეები და მეომრები იყვნენ. ხარბედიები – მეთოხეები და მეჯოგეები. გააზნაურებული გლეხი ხომ გაგლეხებულ აზნაურზე უარსეია. სულ მალე შეითვისეს ბისკაიებმა დიდკაცური იერი. გარაბადებზე მიმინოები უსხდათ. უამრავ მეძებრებს, ყარაბახულ ცხენებს და ავ ძაღლებს ინახავდნენ. და როცა ზაფხულის მიწურულში ბისკაიე-



ბი ბავლს გაუგდებდნენ მიმინოს, მთელი საწყყინდოს თავადაზნაურობა ნაწყყედში ნადიმობდა და ნადირობდა.

ვიდრე ლომკაცია ბისკაია ცოლს მოიყვანდა, ხარბედიების ქალებს მოსვენება არ ჰქონდათ... გათენებისას ბაზიერები და მეითარეები ბუკს დაჰკრავდნენ და ტყეებს შეესეოდნენ მონადირეები. ნასამხრალზე დამშეული მხედრები ტაბაკებს მოუსხდებოდნენ, ხოლო მეძებრები – სეფასავით გაჭიმულ როფებს.

ლრეობა ნაშუალამევამდის გასტანდა და როცა კვარის სანთლები შანდლებში ჩაიწვებოდნენ, მთვრალ მეინახეებს, ხარბედიების ფეხშიშველა, მკერდგათქვირული გოგოები ჭრაქებით ხელში შეუძღვებოდნენ დარბაზებში. მერმე ისმოდა ხის საწოლების ჭრაჭუნი და ხარბედიების ქალების უნუგეშო კრუსუნი. როცა ლომკაცია ბისკაიამ პირველ ცოლს სიტყვის შებრუნებისათვის ცხვირი მოსჭრა და მარშანიას ქალი მოიყვანა აფხაზეთიდან, ხუთას ნაბიჯზე გასჭიმეს სეფა.

სამი დღე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სმაში მეგრელები და აფხაზები. ოცი საპალნე ღვინო დაილია. მეოთხე დღეს ბისკაიებმა ჯიხვები იშიშვლეს და აფხაზი მაყრები გასტყეს, ღვინოში დამარცხებულმა აფხაზებმა ჩოხის კალთები აიკეცეს, ქანდარაზე ყაბახი გაიტანეს და დაუშინეს დამბაჩები მეგრელებმა და აფხაზებმა. ორი დღე ესროდნენ ყაბახს. ვერც ერთმა მაყარმა ვერ ჩამოაგდო ხიდან თასი.

ჩამოიარა ვილაც ესვანჯიამ, ცხენდაცხენ ესროლა დამბაჩა ყაბახს. ბისკაიებმა შეიპყრეს მგზავრი და განუკითხავად გადაადგეს ნისქილის ღარში.

ნადიმს ნადირობა მოჰყვა. სჩანს, ცუდ ფეხზე გამოსულან ამ დღეს ლომკაცია ბისკაია და მისი მაყრები. ნათურქალის ტყეში ვილაც შავჩოხიანი, წითური კაცი შემოხვდათ ცხენოსნებს. მოაფანდურებდა შავს ბედაურს წითელი ჩაბალახით თავნაკრული კაფანდარა კაცი. „გამარჯვება“ არ უთქვამს ისე გადაჰკრა თვალი ლომკაცია ბისკაიას მარცხენაზე, მჯდარ მიმინოს და ცხენს – მათრახი.

ელდანაცემებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს: მეყსეულად გადავარდა მიმინო ლომკაციას ხელიდან, ფრთა გაისწორა, გაფრინ-

და ეჟენის ჟღარუნით და გაუჩინარდა. ბევრი უწრუნუნა პატრონმა მიმინოს, მაგრამ გაფრენილს გაქცეული როდის მოსწევია! და შემოაბრუნეს ცხენები აფხაზებმა და ბისკაიებმა. შავჩოხიანის ცხენის კვალმა ზედ ხარბედიების ნისქილამდის მოიყვანა და აქ გაჰქრა. გამძვინვარდა გულ-ღვარძლიანი ლომკაცია ბისკაია, მთელი სოფელი წინ გაიგდო, ნათურქალის ტყეს შეუსია.

დიდი და პატარა დაძრწოდა ტყეში, ხორცის ნაჭრითა და ჩიტბადეთი შეიარაღებული ლაშოებს აფეთქვინებდნენ, უწრუნუნებდნენ ეძახდნენ ბატონის მიმინოს. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი, ვერც მიმინო იპოვეს, ვერც შავჩოხიანი რაინდი.

შეჰყარეს ხარბედიები დიდ მუხის ძირას. დაჭრილი ლომივით ბრდღვინავდა ლომკაცია ბისკაია, ხელში მათრახს ატკაცუნებდა...ერთი თვის ვადა მისცეს ხარბედიებს, ან მიმინო მოეძებნათ, ან შავჩოხიანი გაეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთი ბავშვების აკვნები აელოთ და ნაწყყედიდან გადახვენილიყვნენ. ლომკაცია დარწმუნებული იყო: თავხედი მხედარი რომელიმე ხარბედია უნდა ყოფილიყო.

„წითური კაცი ჩვენს გვარში არ ურევია, ბატონო ლომკაცია“ – არწმუნებდა მოხუცებული ხახუ ხარბედია გაცოფებულ ბისკაიას. „ჩვენ შავგრემანები ვართ და ნუ ინებოს წმინდა გიორგ სუჯუნამ, რომ კაცისობას წითური გვერიოს! ხარბედიები დასაბამიდან შავგრემანი ყოფილან. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ უხუცესებს ჩვენს შორის, ქალებსა და კაცებს.“

„მე ამის გამოსაძიებლად არა მცალია, მიწა გაითხარეთ, ან მიმინო ან შავჩოხიანი“ – გაიმეორა ლომკაცია ბირკაიამ და თავისი ამალით გავიდა ნათურქალის ტყიდან.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წამოდგა წითური, წითელი ჩაბალახით თავგახვეული შავჩოხიანი. ჩოხის კალთები შავ დროშასავით ააფრიალა, ქოსა წვერზე ხელი დაისვა და სთქვა: „ძმებო და ძიძიშვილებო“. შეჩქვიფდა ხალხი, აჩოჩქოლდა, ნაყარ ფუტკარსავით აზუზუნდა. ასწია მაღლა წითურმა მარცხენა ხელი და ყველამ გატრუნა სული. აბრეშუმით რბილი, მოშაქრული სიტყვით შეეპარა ხალხს (გველი შეეპარება ასე წითელი, ნავსი თვალებით გათვალულ თრითინას), კიცხავდა სისხლისმსმელ



ბისკაიებს. არწმუნებდა, რომ ბისკაიები ისეთივე გლეხებია, როგორიც ხარბედიები, რომ ბისკაიები აფხაზებია და მოუწოდებდა მარგალებს ერთი მუჭა აბუხები ამოეწყვიტათ.

„გინდათ, მე ვიძიებ შურს თქვენს მაგიერ, ხარბედიებო, და ეს შურისძიება იქნება უწყალო. ქვა-ქვაზე არ დარჩება ბისკაიების დიდი სახლიდან. ქვიტიკირის სასახლის ქვები ისევე გაიბნევა ბალავერზე, როგორც მანამდის ვიდრე თქვენის ზურგით მოგაზიდვინებდნენ. მე მათ საქონელს თურქულას შევუჩენ, მე მათ ორსულებს მუცელს მოვწყვეტ და ეს უფრო სამინელი იქნება ვიდრე სიკვდილი. მე მათ მოხუცებს ქარებით დავხუთავ, და მათ ვაჟკაცებს ისე გავთვალავ - ლომკაცია ბისკაიას მიმინოსავით სცვიოდნენ თავიანთი ბედაურებიდან.“

და ასწია შავჩოხიანმა თავისი გრძელი, გამხმარი, შავი ხელი და დაემუქრა ბისკაიების ქვითკირის სასახლეს.

სამაგიეროდ, ხარბედიებისაგან მოითხოვდა ყოველნლიურად თითო უნათლავ ბავშვს.

მოხუცმა ხახუ ხარბედიამ სატევარზე გაივლო ხელი და შეუტია: „გვარქვი, ვინ ხარ წითურო?“

ხელაკვრით მოიხსნა ჩ აბალახი წითურმა და იცნეს: სატანა, შავჩოხაში გამონყობილი, აბობოქრდა, აზღვავდა, ახმაურდა ხალხი. პირფერის გარდასახვა მოასწრეს, ლანდის სისწრაფეზე გაიფანტნენ ხარბედიები.

\* \* \*

შიშმა მოიცვა ნაჭყვედი. კვირაობით ეკლესიის გალავანსი არავინ მღეროდა „ოხოოიას“. ქარს არ მოჰქონდა ქალებიდან მეთოხეების „ო, დო ია, დო“ და ტკბილი მეგრული „ნადური“.

მთვარეულივით დალოღავდნენ თავჩაქინდრული ხარბედიები. გაივლიდა სოფელში ცხენოსანი მგზავრი, კარს გამოიხურავდნენ, დაშინებულ თვალს გააყოლებდნენ.

ბუკის ხმაზე მოგროვდნენ ცაცხვის ძირში მაღალფაფახიანი, გრძელსატევრიანი ხარბედიები. იჩოჩოლეს, ილაყბეს, ითათბირეს. და მერმე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას ესმოდა, ვით სცვიოდა მიწაზე

ცაცხვების ფოთოლი. დედაკაცმა ვერ აიტანა დუმილი.

იცნეს ხვარამზე, უღვაშიანი ქალა-ბიჭა. ქალს ეძახოდნენ ხვარამზეს, მაგრამ ცხენოსნობასა და ნადირობაში ერთი ვაჟკაცი ტოლს ვერ უდებდა. სატურიას სერზე არაერთხელ უნახავთ ხვარამზე ჭეჭეთობა ღამეს, მგელს რომ მიაჭენებდა ტაკაბონასკენ... წყალგადასხმულ კირივით აშუშხუნდნენ წინაკას თესლივით მწარე სიტყვები ხვარამზეს პირში: „თქვენ მამაკაცები კი არა ყოფილხართ, არამედ დიაცები. მაღალი ფაფახები რაღათ გინდათ?! თქვენივე ცოლების ნიფხვები უნდა გეხუროთ თავზე. მე წავალ ნათურქალის ტყეში და ბისკიას მიმინოს მე მოვსძებნი, თქვენ თუ არ შეგრცხვებათ, ფუი თქვენ კაცობას, თქვე თხანვერებო, ლაფდასხმულებო!“

შეკაზმა ცხენი ხვარამზემ, ქმრის ჩოხა-ახალოხი ჩაიცვა და საცვეთები. საქონეში ტალკვესი ჩაიდო; აბგაში უმი ხორცი და ჩიტბადე. მანდიკურად მოაჯდა ლაფშას, ნათურქალს მიაშურა. სამხრობამდის იარა ტყეში. ხაჟოს აფეთქინებდა, უძახოდა ლომკაცია ბისკიას მიმინოს. ბევრი შემოჰხვდა მიმინოცა და კაპუეტიც. სახამლავეიანი კი არც ერთი. მწყემსების კარავში შეისვენა. დასძინებოდა.

გამოელვია: შავჩოხიანი, წითელჩაბალახიანი კაცი იდგა მის წინაშე, ლანდით უტყვი და უძრავი. თვალი მიაშტერა ხვარამზემ ამ საოცარ ჩვენებას. აღუჩნდა ცბიერი ღიმილი შავჩოხიანის გალურჯებულ, თხელ ტუჩებზე. მერმე მოთაფლული სიტყვები ხშუოდნენ ხვარამზეს ყურებში.

„შენ არც ქალი ხარ და არც კაცი, ხვარამზე მზეთუნახავო, მაგრამ შენი ბეჭები უფრო განიერია, ვიდრე ბისკაიას ვაჟების მხარბეჭი. შენ არც ქალი ხარ და არც ვაჟი, მაგრამ შენი მუცელი უფრო თეთრია, ვიდრე გვირილა, სატურიას სერზე მოსული ხვარამზე მზეთუნახავო“.

აროდეს სმენია ხვარამზეს ეგზომ ტკბილი სიტყვები მამაკაცის პირიდან (იგი აკუმი იყო და მამაკაცისა არა გაეგებოდა რა. მიტომაც ეტკბილა შავჩოხიანის მოშაქრული ენა)

„შენ არც ქალი ხარ და არც კაცი და თუ გვერდს მომიწვენ, შენი შვილი შურს იძიებს ბისკაიებზე. ხარბედიების სირცხვილს ის

გამოისყიდის. და როცა იგი დაიბადება, შენ გაიგონებ ფოცხვერების კივილს ბისკაიების ნასახლარზე, კაჭკაჭი და მრავალძარღვა ამოვა ქვითკირის სასახლის ბალავერზე.“

დიაცის სულში იჭვი ჩაინთხა. ერთხელ მაინც ეგემნა ის თავბრუდამსხმელი სიტუბოება, დიაცებისაგან ყურმოკრულად რომ გაეგონა. ერთხელ მაინც გაეგო – თუ რას ნიშნავს ვნების ღველფზე პირალმა წოლა; ან რა იყო დედაკაცობა? თვალი მილულა ხვარამზემ კარზე მომდგარი ბედნიერების ჟრუანტელით აზვავებულმა და შავჩოხიანმა წამოიღო თავისი შავი, გამხმარი ხელი და მაგრად მოუჭირა ძუძუებზე ხვარამზემ, მოდგმის ცოდვა აღუდდა ხვარამზემ სისხლში. ჯოჯოხეთის ცეცხლივით მოგიზგიზე თვალეები მიანათა წითურმა შავგრემანს და ხვარამზემ ტუჩი დაიდალა გესლიან კოცნით.

ათრთოლდა დიაცის სხეული. აჭრიალდნენ ძვლები თასმასავით მოქნილ მკლავებში... და იგრძნო ქალა-ბიჭამ პირველად თავის სიცოცხლეში სულზე უტკბესი სიამტკბილე ჯოჯოხეთისა.“

\* \* \*

ხმა დავარდა ნაჭყვედში: ხვარამზემ მელოგინეაო.

დამწვარივით ბორგავდა მელოგინე. ჰკიოდა, თმებს იგლეჯდა, უხამსი სიტყვებით ღმერთს არისხებდა. ბებიაქალმა შეასწრო თვალი: მელოგინეს საშო გაიღო ანაზდეულად და ბურღვით დაღვარჭნილი ფეხები გამოჰყო მორგვისოდენა მორიელმა. უკანასკნელად გაიბრძოლა მელოგინემ, დაავლო ხელი სიგრძეზე გაბმულ თოკს. ერთი ისეთი შეჰკივლა, ცას ვარსკვლავი მოსწყვიტაო. ბუსუსებთანმა, შავმა მორიელმა გადაირბინა უსახსროდ დაგდებულ ფეხზე. მიაშურა თავის დიდ დედას – ბნელ ღამეს. და ხვიმრში შეძვრა.

\* \* \*

მეორე დილას ლომკაცია ბისკაია მკვდარი იპოვნეს თავის ლოგინში, უშველებელი, ბუსუსებთანმა შავი მორიელი მელოტ შუბლზე აჯდა მიცვალებულს და ღამით მოვიდა ისეთი მერეხი, ცაი ფერხად ჩამოდიოდა. დაერია შავი მორიელი ნაჭყვედს. ხარბედიები და ბისკაიები უბედურებამ

შეარიგა, მაგრამ უკვე გვიან იყო... მორიელისათვის ხომ წყველის ნიშნად შხამი მიუცია ღმერთს, არ ზოგავდა არც ადამიანებს, არც ცხოველებს.

ხუთმეტი კუბო გაიტანეს ბისკაიების სასახლიდან. ხუთმეტჯერ ხუთმეტი ხარბედიების ფაცხებიდან. დღე და ღამე ისმოდა სოფელში: ვაჰ-ვაჰ, ვაჰ-ვაჰ! ამას ზედ ერთვოდა საქონლის უმწეო ბლავილი და ძაღლების გულსაკლავი ყმუილი. ურჩია ქადაგმა ხახუ ხარბედიამ სოფელს: არ ეხსენებინათ უხსენებელი. მორიელის ხსენებაზე მოხუცები ტუჩზე ხელს აფარებდნენ ბავშვებსა და ქალებს. მაგრამ დიდი და პატარა ისე იყო დაშინებული, რომ ყველას პირზე ეკერა მორიელი, როგორც ხვარამზემ მორიელის შავი ღალი.

ადგილი აღარ დარჩა ნაჭყვედის სასაფლაოზე. მკვდრების დამარხვას ვერ ასდიოდნენ. იპოვნიდნენ ოჯახში მორიელისაგან დაკბენილს, ცოცხლები ფაცხაში გამოჰკეტავდნენ მიცვალებულს და გარბოდნენ. სამიჯნე გზები და შუკები შეჰკრეს სხვა სოფლებში და არსად უშვებდნენ ნაჭყვედელებს, ხატი გაარისხეს და მიტომაც დაისაჯნო. არავინ იცოდა, ვინ გაარისხა პირველად ღმერთი.

\* \* \*

აყვავდნენ სოფელში ტყემლები და ატმები. როგორ არ შვენოდა იმ საოცარი გაზაფხულის მალხაზ პეირონს, ძაძებით მოსილი ნაჭყვედის არე! ძაძა ფრიალებდა ფაცხებსა და ოდების სვეტებზე, შუკებსა და თემშარებზე. აღარ თამაშობდნენ ბავშვები ჭარკუნს, აღარ ისმოდა მოზარდების ყიჟინა ნისქვილის კარზედ და ჭალებში, მხოლოდ ქამრებსა და სამასრეებზე ძაძაგადაკრული მოხუცები დახეტილობდნენ ეზოებში. უპატრონო საქონელი ბლაოდა ჭიშკრებთან.

\* \* \*

კარგა ხანია, რაც ნაჭყვედში არა ვყოფილვარ. მინდოდა მოხუცი დიაკონისათვის გამომეკითხა, კიდეც თუ რა ცხოველებსა და არსებებს აძევთ ტაბუ ოდიშის მხარეში, მაგრამ სიკვდილი და დრო ჩადგა ჩვენს შორის, როგორც გარდუვალი ყრუ კედელი.

1925-1927 წწ.



### მამაჩემი ზვიად გამსახურდია

წარმოგიდგენია, რაოდენ საამაყოა იყო ზვიად გამსახურდიას ვაჟი. მამათქვენის ხასიათის, მენტალობის ფორმირებაზე იმოქმედა მისი სახელოვანი მამის – კონსტანტინე გამსახურდიას ხაზგასმულად ინდივიდუალურმა ხასიათმა, მისმა ეროვნულმა ცნობიერებამ. მამა-შვილის მოღვაწეობის მთლიანობის ხაზს ვაკვირდებით მარგარეტ ტეტჩერის ერთ ცნობილ წერილში, საიდანაც მცირე ამონარიდს შევახსენებ მკითხველს: „ზვიად გამსახურდია აფინანსებდა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნების გამოცემათა კუთვნილი ჰონორარიდან, ასეული ათასობით საბჭოთა მანეთით მაშინდელი 70-იანი წლების დისიდენტურ, არალეგალურ გამოცემებსა და ჟურნალებს. დისიდენტური მოღვაწეობის უდიდესი შედეგი იყო, რომ 1978 წელს, ამერიკის კონგრესმა საბჭოთა ჰელსინკის ჯგუფი: ზვიად გამსახურდია და სხვები, ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის წარადგინა. საბჭოთა მთავრობამ გამოიყენა ყველა გავლენა, რათა საბჭოთა დისიდენტებს ნობელის პრემია არ მიეღოთ“. ამ ციტატაში სხვა საინტერესო ფაქტებთან ერთად იკითხება თქვენი ოჯახის ერთიანობა ეროვნულ საქმეში. რა მნიშვნელობისაა თქვენთვის თქვენი გამორჩეული ოჯახიშვილობა, ეროვნული ღირებულებებისადმი თქვენი ოჯახის წევრთა ყველა თაობის ერთგულება?

ეროვნული ღირებულებები მრავალსაუკუნოვანი სოცო-კულტურული განვითარების შედეგია. ამ ღირებულებების

უკან დგას სამყაროს და ადამიანის ფილოსოფიური ქვრეტა, რომელიც იმავდროულად პრაქტიკულიც იყო და არის. ეს ღირებულებები არ არის კატეგორიულობით და იმპერატიულობით თავსმოხვეული ნორმები, მაშინ თავისუფლების ადგილი სადღა დარჩებოდა. ჩემი შეხედულებით თავისუფლება ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს დამოუკიდებლად უნდა ის, რაც ღმერთის განზრახვის მიხედვით უნდა უნდოდეს – ანუ ზნეობრივი ქედების, კეთილი საქმის სიხარულით აღსრულება. მაგრამ ღირებულებათა სისტემა და ტრადიცია ზოგჯერ ჰგავს უმშვენიერეს ქანდაკებას, რომელიც იმდენად დაფარულია შესანიშნავის ოხშივარით, სანთლების ალით და ჭვარტლით, რომ ნაკვთები და დეტალები აღარც გაირჩევა. ასეთ შემთხვევაში შიგნიდან უნდა ფორმდქმნას ადამიანი ეს, რაც თავისთავად რთულია. ეროვნულობაც აქედანაა – ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ბევრი თაობა და ღირსეული ინდივიდი შეეწირა, ალბათ ესეც იყო ის, რაც ჩვენი ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ამოძრავებდა.

გაიხსენეთ მამასთან ურთიერთობის წუთი, რომელიც ისე ღრმად აღგებეჭდათ მეხსიერებაში, რომ ყოველთვის გახსოვთ.

მამა მახსენდება თუნდაც წიგნების მაგიდასთან მჯდომი, სადაც შეეძლო საათობით ემუშავა, ან ტაძარში, სადაც ხატთან სანთელს აანთებდა და ლოცვას იტყოდა. მან



# ინტერვიუ

სადმე ტაძრის კუთხეშიც იცოდა განმარტება და მდუმარე გონებით ლოცვაში წასვლა, ისე როგორც ამას ცნობილი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, წმინდა გრიგოლ პალამა ასწავლიდა. ეს ზუსტად საპირისპირო სურათია დღევანდელობასთან, როდესაც პრეზიდენტები, პრემიერები და დეპუტატები კამერებთან პოზირებენ წირვებზე. ზვიად გამსახურდია ასე არ ყოფილა. არც მაშინ, როდესაც პრეზიდენტად აირჩიეს. ისე 80-იანებში ჩვენ ერთად დავდიოდით სიონის ტაძარში, სადაც პატრიარქი წირავდა.

**ზვიად გამსახურდიამ შექმნა ქართულ ლიტერატურაში სრულიად ახალი, ნოვატორული ლექსი, რომლის მეთოდსაც უწოდა გლოსსოლოგია. თქვენი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდია პოეზიისადმი.**

ეს პოეზია თვითმყოფადია. იგი არავის შემოქმედებას არ გავს. მისი ძირები არის რუსთველთან, ჩახრუხაძესთან, ასევე გალაკტიონის და სიმონ ჩიქოვანის ზოგიერთ ლექსთანაც. გლოსსოლოგია ესაა უპირველეს ყოვლისა, სიტყვის მუსიკა მიღწეული ალიტერაციებით, ასონანსებით, თანხმოვანთა გამეორებებით. ეს იმავდროულად ძველი სამყაროს საკრალური ტექსტების მეთოდიცაა. ეს კრებული ცხადია არ მოეწონა საბჭოთა ცენზურას და იგი 70-იანების დასაწყისში ანეობილი ეგზემპლარის სახით გამოსაცემად მომზადებული გაანადგურეს – დაჭრეს.

**ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ დღემდე მიიჩნევა რუსთველოლოგიაში ფუნდამენტალურ ნაშრომად. ასევე, გავიხსენებდი მის „ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანებს“. თქვენს მიერ გამოცემული წიგნის „კოსმიური წირვის“ წინასიტყვაობაში მოგყავთ რაღაც უაღრესად ემერსონის სიტყვები: „შემოქმედებითი წერის გარდა, არსებობს შემოქმედებითი კითხვაც“. ხომ არ გაუზიარებთ ჩვენი ლიტერატურული ჟურნალის მკითხველს ზემოთმოსხმობილი ნაშრომების (და ზოგადად ზვიად გამსახურდიას ნაშრომების) თქვენეული შემოქმედებითი კითხვის პრინციპებს.**

შემოქმედებითი კითხვა ალბათ გულისხმობს იმას, რომ შინაგანად განიცადო ნამდვილი ფასეული ტექსტის სურნელი და გემო, მისი მუხტი, მისი მთლიანობა და დეტალები, მისი უმთავრესი და სეკუნდარული ანუ მეორადი მასში. ამ დროს შემოქმედების იმდენად ინტენსიური განცდა ხდება, რომ ადამიანმა შესაძლოა საკუთარი თავიც შემოქმედად აღიქვას რაღაც მომენტში. ეს დაახლოებით იგივეა, როდესაც განიცდი ამბებს, რომლებიც არასოდეს გარდაგზდენია, სტირი მოვლენებზე, რომლებიც არასოდეს მომხდარან შენს ირგვლივ, გიხარია გამარჯვებები, რომლებიც არასოდეს გიზეიმია ან არც არავის აღნიშნავს შენს სიახლოვეში.

**ინტერნეტით, სხვადასხვა სოციალურ ქსელებში ახლაც ვრცელდება მწერალთა სიები, რომელთაც „მამლის ყვილამდე სამჯერ უარყვეს“ პრეზიდენტი, საეჭვოდ დასახეს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. რადგანაც ჩვენი ჟურნალი მხატვრულ-ლიტერატურული მიმართულებისაა, ხომ არ მოგვიყვებით (არსებობის შემთხვევაში) ისეთ ერთ ფაქტს მაინც, როცა რომელიმე მათგანმა მოიხადა ბოდიში, ერის წინაშე ჩადენილი ამ უმძიმესი დანაშაულის გამო.**

რამდენადაც ვიცი, თავის დროზე წუხდა ნოდარ დუმბაძე, ასევე ბოლო ხანებში გარდაცვალებამდე წუხდა ჯანსუღ ჩარკვიანიც. იგი მართლაც განიცდიდა იმას, რომ სხვა ბანაკში აღმოჩნდა. იგივე ითქმის გურამ დოჩანაშვილზე, ზვიად გამსახურდიას სიყრმის და სკოლის მერხის მეგობარზე, ერთ დროს „გორგასლიანის“ აქტივისტზე. როსტომ ჩხეიძესთან საუბარში იგი აღნიშნავდა, რომ ყოველდღე ანთებს სანთელს თავისი გარდაცვლილი ვაჟის და ზვიადის სახელზე. ეს წიგნადაც გამოსულია. დარწმუნებული ვარ, ბატონი გურამი წუხს იმის გამო, რომ ხელი მოაწერა ხელისუფლების მონინაალმდეგე მწერალთა პეტიციას მიმართულს ლონდონის პენკლუბისადმი, სადაც საქართველოში დიქტატურაზე იყო საუბარი; რომ უარი უთხრა ზვიადს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ განათლების მინისტრობაზე.



ზვიად გამსახურდიას აქვს ლექსების ციკლი მიძღვნილი ტერენტი გრანელისადმი, მესამე გზის მაძიებელი, უცნაური ბედისწერის პოეტისადმი. ლექსების ეს ციკლი მისწერილი წინასწარჭვრეტაა თითქოს ავტორის სიცოცხლის უკანასკნელი თვეებისა. ზვიად გამსახურდიას ასევე აქვს სხვა წინასწარმეტყველური სტრიქონები („სამჯერ დამარხული“) მას, როგორც ხელოვანს, უდაოდ ჰქონდა ძლიერი ინტუიცია. „ბედი ავბედი ჩემზედა მიწყევ ავისა მქმნელიაო,“ – გენიოსზე არანაკლები სიმძაფრით შექმნილი ეთქვა... გიორგი გურჯიევი ამბობდა, იმისათვის რომ ვწერო, სამი იმპულსის ხელოვნურად სტიმულირება მიწევსო და ჩამოთვლიდა: დაჟინებულობას, მოთმინებას, ტანჯვას. ზვიად გამსახურდიას არ სჭირდებოდა ამ იმპულსთა „ხელოვნურად სტიმულირება“. მას ისედაც ებოძა უფლისგან ნიჭიერებაცა და ხელოვანისათვის საჭირო ყველა თვისებაც, გამორჩეულ ბედისწერასთან ერთად. საინტერესოა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას პოეტური და ადამიანური ბედისწერის მიმართ.

ბედისწერა არ არის რაღაც ბრმა და მრისხანე – სასტიკი დამსჯელი ძალა, ერთგვარი განყენებული მოსამართლე, რომელიც ადამიანს უცბად თავს დაატყდება და ყველა გაოგნებულია თავად ამ ადამიანის ჩათვლით, თუ რატომ მოხდა ეს. ეს ისაა, რასაც ადამიანი ატარებს თავის არსებაში. ეს ისაა, რაღაც ადამიანმა თავისი თავი შექმნა. ზვიად გამსახურდიას ბედისწერაზე რაც მახსენდება ესაა ავსტრიელი პოეტის, რაინერ მარია რილკეს პოეტური ფრაზა: „იცოდე, თავს ინახავს ყოველთვის გმირი, სიკვდილიც მისთვის არსებობს იყო საბაბი“. ეს ფრაზა ალბათ გასაღებია ზვიად გამსახურდიას ბედისწერისა. ის, რაც მას თავს ატყდება, მიანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ენერგია პოტენცირდება, იკუმშება და შესაძლოა შემდგომში იმოქმედოს დამხსნელად, განმკურნელად. იგი გადის სიკვდილის კარიბჭეს ისე, რომ ვერაფერს ვერ აკლებენ – ვერც სიკვდილისას და ვერც მერე. მან თითქოს რაღაც ისეთ მოდუსში შეასწრო

მდევენელებს, რომ სრულიად ხელშეუხებელია, ვერც მოკლავენ და ასევე ველარაფერს დააკლებს ცილისნამება, დეზინფორმაცია, ტალახის სროლა. ისე მართლაც საოცარია, რომ პოეტურ კრებულში ბოლო ლექსების ციკლი ტერენტი გრანელი-კვირკველიასადმი მიძღვნილი. თავად დევნილმა ავტორმა ხომ თავისი სიცოცხლის ბოლო ორმოცი დღე მის მშობლიურ ადგილებში გაატარა – ამ ციკლში „მე“ – მთხრობელი არ არის მხოლოდ ტერენტი, არამედ კრებული ავტორიც.

ზვიად გამსახურდიაზე უფლებადამცველი ნატალია ტელევენაია წერდა: „იგი იქცა პრეზიდენტ-მონამედ. საერთოდაც, იყო მასში რაღაც ქრისტიანი მონამისა და სხვა დროს რომ ეცხოვრა, გახდებოდა რწმენის მოღვაწე და მონამე“. რკინის ლედი გამსახურდიაზე ამბობდა – „ის იყო ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკოსიო“, ვალერია ნოვოდვორსკაიას შეფასებით: „იგი კეთილშობილია, წმინდა და განასახიერებს სიბრძნეს, მწერლის ნიჭსა და სიმტკიცეს“. ეს შეფასებები შესანიშნავია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის, თუ როგორად დარჩა მამულიშვილი ქართველი ერის ხსოვნაში. ქარიზმატული, ლიდერი, პირველი პრეზიდენტი, ნიჭიერი მწერალი, მოღვაწე, დიდი ქართველი, თავდადებული, უბოროტო, ქრისტეს გზით მავალი, უკომპრომისო, უპირობო ავტორიტეტი თანამოაზრეთა შორის – ძირითადად ასე პასუხობდა „რინას“ გამოკითხული მკითხველი. თქვენ რა თვისებას გამოყოფდით ან რას დაამატებდით ჩვენი მკითხველის მოსაზრებებს?

ნამდვილად ვერაფერს – აქ ალბათ ყველაფერია ნათქვამი, რაც თქვენ ჩამოთვალეთ.

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია,“ – ამბობს კონსტანტინე გამსახურდია თავისი პერსონაჟის თარაშ ემხვარის პირით. ამ რომანით მწერალმა გვიჩვენა აფხაზეთისადმი საკუთარი დამოკიდებულება. ცნობილია, რომ ამ ღირსეული რომანისათვის დიდ მწერალს ლიძავაში აჩუქეს სააგარაკო ნაკვეთი, სადაც დასვენება ყვარებია

# ინტერვიუ

**დიდოსტატს. ზვიად გამსახურდია ორჯერ მყავს ნანახი და ორივეჯერ სოხუმში, ვოვა ვეკუას ოჯახში და თუმცა ბავშვი ვიყავი სამუდამოდ დამამახსოვრდა. ჩვენი საუბარი მინდა აფხაზეთის საკითხზე თქვენი მოსაზრებებით დავასრულოთ.**

დიახ, აფხაზეთში ბავშვობიდან დავდივარ, ჩვენი ოჯახი იქ ისვენებდა, ლიძევაში, ბიჭვინთის მახლობლად, სადაც კონსტანტინე გამსახურდიამ ააშენა ვილა სახელად „აფსუა აბაა“ ანუ „აფხაზური სახლი.“ როგორც ირკვევა, „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარაშ ემხვარის მიღმა მწერალს მხოლოდ თავისი თავი არ უგულისხმია. მისი პროტოტიპია ასევე არზაყან (დიმიტრი) ემხვარი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე 1919-1921 წლებში, იმავდროულად საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. იგი დღემდე ლევილში განისვენებს.

მწერალი მის ვაჟს წერდა, რომ მე იგი იმ-იტომ ჩავახრჩვე ენგურის ტალღებში, რომ მის იდეალებს ამ დროში განხორციელება არ ეწერაო. მაგრამ იქ, სადაც სიკვდილია, აღდგომაცაა. თუკი საქართველო მოწოდების სიმაღლეზე დადგა, მას არც აფხაზეთთან დიალოგი გაუჭირდება, არც აფხაზეთის დაბრუნება. ძალიან სწორი და საინტერესო პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგა 1991 წელსაც, ვგულისხმობ გამსახურდია-ალექსიძის კანონპროექტს 26-28-11, რამაც დროებითი, მყიფე მშვიდობა მოიტანა აფხაზეთში. მის განმარტებას აღარ მოვეყვები აქ. მერე ეს ყველაფერი წყალს გაატანეს, მაგრამ ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, ქართველი ბრძოლაში შეიძლება მოკვდეს, თუმცა ერთი პირობით – სიცოცხლე მარად უნდა გაგრძელდეს და განმეორდეს.



კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები

## ცამეტი შეკითხვა ზვიად გამსახურდიას

„საქართველოს სულიერი მისია“ – ლექცია ნაკითხული „იდრიარტის“ ფესტივალზე თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი. ეს ლექცია შესულია 1991 წელს გამოცემულ წიგნში „ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები.“ ლექციის ბოლოს ზვიად გამსახურდია აუდიტორიას მიმართავს დაუსვან კითხვები და ამომწურავად პასუხობს. „რინა“ გთავაზობთ ამონარიდს ზემოთ მითითებული ლექციიდან, რომელსაც ინტერვიუს სახე მივეცით და პირობითად ვუწოდებთ „ცამეტი შეკითხვა ზვიად გამსახურდიას.“

### შეკითხვა: რა განსხვავებაა ქართულსა და ქართველურს შორის?

როგორც თავიდან მოგახსენეთ, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეს ორი ცნება, მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართვები“ არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართველური მოდგმა, ქართველური რასსა, იგივე იაფეტური. აი, სწორედ ის პალეოკავკასიური მოდგმა, შეიძლება ითქვას, არის უფრო რასსა, ასევე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქართველური ენების გამოყოფა ამ იაფეტური ენიდან მიჩნეულია დაახლოებით

მესამე ათასწლეულიდან, როგორც ამას ვხვდებით გამყრელიძე-ივანოვის წიგნში, აგრეთვე ნიკო მარის შრომებშიც. ამ წიგნზე, სხვათა შორის, მე ცალკე მექნება, ალბათ, მოხსენება. აქ არ მინდა ამაზე დეტალურად ვისაუბრო, მაგრამ აშკარად არის ის ტენდენცია ტაბუირებისა, მიჩქმალულია ის როლი პროტოქართული სამყაროსი, რომელიც მას ისტორიულად გააჩნია და რომელზეც არის საუბარი მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში. აქ მიჩქმალულია ეს ყოველივე და ინდო-ევროპული წინა პლანზეა წამოწეული. მაგრამ ამ წიგნის დადებითი მხარე ის არის, რომ აქ ის პერიოდი, როდესაც ქართველური ენის, პროტოქართული ფუძე-ენის დანაწევრება მოხდა ცალკე ენებად და დიალექტებად, განსაზღვრულია როგორც მესამე ათასწლეული და ჩვენი თეორიით ეს უკავშირდება იოანე-ზოსიმეს „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ს, სადაც ნათქვამია, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა – იქ ენა გულისხმობს მოდგმასაც – არის ოთხისა დღისა მკვდარი და „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“. ოთხი დღის ანუ ოთხი ათასი წლის წინ, ე. ი. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში დაიწყო სიკვდილი ამ ენისა. სიკვდილს ამბობს იოანე-ზოსიმე იმიტომ, რომ ის ძველი გავრცელების არეალი, ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მას. შემდეგ ამას მოჰყვა ლაზარესებრი აღდგინება, აღდგომა ამ მოდგმისა და ენისა. ეს არის მოცემული იოანე ზოსიმესთან. იოანე-ზოსიმეს ნაწარმოებში სიმბოლურად არის ლაზარესთან შედარებული ეს მოდგმა. შეიძლება ითქვას, აქ მარტო საქართველო კი არ იგულისხმება, არამედ მთელი ქართველური მოდგმა და ამას უკავშირდება ის პროტოქართული, პროტოიბერიული სამყაროც, რომელიც გადაჭიმული იყო პირინეების ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე და როგორც ნიკო მარტი ჯ. ჯონსტონთან ერთად ვარაუდობდა, არსებობდა პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენა, ქამიტური ძირეულ ენაზე უფრო ძველი, რომელიც იყო საფუძველი ყველა ენებისა, და ეს იყო გლოტოგონიური, ენათა წარმომქმნელი ფენომენი, ეს იყო პირველადი ენა ქურუმებისა, საერთოდ



# ინტელექტი

ყველა ენათა საწყისი. ასეთი არის ნიკო მარრის თეორია. ამიტომ შერისხა სტალინმა ნიკო მარრი, ამიტომ გამოუცხადა მას ანათემა, ვინაიდან ის ობიექტურად აშუქებდა პრეისტორიულ ხანას და ქართული ენის წარმოშობას. ნიკო მარრთან ჩვენც, ეროვნულ მოძრაობასაც აქვს სადაო. მართალია, მას ჰქონდა ანტიქართული გამოხდომები პოლიტიკურ, კონიუნქტურულ მოსაზრებასთან დაკავშირებული, მაგრამ პრეისტორიულ ხანას ქართული ენისა და ქართული მოდგმის განვითარებისას ნიკო მარრი აშუქებდა ძალზე ობიექტურად და ღრმად. და სწორედ ამიტომ მოუწყეს მას ანათემა საბჭოთა მეცნიერებაში სტალინის მეთაურობით.

ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხებმა შეასრულეს ძირითადი როლი ქრისტიანობის მომზადებაში, ძველი აღთქმის ეპოქის პერიოდში, ხოლო საკუთრივ ქრისტიანობაში, ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური და ინდოევროპული მოდგმის ხალხები ასრულებენ ძირითად როლს. ინდოევროპული მოდგმის ხალხებს უკავშირდება ძველი ბერძნები, როგორც მოგეხსენებათ. „ქება და დიდება“ გვეუბნება, რომ ორნი დანი, მარიამ და მართა შეიძლება შევადაროთ ნინოს და დედოფალ ელენეს. ნინო არის ქართველური მოდგმის სიმბოლო, ქართული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო ელენე არის ბერძნული ქრისტიანობის სიმბოლო. და როგორც მარიამი უკავშირდება ნინოს, ასევე უკავშირდება მართა ელენეს. მარიამი, მოგეხსენებათ, არის მისტიური ჭვრეტის, მისტიური საიდუმლო ღვთისმეტყველების სიმბოლო, ეზოთერული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო მართა ინტელექტუალური, რაციონალური გზის სიმბოლო, დოგმატიური ქრისტიანობის სიმბოლო, რომელიც უფრო საბერძნეთში განვითარდა. ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენლები ქრისტიანობაში უფრო მისტიკისა და საიდუმლო ღვთისმეტყველების გზას ავითარებენ. აი, მაგალითად, დიონისე არეოპაგელი, ანუ პეტრე იბერი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, თავად წმინდა გიორგი – ესენი ქართველური მოდგმის წარმომადგენლები არიან. ამრიგად უკავშირდება ლაზარე, როგორც სიმბოლო ქართულ მოდგმას. ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე არის იოანე არა მხოლოდ სულიერ მეცნიერებაში, არამედ მთელი რიგი

დასავლეთის ეგზეტიკოსები ლაზარეს აიგივებენ იოანესთან და იოანე-ლაზარეს იდენტიფიკაცია აშკარად მოსჩანს, სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც კი არსებობს ხალხური კულტი ლაზარესი ჩვენთან, რომელიც არის წვიმის ღვთაება, იგივე რაც ელია. ე. ი. ელიას და ლაზარეს იდენტურობა მოცემული არის ქართულ ფოლკლორში, იოანე-ლაზარე არის სიმბოლო ქართული ენისა, ქართული მოდგმისა, რომელიც ამ ოთხდღიანი სიკვდილისმაგვარი ძილის შემდეგ უნდა აღდგეს. აი, ამას გვაძლევს ჩვენ იოანე-ზოსიმე თავის „ქება და დიდებაში“.

**შეკითხვა: ქართლოსისა და ჰაოსის კავშირზე რა აზრის ხართ?**

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ლეონტი მროველის ქმნილება და ასეთი ნაწარმოებები ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს ასახავენ. იქ არის ნათქვამი, რომ ქართლოსი და ჰაოსი ორივენი არიან შთამომავალი იაფეტისა, რომ ერთი წინაპარი ჰყავდათ და იაფეტური რასაა, იაფეტური მოდგმა არის აგრეთვე წინაპარი ჰაოსისა, ანუ პირველადი ეთნოსისა, საიდანაც მომდინარეობს დღევანდელი სომეხი ერი. ეს ეთნოსი იყო უაღრესად მონათესავე პირველადი ქართული ეთნოსისა და აქედან მომდინარეობს ეს გადმოცემა ძმობის შესახებ. არა, აქ უფროსობაზე არ უნდა იყოს საუბარი იმიტომ, რომ ეს უძველესი ხანაა და ძალიან ძნელია დადგენა იმ პერიოდისა, როდესაც განთავსდა, ასე ვთქვათ, სომხური ეთნოსი და როდესაც ის გამოეყო ცალკე ერად. ამასთან დაკავშირებით ასახელებენ დაახლოებით, ძვ. წ. მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებს, როდესაც არმენთა შემოსვლა დაიწყო ჰაიასაში. ჰაიასა არის პირველი ქვეყანა, უაღრესად მონათესავე კოლხური სამყაროსი და მეცნიერებაში ცნობილია, ძველ სომხურში, ანუ გრაბარში როგორ არის ლაზური და პროტოქართული ძირები შემონახული და რა დიდი როლი აქვს ამ ენის ჩამოყალიბებაში პროტოქართულ ენას. ამას აღნიშნავს, მაგალითად, ცნობილი სომეხი მეცნიერი კ. თუმანოვი. და ამიტომ მარრი თვლიდა, რომ სომხური ნახევრად იაფეტური და ნახევრად ინდოევროპული ენაა. აქედან მომდინარეობს უძველესი ნათესაობისა და ერთობის იდეა, რომელიც ლეონტი მროველთან არის მოცემული.



## შეკითხვა: რა კავშირია ბასკურ და ქართულ სამყაროებს შორის?

ბასკურ და ქართულ ენებზე მოგახსენებთ, რომ ბასკურიც პროტოიბერიული ენაა, როგორც ქართული, მაგრამ იმდენად დიდი ეპოქები ამორებით მათ ურთიერთისგან, იმდენად დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდნენ ისინი ცალ-ცალკე, რომ დღეს გენეტიკური ნათესაობის დადგენა ძნელდება. უფრო ტოპონიმებით, ცალკეული გამოთქმებით, ცალკეული ფორმებით ხდება ამ ნათესაობის დადგენა, აგრეთვე კულტურულ-ისტორიული, შედარებითი მეთოდით. გენეტიკურად ბასკური და ქართული დღეს მონათესავე ენები თითქმის არ არის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბასკური და ქართული სამყაროები უძველეს დროში არ იყო ერთიანი. ეს იყო, როგორც მოგახსენეთ, ერთი მოდგმა, ერთი რასა, ერთი ენა, მაგრამ შემდეგ იმდენად განთვისდა, რომ დღეს უკვე მეცნიერებს დადგენაც კი უჭირთ გენეტიკური ნათესაობისა. სხვაგვარი დადგენა შეიძლება და ამის საფუძველი არის, როგორც მოგახსენეთ, ჰუმბოლდტის ცნობილ შრომაში ბასკური ენის შესახებ. ეს შრომა დღემდე არ არის ნათარგმნი ქართულად და, სხვათა შორის, მას ბოიკოტსაც უცხადებენ, გარკვეული მოსაზრებით ეს მიჩქმალული იყო მუდამ. ჩვენი ამოცანაა, ეს შრომა ითარგმნოს ქართულად და გავრცელდეს საქართველოში, რომ ქართველებმა გაიგონ თავიანთი ნამდვილი წარმომავლობა. ჰუმბოლდტზე უფრო დიდი ავტორიტეტი დასავლეთის მეცნიერებას, როგორც მოგეხსენებათ, არა ჰყავს. თუმცა თანამედროვე მეცნიერ-ქართველოლოგთა (იან ბრაუნის და სხვების) უახლოესი გამოკვლევების შედეგად ყალიბდება აზრი, რომ ბასკური მეოთხე ქართველური ენაა.

## შეკითხვა: რა კავშირია ლაზარესა და ქართულ ენას შორის?

ლაზარეს აღდგინება იოანე-ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე

აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე. ი. ნამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას.

## შეკითხვა: რა კავშირია პრომეთესა და ამირანს შორის?

ამირანი გვიანდელი სახელი უნდა იყოს პრომეთესი. ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ ხანაში პრომეთეს ამირანი ეწოდებოდა. საქართველოში ამირანი, თვითონ სახელი „ამირ“ უფრო იმ პერიოდთან არის დაკავშირებული, როდესაც უკვე სპარსული კულტურა შემოდის საქართველოში. ამირან დარეჯანისძე – „ამირ ანდარე ჯეჰან“ ნიშნავს „მბრძანებელი ქვეყნისა“, „მეუფე ქვეყნისა“, ეს სპარსული ტერმინია.

საერთოდ, ამირანზე ხალხური თქმულების ის სახე, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, გვიანდელი უნდა იყოს. პრეისტორიული მითი ამირანზე აისახა ქართულ ხალხურ თქმულებაში, მაგრამ სახელი შეცვლილია. სახელი ამირანი აშკარად სპარსული წარმოშობისაა და, მე მგონი, არ ასახავს ამ არსების რაობას. პრეისტორიულ ხანაში ამ არსებას, მე, მგონი ჰქონდა უფრო ძველი პროტოქართული შესატყვისი. საერთოდ, პროტოქართული შესატყვისები ჰქონდათ არამარტო ასეთ პერსონაჟებს. მაგალითად, საიდან მომდინარეობს ქართველთა ეპონიმი „კარდუ“? ეს არის მთის სახელი, რომელსაც დღეს ჰქვია არარატი. თავდაპირველად ამ მთის სახელი იყო კარდუ, კარდუ იყო ბაბილონური ღვთაება. მთებს არქმევდნენ ღვთაებების სახელებს და ამ ღვთაების სახელი ერქვა მთა არარატს, რომელსაც შუმერულ ეპოქაში ნისირი ერქვა. ძველი სახელები დღეს უკვე აღარა აქვს არც ამ ტოპონიმებს, არც გმირებს. და ამ არსებას, რომელსაც პრომეთეს უწოდებენ, დარწმუნებული ვარ, პრეისტორიულ

# ინტერვიუ

ხანაში არ ერქვა ამირანი. ამირანი უფრო შუასაუკუნეებშია შერქმეული.

**შეკითხვა: რას იტყვით აფხაზურ-ქართული ენების კავშირზე?**

საერთოდ, ადიღური და სხვა კავკასიური ენები, როგორც მოგეხსენებათ, იბერიულ-კავკასიური წარმოშობისაა, მათსა და ქართულ ენას შორის გენეტიური ნათესაობა არსებობს. ქართველურ ენებს შორისაც გენეტიური ნათესაობა არსებობს, მეგობრებო. ეს ვერ გაუგიათ მათ და ამიტომ არის ეს ეროვნული შუღლი, თორემ მათი წარმომავლობა ნამდვილად იბერიულ-კავკასიურია. ნამდვილად ასეა. რომ ჰქონდეთ მათ მეხსიერება, ცოდნა თავიანთი წარმომავლობის შესახებ, ისინი არასოდეს არ გააჩაღებდნენ ასეთ კონფლიქტებს თავის მონათესავე ერთან. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები გენეტიკურად მონათესავენი არიან, ასევეა მათი ენებიც. ეს არნოდლ ჩიქობავამ, ჩვენმა დიდებულმა მეცნიერმა, შესანიშნავად გამოიკვლია და ეს მისი საყვარელი ტერმინია – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და იბერიულ-კავკასიური ხალხები, რაც, სხვათა შორის, იმასაც გულისხმობს, რომ იბერიულ-კავკასიური არ არის ერთადერთი იბერიულ სამყაროში, არსებობს, მაგალითად, იბერიულ-პირინეული და სხვა, რომ იბერიულ-კავკასიური არის მხოლოდ ერთი მონაკვეთი იბერიული სამყაროსი, და მასში ერთიანდებიან აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

**შეკითხვა: რა კავშირშია მაზდეანობა ქართულ სულიერ სამყაროსთან?**

მეგობრებო, ისტორიულად ქართველ ერს ჰქონდა ურთიერთობა მრავალ კულტურასთან, მრავალ რელიგიასთან და არის საქართველოში იმის ნიშნები, რომ იყო ერთ პერიოდში აქ მაზდეანური კულტი, ანაჰიტა-ქალღმერთის კულტი და მრავალი სხვა კულტი იყო, მაგრამ ეს არ იყო წამყვანი, არ იყო არსებითი და ძირითადი ჩვენს სულიერ სამყაროში. მაგალითად, ჯერ პრობლემატურად არის ქცეული, იყო თუ არა არმაზის კულტურა ზოროასტრული კულტურა და რაიმე საერთო აქვს თუ არა მას ზოროასტრულ კულტურასთან და მაზდეანობასთან. ე.ი. ესეც არ არის დამტკიცებული, ორმუზდი და არმაზი თუ ენათესავენებიან ურთიერთს.

**შეკითხვა: როგორია გრაალის წარმოშობა?**

გრაალის ეტიმოლოგია, გრაალი, მეგობრებო, მომდინარეობს ძველპროვანსულ და ალბათ, ძირით კაპადოკიური ტერმინიდან „გრაცალ“ და, საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტობერული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე. ი. ქართველური წარმოშობისა. შემთხვევითი როდია, რომ კაპადოკიელები იხსენებიან სულიწმიდის გადმოსვლის დღეს, მეერგასისე დღეს, რომელიც მოცემულია მოციქულთა საქმეში (საქმე, 2, 9). კაპადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმიდის გადმოსვლას და გრაალის მისსია ეს არის სულიწმიდის მისსია. გრაალი ეს არის სულიწმიდის მატარებელი, გრაალი ეს არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმიდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდით განმსჭვალული და სულიწმიდამოდებული ადამიანი. გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიულმა ხალხებმა. ის შეიქმნა ჯერ კაპადოკიაში, შემდეგ პროვანსში, ლანგდოკში, სადაც ძირითადად იბერიული და კელტ-იბერიული მოდგმის ხალხები ცხოვრობენ. კელტ-იბერები იგივე იბერებია წარმოშობით, რომელთაც შემდეგ, გვიანდელ პერიოდში შეერწყნენ კელტები. კელტების მიგრაცია ჩვენს წელთა აღრიცხვამდე დაახლოებით მესამე საუკუნიდან დაიწყო და მოგვიანებითაც გაგრძელდა. შემდეგ ჩამოყალიბდა კელტ-იბერიული მოდგმა, მაგრამ წარმოშობით მაინც იბერიულია. კელტ-იბერიული მოდგმაც კაპადოკიასთანაა დაკავშირებული და სწორედ კაპადოკიიდან მომდინარეობს გრაალის ქრისტიანობა და გრაალის მიმდინარეობა. ქართლში არის, სხვათა შორის, სოფელი გრაკალი. რამდენადაც პირველადი სახელი ამ თასისა არის გრაცალი და გრაკალი აშკარად მონათესავეა და ეს ტოპონიმი უნდა იყოს გრაალთან დაკავშირებული, ჩვენის ღრმა რწმენით. გრაალი მოხსენიებული არის შავთელის ოდეში. მას ეწოდება „მადლთა ბარძიმი, ერთა განსანმენდად“. როგორც მოგეხსენებათ, გრაალი არის ბარძიმი, თასი და გარდა ამისა, ეს თასი მოხსენიებული არის

ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, როდესაც წმინდა გიორგი – ქართული ფოლკლორის წმ. გიორგი – ლაშქრობს ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ერთად, მას ქაჯავეთიდან მოაქვს თასი და ჩვენის ღრმა რწმენით, ეს გრაალის თასია. ე. წ. წმინდა გიორგის ჩასვლა ქვესკნელში დაკავშირებულია გრაალის თასის წამოღებასთან, ე. ი. ეს არის ინიციაციის სიმბოლო. ამრიგად უკავშირდება გრაალი ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული. ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს! ასე რომ, ეს უაღრესად ღრმა კავშირშია ქართულ კულტურასთან და რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანიც“ გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სინონიმებია საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე. ი. ქალწულის გამოსხნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან აგრეთვე იგივეა, რაც გრაალის გამოსხნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, სამშვილეს და ანიმას გამოსხნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი. აი, ეს არის მოცემული სწორედ „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსანი“ არის ინიციაციის გზა, ჰეროიკული ინიციაციის გზა არის აქ აღწერილი. ალეგორიულად, საერთოდ, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელად შთასვლა და გრაალის გამოსხნა, ანუ წმინდა საწყისის გამოსხნა ბნელი ძალების ტყვეობისაგან.

**შეკითხვა: რა კავშირი იყო ირლანდიელ და ქართველ იბერებს შორის?**

ირლანდიელი იბერებისა და ქართველი იბერების კავშირები უღრმესია, მეგობრებო. სწორედ იმაზე არის საუბარი ჰუმბოლდტის შრომაში, რომ ირლანდიაში, ჩრდილოეთ ევროპაში იყო მიგრაცია იბერებისა. ჰუმბოლდტი აშკარად განასხვავებს

მათ სამხრეთის იბერებისაგან, სადაც ისინი ავტოქტონები არიან, მაგრამ ჩრდილოეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და სხვაგან მოხდა მათი მიგრაცია და დაარსდა კოლონიები. ირლანდიის უძველესი მოსახლეობა – პიქტებიც იბერების შთამომავალი იყვნენ.

**შეკითხვა: ვინ იყვნენ ალბანელები?**

„ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ქართველური ტომები იყვნენ ალბანელებიც. ამასთან, ეს არის ბერდა, რომელიც გვხვდება ნიზამი განჯევის შემოქმედებაში... სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ ბერდას დაუკავშირა ნიზამი განჯემა თამარ მეფის სახე, რომელიც მოგვცა მან სიმბოლურად, ალეგორიულად ბერდის დედოფლის ნუშაბეს სახით თავის „ისკანდერნამეში“...

**შეკითხვა: ლაზეთი და ლაზარე თუ არის რაიმე კავშირში?**

ამაზე ჰიპოტეტიურად შეიძლება ვთქვათ მხოლოდ, რომ ფუძით უკავშირდება, აგრეთვე ლაზარე და ლაზური, ლაპისლაზური, რომელიც ლაჟვარდს აღნიშნავს და ლაჟვარდი და ცისფერი ეს არის იონე-ლაზარეს ფერი საერთოდ, და შეიძლება ეს ყოველივე რაღაც კავშირში იყოს... ლაზარესადმი მიძღვნილი თამარისდროინდელი ტაძრის, ბეთანიის ფრესკებიც ხომ ცისფერ ფერებშია გადანყვეტილი, არ შეიძლება ამას ღრმა ეზოთერული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

**შეკითხვა: რა კავშირი აქვთ ხეთებს საქართველოსთან?**

ხეთასთან დაკავშირებული ტოპონიმები არის საქართველოში. ეს იმას არ ნიშნავს, მეგობრებო, რომ აქ, ვთქვათ, ხეთების სამშობლო იყო. იყო მიგრაციები ხალხების, იყო მათი გარკვეული მოძრაობა და ამასთან არის დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი. საერთოდ ხეთები ინდოევროპელებია, ისინი არ ეკუთვნიან ქართველური წარმოშობის ხალხებს.

## სიონის ელეგია

ლამით ავსებულან ნიშანი,  
დარია ცივი,  
მწუხრის დავანების ნიშანი:  
ვარსკვლავთა მძივი,  
ბინდუნდმორეული ისანი,  
ჩამქრალი კვარი,  
მონამე მისანი –  
მტკვარი.

ლამე მუცელქმნული დილაზე  
საბანი ღრუბლის,  
ნათელმილეული სინაზე  
ანგელოზთ შუბლის,  
ო ისევ და ისევ ზარია  
დევების უბნის.  
შენ, თვალსაფირონო მარია  
ბაგევ ალუბლის  
შეება სიმძიმელში გარიე,  
ნალველში შხამი,  
ვაჰ, რა უკარები მთვარეა,  
რა კუშტი ჟამი!

## II

განათდა სიონი,  
დილა რა უხვია,  
მზემ ერისიონი  
ძნად გადაუხვია;  
ნათელთა დარია,  
მზე-ლავგარდანები  
უცხო რამ ბორიო  
ვერ მიეტანება,  
აფრინდა დაფნიდან წერადი სონლული,  
დრომან ისტორიის დაზიდა სადავე,  
სიძველის სიქველე, შეება-სისადავე,  
წამგვრელი რაისაც დაემხო მონღოლი  
დაბრუნდა! იხარეთ! დრომოჭმულ სტიხარით  
ლალ-იაგუნდების შეფრქვევას ვუნდებით,  
ციერნო, გვითხარით, ორმო რად გვითხარეთ,  
თუ კვლავ დადუმდებით მთიებთა გუნდები?  
ალიმსთო მესსია, თაღებს შეესია  
ველური მარულა ამ ზღვა სიხარულის,  
შეების პოეზია თანადთა გეზია,  
ვით ცოფი ფარული ეშმათა არულის!



III

იძალეს მარია  
მგლისფერმა თვალებმა,  
სატანის ვალებმა  
მტერი მოგვარია;  
აენყო ჩანგები,  
ნაოტა სინდისი,  
შედრკა უნმიდესი  
მზიური განგება,  
მილულეს ლულებმა  
ნახელი თვალები  
და ის მწვერვალები  
კვლავ დათმეს წულებმა;  
წყარო დაბეჭდულა. სულში მწუხარება  
ათენას გველივით კვლავ მოიპარება.

ღამე დაძენილი და მიუსაფარი  
ხეებს ეფარება,  
სულში ჩარჩენილი წარსულის ზღაპარი  
სიზმარს ედარება.  
ოდეს ცრემლიანი, ოდეს დანამული  
კვლავ ჩაესვენება მზეთა ჟრიამული,  
სულიც მოლხენილი, ცად გარდავლენილი  
ისუნთქებს ხვალეთი,  
ეთერად მქროლი და ციურთა მჩენელი  
სხვა სიმხურვალეთი.

მოგონება

სულო გითხარი რომ არაო  
იშალნენ წამწამთა ქოხები,  
შენ ცისარტყელავ და მარაო,  
ცად რომ დამიფინე ნოხები,

რად არ მოაპკურე ცვარები  
გლოვიან უდაბნოს გველისას,  
სულში კვლავ რად მოიპარები,  
არ სცნობ უარებას სთველისას.

მაცდურო სიცოცხლეც, გამეცა  
გველო, ანგელოსურ თვალებით,  
დღითაც შენ გიგონებ, ღამეცა,  
მძულხარ და თან მევაღალეები!

## ქაშვეთი

შორია შარიშური შარათა,  
მოჰქერიან სოველი ქარნი,  
ბორიო - ფლოქვების მარაბდა,  
ალები ტალებად მდგარნი.

სანთელი მთიების მფანტველი,  
ლიცლიცებს ციალით ნელი,  
კანკალებს კილამონ-კანკელი,  
ბანი და ებანი ბნელი.

ღვთისშობლის ღიმილი მიტირე,  
დამთიე სუდარა დარად,-  
ამით რამ იდარა მითი რამ,  
არკადებს აკრია; კმარა!

## ||

ელიან ლიანს და ლელიანს  
ჩუმი სიცოცხლეა, მტკნარი,  
გულიანს ბროლიან-ყელიანს, -  
ხახაში იხერგავს მტკვარი,  
ქვიშათა ქუშია ქაშვეთი,  
დროთა მარაბდულთა სევდა  
ვის ავი ლაშებით ღლაფშეთი  
მუსვრად და სალმოზად სდევდა.

ან არარატებად არი რად,  
კეცტყავი კეცილი კეცად?  
მამულო გაქრობად ლამულო,  
მრისხვალი თვალი თუ გეცა?

## სალამო

როდესაც ღამე კვლავ მოაწევს და ცისარტყელა  
დაჰკეცავს ხოლმე ფრთამოხატულ მარაოს თვისას,  
როდესაც ტევრში გაიელვებს ციცინათელა  
ცეცხლის ფანტელად  
და სიო მოჰბერს სურნელებას შორეულ მთისას,  
ოდეს ბუნება კვლავ მოხუჭავს ღვთაებრივ თვალებს  
და მიიძინებს რათა სიზმრად ნახოს ზესკნელი,  
და რუდუნება კვლავ მოიცავს მნუხრ არე-მარეს  
დაკარგულ მთვარეს  
გამოაგორებს ღრუბლებიდან უჩინო ხელი,  
გადაიშლება ჩემს წინაშე ტურფა მთა-ველი,  
ბებერი კოშკის ნანგრევები, ზვარი, ბალები,  
დღეს მობიბინე და ძველად კი სისხლით ნალები.  
გლეხის მარჯვენა მადლიანი ნიადაგ იღვწის  
რომ არასოდეს დავივიწყოთ სურნელი მიწის.

## როზინსონ ჯეფერსი

ცრემლის მაგიერ  
ლაგა სდის თვალთაგან,  
შუბლი -დაღარული გრანიტი ანდების,  
სიტყვა - ოკეანის მქუხარე მოქცევა.  
ესაუბრება მარტოსულ თოლიებს,  
ქარში სინათლის ნიმბად იშლება  
ცისა და ზღვის უსაზღვროება  
ფიქრი-სასოება  
გარიჟრაჟზე  
ფიფქად იფრქვევა  
შემოწვევა პლანეტის გულს სევდის კირთებად  
და წყევლის არე  
მოიცავს მთვარეს -  
სამყაროს შვენის  
გულმდუღარე  
პლანეტა ჩვენი...

## შენი ღიმილი

სონეტი მანანასადმი

სევდიან ღამით მომაგონდა ღიმილი შენი  
და ოცნებათა განწირულ გზებს მიჰყვა ფიქრები.  
ვიცი დღეიდან მწუხარებით შეიფიფქები,  
ჩალამდებიან ეგ ღანვები, იდუმალმშვენი.

როს მოლოდინში დადუმდება სამყოფლო ჩვენი,  
ლამენათევარს შვების სხივი ნუ ჩაგიქრება,  
უფრო დიადი ბედისწერა განა იქნება  
ოდეს უფალი სუფევს შენთან სასწაულთმჩენი!

გამართე მზერა, მოიმარჯვე იმედის ფარი,  
გრძნობათა შენთა საკმეველი უკმიე ხატებს,  
და როს დიდებით განიხვნება აღსავლის კარი  
შეიწირავენ ლოცვას შენსას მოანდამატეს.

მაშინ ცასავით გაბრწყინდება შენი ღიმილი  
დაგიაიმდება ეგ ვაება და სიმძიმელი.

## ღავით კაკაბაძე

გამიქრა ნიშნება სიცოცხლის, არსობის,  
არ მოსჩანს სიახლე ლაჟვარდთა ციაგში,  
ვერ ვპოვე სალბუნი და ლურჯი ბავშვობა  
დაინთქა ქაოსის უძირო ნიაღში.

ნანატრი სინმინდე სიზმარებ განივლტო,  
სული კვლავ ინათვლის ცოდვათა მორევში,  
ცახცახებს გედების სისინში შავი ტბა  
და იწოვს სივაკეს ცეცხლის ამბორებში.

დანდობილ ფერებში სიმწვანეს ვხატავდი  
და თეთრი ოცნება ირთვოდა ნისლებად,  
თურმე აქ სიბნელე და კატაბარდაა,  
აზრის დაზრობა და სულის გაშიშვლება.

გამქრალა მაშხალა ბედის და სიამის  
ნამყოში ნაგზნები და ნაკაშკაშები,  
კრთის შორი ოცნება და ებრძვის ყიამეთს  
ქარცეცხლისმფრქვეველი ფრთეული რაშებით.

## ვედრება

გვედრი დაიფარე მამული ჩემი,  
შენი წილხვდომილი, კვართმომადლებული,  
მარად სხივოსანთა უკვდავი თემი,  
სადაც წარმოგზავნე ბარძიმი ქებული.  
სად გარდმოავლინე ვერძი ზეციური,  
და ოქროს სანმისის მადლი მზიური  
აღმოაცისკროვნე, ვით წყარო ცხოველი,  
რათა ზიარებით აღზევდეს ყოველი.  
სად ჰსახე დავით, მეფე და მგოსანი  
და სვეტიცხოველი ჰყავ გვირგვინოსანი.  
შენი ბარძიმი წმინდა იბერია,  
მისი განმართლება შენს ცაზე სწერია,  
შენს თანა ჯვარცმული, შენს თანა ვნებული,  
გულს ლახვარსობილი, საფლავს დადებული  
შენს თანა დაფლული, ოთხი დღის მკვდარი,  
ღმერთო, აღადგინე და მოეც ჯვარი!  
ცათა დიდება ხარ და თემთა მთენი,  
აკურთხე უფალო სამკვიდრო შენი!



## მერაბ კოსტავას

ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია ძმაო ამაზე  
როდის აღდგება სამშობლო ჩვენი,  
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე  
თავისუფლების და აღმაფრენის.

როდის დადგება ის დღე დიადი  
როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს,  
და დაუბრმავებს თვალს განთიადი,  
ჩრდილეთის წითელ ჯალათთა კრებულს!

და საქართველო დიდჭირნახული  
გამოფხიზლდება ყველა იოგით,  
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის  
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

## ნაწიკრულ კმისადმი

მერაბ კოსტავას

ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული  
ერის საფიცარ რაინდს გინოდებს,  
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული  
სასუფეველში შეხვალ იცოდე!  
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები  
და სერაფიმთა ჰაეროვნება,  
ამ ქვეყნად ტანჯვით რომ იდაგები  
იმქვეყნიური გელის ცხოვნება.  
გვეტანებოდნენ ძალღნი და ღორნი  
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭალის,  
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,  
მერთალი რაინდნი მწუხარე სახის!  
კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,  
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,  
ამგვარ წამებას ხომ შევბაც ახლავს,  
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.  
ცხოველმყოფელი საფლავი იგი  
გვინამებია ცხოვრების წყაროდ,  
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის  
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს.  
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,  
ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული,  
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი,  
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.  
და ელვარებდეს ივერთა ცაზე  
მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა,  
გვწყალობდეს ვინაც გვიკურთხა ვაზი  
და ღვთისმშობელი ვინაც დანინდა.  
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,  
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი  
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე  
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

## მთაწმინდა

ღამეა თეთრ ეკლესიათა  
არსაით მოჭქრიან სიონი  
მთვარე აზამბახებს იათა  
კამკამებს სხივთ ერისიონი.  
ღამეა თეთრ ეკლესიათა  
ლასულან სალები ლესული  
მწუხრი ნათლად მომესიათა  
ციურ ალში გავავლე სული.  
ღამეა თვალთეთრი ჯავრების  
კამარასრულ ცისთვის ფერებად  
მთიებნათოვი ცენტავრები  
ჯვართა და ჯვართა ფერებად  
დგანან ვით სულეთის მგზავრები  
თვალთა ამებად და ფერებად.

### II

ცა ანგელოსებით ივსება  
კილია ალად და კილამონ  
ლაჟვარდულ ზეფირთა ღირსება  
კვლავ ააგვირილა დილამან  
ვა რომ განრომილან რემანი  
რაბამ რად რებულთა რუთანი  
შავშეთურნი და შავგრემანნი  
ყარაყუმთ მაყრევანნი ყრუთანი  
გრემილ გარდამრიდთა გარება  
გრიგალურ გარიზინს გარისად  
გარდაკურ განმგის ანგარებით  
განლევს გრგანთა მონაგარისად.

### III

სათის ტატნობია მთაწმინდა  
ღამით შესუდრული კარავი  
ჟამიერ მრეკველად ან გვინდა  
ზარი ზანდობარად მზარავი  
სათის ტატნობია მთაწმინდა  
სათიმცა რად მასთან შავობდა  
ვერცხლია უდაბნოდ ნანვიმთა  
შვებათა შიბად რომ შვავობდა.  
აქ ქვის ანგელოსნი სტირიან  
ცრემლით სადაფობენ ნამწამნი:  
ვისისად შვრებოდა მირიან  
წამად რად იწამნენ ან წამნი  
წარტრობილ წარმართთა წანდილი  
ღადრად რად ღვივოდა მონღოლი  
ან ნინევ-ნავანი მანდილი  
ვით ბედისწერადი სონღული  
დრომან იმედები წარკაფა  
გცვივოდინ თვალთაგან ლალები  
წარსულთა შვებათა მარქაფა  
ჩანგი-ლა დგას ნავალალები  
ცით - ჯოჯოხეთური ღარტაფით  
სიკვდილს უხმობენ ალალები!

L'IMPRESSIONISME

ვარდის რენუარი... ილვიძებს მაისი  
სმარაგდის ფერებად გაშლილან იანი,  
გაღეულ ლანდებში კამარას დანისლულს  
ერევა ნარინჯის სიმნიფე სვიანი.

დნება სიამტკბილე... კაფე გათენდება,  
მონმარტრი მოიხვევს იისფერ პენიუარს,  
ისევ ვერონებს ჩრდილებს გავფენ დეგას,  
ფერებს გავალვიძებ აჟურულს, მშვენიერს...

მწვანეთა თოვია... მეწამულ ლაქებად  
ცახცახებს ზაფხული სულში მოივლისე,  
იშლება მიდამო მზიურ ალთა ქებად  
და პანის ბრავადო იმ ჭალებს მოივლის...

თვალი ჟრუნ-იისფერ ტრანსებში მყვინთავი  
სთველი თავ-უთვალავ თაველს თოვს ოქროვანს,  
სამყარომ იუფლა ქარგავდა ვინ მთა-ველს  
ვინაც მოაცილა ცა იმ საქაროვნეს...

გასრულდა... სიზმარულ პად`ესპანს მოლბერტთან  
მორთავენ ლანდები, სულია ცისა როს...  
ნარსულს დარს, მზის მალულ-დანემსვას,  
მთრთოლ ვერლენს  
ვადარებ სინიაკს, სეზანს და პისაროს!

**დაღუპული  
კოსმონავტიკის  
ხსოვნას**

ლაჟვარდის განივი  
მოსერეთ,  
მორკალეთ,  
რათა სულს ბორკილი  
არ ედოს  
აროდეს,  
შორი ტატანივით  
განქარდით ციერნი,  
რათა მიღმიერი  
სილურჯე გფარავდეთ.  
სივრცის კოლუმბებო  
გლოვობს ქარტეხილი,  
ელვათა მოქიშპედ  
აღარ ინოდებით,  
თვალი - დაცრემილილი,  
გული - დამეხილი,  
მინა შეისუდრა  
დღეს თქვენზე გოდებით.

## სამება

თვით უზენაეს ანგელოსთა აალებული  
მზერა  
ბრმავდება წინაშე პირისა შენისა.  
სამყაროს მთელი უსასრულობა  
შავი ლაქა  
შენი უსაზღვრო ნათლის წინაშე.  
რაც უფრო მოგელტვიან ანგელოსნი  
მით უფრო გშორდებიან  
რაც უფრო ნათლდებიან შენით  
მით უფრო ინთქმებიან  
შენს მარადიულ ბნელში.

ჩვენ კი, შენს უკვდავ ზრახვათა ჩრდილნი  
სალამოს პირად აღმოვცენდებით  
ვცახცახებთ და ურთიერთს ვფარავთ  
ვიდრე საბოლოოდ არ შევერწყმით  
სხვა, უფრო დიდ ჩრდილთა სიმრავლეს.

ჰქრება ჩვენი დიდების სიზმარი  
ქარწყლდება ჩვენი განწირული ცდა  
შენამდე მოსვლისა  
და ოდენ შთება  
შენი ნაპერწკალი  
რომელიც შესაქმის გარიჟრაჟზე  
დაგვეცა შენგან  
და დაგვანთო უქრობ კელაპტრად  
არარაობის უფსკრულთან.

## თრთვილი

მთოვართა თარგს  
ლურიონ ფერს  
ლაინ ხვეულს  
და ცით ნამღერს  
გროვა მთათ მქარგს  
სვიან სვეურს  
ნისლოვან ჟვერს  
სიამე სურს  
ნიამორთ სერს  
თვალავენ თან  
იავარდ მტვერს  
მუნ მიატან  
სად ლეა ლებს  
და პანი სტვირს  
ნოილე თვლებს  
ცა იებს სტირს.



## ღამე იღვენთება

ღამე იღვენთება.  
ღამპარი გენთება  
ვიცი სარკმელთან.  
რა მთვარის  
რა მცხრალი  
შუქია  
ზეცა რა მუქია  
განქარდა  
ცამ ცვარი  
რომ მთოვა  
წამება დამთავრდა.  
ღამპარი ითენთება  
ვიცი სარკმელთან.  
ო სასონარკვეთა!  
სიბნელეს სმენ მთები  
ცაზე იკარგება ვარსკვლავთა კენტები.  
თენდება  
მთვარე იფერფლება  
ივერცხლება ცა  
საცაა  
მერცხლები  
აცრიან კამარას  
და სულის ამარა  
იწვოდი  
აშაღე შრიალით შენი ლები  
ო ვცოდე  
ცამ ციურ ცელებმა  
შხამიან თასებად  
მიტია  
წვათა გაასებით  
ო მომიტევე  
წყარო აღმასები  
ღალწარევე სადაფთა დასები  
დათრთვილულ სიზმართა  
გოდების მჩენლები  
ეგ  
შენი  
ცრემლები.

## საიქიო

საიქიო ლავის მორევია  
სადაც გულები ნაფლეთებს  
აგროვებენ  
შედედებული კუპრის ყორნები.  
საიქიო ვის არ მორევია  
ყორნების გალობა  
კოდავს განთიადს  
და ფიქრი-მორიელი  
გესლავს არეს.  
საიქიო იმედის ყულფია  
სადაც მესაფლავე  
ყმუის ამაზრზენი.  
საიქიო ზორბა დედინაცვალია  
რომელსაც თითების მეტასტაზებში  
ჩაუბლუჯავს ლითონის ლადარი.  
საიქიო გამსკდარი ზარია  
რომელიც უნდათ გადაადნონ  
ბრინჯაოს კუბოდ.  
საიქიო ყინულის კანდელია  
რომელზედაც სანთლად ანთია  
ღვთის თითი.  
საიქიო მირონის ზღვაა  
რომელშიც ყვინთავენ ანგელოსნი  
რათა გამოყვინთონ  
ჩვენს ცაზე.  
მირონმა რომ არ გამოჟონოს  
ნაპრალებს  
გმანავენ  
დავინყებით.  
საიქიო სავარდე ყოვლანმინდა  
შენი დანერგილი, უფალო!  
წარსულს, მომავალს და აწინდელს  
საიქიოდ ამნიფებ, უფალო!  
შენი გარდამოსვლის საწინდარს  
საიქიოს გვიბოძებ, უფალო!  
საიქიო შენა ხარ, უფალო!

## მარიამ მირესაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

### ზვიად გამსახურდია და თარგმანის საკითხები



ზვიად გამსახურდია – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფიგურა – ფილოლოგიური წრეებისთვის ცნობილია როგორც რუსთველოლოგი, პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი. ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულებას საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების დინამიკისადმი ადასტურებს მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც და წერილებიც, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. იმთავითვე შევნიშნავთ, რომ იგი თარგმანს განიხილავდა ეროვნული ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთ მასაზრდოებელ და განმსაზღვრელ ფაქტორად. წერილში „თარგმნითი ლიტერატურის საჭიროებანი“ ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „...მთარგმნელი ქართულ ენაზე ნიშნავს მაგს (იხ. დაბადება 41,8); ეს არის კაცი, გადმომთარგმნელი კაცთა ენაზე იდუმალის, გამოუთქმელის. მართლაც, რომ ჭეშმარიტად მაგიას ესაზღვრება მთარგმნელის ხელოვნება, თუ იგი შემოქმედებითი წვის შედეგია და არა უბრალო გარემოება. ასეთ დროს ხელახლა იბადება ნაწარმოები. იგი ისეთივე პირველყოფილი სისადავითა და მშვენიერებით სუნთქავს, როგორც თავად ორიგინალი. მხოლოდ ასეთი თარგმანი არ გახდება უცხო სხეული ეროვნული ლიტერატურისათვის; მხოლოდ ასეთ თარგმანს თუ შეიყვარებს ესთეტი კაცის სული“. წერილში მოყვანილია არაერთი წარმატებული მაგალითი ევროპული ქვეყნების მთარგმნელობითი ტრადიციიდან, როდესაც ესა თუ

ის თარგმანი ეროვნულმა ლიტერატურამ გაითავისა და შეისისხლბორცა; მაგ., ჟაკ ამიოს მიერ თარგმნილი პლუტარქე ფრანგულ ენაზე, ჰომეროსის ჩეპმენისეული თარგმანი ინგლისურ ენაზე, ჟუკოვსკისა (გოეთეს „ტყის მეფე“) და გნედინის (ჰომეროსის „ილიადა“) თარგმანები რუსულ ენაზე და სხვ. სტატიის დასასრულს, ზვიად გამსახურდია შენიშნავს, რომ სწორედ თარგმანებმა (ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის...) შეუმზადეს ნიადაგი ქართულ სინამდვილეში შოთა რუსთაველს.

ზვიად გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა თარგმანის პროცესის ისეთ თანამდევ პრობლემაზე, როგორიცაა ორიგინალის სტილის გადმოცემა; აღნიშნავდა, რომ მთარგმნელს უნდა შეექმნა ცოცხალი ექვივალენტი ნაწარმოების სტილისა – „...ეს არის პირველი გასაღები დედნის განწყობილების აღსადგენად“. ზ. გამსახურდიას თანახმად, ორიგინალის სტილისტური კონცეფციის დაცვა – მთარგმნელის მოვალეობაა; სრულიად დაუშვებელია შექსპირის არისტოკრატი გმირების ამეტიყველება ქართული ენის რომელიმე დიალექტზე; ან მისივე პლებეების ამეტიყველება რიტორულ-მაღალფარდოვან ენაზე; ესქილესა და სოფოკლეს თარგმნა ბარბარიზმებითა და დიალექტიზმებით აჭრელებული „სალაპარაკო“ ენით; ანდა გოეთეს „ფაუსტის“ გახმოვანება ქართულ აშუღურ კილოზე. ავტორი შენიშნავდა, რომ ორიგინალის სტილური შესატყვისის შერჩევისას მაინც, მთარგმნელის ინტუიცია წარმოადგენდა

# თარგმანი

გადამწყვეტ ფაქტორს და არა თეორიული რაციონალიზმი.

თარგმანის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას წერილი „ცისკრის“ 1959 წლის ნოემბერში მოთავსებულ თარგმანთა მიმოხილვა“, რომელშიც ავტორი ავითარებს ძალზე საინტერესო მოსაზრებას პოეზიის პროზად თარგმნის შესახებ, რაც მოგვიანებით თავადაც პრაქტიკულად განახორციელა. იგი წერს, რომ არსებობს ე.წ. უთარგმნელი ლექსები და გადაგვამისამართებს გოეთესთან, რომლის აზრით, ლექსის ნამდვილი გამოცდა – მისი პროზად თარგმანია. სავარაუდოდ, დიდი გერმანელი კლასიკოსი გულისხმობდა, რომ თარგმანის პროცესში პოეტური აქსესუარების მაქსიმალურად გადმოცემას, შესაძლოა, ნაწარმოების დედაზრი შეეწიროს. ზვიად გამსახურდიას მოჰყავს ინგლისის მაგალითი, სადაც პოეზიის პროზაული თარგმანის ტრადიცია უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა; მაგ., 1954 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოსცა ჰომეროსის პროზაული თარგმანი (მთარგ. ა. მერეი); გამოცემაში ინგლისური თარგმანის პარალელურად მოყვანილია ძველი ბერძნული დედანი; იმის მიუხედავად, რომ თარგმანი, თითქოს, სიტყვა-სიტყვით მისდევს ტექსტს, „...აღტაცებას იწვევს სტილის მხატვრული სიდიადე, რიტმის ფარული დინამიკა, თხრობის ბიბლიური სიღარბისლე და ეს ახალი სამოსი საოცრად შეენის ამ დიად ანტიკურ პოემას“. ასევე, ცნობილია შექსპირის პროზაული თარგმანი, შესრულებული ემილ მონტეგიუს მიერ. მკითხველი დანერვილებით ეცნობა შექსპირის მრავალრიცხოვან პოეტურ და სტილისტურ ხერხებს, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ საქცევებს; და ეს მაშინ, როდესაც ლექსად თარგმნისას მთარგმნელი უნდა შელეოდა მრავალ მარგალიტს, – აღნიშნავს ავტორი. ზვიად გამსახურდიას საშურ საქმედ მიაჩნდა ჩვენშიც დიდი პოეტების პროზად თარგმნის ტრადიციის დამკვიდრება, თუმცა, იგი მკვეთრ საზღვარს ავლებდა ლექსის ბნკარედულ და პროზაულ თარგმანს შორის; აღნიშნავდა, რომ ბნკარედის გაკეთება – ყველა ენის მცოდნეს ძალუძს, ხოლო პოეზიის პროზად თარგმნა – შემოქმედისგან, ენის ცოდნას-

თან ერთად, ლიტერატურულ გემოვნებასა და ერუდიციას მოითხოვს. ამგვარი მიდგომისას, მეტწილად, გაბათილდება იტალიური გამოთქმა: „traduttore - traditore“ – მთარგმნელები მოღალატეები არიან. აქვე შევნიშნავთ, რომ თავის თეორიულ ნააზრევს ზვიად გამსახურდია პრაქტიკულად ახორციელებდა, რასაც ადასტურებს მის მიერ თარგმნილი შარლ ბოდლერის ლექსები პროზად, რომელიც ხელახლა 1991 წელს გამოიცა.

ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდია თარგმანებით ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა და 1960 წელს გამოსცა ოსკარ უაილდის ზღაპრები. ამავე პერიოდში დაიბეჭდა მისი წერილი “მ. ქარჩავას მიერ შესრულებული ჯონათან სვიფტის “გულივერის მოგზაურობის” თარგმანის შესახებ“, რომელშიც იგი მთლიანობაში, დადებითად აფასებდა აღნიშნულ თარგმანს, უპირველესად კი, მთარგმნელის მიერ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების დაძებნას, რაც დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება თარგმანის ხელოვნებაში. თუმცა, ზემოაღნიშნული ღირსებების ფონზე ზ. გამსახურდია საქმიან შენიშვნებსაც გამოთქვამდა; იწუნებდა ზოგიერთი სიტყვის და ფრაზეოლოგიური გამონათქვამის თარგმანს და საკუთარ ვარიანტსაც გვთავაზობდა. ამავე ხასიათისაა „ცისკრის“ 1959 წლის ნოემბერში მოთავსებულ თარგმანთა მიმოხილვა“, რომელშიც ავტორი აანალიზებს მე-19 საუკუნის რუსი პოეტების მურმან ლებანიძისეულ და ადამ მიცკევიჩის თამაზ ჩხენკელისეულ თარგმანებს. ასევე, ზვიად გამსახურდია მაღალ შეფასებას აძლევს ზურაბ ჭუმბურიძისა და თინათინ კოპლატაძის წერილს „ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში“, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რა მასშტაბებს აღწევს ჩვენში მშობლიური ენის დამახინჯება ზოგიერთი უფიცი კალმოსნის მიერ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1960-იან წლებში ზვიად გამსახურდია თარგმნის უილიამ შექსპირის “მეფე ლირს“, “ზამთრის ზღაპარს“, “რომეო და ჯულიეტას“ ერთ მონაკვეთს; ასევე, პერსი ბიში შელის “გათავისუფლებულ პრომეთეს“, “ღრუბელს“ და “სიყვარულის



ფილოსოფიას“. 1970-იან წლებში ზვიად გამსახურდი დაინტერესდა ინგლისურ-ქართული ლიტერატურული კავშირებით რუსთველოლოგიური კვლევების ჩრდილში. ინგლისური ენის ღრმა ცოდნა აძლევდა საშუალებას ავტორს, შეეჯერებინა ერთმანეთთან, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ნიკო მარისეული ბნეკარედული და მარჯორი უორდროპისეული პროზაული თარგმანები (რაც მოგვიანებით აისახა მის სადისერტაციო ნაშრომში) და, მეორე მხრივ, ვენერა ურუშაძისეული და კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის, რ. სტივენსონის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანები (რასაც მიუძღვნა მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“). ზვიად გამსახურდი ადასტურებდა თავის პატივისცემას ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ქართული ლიტერატურული ძეგლების პოპულარიზაციას ეწევა საზღვარგარეთ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული როგორც ტექსტოლოგიური, ისე პოეტიკური თვალსაზრისით; რომ ყოველი მომდევნო თაობის მთარგმნელები პერმანენტულად ცდილობენ პოემის თარგმანის შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას მომდევნო გამოცემებისთვის, ზვიად გამსახურდიამ თავს უფლება მისცა, გამოეთქვა რამდენიმე შენიშვნა ცალკეული ტერმინების თარგმანთან დაკავშირებით. ეს ტერმინები ფიქსირდება როგორც რუსთველთან, ასევე (ანალოგიური მნიშვნელობით) საღვთო წერილში, ანტიკურ და შუასაუკუნეების ფილოსოფიაში, პატერისტიკაში. ამ ტერმინების ინგლისური ეკვივალენტები ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურული ძეგლების ინგლისურ თარგმანებშიც გვხვდება. ავტორი ჩამოთვლის უმნიშვნელოვანეს ტერმინებსა და გამოთქმებს, რომლებიც გამოტოვებულია ან არაზუსტად არის გადმოღებული. ასეთებად მიიჩნევს იგი პოემის პირველ სტროფშივე გამოტოვებულ ტერმინებს: „რომელმან“ (He), „სამყარო“ (Fermament), „სული“ თარგმნილია, როგორც „ბრეატკ“. ცხადია, რადგან პირველი სტროფი თეოლოგიური ხასიათისაა, ამიტომ ანგარიში უნდა გაენიოს ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. ასევე, დაუშვებლად მიაჩნია ავტორს „სახისა“ და „მსგავსების“

ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენება/ხმარება (Image da Likeness). ზვიად გამსახურდი აღნიშნავს, რომ დიონისე არეოპაგელის თხზულებათა მთარგმნელი ინგლისურ ენაზე, ა. როლტი, „გონებას“ თარგმნის როგორც „mind“ და „intuitive reason“, რაც საკვებით გასაზიარებელია და ანგარიშგასაწევია მათთვის, ვინც მომავალში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მოჰკიდებს ხელს. შეცდომათა ამავე რიგს განეკუთვნება რ. სტივენსონის მიერ თარგმნილი „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „ძალნი ზეციურნი“, „ერთარსება ერთი“. მათ შესახებ არსებობს სპეციალური გამოკვლევები, რომლებიც უთუოდ უნდა გაითვალისწინონ შოთა რუსთაველის მთარგმნელებმა.

ფართო ერუდიციამ, დახვეწილმა გემოვნებამ, პოეტურმა ინტუიციამ და, რაც მთავარია, ძველი ბერძნული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების ცოდნამ განაპირობა ზვიად გამსახურდიას მაღალპროფესიული დონის თარგმანები: ჰომეროსის „ილიადას“ პირველი ქება, შარლ ბოდლერი, პერსი ბიში შელლი, ტომას სტერნზ ელიოტი, უოლტ უიტმენი, კარლ სენდბერგი, რობერტ ფროსტი, ედვინ არლინგტონ რობინსონი, უილიამ მორისი, ედგარ ლი მასტერსი, ემილი დიკინსონი, ეზრა პაუნდი... 1971 წელს გამოიცა ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილი ამერიკელი პოეტების ანთოლოგია; 1972 წელს კი, მონოგრაფია „მე-20 საუკუნის ამერიკული პოეზია“, რომელმაც გააერთიანა შესანიშნავი წერილები და ესეები ზემოთ ჩამოთვლილ ინგლისურენოვან ავტორებზე, რომლებშიც ღრმად არის გააზრებული მათი შემოქმედების ცალკეული ასპექტები. ნიშნეულია, რომ მისი გამოკვლევების გმირები ბუნებით მეამბოხენი არიან: იქნება ეს ინგლისელი ბარონეტის შვილი (შელლი), თუ ამერიკელთა არქექტიპული პოემის – „ბალახის ფოთლების“ – ავტორი (უიტმენი); ამერიკის სახალხო პოეტი (სენდბერგი) თუ პოეტი-რეალისტი (ფროსტი და რობინსონი). ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ვინც მომავალში გადაწყვეტს მე-20 საუკუნის ამერიკელი პოეტების თარგმნას, მათი შემოქმედების შესწავლას, გვერდს ვერ აუვლის ზვიად გამსახურდიას ზემოთ მოყვანილ მასალას, რომელმაც ღირსეული

1. ზვიად გამსახურდი. „მე-უოლტ უიტმანი, კოსმოსი“. *ე.ბურუსი*, 28.06.2011. ელ. მისამართი: <https://burusi.wordpress.com/2011/06/28/witman/>

# თარგმანი

| ტექსტი                                                                                              | მეტაფორული მნიშვნელობა                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კაპიტანი                                                                                            | დემოკრატიის სიმბოლოდ შერაცხული აშშ-ს მე-16 პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნის მეტაფორაა (1861-1865წ.წ.). ლინკოლნი იყო ქვეყნის ლიდერი და გემის კაპიტნის მსგავსად, სწორად შერჩეული კურსით მიყავდა ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ ლექსში ეს სიტყვა მიემართება ერთ კონკრეტულ კაპიტანს, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. |
| ხომალდი, ხომალდის მტკიცე ქიმი                                                                       | აშშ-ს სახელმწიფოს, ამერიკელი ერის მეტაფორაა. ტერმინი „სახელმწიფო გემი“ (ჩოვერმენტ შიპ) ხშირად გამოიყენება ინგლისურენოვან ქვეყნებში ნაციონალური მთავრობის აღსანიშნავად                                                                                                                                                 |
| ღელვისა და გრიგალის გაძლება                                                                         | სამოქალაქო ომის მეტაფორაა კავშირსა და კონფედერაციას შორის; ეს უკანასკნელი იმუქრობდა კავშირიდან გასვლას, რასაც ერის ორად გახლეჩა მოჰყვებოდა                                                                                                                                                                            |
| მძიმე მგზავრობის დასრულება, სანუკვარი ოცნების დასრულება (ორიგინალში – პრიზის მოგება) ნაპირზე გასვლა | კავშირის გამარჯვება 1865 წლის 9 აპრილს, როდესაც კონფედერაციის გენერალმა, რობერტ ლიმ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთის შტატები რჩებოდნენ კავშირში და აშშ, როგორც სახელმწიფო არ დაიმლებოდა                                                                                            |
| სისხლის გუბე, ცივი, მკვდარი კაპიტანი, სისხლით დანამული ალამი                                        | კაპიტნის სიკვდილი გულისხმობს ლინკოლნის მკვლელობას; 1865 წლის 15 აპრილს კონფედერატმა/ „სამხრეთელმა“ ჯონ უილკს ბუტმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა თეატრში მყოფ პრეზიდენტს                                                                                                                                                 |

ადგილი დაიმკვიდრა ქართული ესეისტური და მთარგმნელობითი სკოლის ისტორიაში. ცხადია, ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია ზვიად გამსახურდიას თარგმანების განხილვა, ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი მემკვიდრეობიდან საანალიზოდ მხოლოდ ორი ლექსი შეგვეჩინა, რომელიც ვფიქრობთ, ცხადყოფს მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებასაც და მისი თეორიული შეხედულებების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობასაც.

2012 წელს გამომცემლობა „ინტელექტ-მა“ გამოსცა პატარა კრებული, რომელმაც გააერთიანა „თანამედროვე პოეზიის წვეროსანი პატრიარქის“, უოლტ უიტმენის ცნობილი ლექსის – „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ – თორმეტი თარგმანი. კრებული

ზვიად გამსახურდიას თარგმანით იხსნება. წერილში „მე – უოლტ უიტმანი, კოსმოსი“, ზ. გამსახურდია შენიშნავდა, რომ იმის მიუხედავად, რომ ქრონოსის თვალსაზრისით უიტმენი მე-19 საუკუნეს განეკუთვნება (1819-1892წ.წ.), იგი ჩვენი თანამედროვეა, რომელშიც მძლავრად იგრძნობა მეოცე საუკუნის სულისკვეთება; „...იგი ფუძემდებელია ახალი პოეზიისა, ახალი პოეტიკისა; ყოველივე ის, რაც მის თანამედროვეებს არაკანონზომიერად ეჩვენებოდათ მასში, დღეს დაკანონდა, აუცილებლობისეულ მოთხოვნად იქცა პოეზიაში... უოლტ უიტმანი ჭეშმარიტი კოლუმბია ახალი დროისა, იგი უფრო მეტია, ვიდრე კოლუმბი, მან აღმოაჩინა ამერიკის სული“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ზვიად გამსახურდია. ედვინ არლინგტონ რობინსონი. ელ რესურსი:

<https://viadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98/; 01.07.2010>

ლექსი „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ მნიშვნელოვანია უიტმენის შემოქმედების მკვლევართათვის (ამდენად, ზ. გამსახურდიასთვისაც). თავდაპირველად იგი დაიბეჭდა ბროშურაში (Sequel to Drum-Taps), რომელმაც აშშ-ს სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი 18 ნაწარმოები გააერთიანა; მოგვიანებით კი, უიტმენმა იგი შეიტანა 1867 წელს გამოქვეყნებულ „ბალახის ფოთლების“ მე-4 გამოცემაში. ლექსის სწორად გასააზრებლად გასათვალისწინებელია ისტორიული ფონი, როდესაც იგი შეიქმნა. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის დროს (1861-1865 წ.წ.) ჩრდილოეთის შტატები დაუპირისპირდნენ სამხრეთისას იმის საპასუხოდ, რომ ამ უკანასკნელებმა კავშირიდან გასვლა მოინდომეს მონობის გაუქმებასთან დაკავშირებით. ლექსში უიტმენი არსად არ ახსენებს მონობის პრობლემას; მისი ყურადღება ფოკუსირებულია კავშირის დაშლის საშიშროებაზე, რომელიც ომის დაწყებამდე 85 წელს ითვლიდა. მსოფლიო საზოგადოება აშშ-ს მიიჩნევდა დემოკრატიის „უდიდეს ექსპერიმენტად“ და ამერიკელი ერის ორად გაყოფა ამ ექსპერიმენტის კრახს და ნაციონალურ კატასტროფას მოასწავებდა.

უიტმენს ღრმად სწამდა, რომ მისი ქვეყანა – ამერიკა – მოწოდებული იყო კაცობრიობის ცხოვრებაში თავისუფლების, საყოველთაო კეთილდღეობისა და დემოკრატიის იდეალების დასამკვიდრებლად. სწორედ ამ იდეალების ღრმა და შეუვალმა რწმენამ გადაწყვეტინა უიტმენს „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის“ ომში მოხალისედ წასვლა (იგი ომის დროს ფერშალი იყო). ომი, რომელმაც 620 000 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, „ჩრდილოეთის“, ანუ კავშირის გამარჯვებით დასრულდა 1865 წლის 9 აპრილს; ექვსი დღის შემდეგ კი, 15 აპრილს, თეატრში მყოფ აბრაამ ლინკოლნს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს; იგი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. „მართალი ეიბის“ ტრაგიკულმა მკვლელობამ შოკში ჩააგდო ამერიკელები. უოლტ უიტმენი, „ჩრდილოეთელი“ და ლინკოლნის მომხრე, ამ ფაქტს უძღვნის ელეგიური პოეზიის ერთ-ერთ შედევრს – „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო“ – რომელმაც, ერთი მხრივ, ეპოქის სულისკვეთება გამოხატა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოაჩინა უიტმენის პირადი რეაქცია ტრაგედი-

ასთან დაკავშირებით. სწორედ ეს პირადი პერსპექტივა ხდის მკითხველს ტრაგედიის თანაზიარად და ამაღლებს ლექსის ემოციურ მიმზიდველობას.

აღსანიშნავია, რომ ლექსი მთლიანად აგებულია ე.წ. გაფართოებულ, გაშლილ მეტაფორაზე, რაც გულისხმობს ორი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის არამსგავსი საგნის თუ მოვლენის შედარებას; მწერალი მიმართავს ერთმანეთის შესადარებელი მოვლენის/საგნის სხვადასხვა ასპექტს, რათა შემდგომ, კონკრეტიზირების გზით, უფრო მცირე შესადარებელ ატრიბუტებზე ჩამოყალიბდეს. ქვემოთ მოვიყვანთ ლექსის პირველ ორ სტროფს:

O Captain! my Captain! our fearful trip is done,  
The ship has weather'd every rack, the prize we sought is won,  
The port is near, the bells I hear, the people all exulting,  
While follow eyes the steady keel, the vessel grim and daring;

But O heart! heart! heart!

O the bleeding drops of red,

Where on the deck my Captain lies,  
Fallen cold and dead ...და ა.შ.

ლექსის თემატიკა, რომელშიც წამყვანია საქვეყნო/სახელმწიფოებრივ იდეალებს შეწირული მსხვერპლის მოტივი, ერთგვარად, გადაგვამისამართებს ანტიკური დროის ჰეროიკულ სიმღერებთან. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ვერსიფიკაციის ნოვატორმა, უოლტ უიტმენმა, რომლის სახელთან თავისუფალი ლექსის, ურითმო ლექსწყობის დამკვიდრება ასოცირდება, სამგლოვიარო ელეგიაში ლინკოლნის გარდაცვალებით გამოწვეული მძიმე განცდების გადმოსაცემად რითმიან სტროფს მიანიჭა უპირატესობა და არა ვერლიბრს. ეს ფაქტიც, თითქოს, რემინისცენციულად მიგვანიშნებს არისტოტელესა („პოეტიკა“) და ჰორაციუსის („წერილი პიზონებს“) მოსაზრებებზე, რომ ტრაგიკულსა და ამაღლებულს ჰეროიკული სალექსო საზომი შეშვენის. ორიგინალის ექვსივე კატრენული სტროფი პეტერომეტრულია (მაგ., პირველი ორი სტროფი: 12+14+15+15 და 5+7+8+5), რომელიც ერთმანეთს ენაცვლება. რაც შეეხება თარგმანს, ისიც კატრენების საზომთა მონაცვლეობაზეა აგებული და აქაც,



# თაშგმანი

ორიგინალის მსგავსად, ადგილმდებარეობის მიხედვით, პირველ სტროფში მოსახლვრე რითმებია წარმოდგენილი (ააბბ), ხოლო მეორეში – ინტერვალიანი რითმა (აბცბ). ამგვარად, სტროფების ჰეტერომეტრულობა ქმნის თავისუფალი რიტმის შთაბეჭდილებას, თუმცა შენარჩუნებულია რითმათა კონფიგურაცია და ჟღერადობა:

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა ჩვენი მძიმე მგზავრობა, გველირსა ცის გასხივოსნება;

ხომალდმა გაუძლო ლელვებს და გრიგალებს, ჩვენი სანუკვარი ასრულდა ოცნება;

ახლოა ნაპირი, მოისმის ზარები, ისმის მოზეიმე ხალხის ჟრიაბი,

თვალეები მისდევნენ ხომალდის მტკიცე ქიმს, ფრიალებს ალაში სისხლით დანამული.

მაგრამ გული! გული! გული!  
სისხლის გუბე შესაზარი!  
გემბანზე ხომ კაპიტანი,  
ასვენია, ცივი, მკვდარი.

ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ მთარგმნელს, ერთი მხრივ, ესაჭიროება პოეტური აღმაფრენა და, მეორე მხრივ, ლინგვისტური სკრუპულოზურობა; რომ კარგმა მთარგმნელმა, ოდისევსის მსგავსად, მშვიდობიანად უნდა დააღწიოს თავი სკრუპულოზულობის სცილასა და თავისუფალი თარგმანის ქარიბდას. ვფიქრობ, რომ უიტმენის ზემოთ გაანალიზებული ლექსის თარგმანი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელმა დაიცვა ოქროს შუალედი და შექმნა დედნის ადეკვატური თარგმანი, რომელიც ინარჩუნებს „ამერიკულ სულს“ და ამავედროულად, ქართველ მკითხველსაც ხდის ტრადიციის თანაზიარად.

რაც შეეხება ახალი ამერიკული პოეზიის დიდი რეალისტების ხუთეულის წარმომადგენელს – ედვინ არლინგტონ რობინსონს (1889-1935), რომელსაც ყველაზე „ინგლისელ“ პოეტადაც მოიხსენიებენ ტრადიციული ინგლისური ბოლორიტმოვანი ლექსისადმი ერთგულების გამო, ზვიად გამსახურდიას

მის პოეზიაში ხიბლავდა უბრალოება, რომლითაც ფარული დრამატიზმის ერთგვარი შენიღბვა ხდებოდა. რომანტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებსაც ძლიერი, გამორჩეული პიროვნებები იზიდავდნენ, რობინსონს თავისი ლექსების გმირად გამოყავდა უბრალო, „პატარა“ ადამიანები, რადგან „...რადგან ხშირად ამ „პატარა“ ადამიანებში პოულობს იგი დიდბუნებოვნებას, საოცარ კეთილშობილებას, თავდადებას“<sup>1</sup>. სწორედ „პატარა“ ადამიანების ციკლს განეკუთვნება რობინსონის ცნობილი ლექსი „მინივერ ჩივი“, რომლის გმირს ზ. გამსახურდიამ ახალი დროის დონ-კიხოტი უწოდა: „ამ ადამიანში თანამედროვე ცხოვრების ვულგარულობა და უხეშობა ინვევენ ერთგვარ სანინალმდეგო რეაქციას: იგი ხდება წარსულის მოტრფიალე, აწმყოში მისი ცხოვრება მხოლოდ ფორმალურია. იგი ველარ პოულობს ერთიანობას წარსულსა და აწმყოს შორის, რათა ამ ერთიანობიდან გამომდინარე, შუბლგახსნილად შეხედოს მომავალს“.

ორიგინალში გამოყენებულია ჰეტერომეტრული კატრენები (მაგ., პირველი ორი და ბოლო სტროფები: 8+9+8+5; 8+9+9+5; 8+8+8+5), რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან:

Miniver Cheevy, child of scorn,  
Grew lean while he assailed the seasons;  
He wept that he was ever born,  
And he had reasons.

Miniver loved the days of old  
When swords were bright and steeds were prancing;  
The vision of a warrior bold  
Would set him dancing.

Miniver Cheevy, born too late,  
Scratched his head and kept on thinking;  
Miniver coughed, and called it fate,  
And kept on drinking.

რაც შეეხება თარგმანს, ისიც ჰეტერომეტრულ კატრენებზეა აგებული (10+10+10+5) და ინარჩუნებს ორიგინალის რიტმიკას, რომელიც ემყარება სტროფში/კატრენში პირველი სამი ტაეპის შემდგომ, მეოთხეში უფრო მოკლე ტაეპის გამოყენებას. ორიგ-



ინალის მსგავსად, ადგილმდებარეობის მიხედვით ლექსში ჯვარედინი რითმებია წარმოდგენილი (აბაბ); ამ შემთხვევაშიც, სტროფების ჰეტერომეტრულობა ქმნის თავისუფალი რიტმის შთაბეჭდილებას, თუმცა შენარჩუნებულია რითმათა კონფიგურაცია და ჟღერადობა.

მინივერ ჩივი ჟამთა მოზარე,  
ერკინებოდა საწურთოს მუხთალს.  
ქვეყნად გაჩენას მოსთქვამდა მწარედ,  
ნიადაგ სწუხდა.  
მინივერს სწვავდა წარსულის ეშხი,  
ხმალთა კვესება, მხედართ ყიჟინი,  
(ლომგულ რაინდთა ზმანებით შემლა  
და ცეკვის ჟინი).

-----  
მინივერ ჩივი გვიან შობილი  
ხშირად ფიქრობდა, ხშირად ფიქრობდა:  
ცეცხლი თუ სწვავდა ჩაუქრობელი,  
ღვინით იქრობდა.

ზვიადის თანახმად, მთარგმნელი ქმნის ნაწარმოების ახალ ფორმას; ეს არის ნაწარმოების ხელახალი შობის იდეალური ალქიმია; მაგრამ „...აქვე უნდა იჩინოს თავი მთარგმნელის პროფესიონალიზმმა და ვირტუოზულობამ, რათა ეს ახალი ფორმა ნაწარმოებს ნასხვისარი ტანსაცმელივით არ ადგეს“. ვფიქრობ, ედვინ არლინგტონ რობინსონის „მინივერ ჩივის“ შემთხვევაში (ისევე როგორც უიტმენის შემთხვევაში) ზვიად გამსახურდიას პროფესიონალიზმისა და ვირტუოზულობის წყალობით ქართულ თარგმანს ნასხვისარი ტანსაცმელი არ „აცვია“; ცხადია, იგი ქართულად არ ჟღერს, ინარჩუნებს ორიგინალის სულს (და ასეც უნდა იყოს), მაგრამ ქართველი მკითხველის გულთან მაინც ახლოს მიდის. შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ მე ამ ლექსში ზვიად გამსახურდიას თაობის გულისტკივილიც ამოვიკითხე; თაობისა, რომელიც ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრობდა, იღებდა კარგ განათლებას, ოჯახისა თუ ნაცნობ-მეგობრების წყალობით ყალიბდებოდა ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებულ პიროვნებად და შემდგომ, თავის რეალიზებას ვეღარ ახერხებდა, ასპარეზს ვერ პოულობდა ამ ქვეყანაში და მინივერ ჩივის მსგავსად, ისიც სასმელით იქარვებდა დარდს.

# თაშგმანი

## შარლ ზოდლეური

ზვიად გამსახურდიას კულტუროლოგიური მისწრაფება – მრავალმხრივი, ხოლო ლიტერატურული შესაძლებლობა უსაზღვროა. იგი ბევრს ფიქრობდა და წერდა უცხოურ ლიტერატურასა და კულტურაზე. ჟურნალი „რინა“, რუბრიკაში – თარგმანი, წარმოგიდგენთ ზვიად გამსახურდიას მიერ შესრულებულ შარლ ბოდლერის თარგმანებს წიგნიდან – „პარიზის სპლინი“ (ლექსები პროზად).

## დედაბრის პარამი

სახედანაოჭებული დედაბერი გაიბადრა ბუდრუგუნა ბაღლის დანახვაზე. ამ მშვენიერ არსებას, მასავით უსუსურს, უკბილოს და უთმოს, ყველა თავს ევლებოდა.

იგიც მიეტანა ბაღს მოსაფერებლად, მაგრამ დამფრთხალი პატარა ხელიდან გაუსხლტა მოხუცს, შეშინებული და აწივლებული.

მაშინ საბრალო მოხუცი კვლავ მიუბრუნდა თავის მარტოობას მარადჟამულს, ატირდა კუთხეში სანყალობლად და მოსთქვამდა: „ვაი ჩვენ, საბრალო დედაბრებს, ხანგადასულებს, თოთო ბავშვებსაც რომ აღარ მოვწონვართ და ზიზღს ვგვრით მათ, ვისი სიყვარულიც გვწადია!“

## მხატვრის აღსარება

რაოდენ გულში ჩამწვდომია შემოდგომის დღეთა აღსასრული! გულში ჩამწვდომი და სევდისმომგვრელი! ხომ არსებობენ მომხიბვლელი გრძნობანი, ბუნდოვანი და ძალუმი, და არ არსებობს ლახვარი, მარადისობის ლახვარზე უბასრესი.

რაოდენ მომხიბლავია ჭვრეტა ცისა და ზღვისა, უსაზღვროების სიმარტოვე, სიჩუმე, ლურჯი ტატნობის შეუდარებელი ლივლივი. აი პანანინა აფრაც მოსჩანს თვალსანიერზე... ეული და მიუსაფარი, როგორც ჩემი ბედკრული ყოფა. ზღვის მოქცევის მონოტონური დუდუნი; მთელი გარემო ფიქრობს ჩემით, ან იქნებ მე ვფიქრობ გარემოთი? (აი, რა მალე მეკარგება საკუთარი „მე“ ამგვარი ჭვრეტის სიდიადეში); ჰოდა, ფიქრობენ, აზროვნებენ – მეთქი, ვამბობდი; აზროვნებენ ხატონად, მუსიკალურად, ჩვენი ყოველდღიური დედუქციების გარეშე, ყოველგვარი სოფიზმებისა და სილლოგიზმების გარეშე.

ჰო, მაგრამ, ჩემში იბადებიან ეს აზრნი, თუ საგნები ჰბადებენ მათ, მათი გარდაუვალი შედეგია დაძაბულობა. ესოდენ ზეადმტაცი შვება ტკივილს იწვევს სულისმიერს და ტანჯავს სხეულებრივს. უკიდურესად დაძაბული ნერვები მძაფრი კრუნჩხვებით ჰპასუხობენ ყოველივე ამას.

და აჰა, მზარავს ლაჟვარდთა სიღრმე, გულს მიღონებს ზეცის სინმინდე, ზღვის უშფოთველობა, გარემოს უძრაობა, აღაშფოთებენ ჩემს სულს...

ნუთუ მარად უნდა ვიტანჯო, ან იქნებ სამუდამოდ უნდა გავექცე მშვენიერებას? ჰოი ბუნებავ, უწყალო ჯადოქარო! იკმარე თრგუნვა ჩემი ნატვრის და სიამაყის!

მშვენიერების წვდომა უთანასწორო დუელია, სადაც მხატვარი ბედიტად მოსთქვამს, საბოლოო დამარცხებამდე.

## ქალლი და ფლაკონი

„ჩემო პატარა გოშიავე, ჩემო ლამაზო, ჩემო ცუგრუმელავ, მომიახლოვდი, დაგაყნოსვინო სურნელება ამ ნელსაცხებლის, ქალაქის საუკეთესო პარფიუმერთან რომ შევიძინე“.

ძალლი კუდის ქიციინით მომიახლოვდა, რაც, ჩემი ვარაუდით, ამ საბრალო არსებაში შეესაბამება ღიმბილს თუ სიცილს და ცნობისმოყვარედ მიაღო სველი დრუნჩი თავლია ფლაკონს; შემდეგ უეცრად უკანვე გახტა შემფოთებული და თითქოს მყვედრისო, ყეფა ატეხა.

„ო, უკუღმართო ძალლო! ნაგვის ფუთა რომ მომეცა შენთვის, სიამით დაჰყნოსავდი და შესაძლოა შეგესანსლა კიდეც. ასე, რომ, ჩემი ნაღვლიანი ცხოვრების უღირსო მეგობარო, შენ ბრბოს ჰგავხარ, რომელსაც სათუთი არომატები როდი უნდა მიაღწევს – რაც მას ალიზიანებს, – არამედ კარგად შერჩეული უნმინდურება“.

## თრობა

თრობას მიეძალე. თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს.

ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს.

ჰო, მაგრამ რითი? ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითიც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი.

და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები – სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელზე, თუ შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, – მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაქრის, კვნესის ან მიედინება, ჰკითხე: რომელი საათია? და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობის და თავდავინეების, რათა არ ვეყმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი; ამიტომ მივეძალოთ დაუსრულებელს: ღვინით, პოეზიით, ან სიქველით – წაღლისამებრ.

## სარკე

შემოდის კაცი უკიდურესად გულსამრევი გარეგნობისა და იხედება სარკეში.

„რად იყურებით სარკეში, განა ვერ ხედავთ, რომ უსიამოვნების მეტს ვერაფერს იგრძნობთ ამის შედეგად?“

მახინჯი კაცი მპასუხობს: „ბატონო ჩემო, 1789 წლის უკვდავი პრინციპების მიხედვით, ყველა ადამიანი თანაბარია თავიანთ უფლებებში; ასე რომ მეც მაქვს უფლება სარკეში ჩახედვისა; რაც შეეხება უსიამოვნებას თუ უსიამოვნებას, ეს ჩემი პირადი სინდისის საქმეა“.

სალი გონების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მე ვიყავი მართალი, მაგრამ კანონის თვალსაზრისით არც ის იყო მტყუანი.

# თარგმანი

## ფანჯრები

ის, ვინც ღია ფანჯრებში იყურება ქუჩიდან, ვერასოდეს შეიგრძნობს ყოველივე იმას, რასაც დაინახავთ ჩაკეტილ ფანჯარაში ცქერისას. არაფერია უფრო ღრმა, უფრო იდუმ-ალი და მიმზიდველი, უფრო პირქუში და თვალისმომჭრელი, ვიდრე ფანჯარა, სანთლის შუქით განათებული შიგნიდან.

ის, რასაც ვხედავთ მზის სინათლეში, სულაც არ არის იმდენად საინტერესო, როგორც ის, რაც ხდება მინის მიღმა. იქ მცირე, ჩაბნელებულ სივრცეებში – ცხოვრებაა, ოცნებაა, ტანჯვაა ადამიანისა.

სახურავთა ტეხილებს ზემოთ ფანჯარაში ვხედავ ხანში შესულ ქალს, სახედანაოჭებულს, ლატაკს, მუდამ რაღაცაზე წახრილს, რომელიც არასოდეს გამოდის სახლიდან. მისი სახის, ტანისამოსის, მოძრაობის და რაღაც ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით მე შევიქმენი ჩემთვის ისტორია მისი ცხოვრებისა, უფრო სწორად – ლეგენდა მის შესახებ; ზოგჯერ მოვეუთხრობ ჩემს თავს ამ ლეგენდას და ვტირი.

აქ რომ ღარიბი ბერიკაცი ცხოვრობდეს, მის შესახებ შევთხზავდი ასეთსავე ამბავს.

მე ხომ ვამაყობ იმ შეგრძნებით, რომ მიცხოვრია სხვათა ტანჯვით, ჩემგან განსხვავე-ბულ ადამიანთა ტანჯვით.

შესაძლოა, თქვენ მითხრათ: „განა დარწმუნებული ხარ, რომ ეგ ლეგენდა შეეფერება სინამდვილეს?!“ მაგრამ, აბა, რა მესაქმება მე სინამდვილესთან, რომელიც ჩემს გარეშეა, მაშინ როდესაც ჩემი ლეგენდა მეხმარება მე ცხოვრებაში – მაძლევს შეგრძნებას არსებო-ბისას, ჩემივე თავისას.

## უცხო

– იდუმალებით მოცულო კაცო, მითხარ, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად: დედა, მამა, დაა თუ ძმა?

– არა მყავს დედა, არც მამა, არც ძმა და არცა დაა.

– მაშ მგეობრები?

– მაგ სიტყვების აზრი დღემდე უცნობია ჩემთვის.

– იქნებ სამშობლო?

– არც კი ვუწყი, რომელ განედზე მდებარეობს იგი.

– მშვენიერება?

– მე მზადა ვარ შევიყვარო მშვენიერება, თუ იგი ღვთაებრივი იქნება და უკვდავი.

– ოქრო?

– მე მძულს ოქრო, ისევე როგორც თქვენ გძულთ ღმერთი.

– მაშ რაღა გიყვარს ბოლოს და ბოლოს, საოცარო უცხოელო?

– ღრუბლები მიყვარს... ჰე, ცის ტატნობზე რომ მისცურავენ...

ის საოცარი ღრუბლები.





## ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობა“ მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია

ზვიად გამსახურდია... პოეტი – გმირი, პოეტი – პრეზიდენტი, პოეტი – მონამე ... ერთ ადამიანში განხორციელებული...

ზვიად გამსახურდიამ უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო პოეზია დაგვიტოვა. „მთვარის ნიშნობა“ მნიშვნელოვანი კრებულია, რომელშიც მისი გრძნობა, ფიქრი და განცდა განსხვავებულ მიმართულებას იძენს, სხვა სიმაღლე აქვს, სხვა დახვეწილობა.

„მთვარის ნიშნობა“ საკრალური ჰიმნია (ლივერ ქადაგიშვილი). აქ ინდივიდი თავად მართავს მოვლენებს ჭეშმარიტების სინათლეში. პოეტის ფანტაზია უსაზღვროა, სინამდვილის შეგრძნებითა და ზეციური სამყაროსაკენ სწრაფვის დიადი სურვილით. ზვიადის პოეტური ალლო, ხედვა ქართველი ადამიანის ტანჯვისა და ტრაგედიის მარადიული სარკეა, მესამე თვალია, „თვალი სხივნათელი“ (გენო კალანდია), რომელიც გამჭოლად იმზირება შორეულში, მიუწვდომელში და მომავალშიც – თავისი მომავადობელი ფერებითა და ჩაუქრობელი სიცოცხლის წყურვილით.

„მთვარის ნიშნობა“ მარადიულობის ღვთიური ფენომენია, ღვთიური აზროვნებაა. ფერებით ხედვა, მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია: საოცარი ფერადოვანი მძაფრი ხაზებითა და კოსმიური განწყობილების მოულოდნელი შემოჭრაა უსასრულობაში, ყოვლისმომცველი სულის ბიბლიური ხატი. უფრო მეტიც, „მთვარის ნიშნობა“ – „ეს მიძღვნა სხივი ფარული“, რომელშიც „გრაალის კოშკი შორით მოსჩანს ქიმებაზარული“...

საქართველოს გმირულ წარსულთანაა დაკავშირებული სახე-სიმბოლოები: დიადი იბერია, ვაჰანი და ძველი ვარძია, მთვლემარე არმაზი, მონამე-მისანი მტკვარი, სიონი, ქაშვეთი: „...ქვიშათა ქუშია ქაშვეთი, დროთა მარაბდული სევდა, ვის ავი ლაშებით ღლავშეთი, მუსვრად და საღმობად სდედა!“ ასე მგონია, ნიუანსირებულ ბგერათა საოცარი მიგრაცია, ემოციათა სუფთა, უჩვეულო სპექტრი ლივლივებს ამ კრებულში და უნებლიეთ ვფიქრობ, რომ ავტორის უღრმესი, ქვეცნობიერი პლასტიკიდან მომდინარეობენ ისინი და მისი ენა იმდენად თავისებურია, რომ არ შეიძლება პუშკინი არ გაგახსენდეს: „მე შენი შეცნობა მწყურია, მაგრამ იდუმალია შენი ენა“... და მართლაც, შეიმეცნო ზვიად გამსახურდიას, როგორც პოეტის ხმის ტემბრი, წარმოიდგინო თვით უნაზესი მოდულაცია ბგერათა რხევისა აზრობრივ ნიუანსთა თანხლებაში, ერთობ რთულია და ძნელი. დღენიადაგ ფიქრი, ნეტარება და გაოცება, უცხო სურნელი და ღვთიური მაგიის დაუსრულებლობის შეგრძნებაა „მთვარის ნიშნობაში“: „არფაზე გაკრული გველი, ფერისცვალებაა ქნარის, ცის გარდაცვალებას ელი, ახლოა დარობა დარის“, – ესაა გალაკტიონ ტაბიძის სულიერებაში წვდომა. „მთვარის ნიშნობა“ სათაურია ლექსისა, რომელიც მიეძღვნა გალაკტიონს. ამიტომაც აქ თითოეული სტრიქონი მჩქევნარე სხივების ორკესტრია, კოსმიურ სამყაროში შეღწევაა და პლანეტის სიცოცხლის სრულყოფილი პორტრეტიც...

„მთვარის ნიშნობაში“ ჩვენს თვალწინ თითქოს დაჰქრიათ ოცნებათა ანგელოზები,

ლეგენდებიდან გადმოდიან ქართლოსი და ჰამოსი, თარგამოსი და მცხეთოსი. ქართლის მთებზე დგებიან არმაზი და ფარნავაზი... აქ მიწა ფეთქავს საუკუნეთა სუნთქვით...

ზვიად გამსახურდიას პოეზიაში გასაღები იდეისა ადამიანის სამყაროზე ზემოქმედების შესახებ. მისი რწმენით, სულს შეუძლია რეალისტურ სამყარომდე ამაღლება, მას შეუძლია ეზიაროს მის ნათელს... ეს კარგად ჩანს ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ ლექსში, ტერენტი ხომ ზვიად გამსახურდიასთვის გახლდათ გლოვის მუსიკა.

ზვიად გამსახურდიას პოეზია ხმამაღალი ფიქრია, სიხარულისა და ტკივილის აღსარებაა. მისი რწმენით აზრის, ფერწერის, ბგერის ჰარმონიის მომწესრიგებელია პოეტი.

ზვიად გამსახურდიას პოეზიაში კალმის მონასმით, მისეული გონით ამაღლებული სულისკვეთებაა აღბეჭდილი. თითოეული სიტყვა პოეტური საოცრებაა და გრძნობ უფლისმიერ და კოსმიურ ძალთა სისავსეს... ლექსი „მამა“ ღმერთზე გულმხურვალე ლოცვითაა გალიცლიცებული, აქაა ზეციური ჰარმონია, მისტიკური ხილვები და ანდამატურ აზრთა უსასრულობა, მშობლიური მამულისა და მოყვასისადმი უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც პოეტი წმინდანით ატარებდა.

ლექსს წითელი ზოლივით გასდევს ფსალმუნთა ინტონაციები! „ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი, თავად ნება ხარ სიმართლის მჩენი“... ეს წმინდანი კაცი „სავსე ქართული პატიოსნებით“ უფალივით გულღია და მართალი საქართველოს თავისუფლებისათვის თავგანწირული მეომარი გახლდათ, მას ღრმად სწამდა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია არის მარადიული ბრძოლა ბოროტებასთან და ალბათ, ამიტომაც „სატანის მანქანა“ ეცხადებოდა. ყვითელი სახლი „ემმაკეულთა საბუდარია“. ანა კალანდაძის აზრით: „აქ ძირი ეთხრება წმინდა ოცნებას, სოფლის საცთური როცა ძალადობს“... ზვიად გამსახურდიას ხილვები ღვთისგან ხელდასმული ადამიანის ხილვებია: „ყვითელო სახლო, ჯოჯოხეთო გადასაბუგო, საბედისწეროდ დაგიღია უძღები ხახა, შენგან მრავალი გაიტანეს იმედის კუბო, მაინც მძვინვარებ და მოითხოვ მსხვერპლს ახალ-ახალს.“

სამშობლო ზვიად გამსახურდიასთვის უპირველესი ხატი და სალოცავია, აქ მისი აზროვნების სიმაღლეა, მოვალეობა ერისა

და ქვეყნის წინაშე. აზრთა სიმძაფრე მუდმივად მისი თანამდევია. როგორ ფაქიზად, მაგრამ ამავე დროს, როგორ ამაღლებულად, ზმანებით შემოდის „გიორგის ელვარე გორდა“ და „სისხლით ისხურება ტბორი“ და „ლომები ლომისად ვლენან“... ეზმანება: გარუჯული სამცხის კედლები, „კუმურდოს თალი დაღარული და ზარზმის ზარი“ და პოეტის ხილვებში ყოველივე ამქვეყნიურ და ზექვეყნიურ საოცარ სურათებად იფანტება სივრცეში... ჰოდა: „შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა, იშხანი, ოშკი, პარხალი და წმინდა ხახული, ვინაც ხილვები ხახულისა ცრემლებით ბანა, ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული“... გასცქერის ზეცას პოეტი და ზმანებათა ამ საგანძურში ხედავს განთიადს: „მოდის განთიადი, ლეგენდით ნაფერი“ და მზის ათინათში მისი „ნათელმხილველი მზერა მზეობს მოგვეური ხედვით“, გენიის უტყუარი ალლოთი, საკვირველი კოლორიტით საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ წარსულზე გვესაუბრება. და სარწმუნოა, რომ „გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევს შარას, წმინდა გიორგი საქართველოს ნათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს“.

„კოსმიური წირვა“ მაკროკოსმიური პოეზიაა. ხილვათა ქმნა, რუსთაველისა და გურამიშვილის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული მოძღვრება და ღვთისმეტყველება პოეტური ოპტიკით ისე არავის გაუმუქებია, როგორც ზვიად გამსახურდიას. ამ ტექსტებს „ფსალმუნური პროსოდის ელფერი დაჰკრავს“. (კონსტანტინე ზ. გამსახურდია). ამიტომაცაა, რომ ისინი ლოცვებად და საგალობლებად აღიქმება და კიდევ: აქაა ადამიანის ინდივიდუალურობით გადასვლა მაკროსამყაროულ სინამდვილეში, სადაც ის კოსმიურ წირვაში მონაწილეობს. „მთვარის ნიშნობაში“ გლოსოლალიის, ალიტერაციებისა და ასონანსების გზით საკრალური ტექსტების აღორძინების დისკურსია.

პოეტი ევედრება უფალს ერის, ქვეყნიერების გადარჩენას და ამ ლოცვაში უმთავრესია „წმინდა მიწა“, ასევე, „ბეთანია, ბეთზედა, ბეთსაიდა“. „სად აწვდილა ამაღლებული ტაძარი, სად უფალმა აღადგინა ლაზარი“...

ზვიად გამსახურდიას წმინდა გიორგის

მეშვეობით სწადია ბოროტების დათრგუნვა; „წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო, ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არის, შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია, იხსენი სამკვიდრო შენი გეორგია!“

საკრალურია ლექსი „აღდგომა“. პოეტისთვის აღდგომა სულის აღფრთოვანება და ზეცაში ამაღლებაა. „რა შვებაა, რა ზარია, აღსდგა ღმერთი სულმნათი, დედამინა ტაძრია, ზეცა – მისი გუმბათი“.

„მთვარის ნიშნობა“ მთავრდება ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლით და გრძნობ, რალაცნაირ მისნურ წინასწარგანჭვრეტას პოეტის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულისა. ორი თვე პოეტმა ტერენტის მშობლიურ კუთხეში გაატარა. მისი ცხოვრება ისევე როგორც ტერენტი გრანელისა, მოწამეობრივი იყო: „რარიგ ვეფუცხოვე სამყაროს ცივდენას ნექტარიც ნავილე და შხამიც იმდენი, რარიგ ვეფუცხო-

ოვე მიწის გაშლილ მკლავებს... “

ზვიად გამსახურდია განჭვრეტს თავისი პიროვნების ტრაგიკულ დასასრულს, მისთვის, როგორც ტერენტი გრანელისთვის, საქართველო „მკვდარია.“ „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია, და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია, ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბაღია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“ (ეს ტერენტი გრანელია).

კონსტანტინე ზ. გამსახურდიას დავესესხები: „მთვარის ნიშნობა“ („კოსმიური წირვა“) სრულიად ორიგინალური სტილის პოეზიაა, იგი ისეთივე აღმოჩენა გახდება ქართველი მკითხველისათვის, როგორც თავის დროზე გურამიშვილისა და ბარათაშვილის პოეზია, ამ დიდოსტატთა გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ“.







ჯემალ შონია

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

## შეხვედრები ზვიადთან

ზვიად გამსახურდიასთან ჩემი ურთიერთობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, როდესაც გალის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად ვმუშაობდი. რედაქციის წერილების განყოფილების გამგემ, მიმოზა გადელიამ გამანდო, რომ თბილისიდან ჩამოუტანეს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ გამოცემული არალეგალური ჟურნალები. მას შემდეგ ჩუმად ვეცნობოდი ხან „ოქროს საწმისს“, ხან „საქართველოს მოამბეს“, რომელთა მასალებმა ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სულ უფრო მკვეთრად მჟღავნდებოდა საბჭოური წყობის მანკიერი მხარეები და მოსახლეობას არსებული წესების შეცვლის სურვილს უღვივებდა.

ზვიად გამსახურდიასთან პირისპირ შეხვედრა კი სრულიად მოულოდნელად, ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხდა. თუ არ ვცდები, 1981 წლის სექტემბერი იყო. იმ დღეს ჩემს სამუშაო ოთახში შემოდის ჟურნალისტი იპოლიტე გამსახურდია და მეუბნება, რომ დაბლა, მანქანაში იცდის ზვიადი, რომელსაც ლიძავაში კონსტანტინეს აგარაკის მონახულება უნდა და იქნებ რედაქციის თანამშრომლებიდან ვინმე წაჰყვოსო.

ზვიადს, როგორც ყოველთვის, უთვალთვალებდნენ და კუდში დასდევდნენ, ამიტომ მანქანის სალონში დარჩენა არჩია, რათა გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. სანამ მასთან ჩავიდოდი, რედაქციის ყველა მანქანის მამაკაცი ლუდა

ციკოლიას ოთახში მოვიხმეთ. უმანქანოებიც მოვიდნენ – ყველას სურდა ზვიადის ნახვა. წაყვანის მსურველთა რიცხვი კი იმდენად დიდი იყო, რომ კენჭისყრამ გამოავლინა მისი ვინაობა. ეს სლავა ფარულავა აღმოჩნდა.

ზვიად გამსახურდია მანქანის სალონის უკანა სავარძელში იჯდა. რომ მიეუახლოვდი, კარი გამოაღო და გადმოსვლა დააპირა. არ დავანებე. მომიბოდიშა, მეც ძველი ნაცნობივით მოვიკითხე. ვიგრძენი, პირველი ნახვის მიუხედავად, ეს ადამიანი თითქოს ახლობელი და შინაური იყო ჩემთვის. ამგვარ თბილ და უშუალო დამოკიდებულებას გრძნობდნენ ჩემი თანამშრომლებიც, გახარებულნი იმით, რომ ზვიადს ნასვლა არ უჩქარია და ჩვენთან სადილად დარჩენასაც კი დასთანხმდა.

ასე აღმოვჩნდი ზვიად გამსახურდიასთან ერთად იქვე მდებარე რესტორნის მყუდრო, განცალკევებულ ოთახში ღუდა ციკოლია, სლავა ფარულავა, ვაჟა ხვისტანი, ბენო ჯღარკავა, ლერი შენგელია, დომენტი ჩაკაბერია, იპოლიტე გამსახურდია და მე. მთელი არც ისე ხანმოკლე სადილობის განმავლობაში სტუმარი საოცარ პატივისცემასა და გულწრფელ სიყვარულს გრძნობდა მასპინძელთა მხრიდან. სუფრაზე თამალობის პატივი წილად მე მერგო და ახალი სადღეგრძელოსათვის ჭიქის ალებისთანავე, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსის იქნებოდა ეს სადღეგრძელო, ზვიადი უკვე ფეხზე იყო წამომდგარი აფხაზურ-სამურზაყანული წესის შესაფერისად. მისი იქ



ყოფნა, მისი თავაზიანობა და პენი, მთელი მისი შარმი განსაზღვრავდა მასპინძელთა კეთილგანწყობასაც და საუბრის შინაარსსაც; ტაქტიანი და მოზომილი ზვიად გამსახურდია თითოეული ჩვენგანისთვის გასაგებად საუბრობდა ჩვენი ერის სატყუარზე და ამას აკეთებდა ძალდაუტანებლად, ყოველგვარი პოლიტიკური ლექსიკის გარეშე. მისი ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა დამაჯერებელი და არგუმენტირებული იყო იმ სიმართლით, რომელსაც ბევრი ჩვენგანი იმ დღეს პირველად ისმენდა.

სუფრასთან ზვიადს იმ ხანებში დაწერილი ერთი ჩემი ლექსი წაფუკითხე, რომელშიც ასეთი სტრიქონები იყო: „პატარაა საქართველო, დილით ენგურს სწვდება სვეტიცხოვლის ჩრდილი...“ ზვიადმა ლექსი მომიწონა, მაგრამ მთხოვა, „ენგური“ „მზიმთათი“ შემეცვალა და აღნიშნა: „ვიცი, ენგურის პირას ხარ დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ ლექსი ყველა ქართველისთვის სასურველ დატვირთვას შეიძენს, როცა წაიკითხავს, რომ სვეტიცხოვლის ჩრდილი მზიმთას სწვდებაო; საქართველო ხომ ამ მდინარიდან იწყებაო.“ აი, ასეთ დეტალებსაც აქცევდა ყურადღებას და ყველაფერს ქვეყნისთვის საჭირო მნიშვნელობას ანიჭებდა.

იმ დღის სახსოვრად, მოგონებების გარდა, ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის ლერი შენგელიას მიერ გადაღებული სურათები ძვირფასი განძივით მქონდა შენახული, მაგრამ გალის დატოვება ისე მოგვიხდა, რომ ვერაფერი გამოვიტანეთ, გარდა იმისა, რაც ზედ გვეცვა: ვერც საოჯახო ფოტოები, ვერც ნიგნები, ვერც ჩემი რუდუნებით დალაგებული არქივი, რომელიც უამრავ მასალას შეიცავდა გალის რედაქციაში მუშაობის პერიოდზე, ეროვნული მოძრაობის პერიპეტიებზე, მათ შორის ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრებზე, თავისი თარიღებითა და სხვა ნიუანსებით...

ჩვენი პირველი შეხვედრის იმ დაუვინყარი დღიდან გავიდა წლები...1988 წლამდე ზვიადს არ შეხვედრივარ, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი სულიერ კავშირს ამ საოცარ პიროვნებასთან, რომლის ყოველ ნაბიჯს, ხელისუფლებასთან შეხლა-შემოხლის ეტაპებს უკვე მხოლოდ მისი არალეგალური ჟურნალებიდან არ ვაკვირდებოდი,

წლებთან ერთად სულ უფრო მძლავრდებოდა ჩემში სურვილი ზვიად გამსახურდიასთან და ეროვნულ მოძრაობასთან დაახლოებისა და ამას შემდეგი მიზეზები ჰქონდა: პირველი ის, რომ სულ უფრო ქრებოდა ჩემში მითი კომუნისტურ გარემოში პატიოსნად ცხოვრების პერსპექტიულობის შესახებ. მეორე მიზეზი ის იყო, რომ 1987 წლის ოქტომბერში ერთადერთი ვაჟიშვილი დამეღუპა. მას სრულიად უსამართლოდ დაუწერეს არადაამაკმაყოფილებელი ნიშანი მისაღებ გამოცდებზე, ორიოდ თვეში კი გაუმართავი წყალგამაცხელებლის გასკდომამ იმსხვერპლა ჩემი ბიჭი, რომელიც სტაჟის გამო მუშაობდა გალის სამრეწველო კომბინატში...ვიგრძენი, რომ ვცხოვრობდი ყალბ, ვერაგ და დაუნდობელ გარემოში.

1988 წელს ზვიად გამსახურდიას შევხვდი კოლხურ კოშკში. ზვიადმა გაიხსენა ჩვენი პირველი შეხვედრა და მაშინდელი თანამესუფრენი გულთბილად მოიკითხა. მე შეძლებისდაგვარად მოვუყევი ჩემი გასაჭირის შესახებ; იგი თანაგრძნობით მისმენდა და ბოლოს ასეთი დარიგება თუ დავალება მომცა: ხელი შემეწყო ჩემს რაიონში ეროვნული პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნისათვის, გამომეყენებინა რაიონული გაზეთი აფხაზეთში კრემლის ანტიქართული პოლიტიკის სამხილებლად და ა.შ. ამ შეხვედრიდან ოთხიოდ თვეში მრავალათასიანი მიტინგი ჩავატარეთ სეპარატისტების მიერ გალის რაიონის ტოპონიმების შეცვლის მცდელობის წინააღმდეგ. ჩვენი წინადადებით, ქალაქის საბჭო ქუჩებს სახელებს უცვლიდა ეროვნულით და ა.შ.

ზვიად გამსახურდია ყველა ამ მოვლენის საქმის კურსში იყო. მე ვგრძნობდი მის მხარდაჭერას და მოთმინებასაც, როდესაც მის დავალებებს დროულად ვერ ვაგვარებდი. ეს განსაკუთრებით ეხება რაიონული გაზეთის სახელის შეცვლას. „ლენინელი“ – ამ სახელით გამოდიოდა გაზეთი, რაც გაგრძელდა 1990 წლის ივნისამდე. ზვიადმა ძალიან ტაქტიანად, მაგრამ სამართლიანად მისაყვედურა ამის გამო. თბილისიდან გალში დაბრუნებისთანავე, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, შევუცვალეთ გაზეთის სახელი და მას „გალი“ დავარქვით.

28 ოქტომბრის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გალის სტადიონზე მნიშვნელო-

## მოგონებები

ვანი ღონისძიება ჩატარდა: შონიების საგვარეულოს დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. სექტემბრის ბოლოს მე და ედიშერ ჯანჯულია ოფიციალურად დაგვამტკიცეს „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებად გალის 110-ე და ჭუბურხინჯის 111-ე საარჩევნო ოლქებში. პირველი, რაც ჩემი წარდგენისას ზვიად გამსახურდიამ იქ მყოფთა გასაგონად თქვა, იყო: „მეგობრებო, მიბაძეთ შონიებს, მათ მიერ საგვარეულო საზოგადოების შექმნა კარგი მაგალითია ჩვენი ერის კონსოლიდაციისა და ჩვენი საერთო მიზნებისათვის დასარაზმავად...“

...აქ დანვრილებით არ მოვყვები, თუ რა დღეები გამოვიარეთ უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ზვიად გამსახურდიასთან ერთად. ყოველი სესია იწყებოდა ე.წ. ოპოზიციის არაფრისმთქმელი გამოსდომებითა და ყაყანით, რისი მიზანიც უზენაესი საბჭოს ხელის შეშლა იყო. მხოლოდ წენვა-გლეჯითა და წერვების შლის ხარჯზე ვახერხებდით დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვას. ვერასოდეს დავივიწყებ ზვიად გამსახურდიას არნახულ ნებისყოფას, იობის მოთმინებას.

მას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ქვეყანა ნანატრი დამოუკიდებლობისაკენ. ამის საპირწონედ კი ზვიადს უგონებდნენ ათასგვარ ჭორს, უვრცელებდნენ სრულიად აბსურდულ ბრალდებებს, რომელიც, სხვათაშორის, დღემდე ჟღერდება ვაი-პუბლიცისტთა მიერ. სწორედ ისე ხდება, როგორც რუსთაველი ამბობს: „შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა“...

პუტჩის საშინელ დღეებზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პრეზიდენტი უზენაესი საბჭოს სასადილო დარბაზში, პუტჩისტები „ბუნკერს“ რომ ეძახიან, სისტემატურად შემოდიოდა იქ მყოფ დეპუტატებთან, გამუდმებით აკითხავდა შენობის დამცველებს და სწორედ მათი სიცოცხლის გადასარჩენად დატოვა უზენაესი საბჭოს შენობა. მანამდე გავცივდი, სიცხე მომცა, ძლივს ვსუნთქავდი, მაგრამ ზვიადთან შეუთანხმებლად შენობიდან არ გავსულვარ. ეს ახალი წლის პირველ დღეს იყო...

შემდეგი შეხვედრა გროზნოში შედგა, პრეზიდენტის დევნილობისას, 1992 წლის მარტში იქ უზენაესი საბჭოს სესია უნდა ჩატარებულიყო და ჩემმა ძმამ თავისი „მოსკვირით“ მე და რამდენიმე დეპუტატი სოხუმიდან გროზნოში წაგვიყვანა.



ზვიად გამსახურდია გალელ ჟურნალისტებთან ერთად.  
ფოტო ლერი შენგელიასი

გროზნოში ჩასვლისთანავე სასტუმროში დაგვამოს. მეორე დღეს დეპუტატები ზვიად გამსახურდიას ვენციით თავის რეზიდენციაში. მასსოვს გალავანშემოვლებული ეზოს სიღრმეში მდგარი ორსართულიანი განიერი შენობა; მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ეზოში დაიკრძალებოდა სამეგრელოში მოკლული პრეზიდენტი. შესასვლელი ჰოლის ხელმარჯვნივ გრძელი სასადილო ოთახი იყო და ბატონი ზვიადი სწორედ იქ შეგვიძღვა, სადაც ქალბატონ მანანას სუფრა წინასწარ გაეწყო. ჩაიც შემოგვთავაზეს. ზვიადი ჩვენთან ერთად საუზმობდა. პრეზიდენტი გვეკითხებოდა აფხაზეთში არსებული მდგომარეობის, იქ მცხოვრებთა განწყობის, სამომავლო გეგმების შესახებ; თანაც გვირჩევდა, როგორ უნდა მოვექცეულიყავით, რათა მდგომარეობა არ გამწვავებულიყო, არ მომხდარიყო დაძაბულობის ესკალაცია. ზვიადს მიაჩნდა, რომ ომი აფხაზეთში გამოიწვევდა აფხაზეთის დაკარგვას. ჩვენი მაშინდელი საუბარი, სამწუხაროდ, ახდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზვიად გამსახურდია წინასწარ ჭვრეტდა მოვლენებს...

უზენაესი საბჭოს სესია ჩეჩნეთის მთავრობის სახლში გაიმართა. ეს იყო პირველი სესია სისხლიანი პუტჩის შემდეგ და მას ცხრა ათეულზე მეტი დევნილი დეპუტატი ესწრებოდა. სესია დაიწყო იმით, რომ დარბაზში ზვიად გამსახურდია კავკასიის მეორე დიდ შვილს – ჯოხარ დუდაევს შემოუძღვა, რომელიც გულთბილად მოგვესალმა და კავკასიის ერთობის, ჩეჩნეთისა და საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სესიამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. ბოლოს სიტყვით მოგვმართა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აფასებს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე.

მეორე დღეს უკან დასაბრუნებლად მანქანებით გრძელი გზის გამოვლა არ დაგვჭირვებია. ჩვენმა სასიქადულო მფრინავმა ზაურ ბედიამ აფხაზეთისკენ წამსვლელი დეპუტატები ერთ საათში ადლერში ჩამოგვაფრინა.

მორიგ სესიაზე წასვლა ვერ შევძელით, რადგანაც აფხაზეთში ომი მძვინვარებდა. სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ე. შე-

ვარდნაძე მტერს უთმობდა აფხაზეთს თანამდებობის შენარჩუნების სანაცვლოდ!

გალიდან ზუგდიდში თითქმის ყოველდღე მიხდებოდა ჩასვლა, რადგან ამ ქალაქში იყო თავმოყრილი უმეტესობა დევნილი ხელისუფლების: დეპუტატები, მინისტრები, პრეფექტები, ეროვნული გვარდიის ნაწილები...

1993 წლის აგვისტოს ბოლოს ზუგდიდის თეატრში უზენაესი საბჭოს სესია გაიმართა. იქ შევიტყვე, რომ იმ დღეს უზენაეს საბჭოს უნდა მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოში ზვიად გამსახურდიას დაბრუნების შესახებ. სრულიად ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა, თუ ვინ იღებდა პასუხისმგებლობას პრეზიდენტის სიცოცხლის დაცვაზე; ამ კითხვაზე ეროვნული გვარდიის წარმომადგენელმა მომიგო: თქვენი საქმეა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე კი ჩვენ ვიზრუნებთ!

მართლაც, გამსახურდია ზუგდიდში ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე, მას თავის კაბინეტში შევხვდით მე და ჩემი გალელი თანამებრძოლები. ყოველდღე გვხვდებოდა დეპუტატებს, აფხაზეთის ბედი აწუხებდა, არაფერს იშურებდა, რომ როგორმე სამშობლო ეხსნა ტრაგედიისაგან. არასოდეს დამავინწყდება მისი სიტყვები, წარმოთქმული ზუგდიდში, მრავალათასიან მიტინგზე: „ან გავიმარჯვებთ ერთად, ან აქ მოვკვდებით“...

ჩემი ბოლო შეხვედრა პრეზიდენტთან მაშინ შედგა, როცა სოხუმი დაეცა და სეპარატისტები და რუსეთის დაქირავებული ჯარები ოჩამჩირეს მოადგნენ. ზვიადმა თავისთან მიხმო და მითხრა: წამომყევი, ვნახოთ, რით შეიძლება ლალიძგასთან მაინც სეპარატისტთა შეკავება...მანქანაში ჩამისვა და რუხისკენ გავემართეთ. პრეზიდენტის მანქანა ძლივს მიიკვლევდა გზას, რადგან ტრასა, გადაჭედილი იყო სამ და ოთხ რიგად ენგურის გალმიდან მომავალი მანქანებით, ოთხთვალეებით, ორთვალეებით, ფეხით გადმოსულეებით... ჩემი თვალიდან არ ამოდის ეს სურათი და ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა დღეში იქნებოდა ამის მაცქერალი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია...რა თქმა უნდა, ამ წუთებში ის



# მოგონებები

ყველაზე უკეთ ხვდებოდა, თუ რა მოხდებოდა ნალალატევ, მარცხისთვის განწირულ ჩვენს სამშობლოში...

პრეზიდენტის მანქანამ რუხში მარჯვნივ აუხვია და გაშლილ პლაცზე აღმოჩნდით, სადაც რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი იდგა, რომელთა შორის ავტომატიანი ჯარისკაცები კანტიკუნტად მიმოდიოდნენ. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური შეხვდა, რომელმაც განაცხადა, რომ პრეზიდენტის დავალებას ეროვნული გვარდიის ჯერაც აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ ნაწილებს გადასცემდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოვბრუნდით... დევნილთა ზღვა ნაკადს შევერეთ... ზუგდიდამდე ზვიადს ხმა არ ამოუღია.

რა თქმა უნდა, ლალიძგისკენ წასვლა და გალის რაიონის დაცვა არავის უცდია, ხუნტის ერთგული სამხედროები მოსახლეობის წინ გამორბოდნენ; ზუგდიდი და მთელი სამეგრელო დევნილებით გაივსო. ჭუბერის გზით გამოსულების უდიდესი უმრავლესობაც ზუგდიდისკენ მოეშურებოდა ჩვენი ხელისუფლების მიერ მობილიზებული ღია ძარის მქონე სატვირთო მანქანებით, რადგან ავტობუსების გაგზავნის საშუალება არ იყო...


...და დადგა ის დრო, როდესაც გოლგოთის ბოლო აღმართს შეუდგა ადამიანი, რომლის მთელი ცხოვრება, ახალგაზრდობიდანვე, სწორედ გოლგოთისკენ მიმავალი გზა იყო. მაშინ, როცა მისი ბოლო დანაბარები გადმოგვცეს მწუხრისფერ, დაცარიელებულ ზუგდიდში, რომ თავს გავფრთხილებოდით, გვეგონა, თვითონაც სამშვიდობოს იქნებოდა გასული, მაგრამ... სამეგრელოს სოფლებში, ენგურს გაღმა თუ გამოღმა, ოჯახიდან ოჯახში, მწყემსების სადგომებსა თუ დაზამთრულ ტყეებში ზვიად გამსახურდიას, თითზე ჩამოსათვლელი მცველების თანხლებით, კვალში მიჰყვებოდნენ სისხლზე დაგეშილი რაზმები, შევარდნაძის ბრძანების შემსრულებლები... მათი მისია იყო, ცოცხალი არ გაეშვათ საქართველოს თავისუფლების მედროშე პრეზიდენტი... ნოემბრის პირველი დღეებიდან იმ საბედისწერო 31 დეკემბრამდე, დღისითაც და ღამითაც, ზვიადს უხდებოდა გადაადგილება ჯვარში, ჩქვალერში, მუჟავაში, ფახულანში, ჭყეპზენის მთებში, პალურში, ლიაში, ტყაიაში, ჩხორიაში, ზედა ენერში, ნაცატუში, ობუჯში, ჯალრაში, ჯიხაშკარში, ხიბულაში, სადაც მტრის ტყვიამ უნია...





ზაურ ზედი

## ჩემი ცხოვრების მთავარი რეისი



ზვიად გამსახურდია მირჩევდა, ყველაფერი ჩამეწერა დღიურების სახით. მე ვპასუხობდი: „ამ ამბებს, რა დამავიწყებს, ბატონო ზვიად.“ პრეზიდენტი მართალი გამოდგა. დრომ თავისი ქნა – ახლა ძლივსლა მახსოვს ზოგიერთი ეპიზოდი ჩვენი ურთიერთობიდან. სამაგიეროდ, არ მავიწყდება ჩემი ცხოვრების მთავარი რეისის შესახებ არაფერი!

მინდა გიამბოთ ის, რაც ნაკლებად იცის ქართველმა ხალხმა.

1992 წლის 10 იანვარს, სოხუმის აეროპორტის უფროსმა ზაურ ხაინდრავამ მაცნობა, რომ მე მეკისრებოდა ზვიად გამსახურდიასა და მისი ოჯახის გადარჩენა, მათი ერევნიდან სამშვიდობოს გაყვანა.

მომდევნო დღესვე ჩემი ეკიპაჟით – მეორე მფრინავი ოთარ შენგელია, ფლაგმანი ვლადიმერ არუთინოვი, ბორტინჟინერი გალაქტიონ ნემსაძე და რამდენიმე სხვა პირი, გროზნოში გავეფრინდით.

გროზნოში, პრეზიდენტის რეზიდენციაში დაგვაბინავეს და გვითხრეს, პრეზიდენტი დუდაევმა თავად მოვა და ყველაფერს აგისხნითო. მართლაც, იმავე ღამეს, დაახლოებით 12 საათზე, მობრძანდა. ჩეჩნეთის პრეზიდენტი ყველას სათითაოდ გადაგვხვია ძველი ნაცნობივით, ვაჟკაცურად, კავკასიურად. მან დანახვისთანავე მოგვნიჭა ქცევით, გარეგნობით, საუბრით. ის ნამდვილი გენერალი იყო. დუდაევმა მე მომმართა: – ბატონო ორესტი, შევიდეთ ჩემს კაბინეტში და იქ ვისაუბროთ. გამაოცა იმან, რომ ბატონმა ჯოჰარმა ჩემი ნამდვილი, ოფიციალური სახელით მომმართა. ახლობლები ხომ

„ზაურით“ მიცნობენ.

დუდაევმა მაცნობა, რომ ჩემი მისიის შესრულებას მხოლოდ ორი დღის შემდეგ შეეძლებოდა. ძალიან გაინელა ეს ორი დღე, მით უფრო, რომ მე და ჩემს ეკიპაჟს გვეჩქარებოდა ჩვენს პრეზიდენტთან შეხვედრა.

ამ ორ დღეში, შემოძლია ვთქვა, რომ მე და ჯოჰარ დუდაევი დავძმაკაცდით. ისიც მფრინავი იყო, თანაც გენერალი. გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ მას ჩემზე ნაკლები საათები ჰქონდა ნაფრენი. თურმე სამხედრო მფრინავები წელიწადში 100-120 საათს დაფრინავენ, ჩვენ, სამოქალაქოები კი 600-700 საათს. ერთმანეთს ბევრი რამ გავუზიარეთ, როგორც კოლეგებმა. დავსახეთ ვარიანტებიც. დავასკვნით, რომ განსაკუთრებული საფრთხე რუსეთის მხრიდან გვემუქებოდა, რადგან გროზნო მის ზონაში იყო.

როგორც იქნა, მესამე დღეც გათენდა. ბატონმა ჯოჰარმა დამიბარა და მითხრა: – „ღმერთი იყოს, შენი და შენი პრეზიდენტის მფარველი!“ რაზეც მე მხიარულად მივუგე: – „მზად ვარ ვემსახურო ჩემს პრეზიდენტს და ჩემს სამშობლოს!“ შემდეგ დავსხედით და კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ, ჩვენი ვარიანტები. ცოტა ხანში ტელეფონს დასწვდა და ვილაცას დაურეკა: – „Слушай мужик, если хоть один волосок упадет с президентской головы, я тебе кислород перекрою!“ და ყურმილი დაახეთქა. ვერ მივხვდი ვის ესაუბრებოდა, გავბედე და შევეკითხე. „– Да, с этим армянином, Тер-Петросяном!“ – მომიგო და დაამატა, რომ ოპერაციისათვის მე უნდა მეხელმძღვანელა, როგორც ქართველს, ეს

# მოგონებები

პოლიტიკურადაც გამართლებული იქნებოდა, იმ შემთხვევაში თუკი რუსეთში დაფრენას მაიძულებდნენ. რასაკვირველია, სწორი გადაწყვეტილება იყო.

გროზნოდან იმ დღესვე 2 საათზე გამოფრინდი. სანჯავი საკმარისი მქონდა. თან მომყვებოდა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ორი ახალგაზრდა ბიჭი, კარატისტები იარაღის გარეშე. თბილისის ზონაში შემოსვლისას დისპეტჩერს ვუთხარი არასწორი ნომერი, რადგან სოხუმის თვითმფრინავების ნომრები ყველამ იცოდა. შემეკითხნენ: საიდან მოვდივარ, სად მივდივარ და რატომ არ მუშაობს აპარატი, რომელიც სპეციალურად გამოვრთე. რატომ არ იყო კალინინგრადიდან რადიოგრამა. ვუპასუხე, რომ ეს ჩემი კი არა, კალინინგრადის საქმე იყო, მე კი მივფრინავდი ერევანში სპეცრეისით. სომხეთის ზონაშიც იგივე გამეორდა. ერევანში კაციშვილი არ დაგვხვდებოდა, არ ვიცოდით სად უნდა წავსულიყავით.

სხვა გზა არ იყო და ავიაციის პრეზიდენტი ბატონი კაზარიანს მივადექით. გულახდილად გავუმხილეთ ჩასვლის მიზეზი და დახმარება ვთხოვეთ. გაგვიმართლა – კაცური კაცი აღმოჩნდა. მისი დახმარებით მოხვდით ჩვენი პრეზიდენტის ერევნის რეზიდენციაში. მე და ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავით. შესვლამდე ორივენი საფუძვლიანად გაგვჩხრიკეს. როგორც იქნა შენობის შიდა ეზომდე მივალწით. აქ დაგვხვდნენ ბატონი ზვიად გამსახურდია, მისი ოჯახი და დაცვის ოცამდე ნევრი. პრეზიდენტი გამხდარი და

ნატანჯი ჩანდა. გული მეტკინა მის დანახვაზე. სახელმწიფო ავტონისპექციის ორი მანქანის თანხლებით აეროპორტისკენ გამოვეშურეთ.

პერონზე შევედით არა ცენტრალური, არამედ სხვა გზით. ჩამოვედით მანქანებიდან და ვხედავ, ჩვენი თვითმფრინავის მარჯვენა მხარეს დგას სამხედროებით სავსე „ან – 12“ სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი. ყველას ვთხოვე, სასწრაფოდ ასულიყვნენ და ადგილები დაეკავებინათ. ჩვენი კიბით უნდა ავსულიყავით, რადგან ტრაპი არავის მოურთმევია. პრეზიდენტს გავხედე და რას ვხედავ?! ვილაც რუსი კორესპონდენტი წინ ელობება და ინტერვიუს სთხოვს! ბატონ ზვიადს გავეხუმრე:

– აქ მე ვარ პრეზიდენტი, სასწრაფოდ დაიკავეთ თქვენი ადგილი.

– მესმის! – გაიცინა ზვიადმა და თვითმფრინავში ავიდა.

მე ბოლოს ავედი. რუსი კორესპონდენტი არ მეშვება თავის კამერით. მეკამათება თანაც. ჩემს გვერდზე მდგარმა ჩეჩენმა კარატისტმა დაუყვირა, არ გესმის რას გეუბნებიანო. რუსმა საპასუხოდ შეიგინა და კიდეც მიიღო, რასაც ეძებდა: კარატისტმა ერთი დარტყმით, ძირს მოადგინა ზღართანი! მე, ამასობაში, კიბე ავიტანე და კარი სწრაფად დავეკეტე.

დისპეტჩერს ნებართვა ვთხოვე ძრავების გაშვებაზე. ამიკრძალა, სანამ 6000 მანეთს არ გადავიხდიდით. მთელ ეკიპაჟს ექვსი



ზაურ ბედია, ზვიად გამსახურდია, ჯოჰარ დუდაევი

მანეთი არ გვექნებოდა – აბა, საიდან გადავიხდიდით?! საბედნიეროდ, ჩემი თვითმფრინავის ახლოს იდგა ბატონი კაზარიანი, რომელიც ხელის ქნევით მანიშნებდა – სწრაფად გავცლოდი იქაურობას. ხელითვე ვანიშნე, მაღლობელი ვარ-თქო და ავფრინდი.

დისპეტჩერი მეუბნება, 3000 მეტრზე ახვალ და ისე გაფრინდები დედაქალაქისკენო. გამოვრთე სიმაღლის მაჩვენებელი და 2000 მეტრით წამოვედი თბილისისკენ. სომხეთის ზონიდან რომ გამოვედი, 6000 მეტრზე ვიყავი. დისპეტჩერმა რომ გაიგო, ეჭვი შეეპარა და შენიშვნა მომცა, ასე ჩქარა რანაირადო. ლოკატორზე რომ ვერ მხედავდა, არ იცოდა არც ჩემი ადგილსამყოფელი და არც სიმაღლე. დავემშვიდობე და კავშირზე გავედი თბილისის დისპეტჩერთან. ჩემი მეორე მფრინავი ოთარი მეგრულად მეუბნება – ზაურ, მეზობლები გვაცილებენ... სამოქალაქო ავიატორები მეზობლებს ვეძახდით სამხედრო გამანადგურებლებს... გავიხედე, მარცხნიდან მიდგას გამანადგურებელი.

ამინდი ცუდი არ იყო. 5-6 ბალიანი ღრუბელი იქნებოდა. არ დაგლით იმის მოყოლით, როგორ მოვიშორეთ „გამაცილებლები“

გეზი ჯერ უღელტეხილ მუხრანისკენ ავიღეთ. დისპეტჩერი ვერ გვხედავდა. ყაზბეგისკენ წავედი. დისპეტჩერმა გაიგო ჩვენი ადგილსამყოფელი და ბუზლუნს მოჰყვა – მანდ როგორ და რანაირად აღმოჩნდიო. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე

დავემშვიდობე და რუსეთის ზონაში გადავედი. როსტოვის დისპეტჩერი გვიკავშირდება: „სასწრაფოდ უნდა დაჯდეთ მინ-ვოდში ან როსტოვში, თორემ იძულებული ვიქნებით...“ სიტყვას არ ვამთავრებინებ, მივყვები კავკასიის მთებს.

უფლის წყალობით გროზნოში მშვიდობიანად დავეშვიტე. ბატონი ზვიადი დაიჩოქა და მინას ეამბორა. ბევრმა მიბაძა მას. აეროპორტში დაგვხვდნენ მთავრობის წევრები და წაგვიყვანეს პრეზიდენტის რეზიდენციაში. პრეზიდენტების – გამსახურდიასა და დუდაევის პირველივე შეხვედრა უაღრესად თბილი და ემოციური იყო. ბატონ ზვიადს ვეუბნები:

– სანამ ბნელა, გავფრინდეთ სოხუმში.


პასუხად ამიხსნეს, რომ პრეზიდენტი გროზნოში რჩებოდა. ჩემი ეკიპაჟის წევრებთან ერთად, სოხუმში დაბრუნება გადავწყვიტე.

სოხუმში დაშვებისას გავითამაშეთ პატარა სცენა. ბატონ გივი ქობალიას ჩავაცვიტე ლაბადა. ორნი აქეთ-იქეთ ამოუდგნენ და ისე ჩაიყვანეს თვითმფრინავიდან. უცბად ჩასვეს იქვე მდგარ „ზაპოროჟეცში“ და სწრაფად წაიყვანეს ზუგდიდის მიმართულებით. ამ მანევრმა ბევრი ადამიანი მოატყუა.

ეს რეისი ჩემი ცხოვრების მისიად მიმაჩნია.







## შეხვედრები დიდოსტატთან

(ნაწყვეტი მოგონებებიდან)

1959 წელს, ჩვენ, ლაზები „თურქებად“ შერაცხულები, მეორედ გადაგვასახლეს ყაზახეთში აფხაზეთიდან. ამ გადასახლებაში წინ უძღოდა ათწლიანი გაციმბირება. მიზეზი მაშინაც იგივე იყო – ჩვენი „თურქობა!“

ყაზახეთში, ჩულაკ-ტაუში (ამჟამად, ყარა-ტაუ ეწოდება) სხვადასხვა ეროვნების გადასახლებულთა ბავშვებმა მოვიყარეთ თავი. ვინ არ იყო აქ: კორეელები, ჩეჩნები, ბერძნები, ინგუშები, ქურთები, გერმანელები, რუსები, ყაზახები. იმ თაობის ბავშვებს, როგორც კი მოგვეცემოდა თავისუფალი დრო, წიგნის კითხვა გვიზიდავდა. მახსოვს ავტორებიც: ფენიმორ კუპერი და მაინ რიდი. მათი პერსონაჟების სახელებიც ზედმეტსახელებად გვქონდა გადანაწილებული. ახლაც მახსოვს, ჩემი ყაზახი მეგობარი საიპ სატიბალდიევი როგორ მომიახლოვდა თავისი ფართედ გახელილი ვიწრო თვალებით. აღტაცებისაგან ამოსუნთქვა უჭირდა. აღფრთოვანებულმა მაუნყა „დიდოსტატის მარჯვენას“ არსებობის შესახებ. ეს წიგნი მის უფროს ძმას მოუტანია. ბიჭები, თურმე, წიგნს ჩუმად, საბნის ქვეშ, ფარნის შუქზე კითხულობდნენ. მაშინ, რასაკვირველია, ვერ ვაცნობიერებდი, ახლა კი ვხვდები, რომ ავტორისათვის ეს საუკეთესო კომპლიმენტი. მახსოვს, როგორ შემიპყრო ოცნებამ იმაზე, თუ როდის გავხდებოდი თანამონაწილე დანაშაულისა – საბნის ქვეშ, ფარნის შუქზე წიგნის კითხვა რომ ჰქვია!

საიპმა, კითხვას რომ მორჩა, სხვა რიგში

ჩამდგარი ბავშვები გააწილა და კითხვისგან სრულიად გაცვეთილი წიგნი მე გადმომცა. ეს იყო კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მირანდა ფალავანდიშვილის ნათარგმნი.

უპირობოდ: ეს იყო დიდებული ქმნილება დიდოსტატისა, რომელიც წარსულის უდიდეს ხელოვანს ეძღვნებოდა, რომლის ტრაგიკული ბედისწერა ასე ჰგავდა ჩვენი ხალხის ბედისწერას. ამიტომაც, მკითხველი ვერ რჩებოდა გულგრილი ნაწარმოების მიმართ. მე და ჩემ ძმას ყველაფერი მოგვწონდა ამ წიგნში, მაგრამ ჩვენთვის მეხთაჭექას, მონმენდილ ცაზე ელვასა და ჭექა-ქუხილს ნიშნავდა რომანში ამოკითხული სიტყვა – „ლაზი“. თუმცა, ჩემი და ჩემი ძმის აღტაცება რა მოსატანია იმასთან, რაც ჩვენს მშობლებსა და ახლობლებს დაემართათ ამ სიტყვის ამოკითხვაზე! მათი უმეტესობა უსწავლელი იყო, ამიტომაც კითხვის არმცოდნეები ჩვენ გვაკითხებდნენ და შემდეგ ეფერებოდნენ წიგნს, როგორც ახლობელს, იცრემლებოდნენ ამ გაცვეთილ წიგნზე. ჩვენ ხომ ოჯახში ლაზურად ვსაუბრობდით. უფროსებზე ცრემლებს მხოლოდ მაშინ ვნახულობდი, როცა ახლადშემოღებული რადიოთი ქართულ სიმღერებს გადმოსცემდნენ...

მე, ჯერ კიდევ ყმაწვილს, წიგნის ნაკითხვამ გამიჩინა კითხვები: „თუკი ჩვენ – ლაზები, ქართველები ვართ, როგორც ამ წიგნის ავტორი განმარტავს, მაშ რად მიგვიჩნევს ხელისუფლება თურქებად? ამ მიზეზით უკვე ოთხჯერ რატომ აგვყარა მშობლიური



კარ-მიდამოდან? რატომ გაგვასახლეს საქართველოდან?“ – ამ შეკითხვებზე არც ჩემ მშობლებს და საერთოდ, არც ერთ ლაზს პასუხი არ ჰქონდა!

და მაშინ მე ბავშვური ალტყინებით დავიფიცე, რომ ამ საკითხს ოდესმე გავარკვევდი წიგნის ავტორთან.

\* \* \*

1966 წელს გაეხდი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. იმ დროს, აკადემიის რექტორი იყო აპოლონ ქუთათელაძე. სკულპტურის გაკვეთილი გვქონდა. მასწავლებელმა, სილოვან კაკაბაძემ მითხრა რექტორი გიბარებსო. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც აპოლონ ყარამანის ძემ გამომიცხადა – კონსტანტინე გამსახურდია გელოდებათ „კოლხურ კოშკშიო“.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ იმ დროის საქართველოში კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მოსილი იყო ლეგენდარული საბურველით. იგი თვალშეუდგამ სიმაღლეზე ჰყავდა ერს აყვანილი – უყვარდა, აღმერთებდა ხალხი! მიჭირდა დაჯერება, რომ ასეთი დიდი პიროვნება საკუთარ სახლში მელოდებოდა. ვგრძნობდი, ჩემი ბავშვური ფიცის ასრულების დრო დგებოდა – და ეს ძალიან მახარებდა!

მივიდიოდი „კოლხური კოშკისკენ“ და ჩემს სოხუმელ პედაგოგზე, ნეტარხსენებულ ნიკოლოზ თაბუკაშვილზე ვფიქრობდი. როგორც ბევრი რამე ჩემ ცხოვრებაში, ეს ვიზიტიც მისი დიდი ადამიანობის შედეგი იყო... თითქოს მის გაკვალულ გზას მიყვებოდი სანუკვარი ოცნებისკენ!

თბილისური, თბილი ოქტომბერი იდგა. „კოლხური კოშკის“ ჭიშკრის შეღებისთანავე ვოლიერში მოსეირნე შევლები დავინახე. მოულოდნელად, კავკასიური ნაგაზი გამოვარდა და მას უკან მოყვა შოტლანდიური კოლი. ბავშვობიდან მწყემსადნამყოფს არ შემშინებია, მხოლოდ დავიბენი. საიდანაც ღვთაებრივი სილამაზის ქალბატონი გაჩნდა. მანდილოსანი სახლში შემიძღვა და გამეცნო, ეს იყო მირანდა ფალავანდიშვილი. სწორედ მან წარმადგინა თავისი ლეგენდარული მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრების წინაშე.

ყველანი მისაღებ ოთახში იყვნენ. კონსტანტინე გამსახურდია გამხდარი, შეიძლება ითქვას გალუული, 75 წლამდე კაცი იყო, მაგრამ მისგან ამოუცნობი ძლევამოსილება იფრქვეოდა. მას ფესკის ტიპის ქუდი ეხურა და სქელი ხალათი ემოსა. მაშინვე შევნიშნე მარჯვენა ხელის დიდსა და საჩვენებელ თითებზე ძვირფასთვლიანი, დიდი ბეჭდები და რატომღაც გავიფიქრე, ალბათ, მწერლის დარახტული სიტყვები სწორედ ამ „სცილასა და ქარიბდას“ შუა გამოძვრებიან, რათა მწერლის უკვდავ ქმნილებებში დაივანონ სამუდამოდ-თქო. კონსტანტინეს გვერდით, მისი ბიძაშვილი ჯოტოლი იდგა. მათ ერთად ჰქონდათ მოვლილი ევროპა და განათლებაც იქაურ საუკეთესო უნივერსიტეტებში მიეღოთ. ძია ჯოტოლიმ შემდეგში მომიყვა, რომ მასა და კონსტანტინეს მეოცე საუკუნის დასაწყისში, სოხუმის მთაზე ტყის სახერხი ქარხანა ჰქონიათ, რაც დაადასტურეს ზემო ეშერის უხუცესებმა: სულთან პაპბამ და ძმებმა – ტუკა და კინტახუ ხვარციებმა.

ქალბატონმა მირანდამ წარმადგინა ზვიადის ულამაზესი მეუღლის დალისა და მისი დედის წინაშე. შემდეგ, ზვიადის გამომცდელი მზერა ვიგრძენი, რომელმაც ხელი პირველმა გამომიწოდა და იქვე მდგომი მეგობარი გამაცნო – მერაბ კოსტავა, მახსოვს მაშინ ასაფრენად გამზადებულ არწივს მივამსგავსე ეს ჭაბუკი. ანგელოზის-სახიანი თამრიკოც და მისი კეთილადმოღიმარი მეუღლე – გურამ მინაშვილიც იქვე იყვნენ. მირანდამ ასევე გამაცნო მშვენიერი თათია ხაინდრავა და მისი ათიოდე წლის გოგონა, სახელად მირანდა.

შევცქეროდი ამ ულამაზეს ადამიანებს და რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ისინიც დიდი ინტერესით მიყურებდნენ. მეც ახალგაზრდა ვიყავი და არცთუ ურიგოდ გამოვიყურებოდი, მაგრამ მათ ჩემი გარეგნობა ნაკლებად აინტერესებდათ. ამიტომაც, პირველი რაც მოვუყევი, ჩემი ბავშვური ფიცის ამბავი იყო. არასოდეს დამავინწყდება მათი თანაგრძნობითა დაცრემლებით სავსე თვალები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩემი ტკივილი მათი ტკივილია! აღელვებული თათია როიალს მიუჯდა, სიტუაციის განსამუხტად. ხოლო, დიდოსტატმა კონსტანტინემ, ჩემს უბის ბლოკნოტში, გვერდის მთელ სიგრძეზე დანერა: 22-15-86 „კოლხ-

# მოგონებები

ური კოშკის“ ტელეფონის ნომერი და დაბეჯითებით მთხოვა, დამერეკა და მივსულიყავი მათ ოჯახში ნებისმიერ დროს, რადგან ჩემი „ფიცი-შეკითხვა“ მოითხოვდა ხანგრძლივ და საფუძვლიან საუბრებს.

მართლაც, ამ არაჩვეულებრივი გაცნობის შემდეგ, ჩვენი შეხვედრები ინტენსიური გახდა და ორკვირიანი შუალედებით ვხვდებოდით ერთმანეთს „კოლხურ კოშკში“. ეს იყო „აკადემია“, რომელმაც უზრუნველყო ჩემი ცოდნა და განათლება – არანაკლებ უმაღლესი სასწავლებლისა.

სამწუხაროდ, ამ დიდი ოჯახის იდილია მალე დაირღვა: გარდაიცვალა ოჯახის დედაბოძი – მირანდა ფალავანდიშვილი, მალე მას მიყვა თამარ გამსახურდია. ფოლადის კონსტანტინე ამ მოვლენებმა შეძრეს და გატეხეს. მუხანათმა წუთისოფელმა წაართვა დიდ მწერალს ორი მფარველი ანგელოზი, ეს მისთვის ზურგში დანის ჩარტყმაზე გაცილებით მომაკვდინებელი იარა იყო! ზვიადიც მალე განქორწინდა და დისიდენტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ჩვენი შეხვედრების სცენებს ხშირად ვუბრუნდები, ვცდილობ არაფერი დავივიწყო. მოსაგონარი ბევრია. მხოლოდ ორ ამბავზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

პირველი ამბავი ჩემ ძმას – ნათე ბაცაშს ეხება. ის ამჟამად, ცნობილი მეცნიერია, აღმოსავლეთმცოდნე, დიპლომატი. მაშინ კი, ორჯერ გადასახლებაში ნამყოფი, „თურქად“ შერაცხული, სოხუმელი ლაზი ბიჭუნა იყო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლაზე ოცნებობდა. მან მართლაც შესანიშნავად ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ სტუდენტი ვერ გახდა, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ არ იყო კომკავშირელი. ახლა ამის გაგება ძნელია, მაგრამ მაშინ ეს იყო ნონსენსი, საკავშირო მასშტაბის განსაკუთრებული შემთხვევა, რადგანაც საბჭოეთში ყ ვ ე ლ ა პიონერი და კომკავშირელი უნდა ყოფილიყო! ვინც ვერ ჩაირიცხებოდა, საბჭოთა ჯარში უნდა ემსახურა. მე და ჩემისთანა ხალხს მიგვაჩნდა, რომ საბჭოეთს აქეთ ჰქონდა ჩვენი ვალი, მან ხომ ყველაფერი მატერიალური, რაც გაგვაჩნდა წაგვართვა და ჩვენს ადგილ-მამულზე კოლმეურნეობა შექმნა; ორჯერ

გადაგვასახლა, ეროვნება წაგვართვა და აი, ამ „სამშობლოსთვის“ სამსახურს გვავალებდა! სამხედრო კომისარიატიდან შეტყობინება შეტყობინებაზე მოდიოდა სოხუმში ჩემს საწყალ მშობლებთან. გზავნილებში მხოლოდ მუქარა იკითხებოდა, რომ კომისარიატში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაიჭერდნენ და ციხეში გამომწყვდევენ! – აი, ეს იყო საბჭოთა სამართალი! ჩემი ძმა იძულებული იყო დამალულიყო.

მერიდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და კონსტანტინე გამსახურდიას შეწუხება მომინია. არ მავიწყდება, როგორ გაიკვსეს მისმა თვალებმა: გაბრაზებულს, თითქოს, თვალებიდან ნაპერკვლები გადმოსცვივდა, რომლებიც მისმა ძვირფასთვლიანმა ბეჭდებმა აირეკლეს. მან წერილი დამინერა ილია ვეკუასთან, რომელიც იმ დროს საქართველოს უმათვრესი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი და მსოფლიო მნიშვნელობის აკადემიკოსი იყო. ეს წერილი პირადად გადავეცი ილია ვეკუას, (ვვარაუდობ, რომ მის პირად არქივში იქნება დაცული). სამწუხაროდ, ამ წერილს პასუხი ან საპასუხო ქმედება არ მოჰყოლია. სამხედრო კომისარიატი უკვე იმუქრებოდა საკავშირო ძებნით.

ისევ მომინია დიდი მწერლის შეწუხება, ან მის გარდა ვინ მყავდა?! ამჯერად, მან წერილი მისწერა საქართველოს განათლების მინისტრს, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს. ამ წერილში კონსტანტინე გამსახურდია წერდა ბატონ ჯიბლაძეს, რომ გარდა საბჭოთა კანონმდებლობისა, არსებობს კიდევ პატრიოტიზმის დაუნერელები კანონი, იმ თანამემამულეთა მიმართ, რომლებიც ისტორიულ სამშობლოს მოსწყვიტეს. თუმცა, არც ამ წერილს მოჰყოლია გამოხმაურება. დიდ კონსტანტინეს ესმოდა, რომ ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის დონეზე წყდებოდა. შეწუხებული, მესამედ რომ მივადექი, კონსტანტინე გამსახურდიამ შემომხედა: „რა იყო, ისევ არაა პასუხი?“ „არა!“ – მივუგე მე. აი, ამ დროს პირველად გავიგონე მისი შეგინება. მწერალმა მეუღლეს გასძახა, ტანსაცმელი გაემზადებინა და მძღოლის გამოძახებაც სთხოვა. „ახლა, ამას უკვე არაფერი შეაჩერებს – ამოიოხრა დეიდა მირანდამ – არ გაცივდებოდეს მაინც!“ (მწერალს ქრონიკული ბრონქიტი და ასთმა აწუხებდა. მასხოვს, სა-

განგებოდ ამ პროცედურისათვის შერჩეულ გაზეთ „პრაგდაზე“ როგორ აფურთხებდა).

ბატონმა კონსტანტინემ ყავისფერი კოსტიუმი ჩაიცვა, შეუდარებელი იყო! მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი მის მანერულობას, თავის დაჭერის უნარს, აღნაგობას... ამჯერად, როგორც იტყვიან, თავის თავს აღემატებოდა – შესანიშნავი შესახედავი იყო. ცისფერი „ვოლგით“ ვიმგზავრეთ. გზად ჩემი ძმაც შემოგვიერთდა.

მანქანა უნივერსიტეტის წინ გავაჩერეთ. მწერალი ხარბად დაეწაფა ცივ წყალს, ეზოს შადრევნიდან. ქალბატონ მირანდას თხოვნა გამახსენდა და მისი შეჩერება ვცადე. „მე ცივი წყალი მინდა“ – მკაცრად შემანყვებითა მან. სტუდენტებითა და ლექტორებით გადაიჭედა უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელი. „თავად კონსტანტინე გამსახურდია მობრძანებულა!“ – ჩურჩულებდნენ ზურგსუკან აღტაცებული სტუდენტები. პრორექტორები ნოდარ ლომოური და ჯორბენაძე გამოეგებნენ მწერალს, რომელთაც აუწყეს მას რექტორის ადგილზე არყოფნა. კონსტანტინე გამსახურდია შეეკითხა მათ, რის საფუძველზე არ ღებულობთ თქვენს უნივერსიტეტში აბიტურიენტ ბაცაშსო, მან ხომ ყველა გამოცდა სანიმუშოდ ჩააბარა, თქვენ გამო კი დღეს მილიცია დაეძებს, როგორც ყაჩაღსო! პრორექტორები რაღაცის ახსნას ცდილობდნენ, კანონებს იშველიებდნენ. კონსტანტინემ მკაცრად შეანყვებითა: „მე ჩემს წერილში, ილია ვეკუას განვუმარტე, რომ ეს ყმაწვილი წარმოადგენს საქართველოს იმ ისტორიულ ნაწილს, რომელიც ჩვენ ძალადობრივად წაგვართვეს, ჩვენ – ქართველები, ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ მათ უმაღლესი განათლების მიღებაში! თქვენ კი რას აკეთებთ? ციხეში უშვებთ! ის კი უკვე იყო ციმბირსა და ყაზახეთში, ისეთივე ქართველების წყალობით, როგორიც თქვენ ბრძანდებით!“ კონსტანტინე ახლა ჩემ ძმას, ნათეს მიუბრუნდა: „მითხარი, ჩემო ბიჭო, რამდენ ენას ფლობ?“ ნათემ ჩამოთვლა დაიწყო: „ბერძნული, თურქული, ლაზური, ყაზახური, რუსული, მეგრული, ქართული...“ კონსტანტინემ შეანყვებითა: „საკმარისია! ახლა თქვენ მითხარით პატივცემულებო, რომელმა თქვენგანმა იცის ეს ენები?! ეს ბიჭი კარგი სწავლული დადგება, გარანტიას ვიძლევი. მისმა ძმამ, ნერსემ, 20 წლისამ შექმნა ქანდაკება „ამი-

რანი“, გენეტიკა თავისას შვება, მიეცით მათ ნიჭიერებას გასაქანი! და ეცადეთ, ამ საკითხზე მეორეჯერ აქ მოსვლა არ მომინოს!“ ჩამონოლილმა სიჩუმემ გააყრუა იქაურობა. კონსტანტინე გაბრუნდა და ეზოში გავიდა. მე და ჩემი ძმა რეტდასხმულებივით ვიდექით. მან კი შემოგვხედა და გვითხრა: „ბიჭებო, ყველაფერი კარგად იქნება!“

რამდენიმე დღეში ნათე სტუდენტი გახდა...

მეორე ამბავი, „დავით აღმაშენებლის“ ქანდაკებაზე ჩემს მუშაობას ეხება. 1967 წლის ერთ საღამოს ბატონმა კონსტანტინემ შემომთავაზა ცხენზე ამხედრებული დავით აღმაშენებლის ქანდაკება გამეკეთებინა. დაუფიქრებლად ვიუარე. მწერალმა წარბები აზიდა და როგორ მიბედავო, – გაბრაზებულმა მითხრა. „ბატონო კონსტანტინე, ცხენი იმდენად ლამაზი ცხოველია, რომ თითქმის ყოველთვის ჩრდილავს მხედრის გარეგნობას. მე კი აღმაშენებელი სხვაგვარი წარმომიდგენია, ჩემი აზრით, მისი სკულპტურა უნდა იყოს კლდე კლდეზე“ – მახსოვს, სწორედ ასე მივუგე დიდოსტატს, რომელსაც ჩემი პასუხი მოეწონა.

მართლაც, ჩემი „დავით აღმაშენებელი“ ორიგინალურია დიდი მეფის სახის გააზრების თვალსაზრისით: მისი გულ-მკერდი ეკლესიის სახითაა წარმოდგენილი, მეფეს მარცხენა ხელი გულზე მიუდია, რაც მისი მმართველობის გრძნობისმიერ მხარეზე მიუთითებს, მარჯვენაში კი ხმალი უჭირავს, რომელსაც ამავდროულად ჯვრის ფორმა აქვს, რაც ხაზს უსვამს მეფის ფიზიკურსა და სულიერ სიძლიერეს. ბატონმა კონსტანტინემ, ქანდაკების პლასტიკაში შესრულებული ვარიანტი ნახა. თიხაში შესრულებული კი, ალბათ სამუდამოდ, სოხუმში დარჩა. კონსტანტინე გამსახურდიას სურდა ქანდაკება საკუთარ ეზოში დაედგა. სამწუხაროდ, ეს ოცნება აუსრულებელი დაურჩა. მაგრამ აღსრულდა დიდი მწერლისა და დიდი მოაზროვნის ცხოვრების მთავარი იდეა – სამშობლოს თავისუფლება! და ამ იდეის ხორცშესხმაში, ღვთის ნებით, მწერლის ვაჟიშვილმა გადამწყვეტი როლი შეასრულა.





## ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდია ჩემს ჟურნალისტურ ჩანაწერებსა და ფოტოარქივში

ზვიად გამსახურდიაზე ფიქრისას, მერაბ კოსტავას ეს სტრიქონები მახსენდება: „ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა, როს განაახლე მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა!“. ბევრი წამიკითხავს ზვიადზე, მაგრამ ვფიქრობ, შეუძლებელია ვინმემ შეაფასოს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა ასე ლაკონურად, ასე ამომწურავად! ან რა გასაკვირია, ეს ხომ მერაბ კოსტავაა!

ქალბატონმა ოლღამ მომიყვა, რასაც ახლა გიამბობთ. შეიძლება სიტყვასიტყვით ვერ გადმოგცეთ, მაგრამ მონაყოლი იმ დღესვე ჩავინიშნე და აქამდე არსად გამომიქვეყნებია. აი, ისიც: „მერაბი და ზვიადი მაშინ მოზარდები იყვნენ. სკოლიდან სახლში ერთად მოვიდნენ. „დედა, ძალიან მშობი,“ – მითხრა მერაბმა. სამზარეულოში დავტრიალდი, ბიჭებმა კი, იქვე, მაგიდაზე მდგარ არაჟნის ქილებს სახურავები მოხსნეს, ქილები ერთმანეთს მიუჭახუნეს. მერაბმა ასეთი „სადღეგრძელო“ წარმოთქვა: „მიზანში კარგად მსროლელ ბერბიჭაშვილს გაუმარჯოს!“ ზვიადიც არ ჩამორჩა: „ამით კი საქართველოს გამათავისუფლებელ ორჯონიკიძეს გაუმარჯოს!“ შემეშინდა, მაშინ ხომ სხვა დრო იყო – სახლის კედლებსაც ყურები ჰქონდათ გამოსხმული! ჩვენ, მოქალაქეები, ყველანი ხომ საბჭოთა უშიშროების ზედამხედველობის ქვეშ ვიყავით. ნასადილევის, ორივენი ერთად გავიდნენ და ფეხით დაეშვენენ ჯავახიშვილის ქუჩა-

ზე. თვალი გავაყოლე – ძმებზე იყვნენ! გარეგნობითაც ერთმანეთს გავდნენ: ლამაზები, გრუზათმნიანები... მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს დაღმართი. თვალი სიამაყით გავაყოლე და გავიფიქრე – ნეტა, რა ბედ-ილბაღს გიმზადებთ ცხოვრება?!“ აქ დაასრულა ქალბატონმა ოლღამ მოგონება და თავად სადღაც ფიქრებში წავიდა...

და მართლაც, იმ შორეულ წლებში ჯერ ჰორიზონტზეც არსად ჩანდა ბორითი და ძველი ხიბულა, ჯერ შორი ეკლიანი გზა და გოლგოთის აღმართი ჰქონდა ორივეს გასავლელი...

აფხაზეთი, ლიძავის ზურმუხტისფერი სანაპირო, აქ ახლოს კლასიკოსი მწერლის აფხაზური კოშკია... სანაპიროზე კი ერთად სეირნობენ ჯერ კიდევ შავი, ტალღოვანი თმებით მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, რომლებიც საქმიანად საუბრობენ. მათი მეგობარი ანა იანი კი ფოტოაპარატით საუკუნის კადრს უღებს... დარწმუნებული ვარ, მათი საუბარი ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას... ჯიქურად მოაბიჯებენ... ისე ენერგიულად, როგორი მძლავრიც შავი ზღვის ტალღებია, ორივენი ხომ თავად არიან სტიქიონები! სადღაც შორიდან კი, მათ, ალბათ, უკვე ზვერავს ავი თვალი და ფათერაკი! ამ ფოტოს რომ ვუყურებ, ის ამბავი მახსენდება, მიტინგზე რომ არაფორმალეები დააპატიმრეს. მერაბს იქვე ათავისუფლებდნენ, მაგრამ





ყმაწვილმა ბოხი ხმით შეძახა თურმე: – სანამ ზვიადი წინ არ გამიძღვება, მეც აქ დავრჩებიო!

ოღლა დემურისას ნაამბობი: „აფხაზეთში, აქილევსის ქუსლად იყო ჩადებული სეპარატიზმი და ამ საათის მექანიზმიან ნაღმს, კრემლი როცა მოისურვებდა, მაშინვე აამუშავებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მახსოვს, 9 აპრილის შემდეგ, ლალიძგაზე სისხლს მონყურებული კრემლის ემისრები, თავიანთი სცენარით ცუდი მოვლენების პროვოცირებას ცდილობდნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერების დიდი ძალისხმევით, ფიზიკურ ანგარიშსწორებას გადაურჩა „ცეკას“ ნომენკლატურა. ამის გამო, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბოლო მდივანმა, ამხანაგმა გივი გუმბარიძემ, მადლიერების გამოსახატად მერაბ კოსტავა თავისთან მიიწვია და უთხრა, რომ ნებისმიერ პირადულ სათხოვარს შეუსრულებდა. მერაბმა, როგორც ყოველთვის, ღირსეულად მიუგო – „მე, პირადად თქვენგან, არაფერი მინდა! თუკი შეგიძლიათ, ქალთა კოლონიებიდან გაათავისუფლეთ ასაკოვანი ქალები, მრავალშვილიანი დედები, დასნეულებულ-დავრდომილი პატიმარი ქალები.“ ეს იმ

წლებში უპრეცედენტო შემთხვევა და უდიდესი ჰუმანური ჟესტი იყო ქართველი დისიდენტებისაგან! გუმბარიძე დასთანხმდა და შესთავაზა, თავად შესულიყვნენ ციხეებში და თავად შეერჩიათ გასათავისუფლებელი პირები. მეც წავედი ქალთა კოლონიაში, სადაც მრავალათასიანი მიტინგი გაემართა მოსახლეობას. მოქალაქეებს ოჯახიდან მოჰქონდათ თბილი ტანსაცმელი თუ საკვები. მსგავსი რამ, არსად მომხდარა! ამ მოვლენებიდან მალე მოხდა ბორითის ტრაგედია. მერაბი მოუკლეს სრულიად

საქართველოს და ზვიადს! მერაბი ვერ მოესწრო პატიმარი ქალების გაათავისუფლებას. თუმცა, საოცარი რამ მოხდა – გაათავისუფლებული ქალები სახლში კი არ წავიდნენ, არამედ მოვიდნენ მერაბ კოსტავას სახლში. მათ მოიტანეს კოლონიაში გაკეთებული დიდი ზომის ჩირაღდანი, რომელიც დღემდე მერაბის მუზეუმშია. ასევე, მუზეუმშია დაცული ერთი ლექსი, რომელიც ერთ-ერთ ქალბატონს მიუძღვნია მერაბისთვის. პატიმარყოფილები მერაბის სახლიდან პირდაპირ მთაწმინდისკენ გაეშურნენ, საკუთარ სახლებში მიუსვლელად!“

დევნილობაში მყოფი, ქრისტესმიერი ძმისგან დაობლებული ზვიად გამსახურ-



# ფოტორეპორაჟი

დია მარტო სწევდა უმძიმეს უღელს, დადიოდა ბენვის ხიდზე, სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე და თავადაც უწყოდა, რომ ოდესმე ემაფოტის საფეხურამდე მიიყვანდა საკუთარი ბედისწერა... აბა, რომელი დიდი ქართველი გაქცევია საშინელ აღსასრულს წუთისოფლისას, რომ ზვიად გამსახურდია გაქცეოდა?! ხშირად წამიკითხავს და გამიგონია ფრაზები: „ტყვია ესროლეს ზვიადს და საქართველოს მოახვედრეს!“ ჭეშმარიტად! მამულიშვილმა იწინასწარმეტყველა მისი განდევნის შედეგად, თუ რა უბედურება დატრიალდებოდა საქართველოში, თუ რა ცოდვის კალოს მოვიმკიდით აფხაზეთში! მტერმა, ყველაზე კარგად უწყოდა, რომ თავისუფლების უკვდავი იდეა გაიგივებული იყო ზვიად გამსახურდიასთან.

აფხაზეთი იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც დევნილი პრეზიდენტი დაბრუნდა საქართველოში. არასოდეს დამავინწყდება, ის შეხვედრა, რომელიც ზუგდიდელმა მოუწყვეს პრეზიდენტს. ან რა დამავინწყებს მაშინდელ სულისკვეთებას, განწყობას, სიტყვებს, ოვაციებს... რა დამავინწყებს ყვავილების ცოცხალ ფარდ-

აგს ზუგდიდიდან ცხენისწყლამდე რომ დაუფინა მადლიერმა ქართველობამ მამულიშვილს! ან იმას რა დამავინწყებს, ჩემ მიერ აუსტერლიცად ნოდებულ ზუგდიდში, მიტინგზე პრეზიდენტმა რომ წარმოთქვა: „ამაოდ გგონიათ, ყვავ-ყორნებო, რომ საქართველო უპატრონოა!“ გალში კი უფრო დააკონკრეტა: „აფხაზეთი კი არა, ხუნტა დაიკარგება!“ ზვიადის მოკვლით, სწორედ ეს სულიერება მოკლეს მტრებმა!

უთანასწორო ბრძოლაში დაეცა ჩვენი პრეზიდენტი, რადგან გმირები ლოგინში არ კვდებიან, არ ბერდებიან გმირები, არ უწერიათ ბედისწერისგან სიბერე. მარად ახალგაზრდებად რჩებიან, როგორც კამკაშა მეტეორები ჩაიქროლებენ და ტოვებენ დიდ ეპოქას. ჩვენ კი გვიტოვებენ უკიდევანო სევდას და ამავე დროს მაგალითს, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ვემსახუროთ სამართლიანობას, ენას, მამულს, სარწმუნოებას!

მადლობა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, დამოუკიდებელი საქართველოსთვის! მათი სახელები იცოცხლებს, სანამ იცოცხლებს სრულიად საქართველო!



„აფსუა აბა“ გამსახურდიების სახლი აფხაზეთში



ქრისტინა კილანავა

**მამაჩემი ნიკოლოზ კილანავა –  
პუბლიცისტი, მკვლევარი და „გალუს  
მარგალი“, როგორც კონსტანტინე  
გამსახურდია უწოდებდა**



მამაჩემი ნიკოლოზ კილანავა 1915 წელს დაიბადა აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ რეფი-შეშელეთში. ამიტომაც ეს მხარე გამოჩენით უყვარდა. არასოდეს ივინყებდა აფხაზეთში გატარებულ ულამაზეს წლებს. ბავშვობის გარდა ხომ, ამ კუთხესთან შრომითი ბიოგრაფიაც აკავშირებდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ნიკოლოზ ჯოჯოს ძე კილანავამ აკადემიურად გამოსცა მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა მესამე ტომი, გამოსაცემად მოამზადა გიორგი წერეთლის მეხუთე და მეექვსე ტომები, ნინო ნაკაშიძის მეორე

ტომი, რაფიელ ერისთავის თხზულებათა მეორე და მესამე ტომი და ზურაბ ანტონოვის თხზულებათა ერთტომეული. ნიკოლოზ კილანავამ რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული შრომის გამოქვეყნებაც მოასწრო. აქტიურად ინტერესდებოდა საზოგადოებრივი საკითხებით. კარგად იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მას წვლილი აქვს შეტანილი თეკლასელი სასახლის, როგორც ისტორიული სასახლის ძეგლის დაცვის საქმეში. სიცოცხლის ბოლომდე რუდუნებით იკვლევდა ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხებს. მრავალმხრივი პროფილის მკვლევარ-პუბლიცისტი, ბევ-



გალელი ინტელიგენცია და ზ. გამსახურდია გალის ქუჩაზე



გალები შრომობენ გალის ქუჩაზე

რი სამეცნიერო ნაშრომის, ნარკვევისა თუ საგაზეთო წერილის ავტორი იყო.

ახლაც თვალწინ მიდგას, მის სასთუმ-ალთან დანყობილი ჟურნალები: „მნათობი“, „რინა“, „ცისკარი“, „მაცნე“, „ძეგლის მეგობარი“, „მოამბე“, სხვა გაზეთები. წერილები, ამ ჟურნალებში რომ აქვეყნებდა: „შეშელეთის მუხა“, „აჩიგვარა და აჩიგვარის მათრახი“, „დავით კლდიაშვილის ოჯახის უცნობი ფოტოსურათი“, „ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში“, წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, გრიგოლ წერეთლის, მარიამ ბატონიშვილის, იონა მეუნარგიას, დავით კლდიაშვილის, ნიკო ავალიშვილის, გიორგი ლეონიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, გალაკტიონის შესახებ და კიდევ ვინ იცის რამდენი, რაც არ მაგონდება...

მამას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. ხშირად სტუმრობდა კოლხურ კოშკს. დიდი კონსტანტინე მას „გალურ მარგალს“ ეძახდა, თურმე. მამას ამის გახსენებაზე, ყოველთვის თბილად ელიმებოდა.

მამას მონაყოლიდან მახსოვს, ასეთი ამბავი: დიდოსტატის კოლხური კოშკის ეზოში მსხდარან, მამა და მწერალი. საღამო იყო და აცივებულა. კონსტანტინეს მეუღლისთვის, ქალბატონ მირანდასთვის დაუძახია: „მირანდა, ჩამომიგდე ჩემი მოლალურისფერი ჟაკეტი.“ როცა გავიზარდე, დავაზუსტე ეს ფერი.

მამასგან ვიცი, არანაკლებ საინტერესო ისტორია, რომ თბილისში, გალის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს კოლხური კოშკი, გალიდან ჩამოსული დელეგაცია და თბილისში მცხოვრები გალელი ინტელიგენტები იკრიბებოდნენ გარკვეული პერიოდულობით და მართავდნენ ე. წ. „შაბათობებს“. რა სისხშირით და რამდენჯერ გაიმართა ასეთი შაბათობა, სამწუხაროდ, არ ვიცი. თუმცა, ჩვენს საოჯახო ალბომში შემონახულა ერთ-ერთი ასეთი შაბათობის ამსახველი ფოტოები, რომლებზეც მამა, ზვიად გამსახურდია და სხვა პირებიც არიან ალბეჭდილნი და კოლხური კოშკის ფასადიც. „რინის“ მკითხველს ვთავაზობ, ამ ფოტოებს

მამა გარდაიცვალა 1982 წელს. განისვენებს მშობლიურ აფხაზეთში, შეშელეთში. მან თავისი ეპოქის რალაც დიდი ნაწილი წაიღო თან... მაგრამ დავგიტოვა ნაწერები, შემოგვრჩა ფოტოებიც. როგორც ამბობენ – ისინი არ იწვიან... და რამდენს, რამდენს გვიყვებიან...



თბილისში, გალის ქუჩაზე. ზ. გამსახურდია გალებს შორის





### აჩიგვარა და აჩიგვარას მათრახი

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“, როგორც ცნობილია, მოქმედება ძირითადად აფხაზეთში, ძველ სამურზაყანოში, დღევანდელ გალის რაიონში მიმდინარეობს. სოფელ ოქუმიდან არიან ნაწარმოების მთავარი გმირები – თარამ ემხვარი, კაც ზვამბაია და არზაყანი. რომანში აღწერილია აფხაზთა ყოფის სურათები, მათი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე.

ავტორი აფხაზური ლამეული სიმღერის – ერგაშვას გარშემო თითქოს შემთხვევით ჩამოგდებული საუბრით იწყებს თხრობას; პირველივე სტრიქონებიდან გვაცნობს რა თავის გმირებს, კაც და არზაყან ზვამბაიებს, მწერალი რომანის დასაწყისშივე მიგვანიშნებს აჩიგვარასა და აჩიგვარას მათრახზე.

„მთვარის მოტაცებაში“ არაერთგან გვხვდება აჩიგვარას მათრახის დასახელება. „აჩიგვარას მათრახი აჭამა“ რუხის ციხესთან გაოგნებულ ულაცს არზაყან ზვამბაიამ; რალა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება ვივარაუდოთ ევროპული ტიპის უტარო მათრახი, ან მთლიანად ნაწნავი რუსული მათრახი, რომელიც სახელურამდე ელასტიურია.

სოფელი აჩიგვარა ერთ-ერთი მთავარი სარბიელია „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟებისათვის. აჩიგვარას გზით დადიან რომანში ზუგდიდს, ილორსა თუ სხვაგან ოქუმიდან მომავალი გმირები. ოქუმი, აჩიგვარა, მუხური, შეშელეთი, ჭუბურხინჯი, ენგურის ნაპირები და გალის რაიონის შემოგარენი – აი, ესაა რომანის ძირითადი

გეოგრაფიული სივრცე. აჩიგვარა გალსა და ოჩამჩირეს შორის მდებარეობს, გალიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში. საქართველოს ცენტრალური გზატკეცილი მას თითქმის შუაზე კვეთს.

ახლა, „აჩიგვარას მათრახს“ დავუბრუნდეთ.

აფხაზეთში, კერძოდ დღევანდელ გალის რაიონში, ცხენის სიყვარული აქამდე თითქმის შეურყევლადაა შემონახული, აფხაზეთის მთიან მხარეში, გზებზე ჯერაც შეხვდებით ქორწილში თუ გასვენებაზე ცხენით მიმავალ ცოლ-ქმარს, ან ცხენოსანთა ჯგუფს.

არაიშვიათად გამოჩნდებიან მათ შორის ისეთები, რომელთაც მთლიანად შემოუნახავთ ცხენის ძველებური მოკაზმულობის თითქმის ყველა სახე, კერძოდ, ვერცხლზე მოსევადებული მრავალბალთებიანი ლაგამი, ასევე, ცხენის ხმირბალთებიანი სამკერდე, ვერცხლისფერი და ფეხგასაყოფი წითლად შეღებილი ავჯანდები, სპილოს ძვლით განწყობილი კები, შვლის ბენვით ნატენი, სირმიანი, შაგრენის შავი თუ მუქ-წითელი ტყავის ბალიში, მოსართავები, ორი შავი და წითელი ნაქარგი „პატიო“ შეღებილი თასმით ნაკერი შაგრენის თექალთო, „ლაკზე“ მშვენიერად ნაჭედი „სედლო“ – ცალავჟანდა, ცხენზე ამხედრებული მანდილოსნებისათვის, თავისი წარმტაცად ნაქარგი მუქი ან მოწითალო ფერის ასალთ (მანდილოსნის ცხენის გავის მთლიანი საფარი).

# ეთნოგრაფია

ზოგ ცხენს ლამაზ კისერზე ჯვარი, ავ-გაროზებისა და ძვირფასი მძივების აცმა ჰკიდია. დაჭედული ცხენები ნალთა სა-სიამოვნო ტკაცანით მიდიან თემშარაზე. ცხენოსანს, უკლებლივ ყველას, მათრახი უჭირავს. გასაგებია, რომ ამ ცხენებით გა-ტაცებულ მხარეში, უნაგირისა და საერ-თოდ, ცხენის აღკაზმულობის ოსტატს სამუშაო არასოდეს დაელოდა. ამ ხელო-ბის ნამდვილი ვირტუოზები იყვნენ ძმები გიორგი და ანდრია სანაძეები, რომლებიც აჩიგვარაში ქუთაისიდან ჩამოსულან გა-სული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს. მათ ხელობას აქ განსაკუთრებული მოთხ-ოვნილება გასჩენია. ანდრია სანაძე, რო-მელსაც უკავშირდება აჩიგვარას მათრახის ესოდენ პოპულარული სახელი, მხოლოდ მათრახის შეკერვის საქმეს დასდგომია, თუმცა, მისივე ხელმძღვანელობით, შე-გირდები უნაგირზე და წულა-მესტებზეც მუშაობდნენ. გიორგი კი თავის ხელობას ვერცხლზე და ქამარ-ხანჯალზე მისდე-და. სანაძეების დუქანში მუშტრის ტევა არ ყოფილა. ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ მათრახის შეძენის მსურველთა რიცხვი – განსაკუთრებით დიდი ყოფილა.

ანდრიას შეგირდებს, ევალებოდათ, თურმე, ოსტატის მიერ მათრახისათვის შერჩეული, უთუოდ ხარის ტყავის მასალის მხოლოდ პირველადი დამუშავება (ღვე-დების ზომაზე გადაჭრა, ხსნარზე ლობობა, თასმის გამოქნა შერჩეული მასალისგან, ტარის ზომის აღება, გადაჭრა, მათი გათ-ლა-გაქლიბვა, სათანადო ნასვრეტების გა-მონვა. რაც შეეხება შემდეგ სამუშაოებს: აჭრას, მათრახის ენისა და ნასკვის (ნატ-კენის სიმწვავისათვის) გამოყვანას და, რაც მთავარია, კერვას ოსტატი თვითონ, თავი-სი ხელით აკეთებდა და არავის ანდობდა. ყველაფერ ამას ანდრია ასრულებდა თურმე რაღაც არაჩვეულებრივი გემოვნებითა და სიყვარულით. ამიტომ დღესაც, როცა ვნახულობთ ან უკვე განძად შემორჩენილ მათრახს, ანდრიას ხელობისას, გვაკვირ-ვებს ნახელავის სინატიფე. თვალის გან-საკუთრებული სიმახვილით უნდა მიაგნო ნასადგისარ-ნანემსარს, გიჭირს გაარჩიო ნაკერების განსხვავება ღვედთან. უზადოდ და მკვრივად შესრულებული ნაკერი მომხ-იბვლელია სანახავადაც. ბოლო მათრახისა,

ნასკვი და ენა იმნაირად არის გამოყვანი-ლი, თითქოს ეს ნასკვი ბუნებრივად გამოზ-რდოდეს. მათრახის ბოლოს სოლისმაგვარი ფორმა, მთლიანად მისი შესრულების ოს-ტატობა დღემდე საკვირველებად მიიჩნევა. სანაძეთა მათრახი დრო-ჟამისაგან შეიძლე-ბა გაცვეთილიყო, გამწყდარიყო, მაგრამ არასოდეს განაკერი არ ირღვეოდა და რაც კიდეც უფრო საოცარია, ტარიდან მათრახი არ წყდებოდა! ეს ხელოვნების ნიმუში მა-თრახები თურმე თავმოსაწონად ეჭირათ, გასვენებებსა და ქორწილებში, იმერეთსა, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ოსტატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მათრახის ტარს. იგი აუცილებლად მაგარი ხისა უნდა ყოფილიყო: ურთხელი ან შვინდი, ან სატაბიკე ხე – „ქუცი“ შვირჩე-ოდა. სატარე მასალა უმთავრესად სამურ-ზაყანოს უსიერ ტყეებიდან მოჰქონდათ: ოხ-ურეიდან, აფსთიდან... სანაძეები მასალას ახმობდნენ და შეგირდები კი ამუშავებდნენ, შემკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. მამაკ-აცთა მათრახის ტარი უსათუოდ მსხვილი უნდა ყოფილიყო, შედარებით წვრილი – მანდილოსანთა მათრახისა.

საიმედო სამაჯურით სანდოდ ჩამოკ-იდებული მათრახი ხელს არ უშლიდა მხე-დარს, განსაცდელის დროს, სახიფათო და სასწრაფო შემთხვევაში, მარჯვენა ხელი იარაღისათვის ეტაცა. ამას გარდა სანაძის მაგარი და გამძლე, ლამაზი და მტკიცედ ნაკერი მათრახი სამკაულადაც ითვლებოდა ცხენოსან მამაკაცის თუ მანდილოსნისათ-ვის. თავმოწონე ვაჟკაცს უთუოდ სანაძის მათრახი უნდა სჭეროდა მაშინდელ აფხაზ-ეთსა და სამურზაყანოში. ცნობილია, რომ თვით ცხენოსნები აკვირდებოდნენ ერთ-მანეთს, ეჭირათ თუ არა აჩიგვარელი ოს-ტატის ნახელავი მათრახი. ყველა სახელო-ვან ოჯახს, უბრალო, „სახაზრო მათრახის“ გარდა, საგარეოდ, აუცილებლად სანაძის მათრახი უნდა ჰქონოდა. ყველას ესახელე-ბოდა მისი შეძენა.

ამ სტრიქონების ავტორს, თავის ბავშვობაში უნახავს შემთხვევები, როცა ოჯახს ცხენი არა, მაგრამ სანაძის მათრახი ჰქონია. ქალს მზითევში თუკი გაატანდნენ სანაძის მათრახს, ეს საუკეთესო საჩუქრად და დიდ პატივისცემად ითვლებოდა.

სახელი და პოპულარობა სანაძის მათრახს აფხაზეთს გარეთაც მოუპოვებია. პარტიობით უკვეთავდნენ და მიჰქონდათ იგი რუს-კაზაკებს, ყუბანსა და ნოვოროსიისკში. რაჭა-ლეჩხუმში, გურია-სამეგრელოსა, იმერეთსა და სვანეთშიც ხელიდან ხელში გადადიოდა სანაძის მშვენიერი მათრახი. საშუალოდ იგი 2 ოქრო ღირებულა, ზოგჯერ მეტიც. შედარებით ნაკლები ფასი ჰქონია ქალის მათრახს.

ანდრია სანაძეს გაგიჟებით ჰყვარებია თავისი ხელობა. უქმეებშიც კი, მშვილდზე გადაჭიმული მათრახი სჭერია ხელში (მათრახი მშვილდზე იკერება). ღრმა მოხუცებულობაშიც, დილიდან საღამომდე, თავის საქმეს ჩაჰკირკიტებდა ოსტატი. ნახელავი რომ განსაკუთრებული გამოვიდოდა, ბავშვივით ხტოდა თურმე.

აჩიგვარამ თავის დროზე, ჩვენს ცხენოსნურ სპორტსა და ხელოვნებას, ანდრია სანაძის სახით შესძინა არა მხოლოდ არაჩვეულებრივი ოსტატი, არამედ შესანიშნავი ხელოვანიც. თვით ანდრია სანაძემ თავისი მათრახით აჩიგვარას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. თავიდან, „სანაძის მათრახი“ ეწოდებოდა, მის ნახელავს. შემდეგში კი, როცა სანაძის ნახელავი გასცდა სამურზაყანოსა და აფხაზეთის ფარგლებს, მან „აჩიგვარას მათრახის“ სახელი დაიმკვიდრა. ამ სახელითვე შევიდა იგი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“.

1972 წელი




# ერთი ლექსის ისტორია

წიგნის მატყაფერი

მერაბ კოსტავას მემორიალური  
სახლ-მუზეუმის კურატორი

## „ძმას ქრისტესმიერს“



მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მეგობრობა მათი სიყრმიდანვე იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ვაჟთა პირველ სკოლაში უმცროსკლასელებმა ადვილად იცნეს ერთმანეთის მონათესავე სული და ცხოვრების საგზლად გაიყოლეს ერთგულება, ერთმანეთის მხარში დგომა. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეგობრობის ისტორია კიდევ მრავალ თაობას ალაფრთვანებს და უანგარო ერთულების მაგალითს მისცემს.

1956 წელს, მეთერთმეტე კლასელმა ბიჭებმა, თბილისის ქუჩებში გააკრეს ანტისაბჭოთა პროკლამაციები, სადაც ქართველ ხალხს მოუწოდებდნენ ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამის გამო 1956 წელს ისინი დააპატიმრეს.

1977 წლის 7 აპრილს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით ხელმეორედ დაიჭირეს. ამ ხმაურიან დაპატიმრებას წინ უძღოდა საქართველოს მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვა და მისი „ანტისახელმწიფოებრივი“ საქმიან-

ობის საჯაროდ დაგმომა. ორი დღით ადრე კი მერაბ კოსტავა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის III სამუსიკო სასწავლებლის მუსიკის პედაგოგობიდან გაათავისუფლეს.

საქმეში №131, რომელიც საბჭოთა უშიშროებამ ქართველი დისიდენტების წინააღმდეგ აღძრა, აღნიშნული იყო, რომ ისინი საქართველოში ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა ლიტერატურას, ასევე გამოსცემდნენ არალეგალურ იატაკქვეშა ჟურნალებს, მათ შორის „საქართველოს მოამბესა“ და „ოქროს სანმისს“. კრემლის სამთავრობო კულუარებში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა, სხვა საბჭოთა დისიდენტების მსგავსად, ქვეყნიდან ზვიად გამსახურდიას გაძევებაზე. ამ მავნე პრაქტიკას კრემლი მიმართავდა „გამოუსწორებელთა“ თავიდან მოსაშორებლად. ამ აქტით ხელისუფლება იძულებულს ხდოდა განდევნილებს, ჩამოშორებოდნენ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. ასე გააძევეს საბჭოთა კავშირიდან ალექსანდრე სოლჟენიცინი, ვლადიმერ ბუკოვსკი, ალექსანდრე გინზბურგი, ვალერი ჭალიძე და სხვანი. ზვიად



გამსახურდიას სხვა ქვეყანაში გაძევებით საბჭოთა ხელისუფლებას ნამდვილად შემცირდებოდა თავსატკივარი.

მოსალოდნელი საფრთხის შეფასების შემდეგ ზვიად გამსახურდიამ განახორციელა ტაქტიკური უკანდახევა. წარდგენილი ბრალდების საპასუხოდ მან გადაწყვიტა საქვეყნოდ „მოენანიებინა“ ჩადენილი დანაშაული და დაეგმო „ანტისაბჭოთა“ საქმიანობა. მისი „მონანიება“ ტელევიზიით, საჯაროდ იქნა ტრანსლირებული, რამაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრმა, ვინც არ იცოდა საქმის რეალური ვითარება და არსებული საფრთხეები, ეს აღიქვა როგორც ეროვნული მოძრაობის ღალატი და ასეთი საქციელი ზვიად გამსახურდიას მორალურ სისუსტედ ჩაუთვალა.

მოგვიანებით, ამის საპასუხოდ, ჟურნალ „გლასნოსტი“ მერაბ კოსტავას განცხადება გამოქვეყნდა, სადაც ავტორი წერდა, რომ ზვიად გამსახურდიას ეს ნაბიჯი მასთან წინასწარ შეთანხმებული გახლდათ: „მე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდიას მეგობარი და მასთან ერთად გასამართლებული, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განცხადო შემდეგი: როგორც ხმები მომწვდა, ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს ზვიად გამსახურდიამ დაგმო და მოინანია თავისი პატრიოტული და ჰუმანიტარული საქმიანობა სახ. უშიშროების კომიტეტის მხრივ მასზე ზემოქმედების შედეგად, თითქოს მან „უარჰყო თავისი იდეები“, თითქოს იგი „გატეხეს“, „დააშინეს“ და ა.შ.

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ ჩემზე უკეთ არავინ უნყის სიმართლე ყოველივე ამის შესახებ, ვინაიდან მე წელიწადზე მეტ ხანს თვალს ვადევნებდი ჩვენი საქმის მსვლელობას. ჩვენი დაპირისპირებისას, ასევე 56 ტომიანი საქმის გაცნობის შემდეგ და სასამართლოს მსვლელობისას ხშირად მიხდებოდა შეხვედრა და საუბარი ზ. გამსახურდიასთან, ვიცნობ საქმის ყოველ დეტალს და ყველა გარემოებას ჩვენს საქმესთან დაკავშირებულს.

სასამართლოზე ზ. გამსახურდიას არ დაუგმია და არც მოუწოდებია თავისი ძირითადი საქმიანობა ეროვნული და ჰუმანი-

ტარული ხასიათისა, რაც გამოიხატებოდა მის წერილებში საქართველოს ეკლესიისა და ქართული ენის მდგომარეობის, კულტურის ძეგლთა თუ პატიმართა შესახებ და ასევე იმ საკითხებზე რასაც ასახავს ქართული ჰელსინკის ჯგუფის დოკუმენტები. მას არასოდეს უარუყვია თავისი იდეები, არასოდეს დაუგმია თავის მიერ ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვა. ზვიად გამსახურდიამ თავის შეცდომად აღიარა და მოინანია მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი რუსული ემიგრანტული და თვითგამოცემისეული მასალების გამრავლება-გავრცელება. პრესამ კი ისე დასახა საქმე, თითქოს მან ხაზი გადაუსვა მთელს თავის საქმიანობას...“

1978 წლის 12 აგვისტოს, პერმის პოლიტსაპატიმროსკენ ეტაპირებისას, მერაბ კოსტავამ გავრცელებული ხმების საპასუხოდ დაწერა ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“, სადაც სრულად გადმოსცა თავისი დამოკიდებულება და ემოცია თავს გადახდენილი ამბების გამო.

„...გეკითხებიან, მოსულხარ სადით,  
ხატება შენი ველარ გვიცვნი,  
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით,  
საუკუნეა არ განგვიცდია.  
...გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,  
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან  
თორნიკესავით დაბრუნებული.  
...ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი  
და მიეფარა ღრუბლებს უფალი,  
შენ აღემართე, ვითა პირველი,  
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.  
...დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულმან  
ერმიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,  
როს განაახლე მინავლებული  
ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.  
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე,  
აზრთა განწყობას უცვალე ფერი,  
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,  
ახალ ხარისხზე ასწიე ერი.  
...არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,  
ყველამ გაიგოს, ყვალამ უწყოდეს,  
რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას  
ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს,  
...გადაიჭრები გზებით მყოფადში,  
დაემკვიდრები ხალხში მითივით,  
ზეალმართული ჩვენს ეპოქაში

# ეწი ღექსის ისტორია

მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.  
...ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი  
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,  
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი  
ავთანდილობა ერთობ ძნელია.  
ბოროტებისთვის მუქაფის მგებელს  
საქმენი ქველნი არ დამიგმია,  
მაგრამ სვებედის საწყისთა მძებნელს  
ერთი ამბავი ვერ გამიგია:  
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე  
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,  
მოყვასისაგან რად განისაჯე  
ღირსო უკვდავთა დიადემისა;  
...რას დაგაკლებდა ზედი ტიალი  
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,  
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა  
და როს ალგივსეს ძმარით ფიალა  
არ აიცდინე სასმელი ესე...”

1980 წელს, ციმბირის სოფელ კვიტოკ-ში, სადაც მერაბ კოსტავა თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა, მასთან ჩავიდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბის ვაჟი ირაკლი კოსტავა. სწორედ აქ გადასცა მან ლექსი მეგობარს და როგორც თვითონ ზვიად გამსახურდია შემდგომში იგონებდა – ეს ლექსი მის გულს მალამოსავით წაეცხო.

„აქ არის თითქოს ჩვენი ბრძოლის ისტორია, ჩვენი ბიოგრაფია, პოეტური სიტყვით გადმოცემული და რაოდენ ლაკონურად! აი, სად ასრულდა რუსთაველის ნათქვამი – გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის! რამდენი რამ დასტია მან ამ ლექსში, რა გრძნობა, რა განცდები, რა ტრაგედია!“ – წერდა ზვიად გამსახურდია.

უდაოდ, დღემდე ვერავინ მოახერხა ზვიად გამსახურდიას პიროვნების, მოღვაწეობის, ზოგადად მისი ფენომენის წარმოჩენა იმგვარად, როგორც ეს შესძლო მერაბ კოსტავამ.

მოგვიანებით, ზვიადმაც უძღვნა ლექსი მერაბს „წამებული ძმისადმი“:

„ერზე მჭმუნვარი ძმათა კრებული  
ერის საფიცარ რაინდს გინოდებს,  
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული  
სასუფეველში შეხვალ, იცოდე! ...  
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,  
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭალის,  
მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი,  
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის“...



## ამონარიდები კონსტანტინე გამსახურდიას ნაშრომებიდან



\* \* \*

კიტა აბაშიძემ მიაშპო ერთხელ: „სიჭაბუკეში მე ვიყავი ილია ჭავჭავაძის პირადი მდივანი, იგი მთელი ღამე ძილფხიზლობდა რედაქციაში, მცირე ხანს სადმე წავიდოდა, ისევ რედაქციაში დაბრუნდებოდა და მუშაობას შეუდგებოდა. ერთხელ გაზეთ „ივერიას“ დააგვიანდა, ილია დიდხანს იჯდა და მეთაურს სწერდა. უკვე მუშაობის დრო გადასულიყო და შინ წასვლას ვაპირებდი. ილია იჯდა, სწერდა, სწერდა, ბოლოს ადგა და სახეშეჭმუხნილი დადიოდა თავის კაბინეტში. მე ვივარაუდე სამუშაო დღე დამთავრებულა-მეთქი, წამოვდექი და მოკრძალებულად წავიბუტბუტე: „ილია ბატონო, შეიძლება წავიდე?“ ილიამ ხმა არ გამცა, კვლავ ბოლთას სცემდა. ბოლოს, თავის საწერ მაგიდას მიუჯდა, საწერი მოათავა და მითხრა: „ახლა წადი“.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძემ სვედაკარგულ მოხევეს – ლელთ ღუნისა წარმოათქმევინა უდიდესი პრინციპი ჩვენი საუკუნისა: ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოსო. ამ დიდი იდეის უდიდესი მოლაშქრე იყო ილია და ამ დიდი საქმისათვის ბრძოლას მსხვერპლად შეეწირა იგი... თავისი სიცოცხლის დასასრულით მან სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა და ჩვენ წამოგვზარდა მისი დიდი იდეების ქომაგად და მედროშედ.

\* \* \*

მსოფლიო ისტორიაში ძნელად საპოვნელია ასეთი ტრაგიკული ეპიზოდი, როგორიც იყო ირანში მუხანათურად მოკლული დემეტრე მეფის ცხედრის თევზებთან ერთად შეფუთვა და საქართველოში ჩამოსვენება. მე ამ სტრიქონების წერისას ტანში მზარავს ამ ამბის მოგონება. ეს იყო გმირული სული ქართველი ერისა, რომელმაც მოაღწევინა ჩვენ ხალხს დღემდის. დიდი გოეტე წერდა: პიროვნება უდიდესი ბედნიერება არისო. არასოდეს არც ერთ მწერალს არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოსვლია, თუ იგი მონოლითური პიროვნება არ იყო.

\* \* \*

არ არის მართალი, თითქოს სიბრძნე ერთისაგან წარმოიქმნებოდეს, სიბრძნე ხალხში წარმოიშობა და ათასები, ასიათასები და მილიონები ადრე თუ გვიან მიაგნებენ ჭეშმარიტებას... იბსენმა შესანიშნავად თქვა: მწერლობა ეგ არისო საკუთარი ცხედრების ცრემლებით განზანა. მწერლობა, რომელიც უმიზნებს პირად წარმატებას, ჰონორარებსა და ჯილდოებს, იგი გეშეფტმახერობაა და სხვა არაფერი.

\* \* \*

მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მონადინებული ვარ განვდევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩაღეჭილა ქართულ ენაში. პარალელურად, ჩემის აზრით, უნდა



# დიდოსტატი გვასწავლის

ხდებოდა ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების ლექსიკის საშუალებით. უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კილოდან. ვაჟა ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას.

\* \* \*

დღეს, ყოველი კულტურული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური მეტყველება ისე გართულებულია, რომ ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იაზროვნებს მარტოოდენ თავის მშობლიურ იდიომიდან აღებული სიტყვებით, მით უმეტეს ქართველი მწერალი.

\* \* \*

არიან სიტყვები, რომელნიც სიძველეთა სავანეში უნდა იქნან შენახულნი როგორც ძველი სისტემის ზარბაზნები, რომელთაც თანამედროვე ომში კარგი ვაჟკაციც ვერ იხმარს. არიან სიტყვები, რომლებიც სავსებით უნდა იქნან გაძევებულნი. არიან სიტყვები, რომელთაც ვერც ერთი სახელმწიფოური, ეთნიური და ნაციონალური საზღვრები ვერ დააკავებენ. ისინი იდეურ ატმოსფეროს დაჰყვებიან.

არსებობენ გადაუთარგმნელ სიტყვები.

არსებობენ შეუცვლელი სიტყვები.

ახალ იდეებს მუდამ ახალ სიტყვათა მარაქაფები მოსდევენ.

ახალ კულტურას მუდამ ახალი სიტყვების მაყრები მოუძღვნიან წინ.

\* \* \*

მე მუდამ ვამბობდი: არც ნამეტანი ქედმაღლობა ვარგა და არც ნამეტანი თავმდაბლობა. მე ვათქმევინე ჩემს გმირს დავით აღმაშენებელს: უფლის წყალობა კარგია, მაგრამ ამ წყალობას ხმალიც უნდა შეაშველოვო.

\* \* \*

შემოქმედება მწერლის ჰგავს ხანდახან ეშაფოტისაკენ მიმავალ ბენვის ხიდს, თუ

ხშირად შეგბავლეს, ჰაუ, შეიძლება უფსკრულში დაეშვა. როგორც ტრიბუნაზე, ისე მთელი ჩემი ბობოქარი ცხოვრების მანძილზე მე მინიშნებული მქონდა რუსთაველის გენიოსური სტროფი:

„ან თუ არის ბრძენი ვინმე  
მაღალი და მაღლა მხედი,  
არც თუ ჭირი ჭირად უჩნდეს,  
არც თუ ლხინი ზედი-ზედი.“

\* \* \*

ქართულ სტამბურ ტექნიკას საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ VI-მ ისეთ პერიოდში, როცა ქართული სახელმწიფო აგონიას განიცდიდა. რაც გასულ საუკუნეში ამ მიმართულებით გაკეთდა, ეს ყოველივე, ყოველგვარ სახელმწიფოურ ღონისძიებათა გარეშე მოახერხეს ქართული მწერლობის მოამაგებმა.

\* \* \*

ქართული ალფაბეტი ორი ათასი წლის ღვაწლით და შრომით მოუხვეჭია ქართველ ხალხს და არავის ნება არა აქვს თავნებური ცდები აწარმოოს ამ მიმართულებით.

სტამბური ბეჭდვის შემოღებამდის ქართული დამწერლობის ძეგლებშია იგრძნობა ტენდენცია ასომთავრულის შემოღებისა. საქართველოს მუზეუმში ინახება მსოფლიო მასშტაბის უნიკალური ძეგლი X საუკუნისა. მიქელ მოდრეკილის „იადიგარი“, უბრწყინვალესი ნიმუშია ხელწერისა, მაღალი ოსტატობით შესრულებული. პერგამენტზე შესრულებულ ტექსტის არეებში დაყოლებულია აბზაცების გამთიშველი მთავრულები, ხოლო ტექსტის შიგნით სათაურები სინგურითა და მარგვლოვანი ასოებითაა საგანგებოდ დამშვენებული.

\* \* \*

მწერლები შუა საუკუნეებში არსებითად მეფეების, პაპების და თავადების ნასუფრალით იკვებებოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა დანტე, სერვანტესი, გოეტე, მუდამ ახერხებენ კეთილშობილი იდეებისათვის ლაშქრობას. ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა ინგლისელი მწერლების – ჯეკ ლინდსეისა და პატრიკ ჰოლდრინგის ფრი-



## დიდოსტატი გვასწავლის

ად დამაფიქრებელი წერილები. ლინდსეი პირდაპირ აღიარებს: ამერიკული მწერლობისა და კინოს ზეგავლენისაგან უდიდესი საფრთხე მოელის ჩვენს კულტურას; ილუპება ტრადიციები ჩოსერისა და შექსპირის, მილტონისა და შელისა.

\* \* \*

ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება, რადგან ყოველი გზის პირად ციხეს ნახავ ძველს და ყოველი გზის ასაქცევთან ვაჟკაცს შეხვდები მტრის ტყვიებით დაცხრილულს.

შორაპნის ციხეს ვუახლოვდები. ოც საუკუნეზე მეტია, რაც ეს ციხე ამ ქვეყანას დარაჯობდა. ქვაც არ იქნება ძირულას რიყეზე იმდენი, რამდენი ათასი ვაჟკაცი შესწყვეტია მის ბრუსტვერებს.

\* \* \*

არც ირლანდიელ, არც შოტლანდიელ, არც ტიროლელ მწერლებს, არც რომელიმე პოეტს მთელს მსოფლიოში ისეთი ომბიანი, ეპიური პათოსით არ შეუქმნია მთიანეთი, როგორც ეს ჩაიღინა ჩვენმა დიდმა ვაჟამ.

დიდი პოეტის ვიზიონერული ხილვით მან განასულოვნა მთა და ამ გრანდიოზული ბუნებისაგან ნაკარნახევი სიდიადე განასახიერა დაუფინყარ ბალადებსა და გამირულ პოემებში.

\* \* \*

დავითისა და თამარის საქართველო სწვდებოდა შავი ზღვის მოზრდილ უბეს ნიკოფსიიდან ტრაპეზუნამდის. ამ ორ პუნქტს შორის მდებარეობს თავისი სილამაზით უბრწყინვალესი და უნაყოფიერესი ტერიტორია ძველი კოლხეთისა, რომელიც აღემატებოდა საქართველოს რესპუბლიკის აწინდელ ტერიტორიას.

ეს არის ციტრუსების, მაგნოლიების, დაფნის, თხილის, ლედვისა და ბრონეულის სამშობლო.

ეს მხარე შავი ზღვის კიდისა განსხვავდება ევროპის ყველა ზღვების კიდეებისაგან თავისი ნისლიანობითა და შტორმებით. ამიტომაც დაარქვეს ამ ზღვას ბერძნებმა „სტუმართმოძულე“.

\* \* \*

მცხეთა-არმაზის უკანასკნელმა გათხრებმა დაგვიმოწმა, თუ როგორი დიდი და მაღალი კულტურის მატარებელი ყოფილან ჩვენი წინაპრები ბერძნულ-რომაული ანტიკის ისეთ ეპოქებში, როცა ევროპა ნახევრად ნომადურ ხალხთა ასპარეზს წარმოადგენდა.

პინდარის მიერ ნახსენები „შავგრემანი კოლხების“ ხელოვნება ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. ათინაში ნაპოვნ ჰიდრიას აწერია: „კოლხის მიერ ვარ გაკეთებული“. ცნობილია, ერთ-ერთ ათინურ ამფორაზე წარწერილია: „კოლხმა მომხატა“. ჰეროდოტე გვიმოწმებს, რომ ძველი კოლხების ტილოს მრეწველობა საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა: „კოლხურ ტილოს“ ბერძნები სარდონულს უწოდებენ, მართო კოლხები და ეგვიპტელები ამზადებენ ერთი და იგივე ნესით ტილოს.“

\* \* \*

კოლხური პატრიოტიზმის უჭკნობი ძეგლია კოლხი დარბაისელის ეიტის მიერ წარმოთქმული სიტყვა კოლხთა მეფის გუბაზის მკვლელთა გასამართლებისას (VI საუკუნე) ეგ სიტყვა უშესანიშნავესი ნიმუში კოლხური რიტორული ხელოვნებისა, შემონახულია, ისევ და ისევ ძველ ბიზანტიურ ანალებში.

\* \* \*

რაც უფრო მეტად სახელოვანი წინაპრები ჰყავს ადამიანს, მით უფრო მეტს მოითხოვენ მისგან, ამიტომაც უნდა შევეცადოთ, შრომაშიაც გავასწოროთ ჩვენს წინაპრებს და არც ბრძოლაში ჩამოვრჩეთ მათ, რადგან ორი ათასი წლის სიამაყე შემოგვცქერის საქართველოს მიწის წიაღიდან, ძმებო!



ბრუნო ვეფხვაძე და მანანა სოტკილავა  
პრეზიდენტის პორტრეტის წინ

მანანა სოტკილავა

ქართველოლოგი,  
ეროვნულ სიძველეთა მკვლევარი

## ზვიად გამსახურდიას ერთი პორტრეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტული ნახატი შესრულებულია, 2019 წელს, საგანგებოდ ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენისთვის დინასტიური მხატვრების უკანასკნელი, მეოთხე თაობის წარმომადგენლის, საოცარად ნიჭიერი, საკუთარი ორიგინალური ხელწერის მქონე და საერთაშორისო სივრცეში აღიარებული ახალგაზრდა პორტრეტისტ-მხატვრის – ბრუნო ვეფხვაძის მიერ, „ხელოვნების სასახლის“ გენერალური დირექტორის ისტორიკოს გიორგი კალანდიას დაკვეთით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ვრცელ გამოფენაზე ნახატი ავტორთან ერთად იყო წარმოდგენილი პირველად, ბევრ სხვა, პრეზიდენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მეტად საინტერესო და უცნობ მასალებთან ერთად.

ნახატი, როგორც სამუზეუმო საკუთრება ინახება „ხელოვნების სასახლის“ ფონდ-საცავში.

ძირძველი თბილისელი საგვარეულოს – ვეფხვაძეების შემოქმედებითი დინასტია ქართული ნაციონალური კულტურის ეროვნული სიამყე და საგანძურია.

იშვიათია ერი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მსგავსი, თაობათა მთელი დინასტია, ესოდენ მაღალმხატვრული ოსტატობით, დიდებული ფერთამეტყველებით ტილოზე ფაქიზად ისე გადმოცემი თავისი სამშობლო ქვეყნის სახელიან-ტკივილიანი

დღეების, დიდი პიროვნებების საამაყო მემკვიდრეობის თუ პირადი ტრაგიზმის, უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტების, როგორც ეს ასახულია ამ დინასტიის ოთხივე თაობის დიდოსტატი მხატვრების – ივანე, ალექსი, ჯოვანი და ბრუნო ვეფხვაძეების შემოქმედებაში. მათი საერთო თემაა ისტორიული მხატვრობა. აქ ისინი ერთნაირი ეროვნული სულისკვეთებით და მსგავსი ემოციით არიან დამუხტულნი. ხოლო როგორც მხატვრის, თითოეული მათგანის ინდივიდუალობა შექმნილი შედეგების საკუთარი ხელწერით გადმოცემასა და მეტად ორიგინალურ წარმოდგენაშია. აქ ყველა თაობას აქვს საერთო თემა და საკუთარი ხელწერა. ესაა მათი მსგავსებისა და განსხვავების უნიკალურობა, რაც იშვიათია.

თუკი, ბრუნოს წინაპრები ივანე და ალექსი ვეფხვაძეები ისტორიული თემატიკის შედეგებს ჰქმნიდნენ, ბრუნოს მამა, ჯოვანი ვეფხვაძე, რომელთან მეგობრობა ჩვენი თაობის დიდი თბილისური ბედნიერება იყო, საკუთარი ფერთამეტყველებით გადმოგვცემს ძველი თბილისის თავგადასავალს, თავის ნახატებში გადმოცემულ შეფარულ ნოსტალგიას, რომელსაც სათუთად ინახავდა მუდამ თითოეული თბილისელის „მოგონებანი გარდასულ დღეთა“...

დაუვინყარია ჯოვანის თბილისურ სახლ-სახელოსნოში, რუსთაველის 38-ში, გატარებული სალონური დღეები გასული საუკუნისა, სადაც იკრიბებოდა 70-90-იანი წლების მამულიშვილობა, საინტერესო საუბრებით, ერის სვე-ბედზე მსჯელობებით, ისტორიული დღეების გახსენებით,

სახელდახელო ტრაპეზზე ქალაქური სიმღერებით...

ჯოვანი თანაბრად ფლობდა ევროპულ ენებს: იტალიურს, ესპანურს, პორტუგალიურს, ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს..., და ამგვარი სალონური სადამოებით შემოდიოდა ჩვენში, ჩაკეტილი სივრცის პირობებში, გარე სამყარო და მისი რჩეული და საუკეთესო წარმომადგენლობა შემოქმედებითი, პოლიტიკური თუ ახალგაზრდული სამყაროდან. ჯოვანი ვეფხვაძე იყო დიდი მამულიშვილი, გარდაიცვალა სამიოდ წლის წინ უეცრად გულის შეტევით. ხოლო მისი ვაჟი ბრუნო ვეფხვაძე, როგორც აღიარებული მხატვარი პორტრეტისტი, არაერთი ჯილდოს მფლობელია, რაც ასახულია საერთაშორისო მასმედიის სხვადასხვა პუბლიკაციებში, ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოსა და ამერიკაში.

პირველი ფერწერული ტილო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა მხტვარმა ვახტანგ ნოდია, ჯერ კიდევ, 1992 წელს. ამავე წლის ოქტომბრის თვეს, იჩქერიის დედაქალაქ გროზნოში მყოფი დევნილ პრეზიდენტთან შეთანხმებით, ზუგდიდში ტარდებოდა საქართველოს რესპუბლიკის, ასევე, დევნილი პარლამენტის – „უზენაესი საბჭოს“ სესია.

სწორედ, ამ სესიაზე შემოიტანეს დარბაზში 3 მეტრამდე სიმაღლის დიდი ფერწერული ტილო, რომელიც ავტორის მიერ მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული გასაოცარი წინასწარმეტყველური სიმბოლიკით იყო წარმოდგენილი. ნახატი, რომელიც ადამიანის მიერ შექმნილს არც ჰგავდა, ღიად და უშიშრად მიუთითებდა იმ საღვთო სამსჯავროზე, რომელიც აუცილებლად დადგებოდა უფლის მოახლოებული საყოველთაო განკითხვის ჟამს, როდესაც ძე ღმერთი პასუხს მოსთხოვდა ყველას მისი დედის წილხვდომილ საქართველოში უკანასკნელ დროს დატრიალებული ეროვნული ტრაგედიის გამო.

ნახატის ზემოთ გამოსახული მაცხოვრის გულში ზვიად გამსახურდიას სახეა იყო გამოკვეთილი, რომელსაც ქვევიდან შემოჰყურებდა ვედრებით მლოცველი ხელებგაშლილი და ზეაღმართული მერაბ კოსტავას სახეა...

ზუგდიდის იმ სესიაზე ვახტანგ ნოდია

ამ ნახატზე უფრო მნიშვნელოვანი, დიადი, ღირებული და ქვეყნისთვის სასიკეთო არავის არაფერი უთქვამს!!!

1993 წლის 27 ოქტომბერს, როდესაც სახელმწიფო-კონსტიტუციური გადატრიალების ავტორი ხუნტის სადამსჯელო ექსპედიციის უკანასკნელი მეექვსე მარბიელი ლაშქრობა ანიოკებდა და არბევდა მთელი სამეგრელოს მოსახლეობას განსაკუთრებული სისასტიკით, რომელიც მერმე გენერალური რეპეტიცია აღმოჩნდა აფხაზეთში მოწყობილი ქართველთა და აფხაზთა მიზანმიმართული სასაკლავოსთვის მთელი ერთი თაობის გენოფონდის დასასამარებლად, ხობის საცურაო კომპლექსის შენობაში იპოვეს მხატვარ ვახტანგ ნოდის დასახიჩრებული და მარჯვენამოჭრილი ცხედარი...

მაშინდელი თვითმხილველის დაკითხვისას, რაც ინახება, გაირკვა, რომ ეს სისასტიკე სწორედ ამ ნახატის გამო ჩაუდენიათ:

– „ხობში მე და ვახტანგი წითელი ჟიგულის მივდიოდით. ქალაქში რომ შევედით, სწრაფი რეაგირების „მაშველთა კორპუსის“ [ჯაბა იოსელიანი] კორდონი დაგვხვდა. დაგვაკავეს (ჩვენი დამკავებლები 2 ავტობუსით იყვნენ, ძირითადად, თბილისელები. ყვე-



ვახტანგ ნოდიათვის საბედისწერო ნამუშევარი



# მხატვრობა

ლა ერთხმად გვაგინებდა უშვერი სიტყვებით). ჩვენთან ერთად კიდეც ერთი კაცი იყო, ვინმე ჯგერენაია, თუმცა იგი მაშინვე ხალხს შეერია და გაქცევით უშველა თავს. მე და ვახტანგი წაგვიყვანეს შტაბში. სალამოს რვის ნახევარი იყო. შტაბში უფროსი რეზო გახოკიძე დაგვხვდა. ვახტანგმა იქ მყოფებს აუხსნა; – „ავარია მომივიდა და დაზარალებულისთვის ფულის გადასაცემად მივდიოდი“. დაზიანებული მანქანის მეპატრონე უცებ მოძებნეს და მოიყვანეს. მან ვახტანგის ნაამბობი დაადასტურა. ამ დროს ოთახში იმყოფებოდა ვინმე მხატვარი, თბილისის სამხატვრო კომბინატიდან. მან ვახტანგი იცნო და თქვა: – „ეს ის მხატვარი ნოდიაა, მაცხოვრის სხეულს გამსახურდიას თავი რომ მიახატაო“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ვახტანგს ეცნენ და ყველამ ერთად ცემა დაუწყო. შემდეგ რალაც ქალაღი შეაჩერეს ხელში და ეუბნებოდნენ: – „ხმამაღლა ნაიკითხო“. თან ამ ყველაფერს ვიდეოკამერებით იღებდნენ. ვახტანგმა ნაიკითხვაზე უარი თქვა. ამის გამო იგი კონდახებით გონების დაკარგვამდე სცემეს. გარეთ თავსხმა წვიმა იყო. მე გამიყვანეს და მითხრეს, – „საფლავი გათხარეო“. მე, როცა უარი ვუთხარი, კონდახი მითავაზეს. გონს რომ მოვედი, დავინახე – გარშემო ისევ ის ნაძირლები ირეოდნენ.

ვიღაცამ დაიძახა: – „ბაბუ სმერტნიკი“ მოვიდაო. ჟურნალისტი ყოფილა. მხარზე ვიდეოკამერა ჰქონდა გადაკიდებული. გონსმოსული ვახტანგი გარეთ ჰყავდათ გამოყვანილი და ღრილებდნენ: – „რომელი ხელით დახატე ზვიადიო...“ და აგინებდნენ უსაზიზღრესი სიტყვებით. მერე „ბაბუ სმერტნიკმა“ ავტომატს ხიშტ-დანა მოხსნა, ვახტანგს მარჯვენა მკლავი აუწია და მთელი ძალით გამოუსვა. საცოდავმა ერთი დაიღმუვლა და მერე მისი ხმა აღარ გამიგია, სადღაც გაათრიეს, კვლავ უგონოდ იყო. ჩემი დაკითხვა ისევ გააგრძელეს. მე ნათესავის გვარი დავუსახელე, რომელიც ფოთის „კაპეზეში“ მუშაობდა. ტელეფონით დაურეკეს და როცა ჩემი ნათქვამი დადასტურდა, მივხვდი, რომ სიკვდილს გადავურჩი.“ (თვითმხილველის ნაამბობიდან)

ვახტანგ ნოდიას ნახატი ინახება ეროვნული გვარდიის მაშინდელი მთავარსარდალის ვახტანგ ქობალიას სახლში. (ნახატისა და



ბრუნო ვეფხვაძე „პრეზიდენტის პორტრეტი“

მისი ავტორის შესახებ ინფორმაციის წყარო: უზენაესი საბჭოს დეპუტატი გურამ მაქაცარია და პრეზიდენტის დაცვის წევრი ბესარიონ მიქავა)

ეროვნული გმირი და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მიუხედავად მისი საყოველთაო აღიარებისა და რეაბილიტაციის დღემდე გაჭიანურებისა, განსაკუთრებით სახელისუფლებო წრეებისთვის, არაერთი გაბედული და ნიჭიერი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა. მისი პირველი სკულპტურული ძეგლი 2001 წელს დაიდგა ზუგდიდში (ავტორი ბადრი სხულუხია), როგორც სიმბოლო თავისუფლებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა. მერმე ნელინელ მიჰყვებიან საინტერესოდ წარმოდგენილი ზვიად გამსახურდიას და მისი სულიერი ტყუპისცალი ძმადნაფიცის მერაბ კოსტავას სკულპტურული სახებანი წალენჯიხაში, ჩხორონწყუში, აბაშაში.., არის მოთხოვნა და მზაობა მათი ძეგლი დაიდგას ქუთაისში...

და ასე ნელინელ „ეპარება“ დედაქალაქს ამ ორი, „ვეფხისტყაოსნური“ გაგების ძმადნაფიცის სახე მათ მშობლიურ ქალაქს – მათთვის საფიცარ და სათაყვანო თბილისს.



ჟურნალ „რინის“ ეს ნომერი ეძღვნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამდენად, ნომერში დაბეჭდილია ზვიად გამსახურდიას ლექსები, ესსეები, წერილები და კრიტიკული ნაშრომები. განსაკუთრებით გამორჩევა მისი წერილი: „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“.

ჟურნალში ბევრი რუბრიკაა: პოლიტიკა, ისტორია, დოკუმენტური პროზა, მხატვრული პროზა, პოეზია, კრიტიკა, მოგონებები, ეთნოგრაფია, ინტერვიუ, თარგმანი, ფოტოარქივი, ერთი ლექსის ისტორია, მხატვრობა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ჯემალ გამახარია მოგვითხრობს აფხაზეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, აფხაზეთის უახლოეს ისტორიასა და ამ ისტორიაში ზვიად გამსახურდიას პიროვნულ როლზე.

დოკუმენტური პროზის განყოფილებაში ჯემალ იონათამიშვილი გვიყვება 1991-1992 წლებში თბილისში დატრიალებულ სამოქალაქო ომზე, როდესაც ორივე დაპირისპირებული მხარე ქართველები იყვნენ. მოთხრობას ასევე ეწოდება „ქართველთა ომი“. ავტორი იმ მოვლენების თვითმხილველია, ამიტომაც მის ნაშრომში ისტორია პირუთვნელადაა გადმოცემული. საკუთარ განცდილს გვიზიარებს, იმავე რუბრიკაში, მწერალი ირმა კეკელიძე, რომელიც იხსენებს ორ შობას: ერთს, შორეულ 1992 წელს გროზნოში და მეორეს საქართველოში, ჩვენს დროში. ამიტომაც ეწოდება მოთხრობას – „ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე“

პროზის რუბრიკაში კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 1925 წელს დაწერილ ნოველას „ტაბუს“ წავიკითხავთ. ეს ნაწარმოები დიდი მწერლის მიერ, თითქმის საუკუნის წინათ, განჭვრეტილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მომავალია. საოცარი წინასწარმეტყველებაა, სატანის მიერ ამ ორი მოძმე ხალხის დაპირისპირების, მათი მხარის სწორედ ისეთი იავარქმნის, რაც ჩვენ ვიხილეთ აფხაზეთში.

მოგონებების რუბრიკით სამი ავტორი იბეჭდება: ნერსე ბაცაში, ჯემალ შონია, ზაურ ბედია. სამივე ავტორი იგონებს გამსახურდიების ოჯახთან ურთიერთობას მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

ნერსე ბაცაში სოხუმელი მოქანდაკეა, ეროვნებით ლაზი. სწორედ ლაზობის გამო დაინტერესდა მისით დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. მალე კლასიკოსისა და ახალგაზრდა მოქანდაკის ურთიერთობა მეგობრული გახდა. მწერლის რჩევებსა და მის თანადგომას ეხება ნერსე ბაცაშის მოგონება.

ზაურ ბედია ლეგენდარული მფრინავია. ის მოგვითხრობს მისი ცხოვრების მთავარი რეისის შესახებ, როცა დევნილი პრეზიდენტი ერევნიდან გროზნოში უვნებლად ჩაიყვანა.

ჯემალ შონია კი პრეზიდენტთან თავისი ურთიერთობის ისტორიას იხსენებს, ეს ზვიად გამსახურდიას დისიდენტობისა და გაპრეზიდენტების წლებია, ასევე აფხაზეთის ომის დამთავრების დრო.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ წავიკითხავთ კონსტანტინე ზ. გამსახურდიას პასუხებს ჟურნალ „რინის“ მიერ დასმულ შეკითხვებზე, ასევე, ზვიად გამსახურდიასთან ინტერვიუს, რომელიც პირობითია, ვინაიდან ეს კითხვები მას დაუსვეს ქართველმა სტუდენტებმა ერთ-ერთი საჯარო ლექციის შემდეგ, რაც დაიბეჭდა კიდეც ზოგიერთ ადრეულ გამოცემაში.

ეთნოგრაფიის რუბრიკით იბეჭდება ცნობილი პუბლიცისტის ნიკოლოზ კილანავას წერილი „აჩიგვარის მათრახი“. ცნობილია, რომ „მთვარის მოტაცებაში“ დიდოსტატი კონსტანტინე ხშირად ახსენებს აჩიგვარის მათრახს. რა მათრახია ეს, სად და ვის მიერ და რაც მთავარია, როგორ კეთდებოდა იგი?! ამ წერილში ეს საკითხები დეტალურადაა განხილული, რაც მაღალ ღირებულებას სძენს მის ეთნოგრაფიულ შინაარსს.

ჟურნალის ფოტოარქივის განყოფილებაში გაეცნობით ჟურნალისტ ირაკლი შონიას მოგონებებს და რამდენიმე ფოტოს, რომელიც მის არქივშია დაცული. ქალბატონ ქრისტინა კილანავას ფოტოები კი ექსკლუზიურად იბეჭდება: მასზე წარმოდგენილი არიან გალელი ინტელიგენტები, რომლებიც პერიოდულად ჩამოდიოდნენ დიდ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან და მისი „კოლხური კოშკის“ ეზო-გარემოს უვლიდნენ, რადგანაც ეს ცნობილი სახლი გალის ქუჩაზე მდებარეობდა. მწერლისადმი სიყვარულის გამოხატვის ასეთი ფაქტი, მართლაც უნიკალურია.

კრიტიკის განყოფილებაში, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის კურატორი, ქალბატონი ციციწო მაღლაფერიძე, გვიამბობს მერაბ კოსტავას მიერ ზვიად გამსახურდიასათვის მიძღვნილი ლექსის „ძმას ქრისტესმიერს“ შექმნის ისტორიას. ცნობილია, რომ ზვიადმა ამ ლექსს მაღალი შეფასება მისცა და არც შემცდარა – ლექსში ხომ პოეტური ენითაა გადმოცემული მათი დიადი მეგობრობისა, თანადგომისა და თავგანწირვის ამბავი.

პროფესორ ციალა მესხიას წერილი: „ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობა“ მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია“, ასევე, იბეჭდება ჟურნალის კრიტიკის განყოფილებაში.

რუბრიკაში „თარგმანი“ მკითხველი გაეცნობა ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილ შარლ ბოდლერის პოეზიას. ამავე რუბრიკაში იბეჭდება პროფესორ მაია მირესაშვილის ნაშრომი „ზვიად გამსახურდია და თარგმანის საკითხები“, რომელშიც მკვლევარი გვიამბობს ზვიად გამსახურდიას მიერ უოლტ უიტმენის, შარლ ბოდლერის, პერსი ბიში შელლის, ტომას სტერნზ ელიოტის და სხვათა თარგმანის შესახებ.

რუბრიკაში „მხატვრობა“ იბეჭდება მანანა სოტკილავას წერილი ბრუნო ვეფხვაძის მიერ შექმნილ ზვიად გამსახურდიას პორტრეტზე.

ჟურნალის უკანა ყდის შიდა მხარეზე ხელნაწერ ლექსს ვეცნობით. იგი ეკუთვნის აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელს – ვოვა ვეკუას. ეს ლექსი მიძღვნაა საქართველოს პატრიარქის ამბროსი ხელაიასადმი, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს და სამშობლოს სიყვარულისათვის აღესრულა კიდეც. ამიტომაც წერს ვოვა ვეკუა: „სული ღმერთს, გული-ერს, მძორი თქვენ, ბოლშევიკებს!“ და სწორედ ეს სიტყვები მიესადაგება ამ ნომრის მთავარი გმირის – ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობასა და მის ნათელ ხსოვნას.

ჟურნალის იდეის კონცეპტუალური შინაარსი დევს გარეყდაზე გამოსახულ ინსტალაციაში. ესაა, ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწე, სოხუმელი მხატვრის ანდრო ვეკუას ნამუშევარი, რომლის დედაშინაარსია მშობლიურ სახლსგარეთ დარჩენილი სხეული, რომლის თავი (ანუ საზრისი, გონი) ისევ მშობლიურ სივრცეში დარჩენილა. აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოებისათვის ეს ძალიან მტკივნეული და ძალიან ნაცნობი თემაა... ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასი არ იყოს, რომელმაც საკუთარი ქალაქიდან, საკუთარი ქვეყნიდან დევნილმა თავისი ცხოვრების მიმწუხრს ჩვენი-აფხაზეთიდან დევნილთა ბედიც გაიზიარა - მას ხომ აფხაზეთშიც ჰქონდა სახლი სახელად „აფსუა აბაა“ ანუ „აფხაზური სახლი“.

უკანა ყდაზე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ერთობლივი ფოტოა, აფხაზეთში გადაღებული. მკითხველის ურთიერთობა „რინის“ 2020 წლის პირველ ნომერთან ამ ფოტოთი სრულდება. ეს შემთხვევით არ მომხდარა: ფოტოს რომ დავცქერით, გვიჩნდება განცდა, რომ სწორედ ამ (და ასეთი) მამულიშვილების სულები გაგვიძღვებიან ჩვენი აფხაზეთისკენ.

„რინის“ მთავარი რედაქტორი ნანა ქარდავა

“Ritsa”, #1, 2020.

This edition of “Ritsa” magazine is dedicated to Zviad Gamsakhurdia, the first President of Georgia and his literature - his poems, essays, letters and critics. His article « Konstantine Gamsakhurdia and Christianity» is of special importance.

The magazine has several rubrics: politics, history, documentary prose, artistic prose, poetry, critics, memoirs, ethnography, interviews, photo archives, history of one poem.

Professor Jemal Gamakharia, chairperson of the Supreme Council of Abkhazia, describes the political situation and recent history of Abkhazia and personal role of Zviad Gamsakhurdia in this history.

In the documentary prose rubric Jemal Ionatamishvili tells us about 1991-1992 civil war in Tbilisi, when Georgians opposed each other. The novel is entitled “The War of Georgians”. The author has witnessed the developments and thus he describes the history in a very impartial way.

Writer Irma Kekelidze shares her emotions in the same rubric. She recalls the two Christmas days: one in 1992 in Grozni and the other one in Georgia, in present times. The novel is entitled “From Christmas to Christmas”.

In the prose rubric you can read the novel of Konstantine Gamsakhurdia “Taboo” which dates to 1925. This piece of literature of the great writer represents his vision of the future of Georgian and Abkhaz relationship. It is an amazing prophecy of devil opposing these two ethnic groups of brotherly people, and the devastating effects of such opposition on their motherland, which we have seen in Abkhazia.

In the memoirs rubric we offer to your attention the works of the three authors: Nerse Batsash, Jemal Shonia and Zaur Bedia. The three of them recall their relations with the family of Gamsakhurdia at various stages of their lives.

Nerse Batsash is a sculptor from Sukhumi, Laz by ethnicity. It was because of his ethnic belonging that the great writer Konstantine Gamsakhurdia was first interested in him. Soon the famous writer and the young sculptor became friends. Memories of Nerse Batsash are about advises and support he was receiving from the writer.

Zaur Bedia is a legendary pilot. He recalls the main flight of his life when he safely transported the persecuted President to Grozni.

Jemal Shonia shares the history of his relationship with the President. These period covers the years when Zviad Gamsakhurdia was a dissident, later when he became the President of Georgia, and also the time when the war in Abkhazia had finished.

In the rubric “Interview” readers are offered answers to questions of Ritsa magazine by Konstantine Z. Gamsakhurdia; also, “symbolic interview” with Zviad Gamsakhurdia, which was compiled based on questions he was asked by Georgian students at one public lecture and which was later published in various media.

Famous publicist Nikoloz Kilanava’s article “The Whip of Achigvara” is published in the rubric Ethnography. In his novel “Kidnapping the moon” Konstantine Gamskhurdia often mentions *the whip of Achigvara*. What kind of whip it was? And what is most important how and who made it? These are the issues described in detail in this article of N. Kilanava, which attributes high ethnographic value to the work.

In the photo archives chapter, journalist Irakli Shonia shares several photos from his personal archive and related memories. Our magazine was also granted the exclusive right to publish photos of

Mme Kristina Kilanova: depicting intelligentsia of Gali, who were regularly visiting Konstantine Gamsakhurdia and were taking care of his “Colchian Tower” and the surrounding yard, as this famous house was located on Gali street. Such way of expressing love towards the great writer is indeed unique.

Mme Tsitsino Maghlapheridze, curator of the Merab Kostava Museum, shares the story of a poem “To My Bother in Christ”, which Merab Kostava dedicated to Zviad Gamsakhurdia. It is well-known that Zviad highly appreciated this poem and he was right, as it describes in an artistic way the story of their friendship, mutual support and self-sacrifice.

Professor Tsiala Meskhia’s article: “Engagement of the Moon” of Zviad Gamsakhurdia - musical-esthetic and thoughtful symphony” is as well offered to readers’ attention.

Rubric “Translations” publishes poetry of Charles Bodler translated by Zviad Gamsakhurdia. In the same rubric you can also read the work of Professor Maia Miresashvili “Zviad Gamsakhurdia and issues of translation”, where the scientist speaks about Zviad Gamsakhurdia’s translations of Walt Whitman, Charles Bodler, Percy Bysshe Shelley, Thomas Stearns Eliot and others.

On the inner side of the back cover of the magazine the handwritten copy of a poem is published. It belongs to the leader and the spirit-maker of the National movement in Abkhazia – Vova Vekua. This poem is dedicated to Patriarch of Georgia Ambrosi Khelaia, who was in the forefront of those who opposed the Soviet regime and even lost his life for the love to the Motherland. Vova Vekua thus writes: “My soul belongs to God, my heart – belongs to the Nation, you Bolsheviks – may have just my remains!” These words also well-correspond to the main hero of the present edition of our magazine – Zviad Gamsakhurdia, his activities and his commemoration.

The conceptual idea of the magazine is expressed through the installation which placed on its cover page. It is the artwork of the painter Andro Vekua, who currently lives and works abroad. The main idea of the installation is the human body left outside the house, while its head (i.e. the idea, the essence, consciousness) is still within the native space. For internally displaced population of Abkhazia it is a painful and a very familiar theme... The first President of our country Zviad Gamsakhurdia, who shared our fate at the end his life and got displaced from his native town, his country... He, like us, used to have his own house in Abkhazia named “Apsua Abaa” which means “The Abkhazian House”.

The back cover of the magazine features the joint photo of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava taken in Abkhazia. This photo is the last thing we offer to the readers of the first 2020 edition of Ritsa magazine. The choice is not accidental: when looking at this photo, we feel that it is the souls of these (and other such) patriots that will lead us back to our Abkhazia.

Editor in Chief - Nana Kardava